

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა - ფილოლოგია (თარგმანმცოდნეობა)

ნათია იაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების  
ტრანსლატოლოგიური ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი

თბილისი

2022

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის „სიბრძნე სიცრუისას“ ოლივერ უორდროპისა და ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანების მრავალმხრივი ანალიზი, ორიგინალთან და თავად თარგმანების ურთიერთშედარების საფუძველზე.

თარგმანმცოდნეობაში დამკვიდრებული კრიტერიუმებისა და თარგმანის ლინგვისტური თეორიების მიხედვით თარგმანების განხილვამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორივე თარგმანში შეინიშნება გარკვეული სახის პრობლემები „წყარო ტექსტში“ არსებული ლექსიკური ერთეულებისა და შესიტყვებების „სამიზნე ტექსტში“ ასახვის კუთხით, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ცვლიან საწყისი შეტყობინების შინაარსს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ თარგმანს. ასევე შეინიშნება პრობლემები ინვარიანტის შენარჩუნების, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის კუთხით.

ორივე თარგმანში გამოვლენილია კუპიურები და ინტერპოლაციები. ზოგიერთ შემთხვევაში, თარგმანში არსებული ინტერპოლაციები ზედმეტად სუბიექტურია, არ არის შესაბამისობაში ორიგინალის სტილთან და შინაარსთან, რაც მკითხველს ხელს უშლის ავტორისეული ხედვის სათანადოდ აღქმაში.

ნაშრომში ასევე განხილულია კარგად შესრულებული თარგმანების მაგალითები, რომელიც მრავლად გვხვდება ორივე თარგმანში. თუმცა, ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქ. ვივიანი გაცილებით ერთგულად მიყვება დედანს და უკეთესად ართმევს თავს ორიგინალის სტილის, ფორმისა და შინაარსის ადეკვატურად ასახვას თარგმანში.

## Abstract

The current doctoral thesis presents a multilateral analysis and research of the English translations of Sulkhan-Saba Orbeliani's collection of fables "the Book of Wisdom and Lies" made by Oliver Wardrop and Katharine Vivian. The research was performed based on a comparative analysis: comparing the translations with the original and with each other as well.

Review and analysis of the translations, in accordance with the linguistic theories and criteria established by the translation studies, revealed a number of problems in terms of finding equivalent lexical and phraseological units for the ones existing in the "source language", causing changes in the messages of source text and inflicting significant damage to the translation. Furthermore, problems in terms of lexical invariants and unity of form and content have been discovered as well.

Several excisions and interpolations have been observed in both translations. In some cases, the interpolations are too biased, do not correspond to the style and content of the original and therefore make it difficult for the reader to perceive and understand the viewpoint of the author properly.

Examples of well-performed passages, observed in both translations, have also been analyzed in the thesis. However, the conducted analysis has shown that K. Vivian is more faithful to the original and more successful in transferring the style, form and content of the original in the translation.

## შინაარსი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი .....  | 5   |
| თავი I. სულხან-საბა ორბელიანი და იგავ-არაკი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ჟანრი .....                    | 13  |
| 1.1 იგავ-არაკის არსი და მისი გამოყენება აღმზრდელობითი მიზნით .....  | 13  |
| 1.2 სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“ .....  | 18  |
| თავი II. თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე მიმართულებები .....   | 26  |
| 2.1 მხატვრული თარგმანის არსი (ლინგვისტური თეორიების მიხედვით) .....   | 26  |
| 2.2 ტექსტის ლინგვისტიკიდან თარგმანის ლინგვისტიკამდე .....   | 42  |
| 2.3 სტილის ეკვივალენტობა მხატვრულ თარგმანში და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი.....                               | 46  |
| თავი III. „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურ ენაზე .....   | 50  |
| 3.1 „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანები და მთარგმნელები (ო.უორდროპი და ქ. ვივიანი).....                                | 50  |
| 3.2 „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის მნიშვნელობა და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში.....                                 | 60  |
| თავი IV. სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისას” ოლივერ უორდროპისეული თარგმანის ტრანსლატოლოგიური ანალიზი ..... | 64  |
| თავი V. სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისას” ქეთრინ ვივიანისეული თარგმანის ტრანსლატოლოგიური ანალიზი .....   | 114 |
| თავი VI. „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი.....                                   | 155 |
| დასკვნა .....   | 176 |
| ბიბლიოგრაფია.....   | 181 |

## შესავალი

მხატვრული ლიტერატურა ადამიანის გონებრივი და ინტელექტუალური განვითარების საზრდოა, რომლის მეშვეობითაც ხდება პიროვნების აზროვნების არეალისა და ცოდნის გაფართოება და რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ერის კულტურული განვითარების ეტაპებისა და ყოფაცხოვრების შესახებ, რაც თავისთავად ერისა და ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საწინდარია. ცნობილია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სათანადო ადგილის დასამკვიდრებლად ქართულმა ლიტერატურამ განვითარების სხვადასხვა ეტაპები და ეპოქები განვლო. არსებობს მოსაზრება, რომ შუა საუკუნეების ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში საქართველოს შესახებ წარმოდგენა ძირითადად ანტიკურ წყაროებს ეყრდნობოდა. თუკი გურამ შარაძეს დავესესხებით, „იბერიის, ძველი კოლხიდისა და კავკასიონის ქედის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად და გამოსახატად მხოლოდ მედეას, პრომეთესა და მითრიდატე პონტოელის სახელებიც კი საკმარისი იყო“ (შარაძე, 1984:30).

ცნობილია, რომ ადამიანებს ოდითგანვე გააჩნდათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის, ასევე განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების გაცნობის სურვილი, რასაც შედეგად მოჰყვა მთარგმნელის, როგორც პროფესიის გაჩენა. საგულისხმოა, რომ „ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს ცნობით, მთარგმნელობითი საქმიანობა პროფესიად ყოფილა მიჩნეული ჯერ კიდევ VII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ (მერაბიშვილი, 2005:12).

მხატვრული თარგმანის როლი უზარმაზარი და განუსაზღვრელია ხალხთა შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი განვითარებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თარგმნილი ლიტერატურა ქართული მწერლობის სათავეებიდან იღებს დასაბამს. ამის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ დღემდე მოღწეული უძველესი ნაწარმოები

„შუმანიკის წამება“, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანების არსებობის შესახებ.

თუკი თვალს გადავავლებთ თარგმნილ ლიტერატურას, ვნახავთ, რომ ძველ ქართველებს აქტიური კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ ბიზანტიასთან, არაბეთთან, ირანთან. შემდგომში მათ დაემატა რუსეთი და დასავლეთ ევროპა. უნდა აღინიშნოს, რომ „ქართველთა მთარგმნელობითი საქმიანობა უცხოეთთან ცალმხრივი საქმიანობა არ იყო. მათ არა მარტო „შემოჰქონდათ“ უცხოეთის კულტურული ძეგლები, არამედ „გაჰქონდათ“ კიდევ საკუთარი (გაჩეჩილაძე, 1966:56), რაც ბუნებრივია, თანდათანობით იწვევდა უცხოელთა, კერძოდ კი ევროპელთა, დაინტერესებას ქართული ლიტერატურის ძეგლების მიმართ. ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლენგის მოსაზრებით, დასავლეთ ევროპაში ქართველოლოგია დიდი ხნის განმავლობაში ძირითადად ანტიკური მწერლების ცნობებს, მისიონერებისა და დიპლომატების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

ქართული ლიტერატურით ევროპელთა დაინტერესება და მისი შესწავლის დაწყება ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისს უკავშირდება, რასაც ხელი შეუწყო 1822 წელს საფრანგეთში „პარიზის სააზიო საზოგადოების“ დაარსებამ, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც იყო ანტუან ჟან სენ მარტენი. ასევე მნიშვნელოვანია სანკტ-პეტერბურგში განხორციელებული ქართველოლოგიური კვლევა-ძიება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მარი ბროსეს სახელს. სწორედ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით „დაწყებულ ქართველოლოგიურ საქმიანობას შედეგად მოყვა ქართული ლიტერატურის შესწავლის შემდგომი აღმავლობა, როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე საზღვარგარეთ“ (ხინთიბიძე, 2003:35).

პირველი ინგლისელი მეცნიერი, რომელიც დაინტერესდა ქართული მწერლობის თარგმნით, იყო ედინბურგის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორი სოლომონ სიზარ მალანი (1812-1894), რომლის მუშაობაც საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ასევე მნიშვნელოვანია, პროფესორ უილიამ რიჩარდ მორფილის მოღვაწეობა (1834-1909), რომლის კალამსაც ეკუთვნის გამოკვლევა „ქართული ენა და ლიტერატურა“.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის ევროპელ მეცნიერებსა და მკვლევარებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ იმ დროის ქართველ პოეტებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვა.

ქართული კულტურისა და მწერლობის ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გაცნობასა და პოპულარიზაციაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვით და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს. განუზომელი და ფასდაუდებელია მათი წვლილი ქართული ლიტერატურის ძეგლების ინგლისურად თარგმნის საქმეში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ინგლისური თარგმანი შესრულებულია სწორედ მარჯორი უორდროპის მიერ, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცა ოლივერმა.

ქართული მწერლობის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის დევიდ მარშალ ლენგს, ინგლისელ პროფესორსა და კავკასიათმცოდნეს, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული ლიტერატურის, მათ შორის სასულიერო მწერლობის კვლევით. მასვე, ინგლისურ ენაზე, გამოცემული აქვს ქართველი წმინდანების ცხოვრება თავისი გამოკვლევებით (ოძელი, 1998:66).

ქართული ლიტერატურის უცხოენოვანი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან ქეთრინ ვივიანი (რომლის შესახებაც ვრცლად ნაშრომის შემდეგ თავებში ვისაუბრებთ), რობერტ სტივენსონი და დონალდ რეიფილდი. ფასდაუდებელია მათი შრომა და ძალისხმევა ქართული ლიტერატურის შესწავლისა და თარგმანების კუთხით. რ. სტივენსონი იკვლევდა „ვეფხისტყაოსანს“ და მის თარგმანებს. მანვე ინგლისურ ენაზე თარგმნა „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო, ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის და რუსისტიკის პროფესორს, დონალდ რეიფილდს, ნათარგმნი აქვს ქართული ლიტერატურის არაერთი უნიკალური ნაწარმოები. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „ქართული ლიტერატურა (ისტორია)“ .

არსებული რეალობის გათვალისწინებით, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ერებს შორის ურთიერთობებისა და აზრთა გაზიარების მოთხოვნილება საკმაოდ

მაღალია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ერებს შორის „კულტურული დიალოგის“ ჩამოყალიბება და ხელშეწყობა, რისი განხორციელებაც, ჩვენი აზრით, თარგმანის გზით არის შესაძლებელი. ჩვენი ქვეყნის კულტურა და ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რომელიც თავისი ეროვნული თვითმყოფადობითა და უნიკალურობით გამოირჩევა. სამწუხაროა, რომ ქართული ლიტერატურის მრავალი ძეგლი ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი და უცნობია უცხოენოვანი მკითხველისთვის. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. სულხან-საბა ორბელიანი, როგორც უნიკალური შემოქმედი და პროგრესული იდეების მქადაგებელი, გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართველ მწერალთა შორის. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ყოველთვის ექვეოდა ქართველი ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების ცენტრში. შესაბამისად, მის შემოქმედებას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და კვლევა მიეძღვნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბას გამორჩეული თხზულების, „სიბრძნე სიცრუისას“, ინგლისური თარგმანები, სადოქტორო ნაშრომის დონეზე, სპეციალური შესწავლის ობიექტი დღემდე არ ყოფილა. არადა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კერძოდ, ინგლისური ენის გავრცელების საკმაოდ ფართო არეალისა და კომუნიკაციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანები უნიკალურ შესაძლებლობას გვათავაზობს სულხან-საბას გენიის საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაცნობად. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, თუ რამდენად ადეკვატურად მოხდება ავტორის მორალურ-დიდაქტიკური შეგონებებისა და ნააზრევის მიწოდება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, მათში არსებული ყველა ხარვეზისა თუ ლაფსუსის, ისევე როგორც მთარგმნელების მიერ წარმატებით შესრულებული პასაჟებისა და არაკების გამოსავლენად.



„სიბრძნე სიცრუისას“ მხოლოდ ორი სრულყოფილი ინგლისური თარგმანი არსებობს, რომელიც შესრულებულია ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგეების: ოლივერ უროდროპისა (Wardrop, 1894) და ქეთრინ ვივიანის (Vivian, 1982) მიერ. საინტერესო ფაქტია, რომ ორივე თარგმანი შესრულებულია სხვადასხვა თაობის ინგლისელი მთარგმნელისა და მეცნიერის მიერ. ცხადია, ჩნდება კითხვა: რამდენად წარმატებით გაართვეს თავი მთარგმნელებმა წამოწყებულ საქმეს და შეძლეს თუ არა ორიგინალის ადეკვატური და ტოლფასოვანი თხზულების შექმნა ინგლისურ ენაზე, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის კუთხით. „სიბრძნე სიცრუისა“, ძირითადად, ქართულ ფოლკლორზე აგებული და ავტორის მსოფლმხედველობისა და იდეურ-ესთეტიკური შეხედულებების მიხედვით შექმნილი ნაწარმოებია. აქედან გამომდინარე, სულხან-საბას შემოქმედების მთარგმნელი სათანადოდ უნდა იცნობდეს მის ბიოგრაფიას, ავტორის მოღვაწეობის ხანას, ქართულ ტრადიციებსა და ეროვნულ რეალიებს, რათა სწორად ჩასწვდეს და ამოიცნოს თხზულებაში არსებული როგორც შინაარსობრივ-ფაქტობრივი, ისე შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია, რაც ე.წ. „უთარგმნელი“ ლექსიკური ერთეულების თარგმნისას წარმოქმნილი პრობლემების წარმატებით დაძლევის საწინდარია.

### **კვლევის ობიექტი**

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ თარგმანებს შეპირისპირებითი (კომპარატიული) ანალიზის მეთოდის გამოყენებით. მიგვაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოებების თარგმანების შედარება საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებულია თარგმანის შეფასების კუთხით, რადგანაც სწორედ რომ შედარების მეშვეობით ვლინდება რამდენად ზუსტად და ობიექტურად არის ასახული თარგმანში ავტორის შემოქმედებითი სამყარო, რომელი თარგმანია უფრო ზუსტი და რომელმა მთარგმნელმა შეძლო შემოქმედის მიერ წყარო ტექსტში ექსპლიცირებული შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის, ასევე მწერლის ნააზრევისა და იდეების ადეკვატური

ტრანსფორმაცია სამიზნე ტექსტში და მათი სათანადოდ მიწოდება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის.

„სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების ანალიზისას ძირითად ორიენტირად მივიჩნიეთ წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის „დინამიკური ეკვივალენტობის“ პრინციპი, რაც გულისხმობს შეტყობინებასა და თარგმანის ენაზე მიმღებს შორის დინამიკური კავშირის შექმნას. ამგვარად შესრულებული თარგმანი იძლევა ბუნებრივი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას და ამდენად, ადვილად აღსაქმელია სამიზნე ტექსტის მკითხველისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი“ მიზანს წარმოადგენს „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების კომპლექსური შესწავლა ტრანსლატოლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, რამდენად ადეკვატურია თითოეული თარგმანი და დაცულია თუ არა მათში ფორმისა და შინაარსის ერთიანობა; მოიპოვება თუ არა თითოეულ მათგანში კუპიურები ან ინტერპოლაციები; რამდენად არის შენარჩუნებული ავტორისეული თხრობის სტილი; ასევე, რამდენად წარმატებით ართმევენ თავს მთარგმნელები ორიგინალში არსებული ფრაზეოლოგიზმების, იდიომების, მეტაფორებისა და სხვა მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებისთვის ტოლფასოვანი და ეკვივალენტური შესიტყვებების მოძიებას. დასახელებული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაშრომის კვლევის ამოცანების შესრულების გზით, რომელიც მოიცავს:

-თითოეული თარგმანის შესწავლას ლექსიკურ-სტილისტური მახასიათებლების გათვალისწინებით და მათ შეპირისპირებას დედანთან;

-არსებული თარგმანების ურთიერთშედარებას შეპირისპირებითი (კომპარატიული) ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

## **სამეცნიერო სიახლე და თემის აქტუალობა**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანები თარგმანმცოდნეობის კუთხით, სადოქტორო ნაშრომის დონეზე, კვლევის ობიექტი დღემდე არ ყოფილა. ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული და გაანალიზებული აზრობრივად და სტილისტურად მნიშვნელოვანი ასპექტები და მათი თარგმანში ტრანსფორმაციის საშუალებები თარგმანმცოდნეობაში დამკვიდრებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით. გარდა ამისა, გამოვლენილია მთელი რიგი ხარვეზები და პრობლემები, რაც გამოწვეულია როგორც ენებს შორის არსებული სტრუქტურულ-სემანტიკური განსხვავებებით, ასევე მთარგმნელების სუბიექტური მიდგომით.

## **კვლევის მეთოდები**

ნაშრომში გამოყენებულია კონტენტ ანალიზის და კომპარატიული ანალიზის მეთოდები.

ჩვენს კვლევაში გამოყენებული კონტენტ ანალიზის, ანუ „შინაარსის ანალიზის“ მეთოდი ეყრდნობა ინფორმატულობის შინაარსობრივ კატეგორიებს. ხოლო კომპარატიული, ანუ „შედარებითი ანალიზის“ მეთოდი ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია, როგორც თარგმანების ორიგინალთან და თავად თარგმანების შედარების საშუალება, რაც მათში არსებული უპირატესობების, მსგავსება-განსხვავებებისა თუ ხარვეზების გამოვლენის და დასაბუთებული დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

## **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება**

ნაშრომში წარმოებულ კვლევას გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. თეორიულ ღირებულებად შესაძლოა მივიჩნიოთ ის, რომ დისერტაციაში განხილულია საკითხები თარგმანმცოდნეობის ჭრილში. შესწავლილია წყარო ტექსტში არსებული კონტექსტის სამიზნე ტექსტში ტრანსფორმაციის თავისებურებები და მასთან დაკავშირებული სირთულეები. ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მასში გაანალიზებული საკითხები და წარმოდგენილი დასკვნები შესაძლოა გამოყენებული იქნეს

თარგმანმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტების და ნაშრომის კვლევის ობიექტის შემდგომი სიღრმისეული შესწავლით დაინტერესებული მკვლევარების მიერ.

### **ემპირიული მასალა**

ნაშრომში გამოყენებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და მისი ინგლისური თარგმანები: “A Book of Wisdom and Lies” - „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, მთარგმნელი ქეთრინ ვივიანი (ლონდონი, 1982) და “The Book of Wisdom and Lies” - „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, მთარგმნელი ოლივერ უორდროპი (ლონდონი, 1894).

### **ნაშრომის სტრუქტურა**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანმა და საკვლევო მასალის სპეციფიკამ განსაზღვრა მისი სტრუქტურაც. დისერტაცია შედგება აბსტრაქტის, შესავლის, 6 თავის, დასკვნისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხისგან.

## თავი I. სულხან-საბა ორბელიანი და იგავ-არაკი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ჟანრი

### 1.1 იგავ-არაკის არსი და მისი გამოყენება აღმზრდელობითი მიზნით

იგავ-არაკი ერთ-ერთ უძველესი ლიტერატურული ჟანრია კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებები გვხვდება სხვადასხვა ხალხთა უძველეს ლიტერატურულ ნაშრომებში, რომლებიც წარმოიშვა ხალხური ზეპირსიტყვიერების საფუძველზე და საუკუნეების განმავლობაში განაგრძობდა არსებობას და განვითარებას სხვადასხვა მწერლებისა და მეიგავეების შემოქმედებაში.

იგავ-არაკი ალეგორიული მოთხრობაა, რომლის მოქმედ პირებადაც გამოყვანილი არიან ადამიანის თვისებების მქონე ცხოველები და ფრინველები. იგი ყოველთვის მთავრდება მორალურ-დიდაქტიკური შეგონებით, ვინაიდან მისი არსი და მთავარი დანიშნულება დიდაქტიკური მოძღვრებების და მოსაზრებების წარმოჩენაში მდგომარეობს. როგორც დიდი ილია ამბობდა: „იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცმესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ საბა ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი ამას არა სჩადის, განზრახვად, საგნად-კი სწორედ ეს უნდა ჰქონდეს, თორემ ზღაპარი, არაკი, იგავი თავისს მიზეზს არსებობისას მოკლებული იქნება“ ([http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/cveni\\_exlandeli.htm](http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/cveni_exlandeli.htm)).

იგავ-არაკების მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე საუბრისას ფრიად მნიშვნელოვანია იგავსა და არაკს შორის მსგავსება-განსხვავების განსაზღვრა. ზოგადად, არაკებად მიიჩნევა მცირე ზომის ალეგორიული ტექსტები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები და ადამიანები არიან. იგავებად კი მიჩნეულია სიმბოლური მნიშვნელობის ტექსტები, რომლებიც უმეტესად სასულიერო ლიტერატურაში გვხვდება.

აღნიშნულის პარალელურად, ასევე საინტერესოა, თუ რას მოიაზრებს თავად სიტყვა „იგავი“. ზოგადად, „იგავი“ ხატოვანი გამოთქმაა, რომელიც

ადამიანის ცხოვრებიდან ალებულ სიმართლეს გვამცნობს. იგავები გამოიყენება რწმენის ან სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტების ასახსნელად. მათში გამოყენებული შედარებები ანდაზების მსგავსია. თუმცა, ანდაზისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი აზრი მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა გამოხატული, იგავი ამას მთლიანი ამბის მეშვეობით გვამცნობს. ამდენად, ცხადი ხდება, თუ რატომ გამოიყენებოდა იგავები ზნეობრივი სიმართლისა თუ ჭეშმარიტების გამოსახატად ბრძენი და განსწავლული ხალხის მიერ. სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების შესახებ იგავებით საუბარი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, რომ „იგავი“, „არაკისგან“ განსხვავებით ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ გახდა პოპულარული და ეს ორი ჟანრი სწორედ სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებში გაემიჯნა ერთმანეთს.

„უფალი საუბრობს იგავებით, - განმარტავს წმ. ოქროპირი, იმისათვის, რათა თავისი სიტყვები გახადოს უფრო გამომხატველი, ჭეშმარიტებას შემოსოს ცოცხალი სახე, ღრმად აღბეჭდოს იგი ჩვენს აზროვნებაში, და თვალისთვისაც გახადოს დასანახი“. იგავი მარტო გონებაზე კი არ მოქმედებს, არამედ გულზეც და მსმენელის წარმოსახვაზეც, ამიტომ ჭეშმარიტება, როგორც სურათი, ადვილად ინახება მახსოვრობაში...“ ([http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/13\\_1-9.htm](http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/13_1-9.htm)).

ამდენად, იგავები მსმენელს მათი სიცხადით და უცნაურობით იზიდავენ. გარდა ამისა, ისინი ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია და შედარება-შეპირისპირების მრავალმხრივ საშუალებას იძლევა. იგავების წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ ადამიანს უჩნდება მათ შინაარსზე ფიქრის და თითოეულ მათგანში ჩაქსოვილი ფარული აზრის ამოცნობის სურვილი.

იგავისაგან განსხვავებით, არაკში უმთავრესად გამოიყენება გაპიროვნების ხერხი და ძირითად მოსაუბრეებად გამოყვანილი არიან ცხოველები და ფრინველები. „არსებითი განსხვავება არაკსა და იგავს შორის მათივე გამიზნულობით მჟღავნდება, ისინი ცასა და დედამიწასავით დაშორებიან ერთმანეთს. არაკი ამსოფლიურობით იფარგლება, მისი მზერა ამქვეყნიური,

ხილული სიბრძნისკენაა მიქცეული, სახარების იგავი კი ზეცას ჰკრეტს, ღვთიურ სიბრძნეს გვასწავლის და ღმერთთან მიახლებაში შეგვეწევა“ (ლლონტი, 2006:52).

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ იგავიც და არაკიც სიბრძნის გადმოცემის საშუალებებია და ორივე მათგანი მარტივ ალეგორიას განეკუთვნება.

იგავებით სწავლება და მეტყველება, ისევე როგორც თავად იგავები რომ ოდითგანვე პოპულარული იყო, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგავებს ვხვდებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ ბიბლიაში და ასევე შუმერულ და ბაბილონურ ლურსმულ წარწერებში. ერთ-ერთი უძველესი კრებული, რომლის მთავარ გმირებადაც გამოყვანილი არიან ცხოველები და ფრინველები, არის სანსკრიტული მოთხრობების კრებული „პანჩატანტრა“ (III-IVსს. ჩვ. წ. აღ.).

ძველ საბერძნეთში იგავ-არაკული ჟანრის ფუძემდელად მიიჩნეოდა ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში მოღვაწე, ძველბერძენი მეიგავე ეზოპე. ანტიკურ სამყაროში ეზოპეს კრებულები ფართოდ იყო გავრცელებული, უძველესი მათგანი კი ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება. მისი იგავები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. იგავების მეშვეობით ეზოპე ააშკარავებდა არა მხოლოდ მაღალი საზოგადოების ნაკლს, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების უარყოფით მხარეებსაც. იგი გმობდა ადამიანების სიხარბეს, ბოროტებას და სიცრუეს. საგულისხმოა, რომ ეზოპეს იგავები ყოველთვის მთავრდება მორალით, რომელიც, როგორც წესი, შეგონებას და ანდაზას წააგავს, რაც იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებისთვის არის დამახასიათებელი. უდავოა, რომ მის იგავებში წამოჭრილი საკითხები აქტუალობას დღესაც არ კარგავს, ხოლო მათში მთელი სიმწვავეით განხილული თემები და პრობლემები, ერთნაირად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ერის კულტურული თუ სოციალური ყოფისთვის.

ლიტერატურული თვალსაზრისით ასევე საინტერესო და მრავალფეროვანია ფრანგი მეიგავის, ჟან დე ლა ფონტენის შემოქმედება, რომლის იგავ-არაკებშიც ერთმანეთს ერწყმის ანტიკური სიუჟეტები და თხრობის ახალი სტილი. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ჟან დე ლაფონტენს თავის სიუჟეტებში გამოყენებული აქვს ეზოპეს იგავები და ინდური წყაროები.

ჟან დე ლა ფონტენის პერიოდში, საქართველოში მოღვაწეობდა შესანიშნავი მეიგავე სულხან-საბა ორბელიანი, რომლის კალამსაც ეკუთვნის იგავ-არაკული ნაწარმოები „სიბრძე სიცრუისა“, სადაც არაჩვეულებრივი ენითა და იუმორით არის გადმოცემული იმ პერიოდში არსებული მოწინავე იდეები და ზნეობრივი იდეალები. თხზულება აგებულია ჩარჩოსებური კომპოზიციის ფორმით, რომელშიც ავტორის მიერ გამოყენებულია ძველ ქართულ მწერლობაში გავრცელებული – იგავური ალეგორიზმის მეთოდი. იგავური ალეგორიზმი, როგორც მხატვრული გამომსახველობის საშუალება, გვხვდება შუამდინარულ, ეგვიპტურ და ანტიკურ წყაროებში. თუმცა, ეს ჟანრი განსაკუთრებით პოპულარული გახდა აღორძინების ხანაში, როდესაც საჭირო გახდა არაფრისმაქნისი და უსამართლო მმართველების მხილება-გაკიცხვა ალეგორიული გზით და ასევე, საზოგადოების დამოძღვრა იგავ-არაკების მეშვეობით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას იგავების სტილი მაინც განსხვავდება სხვა მეიგავეთა სტილისგან. „სულხან-საბას იგავების სტილი არ არის ისეთი მშრალი, როგორც ეზოპეს იგავებს ახასიათებს, მაგრამ სქემა მასთანაც დომინანტურ როლს ასრულებს. სქემატურობა იგავის ის შინაგანი თვისებაა, საიდანაც მომდინარეობს თხრობის ლაკონური, ეკონომიური სტილი. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში კულტივირებულია იუმორი ხალხური აქცენტით. მისი საფუძველია უბრალოება, უშუალოება და გონებამახვილობა. ალალ, უბოროტო ხუმრობაში ერთიანდება ფანტაზია და გონება, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს ავტორის ესთეტიკურ და ჰუმანისტურ იდეალებს. „სიბრძნე სიცრუისა“ გამოირჩევა დახვეწილი იუმორით, რომელშიც დინამიკური შინაარსი ერწყმის სიტუაციურ ფორმას.... მოულოდნელობისა და სიმკვეთრის ეფექტი სულხან-საბას პოეტიკის ერთი დეტალია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირონიის ფორმით არის გადმოცემული“ (ამირხანაშვილი, 2012:243-246).

იგავ-არაკებში გამოყენებული მხატვრული ხერხების მიზანი ნაწარმოებში წამოჭრილი ზნეობრივი პრობლემებისა და მორალური პრინციპების ნათლად წარმოჩენასა და ადამიანის უარყოფითი და მანკიერი თვისებების



გამოაშკარავებაში მდგომარეობს. იგავ-არაკების მთავარი მახასიათებელია მათი დიდაქტიკური არსი. მათში ყოველთვის წამოჭრილია კონკრეტული პრობლემა და აუცილებლად ბოლოვდება მორალით. სწორედ ამიტომ, მორალს უაღრესად მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი როლი აკისრია იგავ-არაკებში. „მორალი განსაკუთრებული კომპოზიციური ერთეულია, ის აკონტროლებს, ერთი მხრივ, იგავის შინაარსს, მეორე მხრივ, აღქმის, წაკითხვის, გააზრების პროცესს. მორალის გარეშე იგავი კარგავს მიმზიდველობას, ეგზოტიკურობას, ყოველივე იმას, რისთვისაც ეს ჟანრი არსებობს“ (დილავეროვა, 2017:30-33).

ნებისმიერი დიდაქტიკური მოთხრობის შექმნის მიზანია მკითხველისთვის ადამიანის ნაკლოვანებებისა თუ მანკიერი თვისებების წარმოჩენა და მათთვის სწორი ცხოვრებისეული მიმართულების ჩვენება ალეგორიის, სატირის ან ირონიის მეშვეობით. შესაბამისად, ცხადია თუ რატომ იყო იგავ-არაკებით სწავლების მეთოდი პოპულარული საუკუნეების განმავლობაში. აღნიშნული მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევდა, თან გაერთო აღსაზრდელი და თან განათლება მიეცა მისთვის, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი იგავ-არაკები არა მხოლოდ კულტურულ ინფორმაციას, არამედ მრავალმხრივ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც შეიცავდა.

იგავ-არაკის არსის, რაობის, მისი განვითარებისა და დიდი მეიგავეების შემოქმედების მოკლე მიმოხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ნაშრომისთვის, ვინაიდან ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების შესწავლა და მათი ტრანსლატოლოგიური ანალიზი. ბუნებრივია, მთარგმნელი უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას იგავ-არაკული ჟანრის წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მან სიღრმისეულად შეისწავლოს სათარგმნი ნაწარმოები, მისი სტილისტურ-ჟანრობრივი მახასიათებლები და დატვირთვა, გაიაზროს და გააცნობიეროს ავტორის მიზანი, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული ნაწარმოების შექმნისას სწორედ ამ ჟანრის გამოყენება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს თარგმნას.

## 1.2 სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“

მხატვრული ნაწარმოების სათანადოდ აღქმა-გააზრებისა და ანალიზისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ფლობას ავტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ.

აღორძინების ხანის უდიდესი ქართველი მეიგავე, პროზაიკოსი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს ტანშიაში, დიდი ქართველი ფეოდალების ოჯახში. იგი მამის მხრიდან მუხრანბატონ-ბაგრატიონთა შტოს ენათესავებოდა, ხოლო დედამისი კი ზაალ არაგვის ერისთავის ასული იყო.

სულხან-საბას მრავალმხრივი განათლება მიუღია. ვახტანგ მეექვსის სიტყვით სულხანი „სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი“ (მენაბდე, 1953:16). მისი აღზრდა მიმდინარეობდა „სათუთად და ნებიერად ვითარცა შვენის თავადთა ძეთა“ (ლორთქიფანიძე, 1960:5). სულხანმა შეისწავლა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება და ფილოლოგია. იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა სასახლის კარზე. გიორგი XI-ის დამარცხების შემდეგ სულხანი იძულებული გახდა, ბერად აღკვეცილიყო საბას სახელით დავით გარეჯის მონასტერში (1698 წ). სწორედ ამ დროიდან იწოდება იგი სულხან-საბად. თუმცა, 1703 წელს, მისივე აღზრდილი ვახტანგ VI-ის ქართლის ჯანიშინად დანიშვნის შემდეგ, სულხან-საბამ დატოვა მონასტერი და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. იგი დიპლომატიური მისიითაც იმყოფებოდა ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში ლუი XIV და რომის პაპ კლემენტი XI-სთან.

ვახტანგ მეექვსემ სულხან-საბა ორბელიანის დახმარებითა და თანამშრომლობით ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე განახორციელა. 1709 წელს საქართველოში დაარსდა პირველი სტამბა, სადაც იბეჭდებოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო წიგნები. ამ სტამბაშივე 1712 წელს პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი სათანადოდ იქნა შეფასებული ქართველი მეცნიერების მიერ. არაერთი კვლევა თუ მონოგრაფია მიეძღვნა სულხან-საბას შემოქმედებას და ზოგადად მის ფენომენს. იოანე ბაგრატიონი ასე

ახასიათებს საბას: „საბა ორბელიანი, ერის კაცობასა შინა სულხანად წოდებული, ესე იყო ქართულსა ფილოსოფიასა შინა გამოცდილი... ესე იყო პიიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი. ესე დაშვრა ფრიად და შეკრიბა განზნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღვაწა ამაზედ ოცდაათი წელი. ამან ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა, „სიბრძნე-სიცრუედ“ წოდებული“ (ბაგრატიონი, 1982:180). სულხან-საბა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა სამწერლო და სახელმწიფო მოღვაწეობას. მისი ლიტერატურული და ფილოლოგიური საქმიანობა ერთიორად დასაფასებელია თუკი გავითვალისწინებთ, რომ იგი საკმაოდ დაკავებული იყო საერო საქმეებით. სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია: 1. ქართული ლექსიკონი, ანუ „სიტყვის კონა“, რომელზე მუშაობასაც ავტორმა 30 წელი მოანდომა, 2. „მოგზაურობა ევროპაში“, 3. „ქილილა და დამანა“, რომელიც თარგმნა ვახტანგ მეექვსემ, ხოლო საფუძვლიანად გადაამუშავა სულხან-საბამ და 4. „სიბრძნე სიცრუისა“. ყველაზე მეტ ყურადღებას კი იპყრობს „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს შორის.

თამარის ეპოქის შემდეგ ქართველი ხალხისთვის რამდენიმე საუკუნოვანი ავბედითობის პერიოდში ადრინდელი რენესანსული კულტურა თითქმის განადგურდა, მაგრამ აღორძინებისა და განახლების ხანაში, განმანათლებელთა წყალობით კვლავ აღსდგა ქართული კულტურული დიდება. რუსთაველის შემდეგ ახალი მეცნიერული გზებით განავითარეს აღზრდის თეორია სულხან-საბა ორბელიანმა, არჩილმა, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონმა და დავით გურამიშვილმა. ამ მხრივ, „სულხან-საბა ფრანგი განმანათლებლების ბადალი მეცნიერ-ფილოსოფოსი და პედაგოგ-თეორეტიკოსია... იგი აღზრდის თეორიაში ბრძენკაცია, პრაქტიკულ-პედაგოგიურ სარბიელზედაც პროგრესული მოღვაწე“ (ჯღარკავა, 1990:3).

ქართველი მეცნიერები და მკვლევრები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში განიხილავენ ორ განსაკუთრებულ ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია შოთა რუსთაველთან და ილია ჭავჭავაძესთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალი

ქართული სალიტერატურო ენის განახლება სწორედ სულხან-საბას და დავით გურამიშვილის შემოქმედებით დაიწყო. სულხან-საბას ნაწარმოებებს ახასიათებს განსხვავებული ენა და სტილი. სტილის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „მოგზაურობა ევროპაში“ და „სიბრძნე სიცრუისა“. ივ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ამ ნაწარმოებთა ენა უკვე ახალი ქართული ენის განვითარების ეტაპს წარმოადგენს. საბამ „სიბრძნე სიცრუისაში“ თავი დააღწია დიალექტიზმების მოჭარბებას და ერთგვარი არქაიზაცია გაატარა, თუმცა, ეს არ ნიშნავდა ძველი ქართულისკენ მიბრუნებას, არქაიზაცია მწერლისთვის ენის ლიტერატურულობის, დიალექტისა და სასაუბრო ენისაგან განსხვავებულობას უსვამდა ხაზს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბას ენა და სტილი განსხვავდება ნაწარმოებების ჟანრისა და სტილის მიხედვით (გიგინეიშვილი, 1959:29-42).

სულხან-საბას მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვან ცვლილებებსა და ძვრებს ჰქონდა ადგილი განათლების კუთხით. ევროპული კულტურისა და მეცნიერებისადმი განსაკუთრებული მისწრაფება შეინიშნება მე-17-18 საუკუნიდან. ამავე პერიოდში სიტყვა „ევროპა“ ქართველის ცნობიერებაში მოწინავე, განვითარებულის აღმნიშვნელ ცნებას წარმოადგენდა.

ამ ეპოქის პროგრესულ ქართველ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა „მართლის თქმის“ პრინციპმა. ფაქტობრივად, ეს იმდროინდელი ქართული საზოგადოების მანკიერი მხარეების მხილებას ნიშნავდა. იმ მხარეებისა, რომლებიც განაპირობებდნენ ქვეყნის ავბედით მდგომარეობას. „მართლის თქმა“ კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების გზის დასახვასთან. მდგომარეობის გამოსწორებისა და სამართლიანობის ჩამოყალიბების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწავლა-განათლებას. „არჩილმა ცოდნა და განათლება გამოაცხადა ქვეყნის გარდაქმნის საშუალებად. არჩილის მიერ დაყენებული პრობლემა ცოდნა-განათლების შესახებ შემდეგ განავითარეს მისივე აღზრდილმა სულხან-საბა ორბელიანმა და განსაკუთრებით კი, დავით გურამიშვილმა“ (მაცაბერიძე, 2009:74).

სულხან-საბა განცვიფრებას იწვევს თავისი უნივერსალური განსწავლულობით. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავადვე გვაუწყებს ქართული

ენის გარდა სხვა ენა არ ვიციო, ამას შეუძლებლად მიიჩნევს კონსტანტინე გამსახურდია და აცხადებს: „ყოვლად წარმოუდგენელია, მარტოოდენ ქართული ენის ცოდნით საბას თუნდაც თავისი ლექსიკონი შეედგინა“ და იქვე დასძენს, რომ ეს განცხადება საბას დიდკაცური თავმდბლობის ამბავი უნდა იყოს, ვინაიდან ქართული ენის დიდოსტატმა კარგად იცოდა, სიცოცხლის მანძილზე ჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოვებული კაცისთვის მხოლოდ ერთი ენის ზედმიწევნით შესწავლაა შესაძლებელი და სავარაუდოდ, სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს საბას ნათქვამში. თუმცა, საბა თავადვე ეწინააღმდეგება თავის ნათქვამს, როდესაც ამბობს ერთი სომხური ლექსიკონი გადავიკითხეო. ამის დასტურია ასევე მისი განცხადება ერთ-ერთ ბერძნულენოვან ტექსტთან დაკავშირებით: „ამ წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნულად სიტყვა სწერია. რომელი წიგნით შევიტყვე სწორედ დავსწერე და ერთი მღვდელმონაზონი იყო ბერძენი, ცოდნას ჩემობდა, რამდენიმე მისის სიტყვით დავსწერე, შემდგომ ვსცან: არა იცოდა რა“ (გამსახურდია, 1949:12-13). ეს განცხადება საკმაოდ საინტერესო და მრავლისმთქმელია. თუკი საბამ ბერძნული არ იცოდა, როგორ მიხვდა რომ ამ ბერძენმა ბერძნული ენა კარგად არ იცოდა. ამ ნათქვამიდან და საერთოდ, საბას მთელი შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ მან არაჩვეულებრივად იცოდა როგორც ბერძნული, ისე თურქული, ლათინური, რუსული, სომხური, იტალიური და არაბული ენები.

მე-17-18 საუკუნეების საქართველოში სულხან-საბა ორბელიანის პიროვნება და შემოქმედება სამაგალითოა თავისი ზნეობრივი სისპეტაკით, ფართო განათლებით, ღრმა ჭკუითა და სიბრძნით. „ცალკეულ ლექსებთან ერთად საბას პოეტურ კულტურას მოწმობს მისგანვე „გაჩალხული“ ვარიანტი ვახტანგ მეექვსის „ქილილა და დამანასი“, მაგრამ რაგინდ მნიშვნელოვანი ყოფილიყო საბას მუშაობა ენათმეცნიერების, თეოლოგიისა და ვერსიფიკაციის დარგში, ქართული მხატვრული ლიტერატურის პანთეონში იგი უმთავრესად შედის როგორც დიდი პროზაიკოსი“ (გაწერელია, 1949:30).

სულხან-საბას კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“, სადაც

„ფაბულარული თხრობის ფონზე ოსტატურად გაშლილი და ორიგინალურად მოფიქრებული არაკები, ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული იდეით. იგავ-არაკებთან ერთად თხზულებაში მრავლადაა მოცემული აფორიზმი, სენტენცია, გამოცანა, შეგონება და ანდაზა“ (მენაბდე, 1953:79). ავტორს მოქმედ გმირებად ადამიანებთან ერთად გამოყვანილი ჰყავს ფრინველები, ცხოველები და ქვეწარმავლები. ესენი იგავურად, გადატანითი მნიშვნელობით, ანუ ალეგორიულად ასახავენ ადამიანთა ურთიერთობებსა და ყოფა-ცხოვრებას. აზრის ალეგორიული გადმოცემა კიდევ უფრო მეტად ზრდის წიგნის შემეცნებით-აღმზრდელობით ხასიათს, ხოლო მეტყველების იუმორისტულ-სატირული სტილი უფრო მეტად საინტერესოს ხდის თავად თხზულებას. ასევე მრავლისმეტყველია იგავ-არაკების სათაურებიც, რომლის მეშვეობითაც ავტორი არაკის წაკითხვამდე აღძრავს მკითხველში ინტერესისა და მოლოდინის გრძნობას.

თხზულებაში ავტორი მიმართავს ხალხურ მეტყველებასა და სიბრძნეს, რომელსაც შესანიშნავად იყენებს თავისი აზრების გადმოსაცემად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სულხან-საბამ შეძლო, არა მარტო ქართული პროზის აღდგენა-განახლება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მივიწყებული იყო, არამედ მის მიმართ ინტერესის გაღვივებაც ქართულ საზოგადოებაში. სწორედ მის სახელს უკავშირდება, იმ პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციის, ნებისმიერი ამბის ლექსის ფორმით გადმოცემის უარყოფა (ლორთქიფანიძე, 1960:14).

ხერხები, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანი თავის გმირებს ახასიათებს, საკმაოდ თავისებური და ორიგინალურია. იგი პერსონაჟთა ხასიათების წარმოჩენას ახდენს მათი ქმედებების, დიალოგების, შეგონებებისა და იგავ-არაკების მეშვეობით. თხზულებაში ავტორი დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, როგორცაა: სიძუნწე, ფარისევლობა, ტყუილი და ა.შ. იგი საჭიროდ მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ჰყავდეს ერთგული და გონიერი მეფე, რომელიც მუდმივად დაინტერესებული იქნება თავის ქვეშევრდომთა ბედ-იღბლით. სწორედ ამ იდეალური, სამართლიანი და ჰუმანური მეფის აღზრდის მოდელს აყალიბებს მწერალი წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“.

ავტორი თხზულებაში ყურადღებას ამახვილებს ასევე მასწავლებლის როლზე, გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

„სიბრძნე სიცრუისას“ შექმნისას სულხან-საბას გაუთვალისწინებია დიდი აღმოსავლელი მეიგავეების გამოცდილება და იგი „ჩარჩოსებური კომპოზიციის“ კანონის საფუძველზე აუგია. ამგვარი თხზულებების ნიმუშებს წარმოადგენენ „დეკამერონი“ და „ათას ერთი ღამე“ (ლენგი, 1957:144). „სიბრძნე სიცრუისას“ შემთხვევაში ჩარჩო წარმოადგენს მეფე ფინეუს, ვაზირ სედრაქს, საჭურის რუქასა და უფლისწულის აღმზრდელ ლეონს შორის არსებულ პაექრობას, რომლის საშუალებითაც განსხვავებული შეხედულებების მქონე პერსონაჟები გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ იგავიდან გამომდინარე სიბრძნის დადასტურებას. ასეთი კომპოზიცია სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან ყოველგვარი ადამიანური და ბუნებრივი თვისებებით დაპირისპირებული პერსონაჟების მიზანთან, რაც საკუთარი მოსაზრების პაექრობის გზით წარმოჩენაში მდგომარეობს.

„სიბრძნე სიცრუისა“, სრულად ეხმაურება იმ პროცესებს რაც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე მოხდა ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. როგორც თ. დოიაშვილი აღნიშნავს, სულხან-საბა იგავ-არაკთა წიგნში ერთდროულად წარმოაჩენს მისი დროისათვის ნიშანდობლივ კონცეფციებს. მწერალი „ახალ, ინდივიდუალისტურ ეთიკას რელიგიური სკეპტიციზმის, მორალური რელატივიზმისა და ეგოიზმის გამო განსჯის და ხსნას რენესანსული თეოლოგიურ-ფილოსოფიური საზრისის რესტავრაციაში, მის მოდერნიზებაში ხედავს“ (დოიაშვილი, 2009:72). სულხან-საბას მოძღვრებაში მთავარი ადგილი უკავია ადამიანს. მისი სამოძღვრო დიაპაზონი მოიცავს ადამიანთა ბევრი მანკიერი თვისების, ვნებისა და გატაცების გამოაშკარავებასა და დაუნდობელ გაკიცხვას.

მკვლევრებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს „სიბრძნე სიცრუისას“ შექმნის თარიღი. ხელნაწერთა მიხედვით, თხზულება ავტორს შეუქმნია „ჟამსა სიჭაბუკისასა თვისისა“. ამის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ

ნაწარმოები 1698 წლამდე, ანუ სულხანის ბერად შედგომამდეა შექმნილი, სხვაგვარად მოხსენებული იქნებოდა მისი მეორე სახელი საბა ან სულხან-საბა. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, „სიბრძნე სიცრუისაში“ შეტანილი სხვადასხვა ქვეყნების ამბები მიუთითებს, რომ სულხან-საბას თხზულება უნდა დაეწერა შედარებით მხცოვან ასაკში ყოფნისას, კერძოდ ევროპაში მოგზაურობის შემდეგ.

სულხან-საბამ თავის იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებში შეიტანა ტრადიციული ქართული, აღმოსავლური და საკუთარი არაკები. ნაწარმოების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს აზრთა გაზიარებას პერსონაჟებს შორის რადროსაც ვლინდება მათი განსხვავებული შეხედულებანი ცხოვრებაზე. ეს ყოველივე, ძირითადად, გადმოცემულია მორალურ-ზნეობრივი შეგონებების მეშვეობით.

აქვე საინტერესოა, რამდენად ორიგინალურია თავად ნაწარმოები. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი წყაროების გამოსავლენად საკმარისი არ არის მხოლოდ ქართული სინამდვილე. ქართულთან ერთად მკვლევარმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ბერძნული, სპარსული, თურქული, არაბული, სომხური, ფრანგული, იტალიური ლიტერატურა და ფოლკლორი, ასევე ისტორია და ლექსიკოგრაფიაც.

საბას უდიდეს მეცნიერად მიიჩნევენ კორნელი კეკელიძე და აცხადებს, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „სიბრძნე სიცრუისა“ თავისთავად ორიგინალური ნაწარმოებია, ხოლო იგავ-არაკები ხალხის წიაღიდან არის ამოღებული. მკვლევრის აზრით, რაიმე სახის ლიტერატურული გავლენების არსებობა გამორიცხულია, რადგან „სიბრძნე სიცრუისას“ ძირითად წყაროს წარმოადგენს ქართული ფოლკლორი. ამის მიუხედავად, ზოგიერთი მეცნიერი იგავ-არაკთა ამ კრებულს ადარებს „პანჩატატრას“, „ათას ერთ ღამეს“, „ვარდანის არაკებს“, „ქილილა და დამანას“ და სხვა. კ. კეკელიძე აცხადებს, რომ სხვადასხვა ქვეყნების იგავ-არაკული ნაწარმოებების სიუჟეტებს შორის შესაძლოა არსებობდეს გარკვეული მსგავსება, თუმცა ეს მსგავსება გამოწვეული უნდა იყოს ხალხთა შორის სოციალური ნათესაობით (კეკელიძე, 1981:50).



„სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალურ და ქართული ფოლკლორით ნასაზრდოებ ძეგლად მიიჩნევა პროფესორი ალ. ცაგარელიც. ამ უკანასკნელის მიერ 1878 წელს, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ნებართვით გამოცემული რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის თარგმანი, არც მიბაძვაა, არც რომელიმე ანალოგიური თხზულების გადმოკეთება, არამედ, იგი თავიდან ბოლომდე ორიგინალური და ქართული წარმოშობის ძეგლია. მისი კომპოზიცია ეკუთვნის თვითონ ავტორს; იგავების, ზღაპრების და ანეგდოტების ერთი ნაწილი ნასესხებია ხალხური სიტყვიერებიდან, ერთი ნაწილი კი ხალხშია გადასული. ქართველი ხალხი „სიბრძნე სიცრუისა“ იგავებს დღესაც მოგვითხრობს საქართველოს ყველა კუთხეში (ცაგარელი 1878: X; ლოლაშვილი 1986: 123). ალ. ცაგარელი იქვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოეტური თქმულებებისა და გადმოცემების ნათესაობის დადგენა. ამიტომაც მოჰკიდა ხელი „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნას, რომელიც მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ლეგენდებს, ანეგდოტებს, გამოცანებს, ანდაზებსა და სენტენციებს შეიცავს (მენაბდე, 2009:152).

სულხან-საბას იგავ-არაკთა ორიგინალობის და მისი სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერ თუ ლიტერატურულ ტექსტებთან მსგავსების საკითხზე მსჯელობს აკაკი წერეთელიც, რომელიც არ ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბამ მოგზაურობის დროს შეაგროვა ევროპის ქვეყნების ზეპირსიტყვიერებაში არსებული არაკები და შემდეგ კი გადმოაქართულა. ამას იმ ფაქტით ასაბუთებს, რომ საბამ ევროპაში ხანდაზმულ ასაკში იმოგზაურა, ხოლო არაკებს თავისი თხზულებისთვის ახალგაზრდობაში აგროვებდაო. აკაკი ასევე ეხება საბასა და ლაფონტენის შეხვედრის ფაქტს და აცხადებს, რომ სულხან-საბას „კუ და მორიელი“ და ლაფონტენის „ბაყაყი და მორიელი“ ერთმანეთის იდენტურია, თუმცა აქვე დასძენს, რომ ორივე მათგანის პირველწყარო შესაძლოა დიდი ბერძენის მეიგავის - ეზოპეს იგავი იყოს (წერეთელი, 1990:45-46).

აღსანიშნავია, რომ დიდი ცოდნით, შესანიშნავი განათლებითა და საქმის სიყვარულით სულხან-საბა ორბელიანმა უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-

ლიტერატურული საგანძური შექმნა. მისი მემკვიდრეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომელშიც ყველა დროის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები და საკითხები სიღრმისეულად და ამავედროულად, მხატვრული ოსტატობით არის წარმოჩენილი. ყოველივე ეს სულხან-საბას იმ ფენომენად აქცევს, რომელიც, ჩვენი აზრით, ნამდვილად უნდა გაიცნოს მსოფლიომ და შესაბამისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს სხვა ცნობილი და აღიარებული მეიგავეების გვერდით.

## **თავი II. თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე მიმართულებები**

### **2.1 მხატვრული თარგმანის არსი (თარგმანის ლინგვისტური თეორიების მიხედვით)**

საუკუნეების განმავლობაში მრავალი აზრია გამოთქმული თარგმანის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. უამრავი თეორიული კვლევა მიემდგნა როგორც მხატვრული თარგმანის, ისე ზოგადად თარგმანის ფენომენს. აღსანიშნავია, რომ მხატვრული თარგმანის ისტორიის სათავეებს ანტიკურობის ხანამდე მივყავართ, როდესაც რომაელებს გაუჩნდათ ბერძნული კლასიკური ნაწარმოებების ლათინურად თარგმნის სურვილი. ცნობილია, რომ ადამიანებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის მოთხოვნილება, რამაც წარმოშვა თარჯიმნისა და მთარგმნელის აუცილებლობა. ანტიკური ეპოქის რომაელი მწერლებისა და სწავლულების უმეტესობა თავისუფალი თარგმანის, კერძოდ, დედნის გადმოკეთების მომხრე იყო. ამ სწავლულთაგან ციცერონი იყო პირველი, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა აზრის სისწორეს და არა სიტყვების ზუსტად გადატანას თარგმანში. საყურადღებო ფაქტია, რომ თარგმანი სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა და შესაბამისად განსხვავებული კრიტერიუმებით ფასდებოდა სხვადასხვა ეპოქაში, ამიტომაც თარგმანის პრინციპები შესაძლოა განხილული იქნეს ისტორიულ ასპექტში. აღსანიშნავია, რომ თარგმანთან დაკავშირებული პრინციპები ხშირად იცვლებოდა ლიტერატურული მიმდინარეობების და კონკრეტული ადამიანების შეხედულებების მიხედვით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავდა შესასრულებელი თარგმანის ფორმასა და სტილს. თუკი ანტიკურ ხანაში უპირატესობა ენიჭებოდა

თავისუფალ, აზრობრივ თარგმანს, ფეოდალიზმის ეპოქაში ამ პრინციპს დაუპირისპირდა სიტყვასიტყვითი თარგმანის პრინციპი.

დ. ფანჯიკიძის მოსაზრებით, თარგმანის ფენომენი გააზრებული უნდა იქნეს ენისა და აზროვნების ურთიერთობის კონტექსტში, ვინაიდან თარგმანის არსებობა წარმოუდგენელია ამ ორი ასპექტის ერთიანობის გარეშე (ფანჯიკიძე, 2005:21). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ენებს შორის არსებული ლექსიკური, სემანტიკური თუ ფრაზეოლოგიური განსხვავებანი გარკვეულ სიძნელეებს ქმნის თარგმნისას, მაგრამ ამ სირთულის დაძლევაში მთარგმნელს დიდ დახმარებას უწევს რეალური სიტუაციის აღქმის უნარი და ცოდნა ტექსტში აღწერილი გარეენობრივი სიტუაციის შესახებ.

მხატვრული თარგმანი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ფენომენია. სწორედ ამიტომ, მრავალი მოსაზრება არსებობს თარგმანის სირთულის და ზოგადად, სწორი თარგმანის შეუძლებლობის თაობაზეც კი. ერთ-ერთი ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვს გერმანელ ენათმეცნიერს, ანტიკური პოეზიის მთარგმნელ ვილჰელმ ჰუმბოლტს ავგუსტ შლეგელისადმი მიწერილ წერილში: „ყოველი თარგმანი გადაუჭრელი ამოცანის გადაჭრის ამაო ცდად წარმომიდგენია. მთარგმნელი აუცილებლად დაიმსხვრევა ორიდან ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეზე. მაშინაც, თუ თავისი ხალხისა და ენის გემოვნების ხარჯზე ზედმიწევნით ზუსტად გაჰყვება დედანს და მაშინაც, თუ თავისი ხალხის თავისებურებებს უერთგულებს და დედანს გასწირავს. ამათ შორის რაღაც საშუალო არამცთუ ძნელი მისაღწევია, უბრალოდ, შეუძლებელიც არის“ (ფანჯიკიძე, 2005:24). ჰუმბოლტი მიიჩნევდა, რომ ყოველი ენა განსაზღვრავს და გამოხატავს ამა თუ იმ ერისა და ხალხის სულიერი სამყაროს და აზროვნების თავისებურებას, სწორედ ამიტომ გააჩნიათ მათ განსხვავებული ენა და სული.

თუმცა, თარგმანთან დაკავშირებული ამგვარი შეხედულების საპირისპირო მოსაზრებას გვთავაზობს ჰუმბოლტი თავის შემდგომ ნაშრომებში და აცხადებს, რომ „შესაძლებელია ყოველი იდეის, მეტ-ნაკლებად გადმოცემა ნებისმიერ ენაზე“ (Гумбольдт, 1984: 315). ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია დედნის ერთგულება,

რადგანაც თარგმანს გარკვეული უცხოური ელფერი უნდა დაჰკრავდეს და მიზანი მიღწეულად ითვლება, თუკი მთარგმნელი ამას ოსტატურად აკეთებს.

აქვე, საყურადღებოა პიტერ ნიუმარკის მოსაზრებაც, რომელიც მიიჩნევს რომ იდეალური და სრულყოფილი თარგმანის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია (Newmark, 1991).

თარგმანის საკითხებზე მსჯელობს სერვანტესიც, რომელიც საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ თარგმანი წააგავს ფლამანდური ხალიჩის უკანა მხარეს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ფიგურების და არა იმ ფერებისა და სინატიფის დანახვა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს მისი წაღმა პირიდან ხილვისას (მერაბიშვილი, 2005:13). ასეთი სკეპტიციზმის მიუხედავად, თარგმანი კულტურათა ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ პირობად მოიაზრება და მთარგმნელმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს სრულყოფილი თარგმანის შესასრულებლად.

თარგმანის და საერთოდ მხატვრული თარგმანის არსსა და დანიშნულებაზე ვრცელ და ღრმა კვლევებს გვთავაზობს ი. მერაბიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ მხატვრულ თარგმანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული ურთიერთობებისთვის და ამ თვალსაზრისით, მხატვრული თარგმანი წარმოადგენს კულტურულ დიალოგს. ამ უკანასკნელში მოიაზრება არა მხოლოდ კულტურებს შორის ურთიერთობა და გაცვლა, არამედ შემოქმედებითი პაექრობაც სხვადასხვა ენებს შორის, რადგან მთარგმნელი ერთდროულად ემსახურება ორ ერს: თავის ერს და ასევე იმ ერს, რომლის ენიდანაც ახორციელებს თარგმანს“ (მერაბიშვილი, 2005:7).

მხატვრულ თარგმანს გამორჩეული ფუნქცია აკისრია ხალხთა შორის ურთიერთობისა და დაახლოებისთვის. აქედან გამომდინარე, მუდმივი განსჯის საკითხია როგორი უნდა იყოს თარგმანი: ზუსტი, ორიგინალის ერთგული, მაგრამ მხატვრულად სუსტი, თუ თავისუფალი, მაგრამ მხატვრულად ძლიერი. ორივე შეხედულებას თავისი მომხრეები ყავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორიგინალისა და თარგმანის ენებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული

გამომსახველობითი საშუალებები გააჩნიათ ერთი და იგივე აზრის გადმოსაცემად. ამდენად, სიტყვის ზუსტი თარგმანი არ გვაძლევს დედნის ანალოგიური მხატვრული ეფექტის გამეორების საშუალებას. მთარგმნელიც ისევე ეძებს და არჩევს სიტყვებს, როგორც ორიგინალის ავტორი. თუმცა, მის მიერ დაძებნილი ლექსიკური ერთეულები ყოველთვის არ წარმოადგენენ დედნის ზუსტ შესატყვისებს.

თარგმანის ენა ორიგინალის ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია და მთარგმნელს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს თარგმანის სალიტერატურო ენის ფარგლებში მოსაქცევად, რადგანაც მის წინაშეა სხვისი თვალთ დასახული და აღქმული რეალობა, რომლის ტრანსფორმაციაც უნდა მოხდეს თარგმანის ენაზე. „მხატვრული სინამდვილე მთარგმნელისთვის ხელმისაწვდომი ხდება ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის, მისი ობიექტური თუ სუბიექტური მხარის, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთიანობის სახით, რომელიც სწორედ ამ მთლიანობის დაცვით უნდა აისახოს თარგმანში“ (ფანჯიკიძე, 1995:60).

უ. უილსი თარგმანს განიხილავს, როგორც ტექსტის დამუშავებისა და ვერბალიზაციის პროცესს, რომელსაც მივყავართ ამოსავალ ენაზე შექმნილი ტექსტიდან შეძლებისდაგვარად ეკვივალენტურ ტექსტამდე თარგმანის ენაზე, რაც გულისხმობს ორიგინალის შინაარსობრივ და სტილისტურ გააზრებას. „თარგმანი შინაგანად დანაწევრებული პროცესია, რომელიც მოიცავს ორ ფაზას: გააზრების ფაზას, რომლის დროსაც მთარგმნელი აანალიზებს ამოსავალ ტექსტს მისი აზრობრივი და სტილისტური ინტენციის გათვალისწინებით და ენობრივი რეკონსტრუქციის ფაზას, რომლის დროსაც მთარგმნელი ქმნის აზრობრივად და სტილისტურად გააზრებულ ამოსავალ ტექსტს კომუნიკაციური ეკვივალენტურობის მოთხოვნათა გათვალისწინებით“ (მათეშვილი, 2003:22). ამ განსაზღვრებაში სათანადო ყურადღება ექცევა სემანტიკას, სტილისტიკას და მათ ადეკვატურად ასახვას საბოლოო ტექსტში.

თარგმანს ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთმხრივ, ორფაზიან პროცესად მიიჩნევს ა. შვეიცერი, რომლის დროსაც პირველადი ამოსავალი ტექსტის საფუძველზე იქმნება მეორადი ტექსტი სხვა ენობრივ და კულტურულ პირობებში. შვეიცერის მტკიცებით, თარგმანი შეიძლება გახდეს როგორც ლიტმცოდნეობითი, ისე ლინგვისტური კვლევის ობიექტი, ვინაიდან იგი წარმოადგენს სამეტყველო საქმიანობის ერთ-ერთ ნაირსახეობას. ნაწარმოებში შვეიცერი გამოყოფს შინაარსისა და ფორმის პლანებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ ერთიანობას. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ინვარიანტის“ ცნებას და ახცადებს, რომ თარგმანში „ინვარიანტის“ ანუ „აზრობრივი მხარის“ შენარჩუნება აუცილებელი პირობაა (Швейцер, 1973:16-18).

რაც შეეხება თარგმანის და კერძოდ, თარგმანის თეორიის განვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ იგი მუდმივად განიცდის ცვლილებას. როგორც ი. ნაიდა აღნიშნავს, ცოცხალი ენები მუდმივად იცვლება, ასევე მოდიფიცირებას განიცდის სტილისტური არჩევანის სფერო. ამიტომ, გარკვეულ პერიოდში მისაღები თარგმანი შესაძლოა მიუღებლად მიიჩნიონ სხვა დროს (ნაიდა, 1982). ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ი. მერაბიშვილის მოსაზრება: „თარგმანის ხარისხი, ისევე როგორც მოაზროვნეთა დამოკიდებულება მისდამი, დროთა განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია თვით სწავლება თარგმანის შესახებ და რამდენად განვითარებულია ის დისციპლინები, რომელთა მონაპოვარი თარგმანის პრობლემების ათვისებასა და გადაჭრას ემსახურება“ (მერაბიშვილი, 2005:15). ამის მიუხედავად, თარგმანი ხალხთა შორის ურთიერთობის აუცილებელ პირობად მოიაზრება, რადგან სწორედ თარგმანის მეშვეობით ხდება ორი სხვადასხვა კულტურული და ლიტერატურული სამყაროს შერწყმა და დაახლოება.

მეოცე საუკუნეში გარკვეულწილად დასრულდა თარგმანის წმინდა ლიტმცოდნეობითი პოზიციიდან კვლევა, როდესაც სხვადასხვა მეცნიერები ამკვიდრებდნენ მხატვრული თარგმანის ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს და ყურადღებას ამახვილებდნენ თარგმანის შემოქმედებით მხარეზე. ისინი

ასაბუთებდნენ, „რომ თარგმანი თავად წარმოადგენს შემოქმედებას და იგი არ უნდა ჩაითვალოს ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის მეორე ენაზე გადატანის მექანიკურ აქტად“ (ფანჯიკიძე, 1995:6). მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა თარგმანის თეორიაში, რომელმაც ლინგვისტური მიმართულება შეიძინა და დაუკავშირდა ისეთ დისციპლინებს, როგორცაა ტექსტის ლინგვისტიკა, სოციალური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვა. მეტი ყურადღება მიექცა თარგმანის ლინგვისტურ თეორიებს, რადგანაც სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი წყარო ტექსტის სამიზნე ენაზე ეკვივალენტურ ტექსტად ტრანსფორმაციის პროცესის მეცნიერული აღწერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ა. ფეოდოროვის თეორია, რომლის ძირითადი დებულებაა ის, რომ ენათშორისი შესიტყვებების დადგენას საფუძვლად უნდა ედოს ფუნქციური პრინციპი. გარდა ამისა, მხატვრული თარგმანის კვლევისას ფეოდოროვი ასევე ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორცაა მხატვრული სტილი, მწერლის მსოფლმხედველობა და სხვა. იგი ქმნის „თარგმანის კომპლექსურ თეორიას, სადაც წინ წამოწეულია თარგმანის ლინგვისტური მეთოდები“ (ფანჯიკიძე, 1995:6).

თარგმანის თეორიების მიმოხილვისას მნიშვნელოვანია ვ. კომისაროვის აზრის გათვალისწინებაც. იგი მიმოხილავს თარგმანს სხვადასხვა ჭრილში და აყალიბებს 4 მიმართულებას. კერძოდ:

1. თარგმანს მიიჩნევს ენათშორისი კომუნიკაციის საშუალებად და ამავე ასპექტში განიხილავს ეკვივალენტობას, რომელიც თარგმანის თეორიის ძირითად პრობლემად მიიჩნევა.
2. მიმოხილავს თარგმანს, რომელიც წარმოადგენს მეტყველების ერთგვარ ფორმას და ხორციელდება მთარგმნელის მიერ.
3. ცალკე განიხილავს თარგმანს, სადაც აღწერილია წყარო ტექსტიდან სამიზნე ენაზე გადასვლის ხერხები.
4. აანალიზებს თავად თარგმანის პროცესს, რომელსაც ენობრივი ელემენტების შეპირისპირების დინამიკურ სახეობად მიიჩნევს (Комиссаров, 1980:9).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ლ. ბარხუდაროვს. იგი მიიჩნევს, რომ „თარგმნა“ და „თარგმანი“ (თარგმნის პროცესი და შედეგი) ერთმანეთისგან განსხვავდება. მისი განსაზღვრების თანახმად, თარგმნა მოაზრებულია, როგორც ერთ კონკრეტულ ენაზე არსებული ტექსტის ტრანსფორმაცია სამიზნე ენაზე. იგი გვთავაზობს მოსაზრებას თარგმნის პროცესის შესახებ და აცხადებს, რომ თარგმნა შესაძლოა ჩაითვალოს ენათშორისი ტრანსფორმაციის სახეობად. ლ. ბარხუდაროვი მის მიერ შემუშავებული თარგმანის მოდელს მჭიდროდ უკავშირებს ეკვივალენტობის ცნებას, რომლის საფუძვლადაც მიიჩნევს ინვარიანტის შენარჩუნებას წყარო ენაზე შექმნილი ტექსტის თარგმანის ენაზე შესრულებული ტექსტით ჩანაცვლებისას. მისივე მოსაზრებით, თარგმნის პროცესი უშუალოდაა დამოკიდებული ფორმის პლანსა და შინაარსზე, რასაც სემიოტიკაში ნიშნის ორმხრივი ხასიათი ეწოდება. იგი ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც შინაარსს, ისე გამოხატვის პლანებს და აცხადებს, რომ სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს თარგმანის შესაძლებლობის საფუძველს, რადგანაც ენებს გააჩნიათ განსხვავებული ფორმის, თუმცა ეკვივალენტური შინაარსის მქონე ერთეულები (Бархударов, 1975:6).

თარგმანის თეორიის განვითარების პროცესში ყოველთვის საკამათო იყო თარგმანის თეორიის ადგილის განსაზღვრა სხვა დისციპლინებს შორის. ლ. ბარხუდაროვი ლინგვისტურ პოზიციას ემხრობა და მიიჩნევს, რომ თარგმნითი კანონზომიერების წესები შესწავლილი უნდა იქნეს თარგმანის ლინგვისტური თეორიის კონტექსტში (Бархударов, 1975:29). სწორედ ამიტომ, თარგმანის თეორია განეკუთვნება მაკროლინგვისტიკის და არა მიკროლინგვისტიკის სფეროს. თარგმანში ასევე მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტური ფაქტორის გათვალისწინება, ვინაიდან ტექსტის იდენტური აღქმა და გაგება კომუნიკაციის მონაწილეთა მიერ დამოკიდებულია მათთვის ცნობილ ექსტრალინგვისტურ ინფორმაციაზე.

თარგმანის ლინგვისტურ თეორიაში საპატიო ადგილს იკავებს ი. რეცკერის მოსაზრება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შინაარსისა და ფორმის ერთიანობის აუცილებლობაზე და მიიჩნევს, რომ „მთარგმნელის ამოცანაა სხვა



ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს, შეინარჩუნოს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებანი. თარგმანის „მთლიანობაში“ მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე“ (Рецкер, 1974:7). იგი მიიჩნევს, რომ მთარგმნელისთვის მნიშვნელოვანია არა ცალკეული გრამატიკული ფორმების ან სინტაქსური კონსტრუქციების შეპირისპირება, არამედ იმ სტრუქტურული და სემანტიკური კვანძების შეპირისპირება, რომლებიც ერთიან, ცნებით მთლიანს ქმნიან. რეცკერის მოსაზრებით, ორიგინალში ჩაქსოვილი აზრებისა და გრძნობების სათანადო აღქმისა და გადმოცემისთვის, აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინების გამოყენება (როგორცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია და ა.შ), თუმცა მთარგმნელისთვის ამოსავალ წერტილსა და ძირითად ორიენტირს წარმოადგენს თავად ტექსტი. ამასთან, სათარგმნ ერთეულად შესაძლოა მიჩნეული იქნეს ცალკეული სიტყვა, სიტყვათშეთანხმება, წინადადება და დასრულებული ტექსტიც (Рецкер, 1974: 21).

თარგმანის თეორიაში წამყვან საკითხს წარმოადგენს წყარო და სამიზნე ტექსტების ეკვივალენტურობა. ამ კუთხით, თარგმანის თეორიის მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელ მეცნიერ იუჯინ ნაიდას, რომელმაც თარგმანის თეორიაში შემოიტანა ცნებები „ფორმალური“ და „დინამიკური“ ეკვივალენტურობა. საგულისხმოა, რომ „ფორმალურ ეკვივალენტობაში“ ძირითადი აქცენტი გადატანილია თვით შეტყობინებაზე, რომელშიც მოიაზრება ფორმისა და შინაარსის პლანი. ამდენად, ფორმალური ეკვივალენტობის შემთხვევაში მთარგმნელის მიზანს წარმოადგენს, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის სრული სიზუსტით გადმოცემა.

ფორმალური ეკვივალენტობისგან განსხვავებით დინამიკური ეკვივალენტობის დაცვისას აუცილებელია დინამიკური კავშირის შექმნა შეტყობინებასა და თარგმანის ენაზე მიმღებს შორის. ამ პრინციპით შესრულებული თარგმანისთვის დამახასიათებელია გამოხატვის ხერხების ბუნებრიობა. ი. ნაიდას მიერ შემოთავაზებულ მოდელს შესაძლოა, ეწოდოს თარგმნის ტრანსფორმაციული მოდელი, სადაც გათვალისწინებულია როგორც სინთეზის, ასევე ანალიზის ეტაპი. ანუ სინტაქსური და სემანტიკური

სტრუქტურები დაყვანილია უფრო მარტივ და ადვილად აღსაქმელ ფორმამდე (მატარაძე, ტატიშვილი, 2015:391). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ნაიდა დინამიკური ეკვივალენტობის მომხრეა და ამგვარი პრინციპით შექმნილ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას.

იუჯინ ნაიდა აღნიშნავს, რომ თარგმანის თეორიის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები რენესანსის პერიოდამდე არ გადადგმულა. იგი მიიჩნევს, რომ „ეფექტური კომუნიკაცია ვერ შედგება მარტოოდენ ლინგვისტური ელემენტების მეშვეობით, რადგანაც ორი სხვადასხვა ენა შეუძლებელია ერთი და იგივე რეალობის წარმომადგენელი იყოს სოციალური, რელიგიური, მატერიალური თუ სხვა თვალსაზრისით. ამიტომ აცხადებს, რომ ორ სხვადასხვა ენაში შეუძლებელია დაიძებნოს ისეთი ორი სიტყვა, რომელთაც ზუსტი დენოტატური და კონოტატური მნიშვნელობა გააჩნიათ“ (მერაბიშვილი, 2005:29). მისივე აზრით, თარგმანის პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია მთარგმნელობითი ინტერპრეტაციის გარკვეული დოზის გარეშე. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ მკითხველში ტექსტით გამოწვეული რეაქცია და ემოცია სრულიად სუბიექტურია და ამის გამო, ძალიან რთული და თითქმის შეუძლებელიც კია ეკვივალენტური ეფექტის მიღწევა, განსაკუთრებით კი განსხვავებული კულტურის მქონე ტექსტებში.

ეკვივალენტობის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პიტერ ნიუმარკის ნაშრომიც „Approaches to Translation“. იგი მიიჩნევს, რომ სემანტიკური და კომუნიკაციური თარგმანი ერთმანეთისგან განსხვავებულია, რომელთაგან ერთი (სემანტიკური) გარკვეულწილად მსგავსებას ამჟღავნებს ი. ნაიდას მიერ შემოთავაზებულ ფორმალურ ეკვივალენტობასთან, ხოლო მეორე (კომუნიკაციური) კი დინამიკურ ეკვივალენტობასთან (Newmark, 1988).

ტერმინები „ეკვივალენტურობა“ და „ადეკვატურობა“ ზოგჯერ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ზოგჯერ კი, როგორც განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ტერმინი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ეკვივალენტურობა“ თავის თავში მოიაზრებს მიმართებას, როგორც ტექსტის

ცალკეულ სემენტებს, ასევე მთლიანად ტექსტებს შორის. სემენტებს შორის ეკვივალენტურობა კი არ გულისხმობს მთლიანად ტექსტის ეკვივალენტურობას. ხოლო, ადეკვატურობა გულისხმობს დედანსა და ნათარგმნ ტექსტებს შორის ისეთი შესაბამისობის უზრუნველყოფას, რა დროსაც ხდება თარგმანის მიზნის მხედველობაში მიღება.

ეკვივალენტობას კულტურულ და ლინგვისტურ ფაქტორებზე დაფუძნებულ პირობით ცნებად მიიჩნევს თარგმანის თანამედროვე მკვლევარი, მონა ბეიკერი. თავის ნაშრომში, „სხვა სიტყვებით“ (In Other Words), მკვლევარი გამოყოფს ეკვივალენტობის სხვადასხვა დონეებს, როგორცაა: სიტყვისა და სიტყვათშეთანხმების ეკვივალენტობა, რომელიც ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს ეხება და მხოლოდ მათით შემოიფარგლება. გრამატიკული ეკვივალენტობა, რომელშიც მოიაზრება ეკვივალენტობა წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის გრამატიკული სტრუქტურებისა და კატეგორიების კუთხით. ტექსტობრივი ეკვივალენტობა, რომელიც მოიცავს თემატურ და ინფორმაციულ სტრუქტურებსა და კოჰეზიას. ავტორი ასევე განიხილავს პრაგმატიკულ ეკვივალენტობას, რომელშიც მოიაზრებს იმ ინფორმაციას, რაც ტექსტის ზედაპირზე არ დევს, მაგრამ ნაგულისხმევია. იგი მიიჩნევს, რომ წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ეკვივალენტობის მისაღწევად საჭიროა ლექსიკური, გრამატიკული და პრაგმატიკული დონეების გათვალისწინება, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია ენათა განსხვავებული გრამატიკული სტრუქტურებისა და კატეგორიების გამო (Baker, 2011).

დასავლური თარგმანის თეორიების ძირითადი, თანამედროვე პარადიგმების მრავალმხრივ ანალიზს ეძღვნება თარგმანისა და ინტერკულტურული კვლევების პროფესორის, ენტონი პიმის, ნაშრომი „თარგმანის თეორიების კვლევები“ (Exploring Translation Theories). ე. პიმი განიხილავს ეკვივალენტობის საკამათო ცნებას და შემოაქვს გარკვეული სიახლე. კერძოდ, ახდენს ეკვივალენტობის ორგვარ კონცეპტუალიზაციას (რომელსაც „ქვე-პარადიგმებს“ უწოდებს) და ერთმანეთისგან განასხვავებს „ბუნებრივ“ (“Natural”) და „მიმართულებით“ (“Directional”) ეკვივალენტობას.

ბუნებრივი ეკვივალენტობის პარადიგმაში გამოკვეთილი და წინა პლანზე წამოწეულია რამდენიმე ძირითადი საკითხი. კერძოდ, ე. პიმი მიიჩნევს, რომ წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ეკვივალენტობის მიღწევა შესაძლებელია ნებისმიერ ენობრივ დონეზე როგორც ფორმის, ისე ფუნქციური თუ სხვა კუთხით. ბუნებრივი ეკვივალენტობა ენებსა და კულტურებს შორის არსებობს „თარგმანის აქტის მიღმაც“, ანუ თარგმანის შესრულებამდე. ამ სახის ეკვივალენტობაზე გავლენას არ ახდენს წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ითარგმნება ტექსტი, თუ პირიქით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პარადიგმა წარმოადგენს ერთგვარ პასუხს სტრუქტურალიზმის მიმართ, რომელიც თარგმანს შეუძლებლად მიიჩნევს ენებს შორის არსებული განსხვავებების გამო (Pym, 2014:7-8).

რაც შეეხება მიმართულებითი ეკვივალენტობის პარადიგმას, ამ სახის ეკვივალენტობა არ მოიაზრებს ბუნებრივ ან ორმხრივ ეკვივალენტობას. იგი გვევლინება წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ასიმეტრიული მიმართების სახით, რაც გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ შესრულებული თარგმანის უკუ-თარგმანი შესაძლოა დაემთხვეს წყარო ტექსტს. ამასთან, მიმართულებით ეკვივალენტობას გააჩნია ორი სხვადასხვა პოლუსი, ანუ თარგმნის ორი განსხვავებული მეთოდი: თავისუფალი და სიტყვასიტყვითი. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი თავად ირჩევს მისთვის სასურველი თარგმნის მეთოდს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ავტორი ასკვნის, რომ შეუძლებელია ერთი და იგივე ტექსტის ორი თარგმანი ერთმანეთის იდენტური იყოს (Pym, 2014:24-25).

თარგმანის შესაბამისობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია თარგმანის სხვადასხვა ტიპები. ტრადიციულად განასხვავებენ თავისუფალ და სიტყვასიტყვით თარგმანებს, თუმცა სინამდვილეში არსებობს თარგმანის გაცილებით მეტი სახეობა. თარგმანებში განსხვავებები უმთავრესად განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით: (1) შეტყობინების ბუნება, (2) ავტორისა და მთარგმნელის მიზნები და (3) მკითხველის ტიპი. შეტყობინებები ერთმანეთისაგან ძირითადად იმის მიხედვით განსხვავდება, თუ რომელს ენიჭება მეტი მნიშვნელობა შინაარსს, თუ ფორმას. ცხადია, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან

სრულიად დამოუკიდებლად ვერ იარსებებს: ერთ შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება შეტყობინების ფორმას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მის შინაარსს.

ფრანგი მკვლევარი ჟორჟ მუნენი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კარგი თარგმანისთვის უცხო ენის ცოდნა საკმარისი არ არის. მთარგმნელს კარგად უნდა ქონდეს შესწავლილი ამ ენის კულტურა და ისტორიაც და ყველაფერი იცოდეს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის შესახებ (Mounin, 1963).

თარგმანს კულტურული ურთიერთობების ქრილში განიხილავდა იტალიელი მწერალი და კულტუროლოგი უმბეტო ეკო. იგი მიიჩნევდა, რომ თარგმანი არა ორ ენას შორის, არამედ ორ სხვადასხვა კულტურას შორის შემდგარი საკომუნიკაციო აქტია. აქედან გამომდინარე, მთარგმნელის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტურაში დამკვიდრებული წესები და მოთხოვნებიც (Eco, 2009).

თარგმანთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ასევე საინტერესოა თანამედროვე ბრიტანელი მკვლევარის, პროფესორ ქეთრინ ბაჩელორის ნაშრომი „თარგმანი და პარატექსტები“ (Batchelor, 2018). მკვლევარი მიიჩნევს, რომ თარგმანის შესრულებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია „პარატექსტის“ ცნება. ქ. ბაჩელორი აღნიშნავს, რომ მკვლევრები თარგმანს უდგებიან როგორც დისციპლინას და არა როგორც ორიგინალის პარატექსტს, რომელსაც ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც კონტექსტუალიზაციის, ისე თარგმანის აღქმაში და სწორედ ამიტომ არის მიჩნეული იგი ტექსტის ანალიზის მნიშვნელოვან კომპონენტად.

თარგმანის დანიშნულებასა და პრინციპებს მიეძღვნა თ. სეივორის კვლევა „თარგმანის ხელოვნება“. იგი მიიჩნევდა, რომ ყველასთვის მისაღები თარგმნის პრინციპები ჯერ არ არსებობს. თარგმნის პროცესის დაწყებამდე, აუცილებელია მთარგმნელმა უპასუხოს კითხვებს: რას ამბობს ავტორი? რას გულისხმობს და როგორ ახერხებს აღნიშნულის გადმოცემას. შემდეგ, სწორედ ამ პასუხებზე იქნება დამოკიდებული თარგმანის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები (Savory, 1968).

თარგმანის შეფასების საკითხზე მსჯელობისას, ტექსტის ტიპის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას კატარინა რაისი. იგი გამოყოფს ტექსტის სამ ძირითად ტიპს: შინაარსზე ორიენტირებულს (ინფორმაციული), ფორმაზე ორიენტირებულს (ექსპრესიული) და მოწოდებითი ხასიათის (ოპერატიული) ტექსტებს (Reiss, 2000:26-27). მკვლევარი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ორიგინალში არსებული ფორმალური კომპონენტების გადატანა სამიზნე ტექსტში, რაც ხელს უწყობს სამიზნე და წყარო ტექსტის მკითხველში ანალოგიური ასოციაციების გამოწვევას. კ. რაისი აცხადებს, რომ თარგმანის შეფასებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის ტექსტის ტიპის, ლინგვისტური და არა ლინგვისტური ასპექტების გათვალისწინება. ასევე აუცილებელია შესაფასებელი ტექსტის განსაზღვრა კრიტიკოსის მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული თარგმანის შეფასებისას არასათანადო სტანდარტებისა და კრიტერიუმების გამოყენება. მაგალითად, იგი მიიჩნევს, რომ დიდი შეცდომა იქნება ლიბრეტოსა და მხატვრული ნაწარმოების თარგმანის შეფასებისა და კრიტიკისთვის ერთი და იგივე კრიტერიუმების გამოყენება (Reiss, 2000:16).

თარგმანის თეორიების მიმოხილვისას ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ქართულ თარგმანსა და თარგმანმცოდნეობას, რომელსაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში დაუდო სათავე ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა და მთარგმნელმა ეფრემ მცირემ. ეფრემი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ თხზულება უნდა ითარგმნებოდეს დედნიდან, ზუსტად ისე, როგორც დედანშია, მთლიანად, ყოველგვარი შემოკლებებისა და დანამატების გარეშე. თუმცა, ორიგინალის აზრის სრულყოფილად გადმოსაცემად თარგმანში განმარტებებსა და სქოლიოებსაც იყენებდა (<http://www.ambioni.ge/efrem-mcire>).

თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს მიმოიხილავდა დიდი ილიაც. უცხო ნაწარმოებების მიბაძვა და გადმოკეთება საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა და გარკვეულ როლსაც ასრულებდა ქართულ ლიტერატურაში. ილია ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს წერილში „ქართული თეატრი“. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს თარგმანს და გადმოკეთებას. თარგმანის შემთხვევაში, „სხვისი

ცხოვრება, ხასიათსა თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული“ ნაჩვენები უნდა იყოს „უტყუარად და შეუცვლელად“. გადმოკეთების შემთხვევაში, „უცხო ხატი სხვისის ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი... გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს, და ამას გარდა თვითმომქმედი ძალიც შემოქმედობისა... გადმომკეთებელი უფრო თვითმომქმედი, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც, რაც უნდა ვსთქვათ, მაინც ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის. გადმომკეთებელს კი შეუძლიან თავი მოიწონოს იმით, რომ ქარგა სხვისაა, მაგრამ სახე კი ჩემია და ჩემი ნაქსოვიაო...“ (ჭავჭავაძე, 1886:20-21).

თარგმანის ქართველ მკვლევართა შორის ერთ-ერთი პირველი იყო გივი გაჩეჩილაძე, რომელმაც 50-იან წლებში გამოაქვეყნა მონოგრაფია „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“. ამ მონოგრაფიაში მიმოხილულია თარგმანთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეალისტური თარგმანის ცნებას, კერძოდ, თუ რა თვისებები უნდა გააჩნდეს რეალისტურ თარგმანს. ავტორი მიიჩნევს, რომ „რეალისტური თარგმანის ცნება მოითხოვს გაშლას და მისი ინგრედიენტების კონკრეტულ განმარტებას, ადეკვატური თარგმანის ცნების ტრადიციული აბსტრაქტული გაგებისგან მისი სხვაობის დადგენას“ (გაჩეჩილაძე, 1966:175).

ასევე აღსანიშნავია დალი ფანჯიკიძის არაერთი ნაშრომი („თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“ და სხვა), რომლებშიც თავმოყრილია და საფუძვლიანად არის მიმოხილული მეოცე საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ თარგმანთან და თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი.

თარგმანთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სიახლეებს გვთავაზობს ინესა მერაბიშვილი თავის მონოგრაფიაში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, სადაც ავტორი აცხადებს, რომ „ტექსტის ლინგვისტური მეთოდის გამოყენებამ

საშუალება მოგვცა, განგვესაზღვრა შინაარსის ცნება დედანსა და თარგმანში და გაგვეხსნა თარგმანის შექმნის მექანიზმი მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით“ (მერაბიშვილი, 2005:46).

სიტყვის მნიშვნელობის, კერძოდ სემანტიკური სამკუთხედის საკითხზე, მსჯელობს ი. მერაბიშვილი სტატიაში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ (“Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation”). მეცნიერი მიმოიხილავს XX საუკუნეში ოგდენისა და რიჩარდზის (C.K. Ogden; J.A. Richards) მიერ შემუშავებულ ნიშნის, აზრისა და რეფერენტის სემანტიკურ სამკუთხედს და აღნიშნავს, რომ სიტყვა თავისი მნიშვნელობით ლინგვისტურ მოვლენას წარმოადგენს. იგი ადასტურებს სიტყვაში „გრძნობითი ანაბეჭდების ხატის“ არსებობას, რომელსაც „ლინგვისტურ ხატს“ უწოდებს. მკვლევარი გვთავაზობს ზემოაღნიშნული სემანტიკური სამკუთხედის ახლებურ ვერსიას, რომლის ჩამოყალიბებასაც ხელი შეუწყო სწორედ ლინგვისტური ხატის გამოვლენამ. ი. მერაბიშვილის მიერ შემუშავებული სემანტიკური სამკუთხედი შემდეგი სამი კომპონენტის სახით წარმოგვიდგება: სიტყვის გარეგანი ფორმა, ანუ ნომინაცია (N); სიგნიფიკანტი, ანუ ცნება (S) და ლინგვისტური ხატი (I). საგულისხმოა, რომ ლინგვისტური ხატის ინფორმაციული ფუნქცია განსაკუთრებით იზრდება მხატვრულ ტექსტებში, როდესაც სიტყვა იძენს ფიგურალურ მნიშვნელობას. ლინგვისტური ხატის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნ დახმარებას უწევს მთარგმნელს თარგმანის შესრულების პროცესში (Merabishvili, 2021).

მხატვრულ თარგმანში, წყარო ტექსტის გააზრებისა და შემდგომში მისი ადეკვატური ტრანსფორმაციის კუთხით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად ტექსტის ცნებას, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე დანაწევრებადი გახდა. 80-იან წლებში ი. გალპერინმა გამოყო ტექსტის ინფორმაციული კატეგორიის სამი ასპექტი: **შინაარსობრივ-ფაქტობრივი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური და შინაარსობრივ-ქვეტექსტური.**

1. შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია ასახავს იმ რეალურ ფაქტებსა და



მოვლენებს, რომლებიც ტექსტში პირდაპირი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი და პირდაპირი მნიშვნელობის ენობრივი ელემენტებით გამოისახება. აღნიშნული ტიპის ინფორმაცია მთლიანი შინაარსის ზედაპირული მხარეს წარმოადგენს და ადვილად ამოსაცნობია.

2. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია გადმოგვცემს ნაწარმოებში წარმოდგენილ მოვლენათა ავტორისეულ გაგებას, მის მსოფლმხედველობას. ამგვარი ინფორმაცია დაგეგმილია ავტორის მიერ და მისი ამოცნობა საკმაო სირთულესთან არის დაკავშირებული.

3. შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია შესაძლოა ყოველთვის არ ახლდეს მხატვრულ ტექსტს. იგი წარმოადგენს ფარულ ინფორმაციას, რომელიც ამოყვანილი უნდა იქნეს ფაქტობრივი ინფორმაციიდან. აქედან გამომდინარე, ქვეტექსტთან დაკავშირებით გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პროფ. ი. გალპერინი, რომელიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტექსტის სამი ინფორმაციული კატეგორიის (ფაქტობრივის, კონცეპტუალურისა და ქვეტექსტურის) თეორიის ავტორია, ქვეტექსტს სუბიექტურ კატეგორიად მიიჩნევს. კერძოდ, იგი გულისხმობს იმ სუბიექტურობას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას მკითხველის მიერ ტექსტის გააზრების პროცესში. ხოლო პროფესორი ინესა მერაბიშვილი, ქვეტექსტურ ინფორმაციას ობიექტურ კატეგორიად თვლის, „ობიექტური საფუძვლის გამორიცხვას და ქვეტექსტის მხოლოდ სუბიექტურ კატეგორიად გამოცხადებას შეუძლია მიგვიყვანოს იმ მცდარ თავისუფლებამდე, რომელიც ზღვარს არ უდებს ქვეტექსტის ინტერპრეტაციას და ხშირად მისი არასწორი ამოცნობის შესაძლებლობას გულისხმობს“ (მერაბიშვილი, 2005:58).

4. გალპერინის მიერ ჩამოყალიბებულ სიტემაში შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია ტექსტობრივ კატეგორიად არ მოიაზრება. იგი ინესა მერაბიშვილის მიერ არის შემოთავაზებული. მკვლევარი აცხადებს, რომ ხატობრივი ინფორმაცია დანარჩენი სამისთვის შემაერთებელი რგოლია. ამდენად, თარგმანში მას დიდი ფუნქცია აკისრია (მერაბიშვილი, 2005:283).

ზემოთ განხილული თარგმანის თეორიების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმავლობის ხანა დაიწყო თარგმანმცოდნეობაში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს 1953 წელს მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის შექმნა და 1963 წლის კონგრესზე „მთარგმნელის ქარტიის“ მიღება, რომელშიც ჩამოყალიბდა თარგმანისადმი წაყენებული მოთხოვნები. დადგინდა, რომ თარგმანი ერთგულად უნდა მიჰყვებოდეს დედანს ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით; ასევე, მთარგმნელმა სრულყოფილად უნდა იცოდეს ენა, რომლიდანაც თარგმნის და ზედმიწევნით კარგად ფლობდეს ენას, რომელზეც თარგმნის. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე მხატვრული თარგმანისადმი ინტერესი უფრო მეტად იზრდება და ღრმავდება, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება თარგმანის საკითხებისადმი ცალკეულ დისციპლინათა ყურადღების მიპყრობასა და თარგმანთან დაკავშირებული კვლევების გაფართოებაში.

## 2.2 ტექსტის ლინგვისტიკიდან თარგმანის ლინგვისტიკამდე

ტექსტის ლინგვისტიკამ, როგორც დამოუკიდებელმა დისციპლინამ 1960-70-იან წლებში დაიწყო ფორმირება. ენათმეცნიერები მოცემული დისციპლინის ფარგლებში ენობრივი მოვლენების მეცნიერული აღწერის ჩარჩოების გაფართოებას ისახავდნენ მიზნად, რაც გულისხმობდა სხვადასხვა ენობრივი მოვლენის წინადადებაზე გაცილებით უფრო „მსხვილი“ ერთეულის ფარგლებში განხილვასა და შესწავლას. ბუნებრივია, ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ტექსტი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერბალური ტექსტი. ამ უკანასკნელის განხილვისა და აღწერის მიზნით აუცილებელი ხდება ლინგვისტიკაში არსებული მონაცემების გამოყენება. აქვე საგულისხმოა, რომ თავად „ტექსტში“ შესაძლოა მოიაზრებოდეს მისი ფართო ან ვიწრო მნიშვნელობა (თევდორაძე, 2010:5).

ტექსტი არაერთი დისციპლინის კვლევის ობიექტია, თუმცა მთავარი ადგილი მათ შორის მაინც ფილოლოგიურ დისციპლინებს უჭირავს. ამასთან, თითოეულ მათგანს, მათ შორის ტექსტის ლინგვისტიკას, საკუთარი მიზნები

გააჩნია ტექსტის კვლევის პროცესში. ბუნებრივია, სხვა შემთხვევაში, არც შეიქმნებოდა მისი ცალკე გამოყოფისა და დამოუკიდებელ დისციპლინად ფორმირების აუცილებლობა.

ენობრივ მოვლენათა სემანტიკურმა აღწერამ, მეტყველების აქტის ფსიქოლინგვისტურმა დასაბუთებამ თუ სოციოლინგვისტურმა კვლევებმა მნიშვნელოვნად გააღრმავეს ლინგვისტური ხედვის უნარი. შესაბამისად, ამან გამოიწვია მისი კვლევის ობიექტის გაფართოება, კერძოდ ის, რომ ენათმეცნიერება ვეღარ კმაყოფილდებოდა თავისი ტრადიციული ობიექტით - წინადადებით და მის წინაშე წარმოიშვა ახალი პერსპექტივა, კერძოდ ტექსტის, როგორც ერთი მთლიანის შესწავლისა და ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო ენათმეცნიერების ახალი დარგის, ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებას. ამ ახალმა ლინგვისტურმა დისციპლინამ, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს გაბმული ტექსტი-გამონათქვამთა დასრულებული თანმიმდევრობა, რომლებიც გაერთიანებულია აზრობრივი კავშირებით, მიზნად დაისახა ამ კავშირების არსისა და მათი განხორციელების საშუალებების გამოვლენა, ტექსტის გრამატიკული კატეგორიების სისტემის და შინაარსობრივი და ფორმალური ერთეულების კავშირის წარმოჩენა. ტექსტის ლინგვისტიკა, მისი ერთ-ერთი განსაზღვრების თანახმად, წარმოადგენს მოქმედებაში მყოფი ენის შემსწავლელ მეცნიერებას (language in use), რომლის მიზანია ზოგადი კანონზომიერების დადგენა და არა ცალკეული მოვლენების ანალიზი (მერაბიშვილი, 2005:36).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეინიშნება. თავდაპირველად ტექსტის ლინგვისტიკის დაინტერესების ობიექტს წარმოადგენდა ტექსტის შეკავშირების საკითხი და წინადადების აქტუალური დანაწევრება. შემდგომ პერიოდში კი განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება ტექსტის შინაარსის მიმართ, რომლის განხილვაც დაიწყო სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით და იმ ექსტრალინგვისტურ კატეგორიასთან კავშირში, რომელშიც შეიქმნა თავად ტექსტი.

„ტექსტის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა თარგმანის თეორიაში. სწორედ ტექსტია ანალიზის საგანი თარგმნის პირველ ეტაპზე, რაც დაკავშირებულია ორიგინალის ინტერპრეტაციასთან და კვლავ ტექსტია სინთეზის საგანი მის დამასრულებელ ეტაპზე“ (მათეშვილი, 2003:34).

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ი. გალპერინის მონოგრაფიას „ტექსტი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“, რომელიც ტექსტის გრამატიკულ კატეგორიათა განხილვასა და ანალიზს მიეძღვნა (Гальперин, 1981). დასახელებულ ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს ტექსტის ცნებას, მისი კვლევის მეთოდებს და ასევე ასახელებს ტექსტის ძირითად კატეგორიებს როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ტექსტისთვის. გარდა ამისა, ნაშრომში ასევე მოცემულია მხატვრული ტექსტის საფუძვლიანი შესწავლისთვის საჭირო სქემა, რაც ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა (Гальперин, 1981).

აღსანიშნავია, რომ მუდმივად მიმდინარეობს დისკუსიები და არ წყდება კამათი ტექსტის ლინგვისტიკის გარშემო. ზოგიერთი მკვლევარი, მიიჩნევს, რომ ტექსტი მასში შემავალი წინადადებების ერთობას წარმოადგენს და ამდენად, ცალკე მეცნიერების ჩამოყალიბება, რომელიც ერთიან ტექსტს შეისწავლის, ზედმეტია (მერაბიშვილი, 2005:44).

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით კი, თუკი წინადადება სინტაქსის კვლევის ობიექტია, ტექსტი მხოლოდ სტილისტიკის კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს.

სტილისტიკა, რომლის კვლევის ობიექტიცაა ტექსტის მინიმალური და მაქსიმალური ელემენტების კავშირი, ხელს უწყობს ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ერთ კონტექსტში განხილვამ შესაძლოა გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს. ამის დასტურად, შესაძლოა მიჩნეული იქნეს ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება. ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობა, საყოველთაოდ მიღებული

აზრის თანახმად, განპირობებული იყო როგორც ლინგვისტური, ასევე არალინგვისტური ფაქტორებით. გარდა ამისა, მის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ენათმეცნიერებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთ დისციპლინებსაც, როგორებიცაა პოეტიკა, სტილისტიკა, ჰერმენევტიკა, სემიოტიკა, ფსიქოლინგვისტიკა.

ტექსტის ლინგვისტიკასა და თარგმანის თეორიას შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირია. ბუნებრივია, თარგმანის ფენომენი მრავალი მეცნიერული კუთხიდან შესწავლას საჭიროებს. ხოლო, ლინგვისტიკა თავისი ფართო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში, თარგმანის თეორიული შესწავლისთვის სრულიად ახალ პერსპექტივებს ქმნის. „თარგმანის ლინგვისტური შესწავლა საკმაოდ გამოკვეთილ კალაპოტს იძენს, ყალიბდება როგორც „ტრანსლატიური ლინგვისტიკა“, ანუ თარგმანის ლინგვისტიკა და თავის მხრივ ამდიდრებს და აღრმავებს ენათმეცნიერებას“ (მერაბიშვილი, 2005:23).

ამ თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც იწყება თარგმანის ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბების პერიოდი. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რომან იაკობსონის მოსაზრება ეკვივალენტობის ცნების ახლებური, სემიოტიკური ინტერპრეტაციის შესახებ. თავის ნაშრომში „თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ“ (On Linguistic Aspects of Translation, Jakobson 1966) რ. იაკობსონი ყურადღებას ამახვილებს ლინგვისტიკის როლზე ენათშორის კომუნიკაციაში. იგი მიიჩნევს, რომ სიტყვას გაცილებით მეტი კავშირი გააჩნია ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან, ვიდრე რომელიმე მკვლევარს შეუძლია ეს დაინახოს. ამ მიდგომით იაკობსონი უარყოფს ბერტან რასელის მოსაზრებას „შეუძლებელია გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა „ყველი“ თუ ყველთან არ გაქვს არალინგვისტური ნაცნობობა“ (მერაბიშვილი, 2005:24).

თანამედროვე სამყაროში, უფრო და უფრო იზრდება თარგმანისადმი ინტერესი და მისი თეორიული შესწავლა და კვლევის გაღრმავება ერთ-ერთ აუცილებელ პირობად რჩება. ამის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თარგმანის საკითხებს ეძღვნება არაერთი საერთაშორისო კონფერენცია თუ სემინარი. თარგმანის მკვლევარები და თეორეტიკოსები უამრავ მიდგომას განიხილავენ, თუმცა ამ მიდგომების განხილვა ხანგრძლივი განსჯის საკითხია. საგულისხმოა, რომ ენებს შორის არსებული განსხვავებების თაობაზე მიმდინარე კვლევებმა და დისკუსიებმა „თარგმანის ლინგვისტიკა პრაქტიკულად გაათავისუფლა ზუსტი თარგმანისთვის დადგენილი აბსურდული ნორმებისგან“ (მერაბიშვილი 2005:30). მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობთ, რომ თარგმანის შეფასებისთვის, აუცილებელია კონკრეტული და მეტ-ნაკლებად ყველსათვის მისაღები კრიტერიუმების არსებობა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მთარგმნელებს სრულყოფილი და ადეკვატური თარგმანის შესრულებაში.

### **2.3 სტილის ეკვივალენტობა მხატვრულ თარგმანში და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი**

მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ თარგმანის თეორია კომპლექსური დისციპლინაა და მისი კვლევის განხორციელება მხოლოდ სტრუქტურული და ფორმალური ასპექტების გათვალისწინებით არ არის საკმარისი. თარგმანის თეორიისთვის ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია ტექსტის სტილისტიკაც, რადგან თარგმანში ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულებისა თუ სინტაქსური სტრუქტურების შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია ორიგინალი ტექსტის სტილზე.

ზოგადად, თარგმანის ისტორიაში ძირითადად ორი სახის თარგმანის გარშემო მიმდინარეობდა მსჯელობა. კერძოდ, თარგმანის რომელი ფორმა უნდა იყოს მისაღები-ზუსტი, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით გარკვეულ სიზუსტეს შეიცავს, თუ დედნისგან დაცილებული, მაგრამ ამავედროულად მხატვრულად ძლიერი. სხვადასხვა თარგმანების გაანალიზების საფუძველზე თარგმანის თეორიამ შეძლო სწორი და ამავედროულად მისაღები კრიტერიუმების

ჩამოყალიბება, რაც გამოყენებული უნდა იქნეს მთარგმნელის მიერ თარგმნის პროცესში.

თეორიები, სადაც გათვალისწინებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორები, გვთავაზობენ ინვარიანტის ცნებას, ანუ იმას, რაც თარგმნისას მრავალ მთარგმნელს მიაჩნია ეკვივალენტობის საფუძვლად.

როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, ეკვივალენტობას თავისთავად შეიცავს თარგმანის ცნება და მის გარეშე თარგმანი არც შეიძლება ჩაითვალოს დედნის შემცვლელად. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, „თუ რისი შენარჩუნება უნდა მოხდეს თარგმანში დედნის ტექსტიდან, რომ თარგმანი ეკვივალენტურად მივიჩნიოთ“ (ფანჯიკიძე, 1995:114).

თუმცა, თარგმანში ეკვივალენტურობის განხილვისას და მასზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მიექცეს ნათარგმნი ტექსტი თარგმანის მიმღებში აღძრავს თუ არა ორიგინალი ტექსტის მიმღების (წამკითხველის) ანალოგიურ ასოციაციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გააჩნია თუ არა ნათარგმნი ტექსტი ორიგინალი ტექსტის ეკვივალენტური სტილისტური და ემოციური მახასიათებლები.

მრავალი მკვლევარისთვის ეკვივალენტურობის და ინვარიანტის ცნება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი ეკვივალენტურობა გულისხმობს ტექსტებს ან მათ შემადგენელ ნაწილებს შორის ისეთ მიმართებას, როდესაც შენარჩუნებულია გარკვეული სახის ინვარიანტი. „ყველა დონისა და სახის ეკვივალენტურობისთვის საერთო და დამახასიათებელ ინვარიანტულ ნიშანს წარმოადგენს ტექსტის გადამცემის (ადრესანტის) კომუნიკაციური ინტენციის შესატყვისობა საბოლოო ტექსტის კომუნიკაციური ეფექტისადმი“ (მათეშვილი, 2003:52).

დ. ფანჯიკიძეს მიაჩნია, რომ სტილი, რომელიც ერთ-ერთ დომინანტურ როლს ასრულებს კომუნიკაციის პროცესში, ყველაზე მეტად შესაძლოა, მხატვრულ ლიტერატურას მივუსადაგოთ, რადგან მხატვრულ ლიტერატურაში იგი ვედარ თავსდება გამოხატვის იმპლიციტურ ფორმებში და ექსპლიციტური

ხდება. თარგმანის შესრულებისას ხშირად წარმოიქმნება გარკვეული ლექსიკური ერთეულების, ფრაზეოლოგიზმებისა და წინადადებებისთვის ფორმალური ეკვივალენტების მოძიების პრობლემა. თუმცა, თუკი ამ საკითხს სხვა მხრიდან შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ აუცილებელი არ არის დედანში მოცემულ სტილისტურად შეფერილ სიტყვას ან წინადადებას მოეძებნოს სტილისტური ეკვივალენტი. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თარგმანში ეკვივალენტური სტილისტური კომპონენტების შეტანა, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული ტექსტის ან მონაკვეთისთვის დედნის ანალოგიური სტილისტური ელფერის მინიჭებას (ფანჯიკიძე, 1995:126).

თარგმნის პროცესში სტილს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრებს ჯინ ბოას-ბეიერი. იგი მიიჩნევს, რომ სწორედ სტილი ანიჭებს მხატვრულ ტექსტს განსხვავებულ და განსაკუთრებულ ლიტერატურულ ელფერს, რომელიც ასევე ტექსტის ორაზროვნებისა და ინტერპრეტირების წინაპირობას იძლევა. ამასთან, სტილის მეშვეობით ხდება მენტალური პროცესებისა და გონებრივი შესაძლებლობების მანიფესტაცია (ჭურამე, 2018:267).

თარგმანის თეორიაში აზრთა სხვადასხვაობაა მთარგმნელის სტილის შესახებ. კერძოდ, უნდა ჰქონდეს თუ არა მთარგმნელს ინდივიდუალური სტილი. ჩვეულებრივ ჰგონიათ, რომ მთარგმნელს არ გააჩნია, ან არ უნდა ჰქონდეს თავისი სტილი, ვინაიდან იგი მხოლოდ მთარგმნელია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შემოქმედში პიროვნული და სიღრმისეული საწყისის გამომჟღავნება სტილის მეშვეობით ხდება. ეს საწყისი კი თარგმანშიც უნდა აისახოს შესაბამისი პიროვნულობით. ამიტომ, საკუთარი სტილი მთარგმნელმაც ისევე უნდა შეიმუშაოს, როგორც ყოველმა შემოქმედმა (ფანჯიკიძე, 1995:102).

დ. ფანჯიკიძე თავის ნაშრომში გვთავაზობს „გილგამეშიანის“ და სხვა ნაწარმოებების მთარგმნელი ზ. კიკნაძის მოსაზრებას მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის შესახებ, რომელსაც მიაჩნია, რომ თარგმანში, მთარგმნელის ინდივიდუალობის გამოვლინება გარდაუვალი ფაქტია. თუმცა, უნდა მოხდეს მისი დათრგუნვა, რათა შესაძლებელი გახდეს უცხო კულტურის



ფენომენის გადმოცემა თარგმანის ენაზე, რომელიც იმ კულტურისა და ეპოქის ინდივიდუალური სახის მატარებელია, სადაც თავდაპირველად ჩამოყალიბდა (ფანჯიკიძე, 2005:41).

პროზის თარგმანში ინდივიდუალური სტილის გამოვლინების ერთ-ერთი სახეა თარგმანში რომელიმე მწერლის სტილის ელემენტების, ცალკეული მხატვრული სახეების, ეპითეტების, მეტაფორების გამოყენება და სხვა.

უდავოა ის ფაქტი, რომ ყოველი ახალი ავტორის ნაწარმოების თარგმნისას, მთარგმნელი ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდება. ამ დროს ამოსავალი წერტილია ავტორის მსოფლმხედველობა, ნაწარმოების სტილი, ჟანრი და ისეთი თავისებურებანი, რაც უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მთარგმნელის მიერ. გ. გაჩეჩილაძის მოსაზრებით, რაც უფრო დიდი ნიჭის პატრონია მთარგმნელი, მით უფრო მეტად ვლინდება მისი ინდივიდუალობა. თუმცა, მთარგმნელის ინდივიდუალობა სპეციფიკური ხასიათისაა. მთარგმნელის ინდივიდუალობაში შედის არა მხოლოდ მისი საკუთარი ხასიათი და მსოფლმხედველობა, რომელიც ვლინდება მისსავე სტილში, არამედ დედანში ასახული რეალობისა და სტილის ადეკვატური აღქმის უნარიც (გაჩეჩილაძე, 1966:173-174). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში გამორიცხულია მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის არსებობა, თუკი იგი ერთგულად მიჰყვება დედნის სტილს.

მსგავსი მოსაზრება გააჩნია ნ. საყვარელიძესაც, რომელიც ასევე აღიარებს მთარგმნელის სუბიექტურ მიდგომას თარგმანისადმი და მიიჩნევს, რომ თარგმანის ტექსტი და სტილი უპირველეს ყოვლისა შესწავლილი უნდა იქნეს მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორთან კავშირში (საყვარელიძე, 2001).

ჩვენ მიერ მიმოხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნიჭიერი და პროფესიონალი მთარგმნელის ხელში ნებისმიერი მხატვრული ტექსტის ადეკვატური თარგმანის შესრულება სავსებით რეალურია. თუმცა, თარგმნილ ტექსტში მთარგმნელის ინდივიდუალური სტილისა და თავისებურების თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, რაც, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, მეტწილად გამომდინარეობს მთარგმნელის მიერ ობიექტური რეალობის განსხვავებული აღქმით, პიროვნული თვისებებით, მსოფლმხედველობით, პროფესიონალიზმით, კულტურული თუ ეპოქალური მახასიათებლებით.

მხატვრული ლიტერატურის ძეგლების თარგმნა მხოლოდ სხვა ენაზე გადატანას არ გულისხმობს პირდაპირი გაგებით. კარგად შესრულებულ თარგმანში მთარგმნელი ქმნის ისეთ მხატვრულ სახეებს, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ მწერლის ჩანაფიქრს და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. წინამდებარე ნაშრომისთვის კი ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ეხება XVII საუკუნეში შექმნილ იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებს, რომლის თარგმნაც, ცხადია, დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული თავად იგავ-არაკის ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ერთნაირად მნიშვნელოვანია დედნის როგორც შინაარსის, ასევე ლექსიკურ-სტილისტური მახასიათებლების, ემოციური შეფერილობის და სარკასტულ-ირონიული მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების შენარჩუნება თარგმანში.

### თავი III. „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურ ენაზე

#### 3.1 „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანები და მთარგმნელები (ო. უორდროპი და ქ. ვივიანი)

მხატვრული ლიტერატურა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ერის კულტურის, ტრადიციებისა და მსოფლმხედველობის შესახებ და შესაბამისად, დიდ როლს ასრულებს ხალხთა შორის აზრთა გაზიარების, ღირებულებების გაცვლისა და განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ევროპული საზოგადოებისთვის საკმაოდ ცოტა რამ იყო ცნობილი, როგორც „სიბრძნე სიცრუისას“, ისე ზოგადად მთელი ქართული ლიტერატურის შესახებ. „სიბრძნე სიცრუისას“ ევროპული მკითხველისთვის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევგენი

ბოლხოვიტინოვის წიგნმა „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии“, რომელიც პეტერბურგში გამოქვეყნდა 1802 წელს. ამის შემდეგ, 1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომათიაში დაბეჭდა „სიბრძნე სიცრუისას“ ნაწყვეტები სათაურით „სიბრძნე სიცრუის ზღაპარი“ და რუსულად თარგმნა, როგორც „Сказки мудрости и лжи“.

რუსულენოვანი მკითხველისთვის სულხან-საბა ორბელიანის გაცნობაში დიდი წვლილი მიუძღვის ალ. ცაგარელს (1844-1929). 1873 წელს სანქტ-პეტერბურგში მან გამოაქვეყნა ნაშრომი „О грамматической литературе грузинского языка“. წიგნის შენიშვნებში დიდი ადგილი ეთმობა სულხან-საბას ცხოვრებასა და შემოქმედებას („სამოთხის კარი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ლექსიკონი“). „ავტორი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას „სიბრძნე სიცრუისას“ დათარიღებისა და ლიტერატურული წყაროების შესახებ, ოღონდ არ ეთანხმება ტექსტის დ. ჩუბინაშვილისეულ დასათაურებას („Мудрость и ложь“) და მიაჩნია, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა ითარგმნოს, როგორც „Мудрость вымысла“ (მენაბდე 2009:151). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგივე წიგნი ალ. ცაგარელმა რამდენიმე წლის შემდეგ განსხვავებული გაგებით თარგმნა „Книга мудрости и лжи“ (Грузинские басни и сказки XVII-XVIII стол.) Сабби Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санкт-Петербург 1878 г.

სულხან-საბას ნაშრომებს და აღორძინების ხანის ყველა მნიშვნელოვან ძეგლს („როსტომიანი“, „რუსუდანიანი“, „არჩილიანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ.) იკვლევდა ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე. მის არქივში დაცული ხელნაწერების თანახმად, მარი ბროსეს სრულად უთარგმნია „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც აღარ დაბეჭდილა.

„სიბრძნე სიცრუისა“ ფრანგულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ. სულხან-საბას შესახებ კვლევებს აწარმოებდნენ გერმანელი მეცნიერები არტურ ლაისტი, გერჰარდ დეეტერსი და სხვები. ხოლო „სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი გერმანულ ენაზე შესრულებულია მიხეილ წერეთლის მიერ, რომელიც დაიბეჭდა

ბერლინში 1933 წელს. „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე თარგმნა ასევე იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა.

რაც შეეხება „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანებს ინგლისურ ენაზე, პირველი სრულყოფილი თარგმანი შესრულებულია ოლივერ უორდროპის მიერ. ცნობილია, რომ და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში და კერძოდ, ინგლისური ქართველოლოგიის ჩამოყალიბებაში.

შუა საუკუნეების ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც, საქართველოზე წარმოდგენა, სავარაუდოდ, ეყრდნობოდა ანტიკურ წყაროებს, რადგანაც იმ ბერძენი და რომაელი ავტორების ნაწარმოებები, სადაც მოხსენებული იყო საქართველო, თარგმნილი იყო ასევე ინგლისურ ენაზე. ქართული თემატიკა ნელნელა იმკვიდრებდა ადგილს ინგლისურ ლიტერატურაში, რომელმაც განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართული ხელნაწერები გაჩნდა უკვე ბრიტანეთის მუზეუმში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1804 წელს ლონდონში დაარსებული ბიბლიური საზოგადოება ქართული ქრისტიანული მწერლობითაც დაინტერესდა, ხოლო 1823 წელს ლონდონში დაარსებულმა სააზიო საზოგადოებამ ხელი შეუწყო ინგლისში ქართული ლიტერატურისა და ქართველოლოგიური საქმიანობის განვითარებას.

ამავე პერიოდში, საქართველოში უფრო მეტად გაღრმავდა ქართული კულტურის ევროპეიზაციისა და ინგლისურ კულტურასთან დაახლოების პროცესი. ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ისეთი ინგლისელი მწერლების ნაწარმოებები, როგორებიც არიან: თომას მური, უოლტერ სკოტი, ჯონათან სვიფტი, ჩარლზ დიკენსი და სხვები. სწორედ ასეთ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისში თანდათანობით ჩამოყალიბება დაიწყო ინგლისურმა ქართველოლოგიამ, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელს. ინგლისელ არისტოკრატთა შთამომავალი, მრავალმხრივ განათლებული ოლივერ უორდროპი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმ ქვეყნების კულტურითა და

მწერლობით, რომლებიც ნაკლებად იყო ცნობილი ევროპაში. სწორედ ამიტომ, მისი ყურადღება მიიპყრო კავკასიამ და 1887 წლის აპრილში მან პირველად იმოგზაურა საქართველოში. იგი იმყოფებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მოინახულა თბილისი, ბათუმი, ქუთაისი. საქართველოში სტუმრობის დროს ოლივერს მასპინძლობას უწევდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ოლივერ უორდროპი იმდენად აღფრთოვანებული იყო საქართველოთი, რომ ინგლისში დაბრუნებისთანავე დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“, რომელსაც ქვესათაურად დაურთო „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“ (*The Kingdom of Georgia, Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song*), რომელიც დაიბეჭდა ლონდონში 1887 წელს. ოლივერის ნაწარმოები შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას, მასში მიმოხილულია ქართული მწერლობა და იმ დროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. წიგნში ასევე მოცემულია სხვადასხვა სახის ილუსტრაციები, თბილისის, სიღნაღის, ანანურისა და დარიალის ხეობის ხედები, საქართველოს ისტორიულ პირთა პორტრეტები (თამარ მეფე, შოთა რუსთაველი). ოლივერმა საგანგებოდ ჩამოასხმევინა ლონდონში და წიგნს დაურთო ქართული მხედრული ანბანი. ამის მიუხედავად, ოლივერ უორდროპი მაინც ბოდიშს იხდიდა ქართველი მკითხველის წინაშე: „მე კარგად ვგრძნობ, რომ ჩემი თხზულება არ არის სრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. დიდად მოხარული ვიქნები თუკი გამოჩნდებიან სხვა მწერლები, რომელთაც ჩემი წიგნი გამოადგებათ გზის მაჩვენებლად და რომელნიც უფრო შეავსებენ და სისწორეში მოიყვანენ ჩვენს ცნობებს“ (შარაძე, 1984:37).

„საქართველოს სამეფოში“ ავტორი ცალკე თავს უთმობს ქართულ მწერლობას (Wardrop, 1887). იგი მიუთითებს, რომ XVII საუკუნის ბოლოს თავადმა სულხან ორბელიანმა თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში „მოგზაურობა ევროპაში“ და შეადგინა იგავებისა და ხალხური მოთხრობების კრებული, რომელიც მოგვიანებით ითარგმნა რუსულ ენაზე. ორბელიანი ცხოვრობდა ლუი XIV-ის კარზე და ახლო მეგობრობა აკავშირებდა ლაფონტენთან, ეს უკანასკნელი კი ზოგიერთი იგავის გამო დავალებულია ქართველი დიდებულისგან. სულხან

ორბელიანის უდიდესი დამსახურება ქვეყნის წინაშე გამოიხატება მის მიერ 25 000 სიტყვიანი ლექსიკონის შედგენაში, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა ლექსიკოგრაფიულ სამუშაოს.

„საქართველოს სამეფოს“ გამოცემისთანავე ყურადღებით შეხვდა როგორც საქართველოს, ისე ინგლისის საზოგადოება. როგორც ცნობილი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლენგი აღნიშნავდა, სათაურის მიუხედავად კრიტიკოსებმა კარგად მიიღეს წიგნი: „ბატონი უორდროპის ნაშრომი ეკუთვნის იმ მცირერიცხოვან წიგნთა რიცხვს, რომელნიც ღირსი არიან თითქმის მხოლოდ ქებისა. ამ წიგნის წაკითხვა უნდა ვურჩიოთ ყველას, ვისაც სურს სანდო პირველწყაროდან შეიძინოს ცოდნა ფრიად საინტერესო და სრულიად უცხო ქვეყნის შესახებ... მას ის უპირატესობაც ახლავს, რომ გადასინჯულია ცნობილი მეცნიერის უ.რ. მორფილის მიერ“. რაც შეეხება ქართულ საზოგადოებას, „ივერიაში“ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, სადაც ვრცლად იყო გადმოცემული „საქართველოს სამეფოს“ შინაარსი. ასე გაიცნო ქართველმა ხალხმა ოლივერ უორდროპი, ხოლო თავად უორდროპმა ასე გააცნო ქართველი ხალხი და ქართული კულტურა ინგლისელ მკითხველს და თავის უმცროს დას, მარჯორი უორდროპს“ (შარაძე, 1984:61).

„საქართველოს სამეფოს“ გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1894 წელს, ლონდონში გამოიცა ო. უორდროპის მიერ შესრულებული „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანი. სწორედ ამავე პერიოდში ივერიაში დაიბეჭდა, რომ თითოეული წიგნის ღირებულება შეადგენდა 20 მანეთს და გამოიცემოდა მხოლოდ 250 ცალი, რომელიც განკუთვნილი იყო უმაღლესი არისტოკრატიისთვის (ივერია, 1894:16). ივერია ასევე გვამცნობდა, რომ ოლივერ უორდროპმა „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ ალექსანდრე ცაგარელის რუსული თარგმანიდან შეასრულა, ხოლო მისმა დამ, მარჯორიმ, იგი ქართულ გამოცემასთან შეადარა და შესწორებები შეიტანა, რადგან თავად ოლივერმა ქართული არ იცოდა. უორდროპების შემოქმედება და მოღვაწეობა ვრცლად და დეტალურად აქვს მიმოხილული გურამ შარაძეს წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (1984). გურამ შარაძე მიმოიხილავს „სიბრძნე სიცრუისას“

ინგლისურ ენაზე გამოცემის პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, საიდანაც ვიგებთ, რომ ხსენებული თარგმანის მდიდრულ გამოცემას მაშინვე გამოეხმაურა გაზეთი „ტაიმსი“: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ ქართული ზღაპრების წიგნია მეთვრამეტე საუკუნის მწერლის სულხან-საბა ორბელიანისა და გადმოთარგმნილია ინგლისურ ენაზედ შენიშვნებით ოლივერ უორდროპის მიერ. ეს წიგნი სამაგალითო ქმნილებაა ხელოვნებისა. იმ მხრითაც არის საგულისხმო, რომ წიგნი გამოცემულია უილიამ მორისისგან... წიგნი სავსეა საინტერესო ამბებით და აგრეთვე დიდად საყურადღებო წინასიტყვაობაც აქვს დართული.

ამასთან, ლონდონიდან გამოგზავნილ წერილში მითითებულია, რომ „ისეთ წიგნს, როგორცაა მორისის მიერ გამოცემული და ვარდროპის მიერ თარგმნილი „სიბრძნე სიცრუისა“ ძლიერ ძვირ ფასად იტაცებენ ლიტერატურის მოყვარულნი“.

ჟურნალ „ათენიუმის“ 1895 წლის 16 თებერვლის ნომერში კი ვკითხულობთ, რომ: „ქართული ზღაპრები ბატონი ვარდროპის მიერ მშვენივრად გამოცემულია. ეს პირველი თარგმანია ამ საკვირველის წიგნის მათ შორის, რომელიც - კი ყოფილა ოდესმე რომელსამე ენაზე დაბეჭდილი, რამდენისამე ზღაპრის გარდა, რომელიც გადათარგმნილია ფრანგულად. ეს წიგნი ძალიან ძვირფასია ფოლკლორისტებისათვის. ამ ზღაპრების აზრი ჰგავს „ჰიტოპადემას“ კრებულის ზღაპრებისას და არაკებისას... ბატონი ვარდროპი თავისს მოვალეობას ძალიან ბეჯითად, სინიდისიერად, მეცნიერულად უძღვება. ჩვენ შევადარეთ ვარდროპის წიგნს დედანი, დაბეჭდილი ტფილისში 1881 წ. და განცვიფრებული ვართ თარგმანის სისწორითა და სინამდვილით... დასასრულ, იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი მიიზიდავს საერთო ყურადღებას და ღირსიც არის ყურადღებისა“ (შარაძე, 1984:75-77).

როგორც ვხედავთ, ოლივერ უორდროპის თარგმანს მართლაც უდიდესი და თანაც დადებითი გამოხმაურება ჰქონდა მისი თანამედროვეებისგან.

თავად ოლივერ უორდროპი ივანე მაჩაბლისადმი 1894 წლის 28 თებერვალს გაგზავნილ წერილში სხვადასხვა საკითხებთან ერთად წერდა: „საბა-ორბელიანის

„წიგნის სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნა დავასრულე. ჩემმა დამ ის ორიგინალის ტექსტს შეადარა. ახლა გამომცემლის ძეგნაში ვარ“ (შარაძე, 1984:70). „სიბრძნე სიცრუისას“ გარდა ო. უორდროპს ინგლისურ ენაზე თარგმნილი აქვს ასევე წმ.იაკობ მოციქულის „ჟამისწირვა“ (ფ. კონიბართან ერთად), აღნიაშვილის „ხალხური ზღაპრები“, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდება“, „ვისრამიანი“ და სხვა. თუმცა, ვინაიდან წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მის მიერ თარგმნილი „სიბრძნე სიცრუისას“ შესწავლასა და ანალიზს, მხოლოდ ამ კონკრეტულ ნაწარმოებზე შევჩერდებით.

„სიბრძნე სიცრუისას“ მეორე სრულყოფილი თარგმანი ინგლისურ ენაზე შესრულებულია მეოცე საუკუნის ცნობილი ბრიტანელი ქართველოლოგის ქეთრინ ვივიანის მიერ, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურული ძეგლების ინგლისურად ამეტყველების საქმეში. კერძოდ, მის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორისაა როგორც „სიბრძნე სიცრუისა“ (1982 წ.), ასევე შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (1977 წ.), კ. სალიას „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (1983 წ.) და „ქართლის ცხოვრება“ (ლაშა-გიორგის პერიოდი (1984 წ)).

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ვრცელ სტატიას უთმობს ქეთრინ ვივიანის შემოქმედებას, საიდანაც ვიგებთ, რომ ქეთრინ ვივიანი „ვეფხისტყაოსნით“ და ქართული ლიტერატურით დაინტერესდა მორის ბაურას ნაშრომის „შთაგონება და პოეზია“ გაცნობის შემდგომ. „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის წაკითხვის შემდეგ კი გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა და პოემის თანამედროვე ინგლისური თარგმანის შესრულება. 1972 წელს იგი პირველად ეწვია საქართველოს. მთარგმნელი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. საქართველოში პირველი სტუმრობის შესახებ ქეთრინ ვივიანი წერდა, რომ ამ მეტად საინტერესო ვიზიტმა მას გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა საქართველოსა და ქართველებზე. მთარგმნელი დაუმეგობრდა ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს და მჭიდროდ ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ საქმიანობაში. ქ. ვივიანი მონაწილეობდა მრავალ ქართველოლოგიურ ფორუმში



როგორც ინგლისში, ასევე საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. მას მჭიდრო თანამშრომლობა და განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა ქართველოლოგიური სკოლის ცენტრთან ამ ცენტრის დაარსებიდანვე.

1994 წლის დეკემბერში ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მიერ ძალზედ მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური მოღვაწეობისათვის ქეთრინ ვივიანს მიენიჭა მარჯორი უორდროპის პრემია. მოგვიანებით, ამავე ცენტრის წარდგინებით იგი თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად იქნა არჩეული (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/2/9>).

ქეთრინ ვივიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მონოგრაფია „სუფიზმის კვალი ქართულ ლიტერატურაში“ (Sufic Traces in Georgian Literature; Katharine Vivian, 1982), რომელშიც ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას, ქართული დამწერლობის შექმნის, ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მწერალს მიაჩნია, რომ ქართული მწერლობის განხილვისას თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ტრადიციებს. აღმოსავლური ტრადიციის გავლენა უძველესი დროიდან გასდევს ქართულ კულტურას, რაც გამოწვეულია აღმოსავლური სახელმწიფოების მრავალსაუკუნოვანი ბატონობით საქართველოზე. სუფიზმის კვალი შეიმჩნევა არა მხოლოდ შუა საუკუნეების, არამედ აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში (მაგ. „სიბრძნე სიცრუისა“). თუმცა, ავტორი აღნიშნავს რომ გარკვეული გავლენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე იქონია ბიზანტიურმა და ორიენტალურმა ტრადიციებმაც.

ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა „ოქტაგონ პრესის“ მიერ 1982 წელს. ხსენებულ თარგმანს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. არაერთი სტატია მიეძღვნა ამ საკითხს. მაგალითად, ი. გვარჯალაძე გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „სიბრძნე სიცრუისას ინგლისური თარგმანი“ იუწყებოდა: „თბილისში ახლახან მივიღეთ 1982 წელს ლონდონში გამოცემული სულხან-საბა

ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუის“ ინგლისური თარგმანი. თარგმანი შესრულებულია ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილი ქართველოლოგი ქალის, ქეთრინ ვივიანის მიერ (მანვე თარგმნა ინგლისურენოვანი სამყაროს ახალგაზრდობისთვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“). მასვე ეკუთვნის რამდენიმე სხვა თარგმანი, ამაჟამად თარგმნის „ქართლის ცხოვრების“ მოკლე კურსს. „სიბრძნე სიცრუის“ თარგმანი შეიცავს 152 მოთხრობას. წიგნს წამძღვარებული აქვს სამგვერდიანი წინასიტყვაობა: ერთი გვერდი დათმობილი აქვს სულხან-საბას ცხოვრებას და მოღვაწეობას, ორი გვერდი კი თხზულების გარჩევას. მთელი თარგმანი შესრულებულია მაღალ დონეზე. ეს იმის დამადასტურებელია, თუ რა საფუძვლიანად შეუსწავლია მთარგმნელს ქართული ენა მისი ყოველგვარი ნიუანსებით. წიგნი დიდი გემოვნებით და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა ლონდონის „ოქტაგონ პრესის“ გამომცემლობამ“ (გვარჯალაძე, 1982).

ამავე თარგმანს მიუძღვნა ვრცელი სტატია, სათაურით „სულხან-საბა ინგლისურად“, სერგო თურნავამ: „1982 წელს ლონდონში გამომცემლობა „ოქტაგონ პრესმა“ გამოსცა დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ქეთრინ ვივიანისეული ინგლისური თარგმანი. ამას წინათ მივიღეთ ინგლისური ჟურნალის „ენგლოუ სოუვიეტ ჯერნლის“ 1982 წლის სექტემბრის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ მარშალ ლენგის ვრცელი რეცენზია „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ თარგმანზე. აი რას წერს ინგლისელი პროფესორი: „სულხან-საბა ორბელიანი ნამდვილად იყო მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. იგი ასრულებდა აღმზრდელისა და დიპლომატის მოვალეობას, ლიტერატურის სფეროში სულხანის ლექსიკოგრაფიის პიონერია, ამავე დროს იგი არის იგავ-არაკთა და ფოლკლორული მასალების შემკრები. ამ მიმართებით სულხან-საბა შეიძლება შევადაროთ დოქტორ ჯონსონსა და ლაფონტენს“. სულხანის წლების განმავლობაში ქმნიდა იგავ-არაკული ჟანრის საკუთარ ნაწარმოებს, რომლებშიც ჩართო ტრადიციული ქართული და აღმოსავლური არაკი, თქმულებანი და აგრეთვე საკუთარი არაკებიც... ნაწარმოების ნაწილი

წარმოადგენს აზრთა გაზიარებას პერსონაჟებს შორის, ამ ხერხით თვალსაჩინო ხდება მათი კონტრასტული შეხედულებანი ცხოვრებაზე, რაც გადმოცემულია ანეკდოტებსა და მორალურ შეგონებებში... სულხან-საბამ მცირე მისტიფიკაციასაც მიმართა. მან საგანგებოდ აირჩია გართიმული სათაური, რომელიც შეიცავს ფორმულას: სიბრძნე-სიცრუეს, თუმცა სიცრუე შეიძლება ნიშნავდეს „ამაობას“, „მოჩვენებითობას“, „ჭორს“, „გამონაგონს“, ზოგიერთი მთარგმნელი დააბნია სათაურმა. მათ სათაურად ამჯობინეს, „გამოგონების სიბრძნე“. მიუხედავად ამისა, ქეთრინ ვივიანის ინტერპრეტაცია - „წიგნი სიბრძნის და სიცრუისა“ უფრო შესაფერისი ჩანს. მე ძალიან მომწონს ვივიანის ახალი თარგმანი, ეს კოლორიტული და ნათელი თარგმანი იუმორის გრძნობით არის აღსავსე. მნიშვნელოვანი ადგილებიც დამაჯერებლად ჟღერს, კარგად არის გამოკვეთილი კონფლიქტი საჭურის რუქას ცინიზმსა და ლეონის იდეალიზმს შორის... უეჭველია, რომ აღნიშნული თარგმანი ხელს შეუწყობს ხალხებს შორის მეგობრული, ლიტერატურული და მეცნიერული კონტაქტების განმტკიცებას“ (თურნავა, 1984:6).

„საბას იგავ-არაკები ინგლისურად“ ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას რუსუდან თურნავა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“. სტატიაში განხილული და შედარებულია ო. უორდროპის და ქ. ვივიანის მიერ შესრულებული თარგმანები. წარმოჩენილია თითოეული თარგმანის სუსტი და ძლიერი მხარეები. რ. თურნავას აზრით, „ქალბატონი ქეთრინი გაბედულად შესჭიდებია თარგმანის რთული ხელოვნების კანონებს და გამარჯვებითაც დაუგვირგვინებია საქმე. მეტად სასიხარულოა, რომ ამიერიდან უცხოელი მკითხველი ღრმად იგრძნობს სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნეს და მისი თხრობის სიმშვენიერეს“ (თურნავა, 1983).

ქ. ვივიანის თარგმანს უმაღლეს შეფასებას აძლევს დევიდ მარშალ ლენგი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქეთრინ ვივიანმა ამ წიგნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პირველი თარგმანი მოგვცა.

„სიბრძნე სიცრუისას“ უცხოურ ენებზე თარგმნის საკითხი ასევე ვრცლად აქვს განხილული დარეჯან მენაბდეს ნაშრომში „სულხან-საბა ორბელიანი უცხოურ ენებზე“ (მენაბდე, 2009). ავტორი მკითხველს თანმიმდევრულად აცნობს „სიბრძნე სიცრუისას“ სხვადასხვა ენებზე თარგმნის ეტაპებს და აწვდის ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და მოსაზრებების შესახებ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გამომცემლობა „ცოდნამ“ (1959) და გამომცემლობა „განათლებამ“ (1973) გამოსცეს სულხან-საბა ორბელიანის “The Book of Wisdom and Fiction” (Selections) („წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, რჩეული იგავ-არაკები), რომელიც თარგმნეს და დაამუშავეს ჯ. მჭედლიშვილმა და ი. პერტოვამ საშუალო სკოლის IX-X კლასებისთვის. წიგნში შეტანილია 53 იგავი, ყველა მათგანს დართული აქვს ლექსიკონი და კომენტარები.

ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი ეხება „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ ენაზე შესრულებული სრულყოფილი თარგმანების ტრანსლატოლოგიურ ანალიზს, შემდეგ თავებში ჩვენს მიერ განხილული იქნება მხოლოდ ოლივერ უორდროპისა და ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული თარგმანები. გაანალიზებული იქნება, რამდენად შეძლო ორი სხვადასხვა ეპოქის მთარგმნელმა სულხან-საბასეული სტილის დაცვა, მისი მახვილი იუმორის, მორალური, ზნეობრივი და განმანათლებლური იდეების სათანადოდ აღქმა და მხატვრული ოსტატობით გადმოცემა ინგლისურ ენაზე.

### **3.2 „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის მნიშვნელობა და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში**

მხატვრული ტექსტი სხვადასხვა კომპონენტებისგან შემდგარი ერთი მთლიანი კომპოზიციაა. ამ კომპონენტებს შორის ერთ-ერთ დომინანტურ პოზიციას იკავებს ნაწარმოების სათაური, რომელიც ტექსტის აზრობრივ-კომპოზიციური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია. ამავდროულად, თხზულების სათაური ავტორის სტილისა და მხატვრული აზროვნების მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ, იგი ღრმა აზრობრივი დატვირთვის

მატარებელია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება შემოქმედის ფილოსოფიური და ორიგინალური აზროვნების დემონსტრირება.

მხატვრულ ნაწარმოებში სათაურს მრავალი ფუნქცია გააჩნია, მათ შორისაა ინფორმატიული და მაპროგნოზირებელი ფუნქციები, რომელიც მკითხველს მინიშნებას აძლევს თხზულების ძირითადი შინაარსისა და სიუჟეტის შესაძლო განვითარების შესახებ, ასევე განსაზღვრავს მის განწყობას თავად თხზულებისადმი. აქედან გამომდინარე, ავტორი სათაურშივე ცდილობს მთავარი სათქმელის გადმოცემას, რითაც ხელს უწყობს საკუთარი კონცეპტისა და ჩანაფიქრის გამოვლენას, რაც, თავის მხრივ, მკითხველის დაინტერესების საწინდარია.

სათაურის ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თხზულების სათაურის კვლევასა და მის ადეკვატურ ტრანსფორმაციას თარგმანში.

„სიბრძნე სიცრუისას“ სათანადო გააზრების, შესწავლისა და ანალიზისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად ნაწარმოების ორიგინალური სათაურის შინაარსის გააზრებას. თხზულების სათაურის ნამდვილი აზრის გაგება მით უფრო საჭიროა, რომ როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავდა „საბა ორბელიანის იგავების სათაურშივე მჟღავნდება მისი გენიის ორიგინალობა... და არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური; სათაური იგივეა რაც თვალი ადამიანისა ან სარკმელი კაცთა სამყოფელისი“ (გამსახურდია, 1949:15-16).

სულხან-საბას თხზულების სათაურის მნიშვნელობისა და აღქმის საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გ. იმედაშვილის მოსაზრებით, „სიბრძნე სიცრუისა“ არის წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა, რომ სულხან-საბას იგავთა კრებულში გამოხატულია სიბრძნეც და სიცრუეც, ამიტომ მისი სათაური უთუოდ უნდა გავიგოთ, როგორც სიბრძნე და სიცრუე, რამდენადაც ის მართალსა და ტყუილ ამბებს შეიცავს“ (იმედაშვილი, 1954:303).

სულხან-საბას აღორძინების ხანის უდიდეს ფილოსოფოსად მიიჩნევის შალვა ნუცუბიძე, რომელიც მისი ფილოსოფიური შეხედულებების გასარკვევად ცდილობს გამოიკვლიოს, თუ როგორ ესმის საბას „სიბრძნის“ ცნება. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „სიბრძნე“, რომელზეც საუბარია საბას წიგნის სათაურში, სიცრუის სიბრძნეა, ანუ სიცრუე ქცეული სიბრძნედ (ნუცუბიძე, 1985: 234-264).

„სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ილია ჭავჭავაძე: „რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა - სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული?“ კითხულობს ილია და თავადვე იძლევა ამომწურავ პასუხს „საბა-ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. ოღონდ ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე შიგ ჩასახული აზრია. სულხან-საბას ამის თქმა უნდოდა „მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო“. შესაბამისად, სიცრუე იგავურად, გადატანით ანუ ალეგორიულად გამოხატავს სიბრძნეს. ამ განმარტებას სრულად იზიარებს ალ. ბარამიძე და აცხადებს, რომ ი. ჭავჭავაძემ მოგვცა ამ ბუნდოვანი საკითხის სავსებით სწორი მეცნიერული ახსნა (ბარამიძე, 1957:141). ილიას ეს განმარტება გაზიარებული იქნა მკვლევართა უმეტესი ნაწილის მიერ. ილიას მოსაზრებას ემხრობოდა ნიკო მარიც, რომელმაც „სიბრძნე სიცრუისას“ რუსულად უწოდა „Мирская Мудрость“.

აღნიშნულ საკითხს ვრცელი სტატია მიუძღვნა ინგლისელმა ქართველოლოგმა დევიდ მარშალ ლენგმა, რომელიც მიიჩნევს, რომ „სულხან-საბა ორბელიანის კრებულს შეჰფერის არა მოკლე სათაური - „სიბრძნე სიცრუისა“, არამედ ვრცელი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. სათაურის და მთლიანი თხზულების იდეურ-შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე დ. ლენგი ასკვნის, რომ „სულხან-საბა ორბელიანისთვის სიბრძნე და ჭეშმარიტება არ გამოდის სიცრუისგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ კაშკაშებსო“. მეცნიერი აქვე დასძენს, რომ სულხან-საბა ორბელიანზე გარკვეული ზემოქმედება მოუხდენია ძველი ქართული მწერლობის ძეგლს „სიბრძნე ბალაჰვარისას“ (ბალაგარიანი) და სულხან-საბას, სწორედ ბალაგარიანი ჰქონდა გულში როდესაც თავის წიგნზე

მუშაობას შეუდგა. მით უმეტეს, რომ ბალავარიც თავის სიბრძნეს იოდასაფს არსებითად იგავ-არაკების („საცრუო არაკების“) საშუალებით აცნობდა. შესაბამისად, სულხან-საბამ თავის თხზულებას „სიბრძნე ბალაჰვარისის“ ანალოგიით დაარქვა „სიბრძნე სიცრუისა“. თუმცა, „სიბრძნე სიცრუისას“ ხელნაწერების გაანალიზების შედეგად დ. ლენგი დასძენს: „უმთავრესი სიძნელე ის არის, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით ზუსტად რა სახის სათაური წააწერა ორბელიანმა თავდაპირველ ხელნაწერს“. სულხან-საბამ იგავ-არაკთა კრებულს არ შეშვენის მოკლე სათაური - „სიბრძნე სიცრუისა“ და მისი სათაური უნდა იყოს „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ (ლენგი, 1957:162-167).

როგორც ვხედავთ, მეცნიერები და მკვლევრები სულხან-საბამ იგავ-არაკთა კრებულის სათაურის გააზრების ორ ძირითად ვერსიას განიხილავენ. ერთი ვერსიის თანახმად, „სიბრძნე სიცრუისა“ ატარებს იდეას, რომლის მიხედვითაც სიბრძნე სიკეთეა, ხოლო სიცრუე ბოროტება.

მეორე ვერსიის მიხედვით კი, „სიბრძნე სიცრუისა“ გულისხმობს სიცრუის სიბრძნეს, რაც ასოცირდება გამოგონილი ამბებით გამოხატულ სიბრძნესთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადად ჩანს, რომ სულხან-საბამ ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის საკითხი დიდ ინტერესს იწვევდა მკვლევართა და მეცნიერთა შორის. „სიბრძნე სიცრუისას“ მნიშვნელობის გააზრების პრობლემა განსაკუთრებულად იჩენს თავს მისი სხვა ენებზე თარგმნის დროს, რადგანაც სათაური, სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით, ტექსტის მაინტეგრირებელი კომპონენტია. შესაბამისად, თხზულების დასათაურება არსებითად არის დაკავშირებული მისი შინაარსის გახსნასთან.

ო. უორდროპი წინასიტყვაობაშივე განმარტავს წიგნის სათაურს. მისი აზრით, ამ სათაურის თარგმნა სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი, თუმცა, მის მიერ შერჩეულია საუკეთესო ვარიანტი. ო. უორდროპის მიერ წიგნის სათაური თარგმნილია, როგორც „The Book of Wisdom and Lies“ – „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. მთარგმნელი თავადვე აცხადებს, რომ თარგმნისას ეყრდნობოდა ალ. ცაგარელის მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანს და სათაურიც ზუსტად

ემთხვევა ალ. ცაგარელის ვერსიას. თარგმანის წინასიტყვაობაში, მწერლის ჩანაფიქრის შესახებ, ოლივერ უორდროპი ამბობს, რომ ნაწარმოების შექმნისას ავტორს უდავოდ ორი განზრახვა ჰქონდა - „მკითხველის ცნობიერების ამალეობა ზნეობრივი შეგონებებით და ამავდროულად, მისი გართობა გამონაგონი ამბებით“ (Wardrop, 1894:10). ო. უორდროპის არჩევანს დადებითად აფასებს დ. ლენგი: „ოლივერ უორდროპმა სულხან-საბას იგავ-არაკთა კრებული სათაური გაიგო როგორც „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ და ამიტომაც შეარჩია ამ მოსაზრების შესაფერისი თარგმანი - „The Book of Wisdom and Lies“ (ლენგი, 1957:167).

საგულისხმოა, რომ თხზულების სათაური ქეთრინ ვივიანსაც თარგმნილი აქვს როგორც „A book of Wisdom and Lies“ („წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“), ოლივერ უორდროპის მიერ შერჩეული სათაურის მსგავსად. აქვე საინტერესოა ერთი ნიუანსი: ოლივერ უორდროპისგან განსხვავებით, ქეთრინ ვივიანი არანაირ განმარტებას არ აკეთებს სათაურის შესახებ. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია თუ რის საფუძველზე, ან რომელი წყაროს გათვალისწინებით შეარჩია მთარგმნელმა წარმოდგენილი ვარიანტი.

#### **თავი IV. სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისას” ოლივერ უორდროპისეული თარგმანის ტრანსლატოლოგიური ანალიზი**

„სიბრძნე სიცრუისაზე“ ოლივერ უორდროპი რამდენიმე წელი მუშაობდა. თავად წიგნი, მდიდრულად არის გაფორმებული და დაბეჭდილია ძვირფას ქაღალდზე. წიგნს დართული აქვს ვრცელი წინასიტყვაობა. ავტორი შესავლის დასაწყისშივე ხაზს უსვამს „სიბრძნე სიცრუისას“ უაღრესად დიდ მნიშვნელობას და ამბობს, რომ შოთა რუსთაველის ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ „სიბრძნე სიცრუისა“ ქართველებში ყველაზე პოპულარული წიგნია. პირველი „თამარ მეფის“ დროინდელი ძეგლია, ანუ ეპოქისა, როდესაც იბერიელებმა აღმავლობისა და კეთილდღეობის უმაღლეს დონეს მიაღწიეს, ხოლო მეორე კი XVIII საუკუნეს განეკუთვნება, ანუ პერიოდს, რომელიც ქართველთა



დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა, თუმცა, დაიწყო ეროვნული ლიტერატურის აღმავლობა (Wardrop 1894:10).

მკვლევარი და მთარგმნელი ასევე ეხება იგავ-არაკების კრებულის შექმნისა და ფორმის საკითხს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ფორმით წააგავს „პანჩატანტრას“, „ჰიტოპადეშას“, „ანვარი სუჰაილს“, „კონდე ლუკანორს“ და სხვა მრავალ ნაწარმოებს, რადგან ამავე ნაწარმოებებში მოიძებნება „სიბრძნე სიცრუისას“ მსგავსი სიუჟეტები. თუმცა, არავითარი მიზეზი არ გვაქვს, რომ ეს უკანასკნელი მიჩნეული იქნეს თარგმანად ან შეგნებულ იმიტაციად. იდეების იგავების მეშვეობით გადმოცემა და გამოხატვა განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლური ცხოვრების სტილისთვის, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია დესპოტიზმით, რომელიც მოსაუბრეს აზრების არაპირდაპირი გზით გადაცემას აიძულებდა და ნაწილობრივ კი აღმოსავლურ აზროვნებაში არსებული ტენდენციებით, რაც აზრებისა და სათქმელისთვის ფანტასტიკური ელფერის მინიჭებაში მდგომარეობდა. ოლივერი მოხიბლულია ნაწარმოების გამაერთიანებელი ამბით, ჩარჩოთი, რომელსაც „რაკეტას“ ადარებს და აღნიშნავს, რომ იგავ-არაკების უმეტესი ნაწილი სატირულ-დიდაქტიკური მნიშვნელობისაა. ცხადია, თითოეული მათგანი არცთუ ისე ადვილად აღსაქმელია, მრავალი მათგანი გამომდინარეობს იმდროინდელი მოვლენებიდან, ხოლო ზოგიერთში კი თარგმანის გამო დაკარგულია დედანში არსებული იუმორისტული ელფერი. ყოველივე ამის მიუხედავად, მთარგმნელი დარწმუნებულია, რომ იგავ-არაკთა კრებული წარმოდგენილი ფორმითაც საინტერესო და ყურადსაღებია. წიგნის ყველაზე მნიშვნელოვან და სახასიათო შტრიხად მთარგმნელი მიიჩნევს ლეონის მიერ უფლისწულ ჯუმბერის ჰუმანურ მმართველად აღზრდის მიზნით გამოყენებულ სპარტანული სწავლების მეთოდს. თარგმანის წინასიტყვაობაშივე ვიგებთ, რომ ო. უორდროპი იძულებული გამხდარა, დროდადრო მცირედი მონაკვეთები გამოეტოვებინა, მაგრამ როგორც თავად აღნიშნავს, არა ისე უხეშად, როგორც ეს მოხდა „სვიფტის“ შემთხვევაში. მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს სოციალური ცხოვრების ამსახველ ილუსტრაციებზეც, რომლებიც

მთელს ნაწარმოებშია მიმოფანტული და დასძენს, რომ ზოგიერთი მათგანის გააზრება საკმაოდ რთული იქნება ზოგადი ცოდნის გარეშე.

ო. უორდროპი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სულხან-საბას წერის მანერასა და დედნის სტილს. მისი მოსაზრებით, იგავ-არაკთა კრებული ხასიათდება ისეთი ლაკონურობითა და აფორიზმულობით, რომ ვერცერთი უცხოელი ვერ შეძლებს მის ზუსტად თარგმნასა და გადმოცემას დახმარების გარეშე. მთარგმნელი აქვე დასძენს, რომ მას ჰქონდა პროფესორ ალ. ცაგარელის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანით სარგებლობის საშუალება, ხოლო თარგმნისას უორდროპმა გამოიყენა 1892 წელს თბილისში დაბეჭდილი ვერსია. მთარგმნელი აცხადებს, რომ იგი დიდად დავალებულია თავისი დისგან თარგმანის პროცესში გაწეული დახმარებისთვის. ო. უორდროპი განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროფესორ ალ. ცაგარელს ამ უკანასკნელის მიერ ეროვნული ლიტერატურის ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გაცნობის საქმეში შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისთვის.

„სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანის წინასიტყვაობაში მთარგმნელი ასევე მიმოიხილავს სულხან-საბას ბიოგრაფიას, მისი და ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობას და საქართველოს მდგომარეობას XVII-XVIII საუკუნეებში. ო. უორდროპი სქოლიოში ასახელებს წყაროებს, რომელთა მიხედვითაც სარგებლობდა სულხან-საბას ბიოგრაფიული მონაცემების მიმოხილვისას. „ბიოგრაფიული მონაცემები მოვიპოვე შემდეგი წიგნებიდან: ალ. ცაგარელი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ სანკტ-პეტერბურგი, 1878; „ჟურნალი აზიატიკი“ აპრილი, მაისი 1832, თებერვალი 1834; „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ რედაქტორი ნ. მთვარელიშვილი, თბილისი 1892; ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობა, თბილისი, 1884; „ქართული ენის გრამატიკა“ ცაგარელი, სანკტ-პეტერბურგი 1873“ (Wardrop, 1894). მთარგმნელი, ისევე როგორც „საქართველოს სამეფოში“, დასახელებული თარგმანის წინასიტყვაობაშიც ახსენებს ლაფონტენისა და სულხან-საბას მეგობრობას. აქვე მითითებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომები და აცხადებს, რომ „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ დაწერის თარიღი უცნობია, თუმცა

იგი ავტორს უნდა დაესრულებინა მოგზაურობის შემდეგ, ვინაიდან მის მონათხრობში ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნების, ქალაქებისა და ტიტულების ამსახველ ლექსიკას, როგორცაა: რომი, საფრანგეთი, კონსტანტინოპოლი, დუკა, გრანდუკა, მაგისტროსი და ა.შ.

თარგმანის წინასიტყვაობა და სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ მთარგმნელი გულდასმით უდგება და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც ნაწარმოებს, ასევე მის ავტორს. „ოლივერ უორდროპი სიზუსტეს იჩენს ნაწარმოების სატირულ-დიდაქტიკური ხასიათისა და მხატვრული ღირებულების შეფასებაში და თავის წინასიტყვაობაშივე ხაზს უსვამს ნაწარმოების უნიკალურობას და სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის მნიშვნელობას“ (თურნავა, 1983:15).

რაც შეეხება თავად შესრულებული თარგმანის შეფასებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ო. უორდროპმა თხზულება თარგმნა ალ. ცაგარელის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანიდან. ეს ფაქტი გარკვეულწილად გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ თარგმანის თარგმანი შეუძლებელია დაზღვეული იყოს უზუსტობისგან. „სიბრძნე სიცრუისას“ ოლივერ უორდროპისეული თარგმანი შეიცავს 162 იგავს, მაშინ როდესაც დედანში 152 იგავია მოცემული. ო. უორდროპს ზოგიერთი არაკი დანაწევრებული აქვს, ზოგიერთი ადგილი-გამოტოვებული, ხოლო არაკები „მეცნიერი აქიმი“ და „აქიმი და ორი სნეული“ მთლიანად არის ამოღებული. „აღნიშნული არაკები, უორდროპს ამოუღია მათში არსებული „ე.წ. მოურიდებელი გამოთქმების გამო“ (თურნავა, 1983:15). თარგმანში ასევე გამოტოვებულია არაკი „ბზიკის მწვრთნელი“. ჩვენთვის გაუგებარი და ბუნდოვანია ამ კონკრეტული არაკის ამოღების მიზეზი, რადგან მასში არ მოიპოვება ის ე.წ. „უხამსი ლექსიკური ერთეულები“, რის გამოც მთარგმნელს გამოუტოვებია ზემოთხსენებული ორი არაკი.

თარგმანის დედანთან შედარებისას გამოიკვეთა, რომ მთარგმნელი ცდილობს, დაიცვას დედნის სტილი და შეინარჩუნოს ფორმის ერთიანობა, თუმცა დასანანია, რომ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს და რიგ შემთხვევებში უხდება

კონკრეტული იგავ-არაკების დაყოფა. მაგალითად, პირველივე იგავი, „მეფე ხორასანისა“, დაყოფილია ორ ნაწილად “The King of Khorsan and the Chinese Jew” (მეფე ხორასანისა და ჩინელი ურია) და “The ass, the ant and the dog” (ვირი, ჭიანჭველა და ძაღლი). როგორც ჩანს, მთარგმნელმა ეს არაკი მასში არსებული ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ამბის გამო დაანაწევრა. ასევე დაყოფილია არაკი „დიდვაჭარი და მისი ძე“ და ინგლისურ ვერსიაში ორ ნაწილადაა მოცემული: “The legacy of lead” (მემკვიდრეობით მიღებული ტყვია) და “What the poor man said” (ღარიბი კაცის ნათქვამი). უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში დედანში არსებული სათაურის ანალოგიური დასათაურება არ გვხვდება და მთარგმნელს ორივე არაკის სათაური შინაარსიდან გამომდინარე აქვს შერჩეული. ანალოგიური სიტუაციაა არაკთან „კუ და მორიელი“ მიმართებაში, რომელიც თარგმანში წარმოდგენილია ორი არაკით: “The tortoise and the scorpion” (კუ და მორიელი) და “The fox and the flees” (მელა და რწყილები). ამ შემთხვევაში, ერთი არაკის სათაური ემთხვევა დედნის სათაურს, ხოლო მეორე სათაური გამომდინარეობს შინაარსიდან. არაკი „ორი მდიდარი“ მთარგმნელს დაუყვია სამ ნაწილად. ამ შემთხვევაშიც, დედანში არსებული არაკის ანალოგიური დასათაურება წარმოდგენილი სამი არაკიდან არცერთში არ გვხვდება. პირველი მათგანი თარგმნილია, როგორც “The two rich rivals” (ორი მდიდარი მეტოქე), მეორე, როგორც “The jinjraka bird” (ჩიტი ჭინჭრაქა) და მესამე, როგორც “Why the crane stands on one leg” (რატომ დგას წერო ცალ ფეხზე). აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო ორი არაკი დედანში ერთ აბზაცშია მოქცეული, როდესაც ჯუმბერი რუქას მიმართავს: „ნახევარს კაცსა რასთვის ოცის კაცის გული გიძს? ჭინჭრაქა ესრე უგუნურია: რა იქუხებს, გულადმა გარდაბრუნდება, თუცა ცა არ დაიქცეს ფეხი მივაშველო, რომ ქვეყანა არ წახდესო; და წერო ამპარტავნობით, თუ არ სლვაში, ორ ფეხსა არ დასდგამს, ჩემის სიმძიმით ქვეყანა არ ჩატყდესო. რა გგონია ეგ შენი ბილწი თავი, ანუ რა ხარ?“ (ორბელიანი, 1970:150). მთარგმნელს, ეს მონაკვეთი მასში არსებული ირონიული შედარებების გამო ორად დაუყვია და თარგმანში ორი მცირე ზომის, უფრო ზუსტად კი, ერთაბზაციანი არაკი მივიღეთ. აქვე, მთარგმნელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ინგლისურ ვერსიაში, მისი

დანაწევრების მიუხედავად, სრული სიზუსტით არის გადმოცემული აღნიშნული პასაჟის შინაარსი და შენარჩუნებულია მასში არსებული სატირული-იუმორისტული ელფერი.

“The little bird called jinjraka is so stupid, that when the thunder begins to roll it lies down on its back and thinks: if the sky falls, I shall hold it up with my foot, so that the world be not crushed”.

“From pride, also, the crane never puts both its feet on the ground, except when it walks, thinking that the earth might give way under its weight” (Wardrop, 1894: 120).

მიუხედავად შინაარსის სიზუსტისა, მოცემული პასაჟის თარგმანში დაკარგულია სულხან-საბასთვის დამახასიათებელი ლაკონურობა და აზრი შედარებით გავრცობილი ფორმით არის გადმოცემული. ფრაზისთვის „ქვეყანა არ ჩატყდესო“ მთარგმნელს მოძებნილი აქვს ანტონიმური შესიტყვება „earth might give way“ - სიტყვასიტყვით „დედამიწა ვერ გაუძლებს“ და, შესაბამისად, არ არღვევს ავტორის ნააზრევს. თავად ჯუმბერის მიმართვა რუქასადამი - „რა გგონია ეგ შენი ბილწი თავი, ანუ რა ხარ?“, რომლითაც მთავრდება ხსენებული პასაჟი და კარგად ჩანს უფლისწულის დამოკიდებულება საჭურისი კარისკაცის მიმართ: “What thinkest thou of thy depraved person? What art thou?” (Wardrop, 1894:120), ადეკვატურად გადადის სამიზნე ენაზე და ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც ნათელი ხდება ამ ირონიული მიმართვის არსი.

თარგმანში ერთი საერთო ქვესათაური - “Stories told in the land of liars” (მატყუარების ქვეყანაში თქმული ამბები), რაც დედანში არ გვხვდება, წამძღვარებული აქვს შემდეგ არაკებს: „შავარდენი და წერო“ – “The headless hawk” (უთავო შევარდენი), “How the liars received the truth” (როგორ აღიქვეს მატყუარებმა სიმართლე), „ბრმა ავაზი“ - “The blind harrier”, „მათრახიანი ხობობი“ - “Heredity” (მემკვიდრეობა) და „თავტაფიანი“ – “The man with the saucepan head” (კაცი ტაფიანი თავით). მიგვაჩნია, რომ „ავაზის“ შესატყვისად ლექსიკური ერთეულის “harrier” გამოყენება ფაქტობრივი უზუსტობაა და ლექსიკური

თვალსაზრისით გაუმართლებელია, ვინაიდან “harrier” აღნიშნავს „მეძებარ ძაღლს“. ჩვენი აზრით, მართებული იქნებოდა ლექსიკური ერთეულის “cheetah” ან “leopard”-ის გამოყენება.

თარგმანის ანალიზისას ცხადი გახდა, რომ მთარგმნელი უმეტეს შემთხვევაში არ იცავს სიზუსტეს არაკების სათაურების თარგმნისას და მათ თავად ცვლის საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით ან არაკის შინაარსიდან გამომდინარე. შესაბამისად, თარგმანში ვხვდებით სრულიად განსხვავებულ დასათაურებას. მაგალითად, არაკი „მათრახიანი ხოხობი“ თარგმნილია, როგორც “Heredity” - მემკვიდრეობა, რაც სავარაუდოდ შერჩეული უნდა იყოს არაკის შინაარსისა და მთარგმნელის ინტერპრეტაციის საფუძველზე. როგორც ჩანს, მთარგმნელისთვის რთული აღმოჩნდა „თავტაფიანისთვის“ იდენტური დატვირთვის მქონე ლაკონური ლექსიკური ერთეულის შერჩევა ინგლისურ ენაზე და განმარტებითი თარგმანის ხერხს მიმართა, რამაც გამოიწვია ამ ექსპრესიული და სულხან-საბასთვის სახასიათო მეტაფორის დაკარგვა თარგმანში. მთარგმნელის ინტერპრეტაციის შედეგია არაკისთვის „მისანი ყვავი“ შემდეგი სათაურის შერჩევა „The man who discovered his wife’s faithfulness“ (კაცი, რომელმაც აღმოაჩინა საკუთარი ცოლის ერთგულება). ცხადია, ეს სათაური ზუსტად ვერ გადმოსცემს ავტორის მიერ სათაურშივე ჩაქსოვილ ინტრიგას და იდუმალებას, რაც არაკის წაკითხვამდე უნდა დაეუფლოს მკითხველს. გარდა ამისა, ირღვევა ნაწარმოების სტრუქტურის ამოსავალი ღირებულება, რაც მისი ლექსიკის მოქნილობასა და ლაკონურობაში მდგომარეობს. ორ ნაწილად არის დაყოფილი არაკი „გრძნეული აქიმი“ – “The sorcery of an Indian surgeon” (ინდოელი ქირურგის მისნობა) და “The magician and his pupil” (გრძნეული და მისი მოწაფე). დანაწევრებულია შემდეგი არაკიც: „ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“, რომელიც თარგმანში სრულიად განსხვავებული სათაურების მქონე არაკებით გვაქვს წარმოდგენილი “A living man buried with his dead wife” (მკვდარ ცოლთან ერთად დამარხული ცოცხალი კაცი) და “Six stories of giants and giantesses” (ექვსი ამბავი გოლიათების შესახებ). უნდა ვივარაუდოთ, რომ მთარგმნელს ეს არაკიც მასში არსებული ორი სხვადასხვა ამბის გამო აქვს დანაწევრებული.

არაკების დანაწევრების გარდა მთარგმნელი მიმართავს რამდენიმე მათგანის ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანების ხერხსაც. მაგალითად, არაკებს: „მოშურნე რძალი“, „პურის პურით ჭამა“ და „წაჯე-უკუჯექის ცეცხლი“ თარგმანში ერთი სათაური აქვს-“The Stories of Three Unhappy Married Men” (სამი უბედური დაქორწინებული კაცის ამბავი). საერთო სათაურის მიუხედავად, აღნიშნული არაკები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი და თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი ნუმერაცია. ანალოგიური სიტუაცია გვხვდება შემდეგ არაკებთან მიმართებაშიც: „თავში სპილენძის ჩამდგმელი“, „მკლავის გახსნით მკურნალი“, „ვირის წვივის ჩამდგმელი“, „ბრძენი მკურნალი“, „მეფე და აქიმი“, „პირდაქცეული ბმოს მკურნალი“, „ქარიმან შაჰის ძე“, „საგათის მკურნალი“, „მტერობით განკურნებული“ და „სოკოს მკურნალი“, რომელთაც თარგმანში გააჩნიათ შესაბამისი ნუმერაცია, თუმცა, მოქცეული არიან ერთი საერთო სათაურის ქვეშ: “The Stories of the Ten Surgeons” (ათი ქირურგის ამბავი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავების დაყოფა-გაერთიანების გარდა, სათაურების თარგმანში შეინიშნება აზრის გავრცობილი ფორმით გადმოცემის ტენდენცია, რაც ანელებს სულხან-საბას თხრობის სტილის რიტმულობას და არღვევს ნაწარმოების ლაკონურობას. მაგალითად, გავრცობილი ფორმით არის გადატანილი თარგმანში „ლოდის დამგორებელი“ – “The man who rolled stone up and down the hill” (კაცი, რომელმაც ქვა დააგორა გორაზე) და სხვა.

საინტერესოა ასევე არაკის „თათვალი“ სათაურის თარგმანი. თათვალის განმარტებას თავად ავტორი გვაძლევს არაკის დასაწყისშივე: „არის ინდოეთს მფრინველი ერთი, რომელსა თათვალს უხმობენ, მიმინოს უფროა და მფრინველს ნადირობს“ (ორბელიანი, 1970:259). როგორც ჩანს, ო. უორდროპმა არაკის სათაური ამ შემთხვევაშიც შინაარსის მიხედვით შეარჩია და ინგლისურ ვერსიაში მივიღეთ “The Indian bird t’hat’hvali” (ინდური ფრინველი თათვალი). თუმცა, დასახელებული არაკის სათაური საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მთარგმნელს სქოლიოს სახით აქვს მოცემული საკუთარი ვარაუდები „თათვალის“ შესახებ. ო. უორდროპი შენიშნავს, რომ ეს სახელი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „t’hat’hcali“

და იქვე დასძენს, რომ ეს შესაძლოა იყოს „ჰოტოპადემაში“ ნახსენები ფრინველი “tittibha” (Wardrop, 1894:208).

იგავ-არაკების სათაურების თარგმანების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ოლივერ უორდროპი სათაურების თარგმნისას უმეტეს შემთხვევებში მიმართავს განმარტებითი თარგმანის ხერხს და იყენებს აზრის გავრცობის ფორმას, რის შედეგადაც, სათაურების ინგლისური ვერსია ძირითადად გამომდინარეობს არაკების შინაარსიდან, რომელიც ეყრდნობა მთარგმნელის ინტერპრეტაციას და, ფაქტობრივად, განსხვავდება ორიგინალისგან. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ რთული და, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელი აღმოჩნდა ო. უორდროპისთვის წყარო ტექსტში არსებული ექსპრესიული, შთამბეჭდავი და უნიკალური სათაურებისთვის ტოლფასოვანი ეკვივალენტების მოძიება. მიუხედავად ამისა, არაკების სათაურების თარგმანში შეინიშნება მთარგმნელის მიერ აზრობრივი სიზუსტის გარკვეულწილად დაცვისა და შინაარსობრივი ინფორმაციის ადეკვატური ტრანსფორმაციის მცდელობა. ამისთვის იგი სათაურებში ხშირად ამატებს რაოდენობის, ტიტულის, წარმომავლობის, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ და სხვა აღწერილობით ლექსიკას. მაგალითად, არაკის სათაურის „სპარსი და ინდო“ თარგმანში, ო. უორდროპი უფრო მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის ამატებს მათ პროფესიასაც “The Persian merchant and the Indian merchant” (სპარსი ვაჭარი და ინდოელი ვაჭარი); „ქრისტიანი და ურია“ თარგმნილი აქვს, როგორც “The Christian and the Jew in Constantinople” (ქრისტიანი და ურია კონსტანტინოპოლში) და ა.შ. ზოგიერთი არაკის სათაური სრული სიზუსტით გადააქვს მთარგმნელს ინგლისურ ენაზე, ამის მაგალითია „ყაზან-შაჰ და მისი ცოლი“, რომელიც თარგმანში გვაქვს “Qazvan-shah and his wife”. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი არაკების რიცხვი საკმაოდ მცირეა. ასევე საინტერესოა არაკის „მოყვარული ცოლ-ქმარი“ სათაურის თარგმანი, რომელიც ინგლისურ ვერსიაში გადატანილია, როგორც “The faithful couple”. დასახელებული მაგალითი არ წარმოადგენს დედნისეული ვერსიის ეკვივალენტს. თარგმანში საუბარია „ერთგულ წყვილზე“, მაშინ როდესაც დედანში აქცენტი გადატანილია მოსიყვარულე ცოლ-ქმარზე. ლექსიკური



ერთეული “couple” ზოგადი მნიშვნელობისაა და გულისხმობს „წყვილს“. ამასთან, მასში ერთმნიშვნელოვნად არ მოიაზრება „ცოლი და ქმარი“. გარდა ამისა, ვერც “faithful” (ერთგული) ჩაითვლება „მოყვარულის“ ზუსტ ანალოგად. ჩვენი აზრით, დასახელებული მაგალითის ადეკვატური თარგმანი იქნებოდა “The affectionate wife and husband”.

განხილული მაგალითების საფუძველზე ნათლად ჩანს მთარგმნელის დამოკიდებულება სათარგმნი ტექსტისადმი. არაკების დაყოფა-გაერთიანების მიუხედავად, რასაც მთარგმნელი ხშირად მიმართავს, მაინც იგრძნობა ამ უკანასკნელის სურვილი და მიზანი, რომ მკითხველისთვის მაქსიმალურად გასაგები გახადოს არაკის სათაური. ამისათვის იგი სათაურში გამოყენებული ლექსიკური ერთეულებისა თუ შესიტყვებების შესახებ განმარტებებს გვაძლევს სქოლიოს სახით. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი გულისყურითა და მონდომებით ცდილობდა მთარგმნელი ამ შესანიშნავი ქართული თხზულების ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გასაგებ ენაზე მიწოდებას.

„მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებით თარგმანმცოდნეობაში არსებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთია სუბიექტური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ტექსტის წარმოშობის ფსიქოლოგიურ იმპულსთან და განაპირობებს მთარგმნელის სუბიექტურ შეხედულებას ამა თუ იმ საკითხის და სათარგმნი ტექსტის მიმართ, რაც ცხადია, წინ უსწრებს კონკრეტული თარგმანის შესრულების პროცესს ... თუ რაგვარი ნაწარმოების თარგმანი შეესაბამება მისი მკითხველის ლიტერატურულ ინტერესებს, მის საკუთარ გემოვნებას და შეასრულებს თუ არა ეს თარგმანი რაიმე როლს ერის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მთარგმნელის გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაში უთუოდ მართავს ასევე მისი ფსიქოლოგიური განწყობა ორიგინალის გაცნობის შემდეგ. ნაწარმოების შინაარსობრივ-კონცეპტუალური და ესთეტიკური ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარების სურვილი“, წერს ნელი საყვარელიძე (საყვარელიძე, 2001:220) და გასაკვირი არაა, თუ რატომ შეაჩერა საკუთარი არჩევანი ო.

უორდროჰმა „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნაზე, რადგანაც მისი შინაარსი, ისევე როგორც მასში ასახული პროგრესული იდეები და აღზრდის ინოვაციური მეთოდები, უთუოდ საინტერესო და ყურადსაღები იქნებოდა სამიზნე მკითხველისთვის. ზოგადად, ლიტერატურა ხომ სამყაროს მხატვრული ათვისების ფორმაა, რაც კონკრეტული მხატვრული სახეების მეშვეობით ხორციელდება. ლიტერატურის ასახვის საგნად შეიძლება იქცეს ყველაფერი, მთელი სამყარო, მაგრამ ლიტერატურის ასახვის მთავარ საგნად გვევლინებიან ადამიანები და მათი საზოგადოებრივი ცხოვრება და ყოველივე ამის საფუძველზე ყალიბდება ნაწარმოების შინაარსი. გ. ციციშვილის მოსაზრებით, „მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი, ესაა მწერლის მიერ თავისებურად ათვისებული და მისი მსოფლმხედველობის შესაბამისად გარდამტყდარი კონკრეტული სინამდვილე, როგორც მრავალფეროვანი ცხოვრების ერთი ნაწილი, მოქცეული გარკვეულ დროულ-სივრცობრივ ჩარჩოებში“ (ციციშვილი, 1957:5).

„სიბრძნე სიცრუისაში“ დიდაქტიკურ-მორალური შეგონებებისა და აზრების დასაბუთების მიზნით სულხან-საბა იყენებს გასაუბრების მეთოდს, ანუ კამათის ხელოვნებას (ლორთქიფანიძე, 1960:18). სასახლის კარზე გამართული პაექრობის დროს თითოეული პერსონაჟი თავისი აზრის გადმოსაცემად იყენებს სხვადასხვა სახის იგავ-არაკს, რაც თხრობის სტილს უფრო დინამიურს ხდის. ყოველი გმირი, იგავ-არაკის მეშვეობით ცდილობს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში საკუთარი მოსაზრების დასაბუთებასა და შესაბამისი ცოდნის წარმოჩენას. „სიბრძნე სიცრუისას“ თითოეული პერსონაჟი ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება. ავტორს მეფე ფინეზი ბრძენ და პატივსაცემ პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი, რომელიც მრავალი დადებითი თვისებით არის შემკული:

„იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომელსა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა; სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიაგით გაექარვებინა. სიუხვე მისის ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად

გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“ (ორბელიანი, 1970:6).

მოქმედი პირების დახასიათების ადეკვატური ტრანსფორმაცია სამიზნე ენაზე უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ინგლისურენოვანი მკითხველისთვის თავიდანვე ცხადი გახდეს მათი პიროვნული თვისებები და შეიქმნას შესაბამისი განწყობა, რაც შემდგომში ლაიტმოტივად გაჰყვება თარგმანს. დედნისეული აზრის სრულყოფილად გადმოსაცემად მთარგმნელი წინადადებების გავრცობის ხერხს მიმართავს და თარგმანში გვთავაზობს:

“HERE was once a mighty monarch all whose great deeds no one can imagine. By his goodness and kindness he gathered up such flood of mercifulness in his heart that the waters of the ocean were not one thousandth part as great. Violence and cruelty he wafted away from his heart by means of the breeze of the fear of God; by his generosity he overshadowed all, more than the rain-bringing clouds; in his gifts, scattered to all men, he outdid the rain of heaven” (Wardrop, 1894:1).

მეფის დახასიათებისას ჩამატებულია ლექსიკური ერთეული „ძლევამოსილი“ (mighty). ასევე ვრცლად არის მოცემული „ეგოდენი მოწყალეზანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა“ – „he gathered up such flood of mercifulness in his heart that the waters of the ocean were not one thousandth part as great“, - სიტყვასიტყვით „გულში იმდენ მოწყალეზას იტევდა, რომ ოკეანეში არსებული წყალი მის მეათასედსაც არ შეადგენდა“. მოცემული თარგმანი შინაარსობრივი თვალსაზრისით შესაძლებელია, ადეკვატურად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მეფის გულმოწყალეზას აღწერს, თუმცა თარგმანში დაკარგულია ექსპრესიული შესიტყვება „უწყალოება ჯავრისანი“, რომლის გადმოსაცემადაც მთარგმნელს გამოყენებული აქვს სიტყვა “cruelty” (სისასტიკე, ულმობელობა), რაც ვერ ჩაითვლება დასახელებული ფრაზის ეკვივალენტად. მოცემულ პასაჟში კიდევ შეინიშნება ერთი უზუსტობა, კერძოდ, „მოიგონებინა“-ის ნაცვლად მთარგმნელს გამოყენებული აქვს სიტყვა “imagine” (წარმოდგენა, წარმოსახვა), რაც

შინაარსობრივად განსხვავდება დედანში გამოყენებული ლექსიკური ერთეულისგან.

მხატვრულ თარგმანში, ეკვივალენტობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს წყარო ტექსტში არსებული შეტყობინების შინაარსობრივი ინვარიანტის შენარჩუნება. თარგმანში აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნების თვალსაზრისით, განვიხილოთ შემდეგი მონაკვეთი არაკიდან „კუ და მორიელი“, სადაც სულხან-საბა მეფე ფინეზის პირით ხაზს უსვამს მეფეთა პასუხისმგებლობას და ძლევამოსილებას:

„ეს იცოდე, მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერავინა სცნობენ, თუცა კაცი იგი არ გამეფდა, რომ მათი საჯდომი მაღალია და დაბლიდამ არ ინახება“ (ორბელიანი, 1970:137).

“Mark this: kings understand the deeds of eunuchs & others, but no man can understand the deeds of kings until he himself is king; the seat of kings is so lofty that it cannot be easily seen from beneath” (Wardrop, 1894:109).

მთარგმნელს შესანიშნავი სიზუსტით აქვს გადმოცემული ეს პასაჟი. შენარჩუნებულია ეკვივალენტობის მინიმალური პირობა, კერძოდ, საწყისი შეტყობინების ინვარიანტულობა. ასევე, სტილისტურად სწორად არის შერჩეული მიმართვის ფორმის „ეს იცოდე“ გადმოსაცემად “Mark this”, რომელიც ზუსტად გადმოსცემს დედანში არსებულ ემოციურ განწყობას. ფინალურ წინადადებაში აზრი შედარებით გავრცობილია, რაც თხრობის რიტმის შენელებას იწვევს, თუმცა მთლიანობაში თარგმანი ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე.

„სიბრძნე სიცრუისა“ კომპოზიციურად ერთი მთლიანი ნაწარმოებია. მისი შესწავლისას ნათელი ხდება, რომ თხზულებაში ძირითადად წარმოჩენილია მეფეთა აღზრდა და ზოგადად ადამიანის ბუნება, თუმცა საბასთვის იდეალური მეფის პორტრეტის შესაქმნელად არ კმარა მეფე ფინეზისა და უფლისწულ ჯუმბერის პერსონაჟები. სულხან-საბა მეფეს მრავალ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს. მისი აზრით, მეფეს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გონებრივი

და ფიზიკური მომზადება, იგი უნდა იყოს წინდახედული, შორსმჭვრეტელი, ასევე მსახურებსა და ქვეშევრდომებზე მეტად განსწავლული და განათლებული. ამ თვისებებისა და მახასიათებლების გარეშე, ავტორის აზრით, წარმოუდგენელია მეფის მიერ ნაკისრი მოვალეობების ჯეროვნად და პასუხისმგებლობით შესრულება. სწორედ ამიტომ, „ბუღდანელ დიდებულში“, უნაღვლო კაცის მძებნელ მეფეს სულხან-საბა ერთ-ერთი პერსონაჟის პირით შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„- თუცა ყმანი ჭკუათ მყოფნი გვეყანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე!“ (ორბელიანი, 1970:78).

„If thou hast wise subjects, give them thy throne and be their slave“ (Wardrop, 1894:61).

ამ შეგონების თარგმანში მთარგმნელს ზუსტად აქვს გადმოცემული ავტორის ნააზრევი. ადეკვატური შესიტყვება აქვს მოძებნილი სიტყვას „ყმა“, რომელიც ქართულში პატრონის ქვეშევრდომს ნიშნავს. შესაბამისად, „subject“-ის (ქვეშევრდომი, ხელქვეითი) გამოყენება ამ კონტექსტში სრულ შესაბამისობაშია დედანთან.

სულხან-საბა დაუნდობლად ამხელს უსამართლო მეფეებსა და სახელმწიფოს მმართველებს. არაკში „უსამართლო შირვან-შაჰი“ ავტორი კიცხავს ქვეყნის ამოხრებელ და უმოწყალო მეფეს, რომელსაც შემდეგნაირად აგვიწერს:

„შირვანს შაჰ იჯდა, ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მათხარი ქვეყანათა. სადაცა მოჩივარი, ანუ გლახაკი ნახის, წამსვე მოჰკლის. აოხრდა ყოველი სამეფო მისი“ (ორბელიანი, 1970:23).

„SHIRVAN SHAH ruled. He was such and unrighteous, pitiless ruiner of lands, that wherever he saw a suppliant or a beggar he slew them at once. All his kingdom was wasted“ (Wardrop, 1894:43).

მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ტექსტში შინაარსობრივი ინფორმაცია დაცულია და საერთო აზრი ადეკვატურად არის გადმოცემული ინგლისურ ენაზე,

მასში მაინც არ იგრძნობა ის ექსპრესიული და დინამიური თხრობის სტილი, რაც დედანში არაკის დასაწყისშივე თვალსაჩინო და საგრძნობია.

ენათა შორის არსებული სტრუქტურული და ენობრივი განსხვავებები ბუნებრივია, ყოველთვის არ იძლევა თარგმანში ზუსტი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულებისა და შესიტყვებების გამოყენების საშუალებას. ციტირებულ პასაჟში „SHIRVAN SHAH ruled“ (შირვან შაჰი მართავდა) ვერ ქმნის ისეთ დინამიკურ შესავალს არაკისთვის, როგორც საბასეული „შირვანს შაჰ იჯდა“, რაც ერთდროულად გულისხმობს სამეფო ტახტზე ჯდომას და მართვას. ვერც “wasted” (პირდაპირი მნიშვნელობით დაკარგვა/დასუსტება/გაფლანგვა) ჩაითვლება „აოხრდას“ საუკეთესო ეკვივალენტად, რომელიც არა მხოლოდ მატერიალურ ზიანს, არამედ ზოგადად ყოველგვარ ზიანს მოიცავს.

მეფეთა სიხარბეზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას არაკში „ხალიფა და არაბი“. ლეონის მიერ მონათხრობ არაკში ვკითხულობთ, რომ ერთმა არაბმა ბაღდადის ხალიფას უკანასკნელი სამი თხა დაუკლა. ხალიფამ მას წყალობა აღუთქვა, თუმცა არაბმა არაფერი სთხოვა, ხოლო ხალიფამ არაბს მოგვიანებით ნაპოვნნი განძის წართმევა დაუპირა. ამ ფაქტით შეწუხებული ვაზირი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ხალიფას: „ერთს გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგისტვის მიუცია და მასაც შენ ართმევო?“ (ორბელიანი, 1970:62).

ვაზირის ამ მიმართვაში ნათლად შეიგრძნობა ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება მეფეთა სიხარბის, გაუმადლობისა და მომხვეჭელობის მიმართ. სწორედ ამგვარი შეგონებით ცდილობს იგი, დააფიქროს მეფენი თავის საქციელზე და უფრო სამართლიან და კაცთმოყვარე მმართველებად აქციოს.

“A poor Arab had three kids; he killed them for thee. Though didst promise to reward him, but he did not ask anything. God gave unto him, and thou takest this away from him” (Wardrop, 1894:50).

ო. უორდროპს სათანადოდ აქვს გაანალიზებული ავტორის ნააზრევი და სწორედ ამიტომ, თარგმანიც დედნის ადეკვატურია.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სულხან-საბა მეფობას ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობად მიიჩნევს, თუმცა უფლისწული ჯუმბერის პირით მეფეს ატყობინებს „რა გინდ დიდებული და ძლიერი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი“ („მეხილე და მწყემსი“, ორბელიანი, 1970:93).

„However famous and mighty a king thou mayst be, thou art still earth & to earth thou shalt return“ (Wardrop, 1894:76).

მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სრული სიზუსტით აქვს ავტორის ეს შეგონება მიწოდებული ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. ფრაზა „მიწა ხარ და მიწად მიიქცევი“ თარგმანშიც დედნისეული ექსპრესიულობით გამოირჩევა.

ლ. მენაბდის მოსაზრებით, სულხან-საბა განათლებული აბსოლუტიზმის მქადაგებელია. მისი აზრით, მეფე აუცილებლად უნდა იყოს განათლებული, წინდახედული, შორსმჭვრეტი, გონიერი, თავაზიანი. მტრებისთვის თავზარდამცემი და ერთგულთა შემწე და მფარველი. კარგი მეფე კარგ მწყემსს უნდა ჰგავდეს (მენაბდე, 1953:87).

არაკში „სოფლის მაშენებლები“ სულხან-საბა ლეონ აღმზრდელის პირით აყალიბებს თავის მოსაზრებას სრულყოფილი და სამართლიანი მეფის შესახებ. მისი აზრით, მომავალი მეფე აუცილებლად უნდა იცნობდეს თავის ქვეშევრდომთა ყოფა-ცხოვრებას და ესმოდეს მათი ჭირ-ვარამი. ამავე არაკიდან ცხადი ხდება ჯუმბერის აღზრდისთვის გამოყენებული მეთოდის მართებულობა:

„აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუცა მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა ამოსს, ამოდ ატაროს, დაკოდელი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო

შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიჭირებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშვეს. არაკად თქმულა: მამლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო! თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალეზდა? იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?” (ორბელიანი, 1970: 52).

ეს მონაკვეთი საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგანაც მასში ნათლად არის წარმოჩენილი სულხან-საბასთავის ყველაზე მისაღები აღზრდის პრინციპი და დიდაქტიკური მოსაზრებები. ასევე, მწერლის მიერ შემეცნებული და თავისებურად ასახული სინამდვილე, რომელიც ნაწარმოების იდეურ-თემატურ მხარეში ვლინდება. ამდენად, ინგლისურენოვანი მკითხველის მიერ თხზულების დედააზრის და, კერძოდ, სულხან-საბას აღზრდის იდეების სათანადოდ აღქმა-გააზრებისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მათთვის მოცემული პასაჟის ადეკვატური თარგმანის მიწოდებას.

“Now I pray thy majesty to answer me: Is thy son to be a shepherded or a king? Many shepherds are better than bad kings. A shepherd ought to take care for his sheep; to lead them to the best pastures; to bind up their wounds and guard them from plunderers;



if he do not this, his flock will suffer. So also should it be with a ruler; to beggars, slaves, peasants, servants, nobles, princes, magnates, kings & emperors, he must know how to give law, order, work, occupation, trade, feasts, and gifts. If thy son had not stood so long on his feet, how could he have known anything about the toil of slaves, servants, and cup-bearers?

The king sits still; he can stand up or sit down whenever he likes; how can he understand their service? & how can he know what they patiently suffer for him every day by being kept standing? If he had not endured hunger, how could he know what it was? The poor and the weak starve, others have not enough food; he eats and drinks of the best, and knows not hunger. There is a proverb that says: "The well-fed man crumbled the hungry man's bread, and then accused him of eating in a swinish manner!" If he had not tried walking, how could he have understood the toil of falconers, runners and others? What sympathy could he have for them? He would have ridden a fine horse, a thoroughbred, or he would have been driven in a carriage. If he had not felt the pain of blows when he was angry with his slaves he would have ordered them to receive a hundred or two hundred strokes, and would have taught him to understand all the woes of the poor and weak, afterwards you shall see what else I shall teach him" (Wardrop, 1894: 41-43).

ციტირებული პასაჟის დასაწყისი ინგლისურ ენაზეც ექსპრესიულად ჟღერს. თუმცა, „სამწყსო შეუმცირდეს“ თარგმანში გადმოცემულია ფრაზით "his flock will suffer" - „მისი სამწყსო დაიტანჯება/ზიანი მიადგება“. ჩვენი აზრით, მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ვერსია არასწორია, ვინაიდან ავტორი ხაზს უსვამს რაოდენობრივ დანაკლისს, რაც თარგმანში უგულვებელყოფილია.

მოცემული პასაჟიდან ჩანს, რომ მთარგმნელი მეტ-ნაკლები სიზუსტით მიჰყვება დედანს, თუმცა დაზღვეული არ არის კუპიურებისგან და ზოგიერთ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ ცვლის შინაარსს, ან საერთოდ ტოვებს გარკვეულ მონაკვეთებსა და საკვანძო ფრაზებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თარგმანში დასაშვებია გარკვეული ელემენტების, მაგ: სიტყვის, წინადადების

გამოტოვება, თუკი ამით არ ირღვევა ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. მაგალითად, შემდეგი მონაკვეთის თარგმანში „რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს“ (“how could he have known anything about the toil of slaves, servants, and cup-bearers?”) მთარგმნელს გამოტოვებული აქვს ფრაზა „თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს“, სადაც ავტორის მიერ ხაზგასმულია, თუ რაოდენ რთულია ფეხზე მდგომთა საქმის შესრულება. შესაბამისად, დასახელებული ფრაზის გამოტოვება დიდი დანაკლისია თარგმანისთვის. აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, ო. უორდროპი სქოლიოში საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად გვთავაზობს „cup-bearers“-ის (მწდე, მერიქიფე) განმარტებას. „საქართველოში მსახურები დადიან და სტუმრებს ღვინოს უსხამენ თუ ძალიან ბევრი სტუმარი არ არის. დიდი წვეულების დროს, როგორცაა ქორწილი, ისინი მოძრაობენ იატაკზე ფეხმორთხმით მსხდომ სტუმრებს შორის არსებულ ხალიჩაზე“ (Wardrop, 1894:43). ამ განმარტებით, მთარგმნელი არა მხოლოდ „მწდეს“ მნიშვნელობას აცნობს ინგლისურენოვან მკითხველს, არამედ აწვდის გარკვეულ ინფორმაციას იმ პერიოდის საქართველოში არსებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

სულხან-საბა ცალკე გვიხატავს იდეალური ვაზირის სახეს, ვინაიდან ვაზირს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა და მეფის ხელისუფლების როგორც გაძლიერების, ისე დაკნინების საქმეში. ვაზირისთვის სავალდებულო თვისებებს სულხან-საბა გვამცნობს ცბიერი, მაგრამ ამავედროულად გონიერი და გამჭრიახი ვაზირის, რუქას პირით:

„-რად მიიღე წყევა ძესა ზედა მეფისასა? ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს;

მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს;

მესამე: პირიდან ავი სიტყვა არ წაიცთუნოს;

მეოთხე: სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს;

მეხუთე: რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს (ორბელიანი, 1970: 9).

“Why hast thou cursed the king’s son? A vizier ought to be prudent, calm, eloquent, for a courtier must have five qualities (i) he must speak agreeably; (ii) he must appease the angry, and not excite the wrath of the merry; (iii) he must not let fall an angry or wicked word; (iv) he must choose his time for saying anything; (v) he must have a care that his words be pleasing to all (Wardrop, 1894:7).

მოცემული პასაჟი ნათლად ასახავს ავტორის შეხედულებებს ვაზირთა მიმართ, რაც არაერთხელ გვხვდება თხზულების სხვადასხვა ნაწილში.

მთარგმნელი სწორად ჩასწვდა ავტორის მიერ ამ დებულებებისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას და თარგმანში სპეციალური ქვესათაურიც მიუძღვნა “Rules for courtiers” (წესები კარისკაცთათვის). ო. უორდროპის სასახელოდვე უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ ვაზირთათვის დადგენილი ხუთივე წესი აზრობრივად ზუსტად აქვს გადატანილი ინგლისურ ენაზე, თუმცა სულხან-საბასთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ლექსიკური ერთეული თარგმანში არ არის შესაბამისი მხატვრული დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეულით ან ფრაზით წარმოდგენილი. მაგალითად, „სიტყვა ტკბილი“ სულხან-საბასთვის ნიშნავს ერთდროულად ტკბილად და სასიამოვნოდ მოუბარს. მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული “agreeably” (სასიამოვნოდ, შესაფერისად) ამ შემთხვევაში მის ზუსტ ეკვივალენტად ვერ ჩაითვლება. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ლექსიკური ერთეულის “mellifluous”-ს გამოყენება, რომელსაც ერთდროულად გააჩნია „სიტყვატკბილსა და ტკბილხმოვანის“ ((of a sound) pleasingly smooth and musical to hear; a mellifluous voice or piece of music is smooth and gentle and very pleasant to listen to – Collins Dictionary) მნიშვნელობა.

ქვეყნის ბედ-იღბალზე დიდად შეწუხებული და სამშობლოზე შეყვარებული სულხან-საბა თავის თხზულებაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქვეყნის ერთიანობის იდეას. მისი აზრით, გარეშე მტერთან ბრძოლისა და

ქვეყნის გამთლიანების წინაპირობა ადამიანთა ერთობაა. სწორედ ამ აზრს ავითარებს იგი არაკუში „ძალა ერთობისა“:

„მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა:

- თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გაგტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“ (ორბელიანი, 1970:87).

ამ პასაჟში კიდევ ერთხელ ვლინდება სულხან-საბას აზროვნებისა და მსოფლმხედველობის უნიკალურობა. მისი თითოეული ფრაზა დატვირთულია დიდაქტიკური შეგონებით.

„Here was once a famous king who had thirty sons. When the time of his death came near, he had thirty arrows brought, bound them together and then tried to break them, but could not; then he took them one by one and broke them all, saying to his children: “If you stay together and dwell in concord, the foe cannot destroy you, as I was unable just now to break the arrows bound together; but if you separate, the enemy will ruin you and your kin one by one. If unity and love be among you, you shall overcome the enemy and rule unshaken; if you are disobedient one to another, your destruction is inevitable” (Wardrop, 1894:68).

ინგლისურ ვერსიაში პასაჟის პირველი აბზაცის თარგმანი აზრობრივად შესაბამისობაშია დედანთან. გარდა ამისა, თარგმანში იგრძნობა ავტორისეული დამრიგებლური თხრობის სტილიც. მეორე აბზაცში, აზრი გადმოცემულია გავრცობილი ფორმით, რაც იწვევს თარგმანში თხრობის შენელებას. ამავე ნაწილში ვხვდებით ინეტროპოლაციას: “If unity and love be among you, you shall overcome the enemy and rule unshaken; if you are disobedient one to another, your destruction is inevitable” – „თუ თქვენს შორის ერთიანობა და სიყვარული იქნება,

შეძლებთ მტრის დამარცხებასა და მტკიცედ მართვას; ერთმანეთთან ურჩობის/ქიშპობის შემთხვევაში კი თქვენი განადგურება გარდაუვალია“. ცხადია, ო. უორდროპი თავისუფლად და, ამავდროულად, სუბიექტურად უდგება ციტირებული პასაჟის თარგმანს. იგი საკუთარ შემოქმედებით ფანტაზიას აძლევს გასაქანს და ამ ინტერპოლაციის მეშვეობით ცდილობს ორიგინალში არსებული აზრის განვრცობასა და მისთვის უფრო მეტი ექსპრესიულობის მინიჭებას. მთარგმნელს, ამ შემთხვევაში, ეხმარება საკუთარი კრეატიულობა, რომელსაც იგი გარკვეული სტილის ფარგლებში აყალიბებს, წყარო ტექსტში არსებული სტერეოტიპების სამიზნე ტექსტში გადმოტანისა და თხრობის მანერის შენარჩუნების მიზნით. ამავე ნაწილში ვხვდებით კუპიურას. მთარგმნელს საერთოდ გამოტოვებული აქვს ფრაზა „თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია და დიდი დანაკარგია ამ კონკრეტული არაკისთვის, ვინაიდან მასში ნათლად ჩანს ავტორის მთავარი სათქმელი, რომ ერთიანობის არარსებობა დამღუპველია, როგორც თითოეული ადამიანის, ასევე მთელი სახელმწიფოსთვის. აქვე ყურადღებას იპყრობს თავად არაკის სათაურის თარგმანიც: “The king’s counsel to his thirty sons” (სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, „მეფის მიერ თავისი ოცდაათი ვაჟისთვის მიცემული რჩევა“). უდავოა, რომ მთარგმნელმა სათაური არაკის შინაარსიდან გამომდინარე შეარჩია, თუმცა, აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი საყურადღებო ნიუანსი: ავტორმა სათაურშივე - „ძალა ერთობისა“ - ჩააქსოვა არაკის დედააზრი, დიდაქტიკური შეგონება. ეს უზრუნველყოფს მკითხველში შესაბამისი მოლოდინისა და განწყობის შექმნას, რასაც ვერ ვიტყვით თარგმანში შემოთავაზებულ სათაურზე, რომელიც საკმაოდ ტრივიალურად ჟღერს და ვერ იქნება მიჩნეული დედნის ეკვივალენტად.

მხატვრული ნაწარმოების თარგმნა საკმაოდ რთული პროცესია და გარკვეული დანაკლისის გარეშე თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, თარგმანის შეფასება–ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ ინგლისური ენის ენობრივი სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავდება ქართული ენის ენობრივი სტრუქტურისგან და შესაბამისად ვერ გადმოგვცემს ორიგინალის

მხატვრული სისტემის ყველა ელემენტს. თარგმნილ ტექსტებში არცთუ იშვიათია ე.წ. კუპიურები და ინტერპოლაციები. თუმცა, თარგმანში მაინც მიუღებელია მთარგმნელის მხრიდან უხეში ჩარევა და უაღრესად თავისუფალი მიდგომა, რაც იწვევს ორიგინალში არსებული აზრის დამახინჯებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არაკი „ბრძენი მკურნალი“. დასნეულებული ექიმის სამკურნალოდ მისული ექიმი ინტერესდება, თუ რატომ არ ამკურნალებინა სნეულმა ამ უკანასკნელის სამკურნალოდ მისულ სხვა ექიმებს:

„- რად სხვათ არ აწამლებინე-მეთქი? მან მითხრა:

- ყველა გამოვსცადე და სიბრძნე არც ერთსა ჰქონდა, და უსიბრძნო აქიმი სამსალას მშობელია“ (ორბელიანი, 1970:181).

“I asked him: Why wouldst thou not suffer the older surgeons to treat thee? He answered: I tested them all, but found skill in none of them, and an ignorant surgeon produces poison; ignorant surgeons & priests are worse than worthless” (Wardrop, 1894:144).

ციტირებული მონაკვეთის არსი და მიზანია მკითხველს ამცნოს, რომ გამოუცდელი და სიბრძნის არმქონე ექიმი ზიანის მომტანია და მისმა მკურნალობამ შესაძლოა საწამლაკვივით იმოქმედოს სნეულზე. დასახელებული დიალოგის თარგმნისას მთარგმნელი სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს. თარგმანში ვხვდებით ინტერპოლაციას “ignorant surgeons & priests are worse than worthless” – „უმეცარი დასტაქრები (ქირურგები) და მღვდლები უხეიროებზე უარესი არიან“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხატვრულ თარგმანში ზოგჯერ მთარგმნელი იძულებული ხდება, გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და შესაბამისად, სამიზნე ტექსტში მივიღოთ ჩამატებული ლექსიკური ერთეულები ან ფრაზები. სამწუხაროდ, წარმოდგენილი ინტერპოლაცია აბსოლუტურად დაცილებულია დედანში არსებულ კონტექსტს, ვინაიდან წყარო ტექსტში საუბარია მხოლოდ ხორციელ მკურნალ ექიმზე და შეფარვითაც კი არ არის ნაგულისხმევი სამღვდელოება. შესაბამისად, გაუგებარია, რა მიზეზით მოხდა მთარგმნელის მიერ ლექსიკური ერთეულის - „მღვდლები“ გამოყენება, რაც ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელი და მიუღებელია.

სულხან-საბას პედაგოგიურ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პიროვნების გონებრივ აღზრდას, რომელიც წარმოადგენს აღზრდის სხვა სახეების გვირგვინს. სულხან-საბას ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფილოსოფიას, თეოლოგიას, რიტორიკას, ლოგიკას, გრამატიკას, მათემატიკას, ასტრონომიას, უცხო ენებს და სხვა საგნებს. ლეონს გააჩნია ცხოვრებისეული გამოცდილება, ისევე, როგორც პრაქტიკული ცოდნა და სწორედ საკუთარი მსოფლმხედველობის მიხედვით წარმართავს ჯუმბერის სწავლა-განათლების პროცესს, რაც მისი ყოველმხრივ განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბების საწინდარია. ჯუმბერმა კარგად იცის გეოგრაფია, არითმეტიკა, იცნობს სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა ყოფა-ცხოვრებას, ასევე სასახლის კარის ეტიკეტს, მაგრამ სავალდებულოდ არ მიაჩნია მისი უპირობოდ შესრულება და საკუთარი შეხედულებისამებრ იქცევა (ლორთქიფანიძე, 1960:53-54).

საკუთარი აზრებისა და მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად სულხან-საბა თხზულებაში ხშირად იყენებს დიალოგებსაც. ცნობილია, რომ „სოკრატულ დიალოგებთან“ ერთად არსებობდა სქოლასტიკური და რენესანსული დიალოგები. „სოკრატული დიალოგი“, ახალი ცოდნის, ახალი ჭეშმარიტების დადგენისკენ მიისწრაფოდა. სქოლასტიკური დიალოგი, გამოკვეთილი დიდაქტიკური ორიენტაციით, იყო სადისკუსიო ტექნიკის სკოლა, რომელიც სასურველი საზრისის დამაჯერებელი სახით წარმოდგენას ასწავლიდა. რაც შეეხება რენესანსულ დიალოგს, იგი „ურთიერთობის კულტურის“, „საკუთარი“ და „სხვისი“ შეხედულებების თანაარსებობის ნიმუშებს იძლეოდა. სულხან-საბას „დიალოგებისათვის“ უცხოა ახალი ჭეშმარიტების სოკრატული ძიება. იგი ახლოსაა სქოლასტიკურ დიალოგთან მზა თვალსაზრისების დაპირისპირებით, მაგრამ თავისუფალია სქოლასტიკური აზროვნების ავტორიტარიზმისგან. სულხან-საბას ე.წ. დიალოგები განსხვავებულ შეხედულებათა თანაარსებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. კამათის პროცესში არ ხდება რომელიმე ერთი საზრისის მოხსნა, გაუქმება მეორის სასარგებლოდ. ამ შტრიხით ეს „დიალოგები“ ჩამოჰგავს რენესანსულ დიალოგს, სადაც კამათის მიუხედავად, გატარებულია განსხვავებულ პოზიციათა თანაარსებობის პრინციპი (დოიაშვილი, 2009:73).

„სიბრძნე სიცრუისაში“ დიალოგებს შესაბამისი მხატვრული ფუნქცია აკისრიათ, ისინი მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავს და მკითხველს სიტუაციის აღქმას უადვილებს. ენათშორისი კომუნიკაციის დროს, შინაარსობრივი ინფორმაციის თარგმანში ადეკვატური ტრანსფორმაციის კუთხით, საინტერესოა მეფესა და ჯუმბერს შორის გამართული დიალოგი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ჯუმბერი პირველად უნდა წარსდგეს მეფის წინაშე და გამოავლინოს მიღებული ცოდნა:

„- სიცოცხლო გულისა ჩემისაო და ნათელო თვალთა ჩემთაო, ხელარგნოსანი გაახელ, რად არ მოხველ?

ჯუმბერ მოახსენა:

- შეცოდება არა მქონდა. რქვა მეფემან:

- დარბაზთუხუცესი გამოგიგზავნე, რად არ მოხველ? ჯუმბერ მოახსენა:

- არა მონათაგანი ვიყავ, ჩემზე ხელი არა უცს. რქვა მეფემან:

- მესტუმრეთუხუცესს რად არ მოჰყევ? ჩემი უდიდესი თავადი არის. ჯუმბერ მოახსენა:

- მასპინძელი ვინლა იყო, თუცა მე მესტუმრეს შევდგომოდი? რქვა მეფემან:

- ჩემს ვაზირს რად აღარ მოჰყევ? ჯუმბერ მოახსენა:

- ნუთუ მეფობასა ვსცდილობდე?! ღმერთმან ნუ ჰყოს! ვაზირი მეფესთან ხამს. რქვა მეფემან:

- მოლარეს რაღად მოჰყევ, უგვანსა მოხელესა და ცუდსა ჭაბუკსა? ჯუმბერ მოახსენა:

- სხვათა თანა ეგე უგვანია და არც მიივლინება, თვარამ ჩემთან მოლარის მოგზავნა ხამს: მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი, შენი ლარი (ორბელიანი, 1970:93).

მითითებული დიალოგი სრულად არის გადატანილი თარგმანში:



“O life of my heart and light of mine eyes! I sent the mace bearer to thee, wherefore camest thou not?” Djumber replied: “I was not conscious of having committed any crime”. The king said: “I sent thee the chief of the household, wherefore camest thou not?” Djumber replied: “I am not one of thy slaves, so he had no power over me”. The king said to him: “Why didst thou not come with the master of the ceremonies? He is my chief noble”. Djumber answered him: “Who then would play the part of host, if I were to follow the receiver of guests?” The king said: “Why didst thou not come with my vizier?” Djumber said: “Surely I am not seeking to seize the throne! God forbid! The vizier’s place is by the side of the king.” The king said: “ Why then didst thou come with the treasurer, a worthless official and a youth of bad character?” Djumber said: “ He would be of no use to send to others, but to me it is most fitting to send the treasurer: I am thy treasure, thy great hoard, thy wealth!”(Wardrop, 1894:74-75).

დიალოგის პირველი წინადადება ინგლისურ ენაზეც ისეთი შთამბეჭდავი და ექსპრესიულია როგორც დედანში. თუმცა, ციტირებული დიალოგის თარგმანი დაზღვეული არ არის შინაარსობრივი უზუსტობებისგან. მაგალითად: „შეცოდება არა მქონდა“ ო. უორდროპის თარგმნილი აქვს, როგორც “I was not conscious of having committed any crime” – „არ ვიცოდი თუ რაიმე დანაშაული მქონდა ჩადენილი“. რაც არასწორია, ვინაიდან ჯუმბერი აცხადებს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში იკარგება ავტორისთვის დამახასიათებელი ლაკონურობა, მაინც დასაფასებელია მთარგმნელის მცდელობა ეკვივალენტური ლექსიკური ერთეულების მოძიების კუთხით. მაგალითად, მისაღებია „მესტუმრეს“ („სტუმართა მოურავი“ მოციქულთა, სტუმართა და მეძღვნეთა დახვედრა-მიღების თადარიგის დამჭერი მოხელე ძველ საქართველოში; [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=14&id\\_srch=70bd145c507b2596cbf25c9003417cd0&il=en&p=1&visualtheme=gw\\_brand](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=14&id_srch=70bd145c507b2596cbf25c9003417cd0&il=en&p=1&visualtheme=gw_brand)) და „მესტუმრეთუხუცესის“ (მესტუმრეთა უფროსი) შესატყვისად “receiver of guests” - „სტუმრების მიმღები“ და “master of the ceremonies” - ცერემონიების უფროსი გამოყენება. ცხადია, მთარგმნელის მიერ შერჩეული ფრაზები ორიგინალში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების ზუსტი ანალოგები არ არის, მაგრამ აზრობრივად ახლოსაა დედნის

შინაარსთან. გამართლებულია მთარგმნელის მიერ „ცუდსა ჭაბუკსას“ შესატყვისად ფრაზის - “youth of bad character” (ცუდი რეპუტაციის მქონე) გამოყენება, რადგანაც არ იცვლება ამ უკანასკნელის კონოტაციური მნიშვნელობა. აქვე, უნდა ითქვას, რომ დედნისეული ემოცია და ემფატიკა იგრძნობა და ეკვივალენტურად არის წარმოდგენილი თარგმანში დიალოგის ბოლო ფრაზა:

„მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი, შენი ლარი“

„I am thy treasure, thy great hoard, thy wealth“.

თარგმანში დინამიური თხრობის სტილის შესანარჩუნებლად ო. უორდროპი, დედანში გამოყენებულ ალიტერაციის ხერხს იყენებს: thy... thy... thy და წარმატებით აღწევს სასურველ მიზანს. ჯუმბერის ტონი და მეტყველება ისეთივე ამაღელვებელი და ექსპრესიულია თარგმანში, როგორც დედანში და შესაბამის ასოციაციას იწვევს მკითხველში. აქვე გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ერთ დეტალზე: თარგმანში „ლარი“-ს შესატყვისად შემოთავაზებულია ლექსიკური ერთეული “wealth” (სიმდიდრე), რაც ჩვენი აზრით, სავსებით მისაღებია, ვინაიდან „ლარი“ ძველ ქართულში სწორედ განძსა და სიმდიდრეს ნიშნავდა.

დიალოგის მსვლელობისას მეფე ფინეხის მიერ ჯუმბერისთვის დასმულ კითხვებში ერთდროულად იგრძნობა განცვიფრება და სიამოვნება. ამ დროს საუბარში ერთვება ვაზირი და ახლა მათ შორის იმართება დიალოგი:

„მოეწონა მეფესა სიტყვა ესე. ჰკითხა ვაზირმან ჯუმბერს:

- რად შესჯეგ სპილოსა ზედა და მოხვედ მით? ჯუმბერ უთხრა:

- დიდებისათვის, რომე მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე ზედა უნდა ჯდეს“.

ვაზირსა და ჯუმბერს შორის გამართული დიალოგი თარგმანშიც გადადის:

“The king was pleased with this speech. The vizier asked Djumber: “Why didst thou come hither riding on an elephant?” Djumber replied: “For majesty’s sake; because magnates and men of royal race should sit in a lofty seat” (Wardrop, 1894:75).

წარმოდგენილი დიალოგი საკმაოდ მრავლისმთქმელია. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბერმა ლეონის მიერ ჩატარებული წვრთნების შედეგად შეისწავლა და გააცნობიერა ყველა სოციალური ფენის ყოფა-ცხოვრება და ჭირ-ვარამი, ციტირებულ დილოგში ნათლად ჩანს, რომ იგი მაინც ხაზს უსვამს საკუთარ წარმომავლობას და მეფეთა უპირატესობას საზოგადოების სხვა ფენებისა და კლასების წინაშე. თარგმანიც დედნის შინაარსის ეკვივალენტურია, როგორც აზრობრივი ისე ექსპრესიული კუთხით და ადეკვატურად ასახავს ჯუმბერის დამოკიდებულებას საკუთარი კლასის მიმართ.

დასახელებულ არაკში, „მეხილე და მწყემსი“, ყურადღებას იპყრობს სიტყვის „ფული“ თარგმანი.

„რა მეხილესთან კაცი მივიდის და ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შეჭამის“ (ორბელიანი, 1970:93).

თარგმანში ვკითხულობთ:

“There was a custom that anyone might go to a fruit seller and, on payment of two phulis eat as many khurmas as he liked” (Wardrop, 1894:73).

როგორც ვხედავთ „ორი ფულის“ შესატყვისად მთარგმნელი გვთავაზობს “two phulis”. ჩვენი აზრით, ეს სავსებით არასწორია, ვინაიდან მთარგმნელის მიერ ტრანსლიტერაციის მეთოდის გამოყენებით გადატანილი “phulis”, ყოველგვარი განმარტების გარეშე, სრულიად გაუგებარი იქნება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. მართებული იქნებოდა განმარტების მიწოდება სქოლიოში, ან ეკვივალენტური ლექსიკური ერთეულის მოძიება. მთარგმნელს, ასევე ტრანსლიტერაციის მეთოდით გადააქვს თარგმანში სიტყვა „ხურმა“ – “Khurma”, თუმცა, ამ შემთხვევაში, სქოლიოში გვთავაზობს სიტყვის საკმაოდ ვრცელ და ამომწურავ განმარტებას. კერძოდ, სქოლიოში ვკითხულობთ, რომ „ხურმა

(Diospyros Lotus) არის ტკბილი ნაყოფის (ხილის) მომცემი მცენარე, რომელიც გაშრობისას შავ ფერს იღებს. ეს მცენარე ხარობს დასავლეთ საქართველოს ვენახებში და აუმჯობესებს მასზე შემოხვეული ვაზის ხარისხს“ (Wardrop, 1894:73).

მთარგმნელი ასევე ცდილობს, დედანში არსებული ქარაგმული და ირონიული გამონათქვამების ადეკვატურ ტრანსფორმაციას თარგმანში. ამის ნათელი დასტურია მეხილესა და მწყემსს შორის გამართული დიალოგის ინგლისური ვერსია:

„მეხილემ უთხრა: ძმაო, ბევრს ნუ სჭამ, გულს დაგწვავსო.

მწყემსმან უთხრა: შენ ნუ იურვი, ვისცა გული დაეწვის, მე ვიციო!“ (ორბელიანი, 1970:93).

“The vendor said to him: “Brother, if you eat so much you will have heartburn.

The shepherded replied: “Don’t worry about me, I know who will have heartburn over this transaction!” (Wardrop, 1894:74).

წარმოდგენილ დიალოგში ცოცხლად და მხატვრულად არის დახატული მყიდველ-გამყიდველის ურთიერთობა და მათი ზრახვები. დედნისეული ემოცია და მუხტი იგრძნობა თარგმანშიც. ო. უორდროპის მიერ ჩამატებული ლექსიკური ერთეული “transaction” – „გარიგება“, მოცემულ შემთხვევაში არ არღვევს დედნის შინაარსს. მთარგმნელი სათანადო ყურადღებას აქცევს ფრაზებს „გულს დაგწვავსო“ და „გული დაეწვის“ და ორივე შემთხვევაში, მათ შესატყვისად იყენებს პოლისემანტური მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულს “heartburn”, თუმცა სქოლიოშივე ურთავს განმარტებას, რომ „გული (Guli) ნიშნავს გულსაც და მუცელსაც და აცხადებს, რომ ეს სიტყვების თამაშია“.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, „სიბრძნე სიცრუისა“ გამოირჩევა თავისი სატირულ-იუმორისტული ელფერით. მწერალი აკრიტიკებს ხარბ და ბოროტ ადამიანებს და ირონიულად მოიხსენიებს მათ. არაკში „ხარბი გლახაკი“ მხატვრული ოსტატობით გვიხატავს, როგორ მოინდომა ერთმა გლახაკმა სიზმარში გამდიდრება, თუმცა, მისთვის სიზმარშიც კი რთული აღმოჩნდა სიხარბისთვის თავის დაღწევა.

„გლახაკი ვინმე იყო უპოვარი ყოვლისაგან ნივთისა. ეზმანა მას: სამოცი ცხოვარი ჰყვა და ენება განსყიდვა. მოვიდა კაცი ერთი და მოსცა თითოსათვის ხუთ-ხუთი კირმანული. ცხოვარისა პატრონმან ექვს-ექვსი სთხოვა. შეცილებასა ზედა გაელვიდა კაცსა მას და სინანული იწყო. თვალნი ეგრეთვე დაიხუჭნა და ხელი მიუღო ვაჭარსა: ოროლი კირმანული მომეც, მოგცემო!“

ავტორი აკრიტიკებს ხარბი ადამიანის ბუნებას და ირონიულად აცხადებს „ანუ ვინღა მისცემდა ვერცხლსა, ანუ ვისღა მიჰყიდდა“ (ორბელიანი, 1970:15).

წარმოდგენილ პასაჟში იგრძნობა ავტორის ნეგატიური დამოკიდებულება ხარბი და მეოცნებე ადამიანებისადმი. სულხან-საბას აზრით, სიხარბე მიუღებელია და მას გამართლება არ აქვს.

ციტირებული პასაჟი სრულად არის გადატანილი თარგმანში და შინაარსის მიხედვით ინვარიანტულია:

“There was once a beggar who had nothing in the world. He dreamed he had sixty sheep and wished to sell them. There came to him a man and offered five kelmanuries for each sheep; but he asked six. While they were still haggling, the beggar awoke, and was sorry. So he shut his eyes again, and stretched out his hand to the buyer, saying: “Give me but two kirmaneulis and I will let thee have the sheep!”

But who was there to give him the money, or to whom he will sell the sheep?”  
(Wardrop, 1894:10).

აზრობრივად თარგმანი ზედმიწევნით მიჰყვება დედანს. ჩანს, რომ მთარგმნელს შესანიშნავად აქვს გააზრებული ციტირებული პასაჟის თემა, მიზანი და ავტორის მთავარი სათქმელი. მისასაღმებელია მთარგმნელის მიერ „შეცილების“ შესატყვისად ლექსიკური ერთეულის “haggling” გამოყენება, რაც გულისხმობს ფასის ან პირობების თაობაზე გამართულ კამათს და შესაბამისად, ხელს უწყობს თხრობის სტილის დინამიურობის შენარჩუნებას. ასევე მისაღებია პასაჟის ბოლო ნაწილში „ვერცხლის“ შესატყვისად სიტყვის „money“ (ფული) გამოყენება, რადგან „ვერცხლი“ გამოყენებულია ფულის ან ანგარიშსწორების

საშუალების მნიშვნელობით და შესაბამისად, არ არღვევს დედანში მოცემულ აზრს.

თუმცა, ამავე პასაჟში იკვეთება საკუთარი სახელის გადატანასთან დაკავშირებული პრობლემა. ფულის ერთეულის აღმნიშვნელი სახელწოდება „კირმანული“ თარგმანში ერთ შემთხვევაში გადატანილია, როგორც „kelmanuries“, მეორე შემთხვევაში „kirmaneuli“. ჩვენი აზრით, სწორია ინგლისურ ენაზე ტრანსლიტერაციის მეთოდით გადატანილი “kirmaneuli”, ვინაიდან მასში შენარჩუნებულია დედნისეული ჟღერადობა.

წარმოდგენილი პასაჟის ერთ-ერთი მიზანია, ასევე გლახაკი კაცის სინანულის წარმოჩენა საკუთარი სიხარბის გამო, რაც მან გამოფხიზლებისთანავე შეიგრძნო. მთარგმნელს სინანულის გამოსახატავად გამოყენებული აქვს ნეიტრალური და ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული „sorry“. ჩვენი აზრით, გლახაკის სინანულის სიმძაფრის გადმოსაცემად უკეთესი იქნებოდა სიტყვის “regret” გამოყენება. ასევე საყურადღებო დეტალია, როდესაც გლახაკი გამოფხიზლდება და ხედავს, რომ ეს ყველაფერი რეალობას არის მოწყვეტილი და მხოლოდ სიზმარია. ავტორი საკმაოდ ცოცხლად, ექსპრესიულად და ირონიულად გვიხატავს მის შემდგომ ქმედებას „თვალნი ეგრეთვე დაიხუჭნა“. წარმოდგენილ მაგალითში „ეგრეთვე“ გამოხატავს გლახაკის მყისიერ მოქმედებას და შინაგან მღელვარებას, რომელმაც ელვის უსწრაფესად გააცნობიერა საკუთარი შეცდომა და ეცადა მის გამოსწორებას. ამიტომ, დედანში არსებული დინამიკური მუხტის შენარჩუნების მიზნით, ჩვენი აზრით, მართებული იქნებოდა სიტყვის “instantly” (მყისიერად, დაუყოვნებლივ) გამოყენება, ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულის “again”-ის (კვლავ) ნაცვლად.

დასახელებული არაკის ინგლისური თარგმანი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ოლივერ უორდროპი სქოლიოში აკეთებს განმარტებას ანალოგიური ამბის არსებობის თაობაზე, რომლის მთავარი გმირია ცნობილი პერსონაჟი მოლა ნასრედინი. მთარგმნელი აქვე დასძენს, რომ 1892-1893 წლებში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ზღაპრების ორი კრებული მოლას შესახებ.

„სიბრძნე სიცრუისა“ უნიკალური ძეგლია მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია არცერთი სოციალური ფენის ყოფა-ცხოვრება. სულხან-საბა ყურადღებას ამახვილებს ჩინოვნიკთა თავგასულობასა და უმსგავსო ქმედებებზე. არაკში „მაოხრებელი მკვდარი“ მთელი სიმძაფრითა და ოსტატობით აგვიწერს სოფლის ავი და ბოროტი გზირის საქმიანობას, რომელიც თავისი ქცევით დიდ ტანჯვასა და ზიანს აყენებს მოსახლეობას:

„კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულიად ააოხრა. მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვერცხლი წაართმევინის“ (ორბელიანი, 1970:91).

“In the country of Clarjethi there lived in a village a certain tithing man (gziri), an irascible fellow, and enemy to the village; he oppressed the inhabitants and despoiled them. He used to trump up some charge against them, denounce them to the Tatars (i.e. Turks), & have heavy exactions taken from them” (Wardrop, 1894:71-72).

დედანში მოცემული „თემი“ თარგმანში გადატანილია სიტყვით “country”, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, ვინაიდან “country”-ის ძირითადი მნიშვნელობაა „ქვეყანა, სოფელი“. მაშინ, როდესაც სიტყვას „თემი“ ციტირებულ პასაჟში გააჩნია ქვეყნის ნაწილის, კუთხის, ადმინისტრაციული ერთეულის და არა ქვეყნის ან სოფლის მნიშვნელობა. ამ უზუსტობის მიუხედავად, მთლიანი არაკის თარგმანში იგრძნობა მთარგმნელის პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება დედნის მიმართ. არაკის მთავარი მოქმედი პირი „გზირი“ ინგლისურ ვერსიაში წარმოდგენილია ფრაზით “tithing man” - საეკლესიო ბეგარის ამკრეფი, რაც ეკვივალენტურ ლექსიკურ შესიტყვებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ძველ ქართულში სიტყვა „გზირი“ ნიშნავდა სოფლის მოხელეს, მამასახლისის ხელქვეითსა და მის განკარგულებათა

შემსრულებელს

(<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=29&t=339>). მთარგმნელი ამით არ კმაყოფილდება და ინგლისურ ვერსიაში ტრანსლიტერაციის მეთოდის გამოყენებითაც გადააქვს სიტყვა „გზირი“ – “gziri”. აქედან გამომდინარე, სავსებით

გამართლებულია მთარგმნელის მიერ დასახელებული ფრაზის გამოყენება. ზოგიერთ შემთხვევაში, მთარგმნელი საკუთარ ფანტაზიასაც აძლევს გასაქანს და თავისუფლად უდგება სათარგმნ ტექსტს. მაგალითად, „მოიგონის მიზეზი,“ თარგმნილი აქვს შემდეგი ფორმით “He used to trump up some charge against them” - „იგონებდა ხოლმე მათთვის დასაკისრებელ გადასახადებს“. მოცემულ მაგალითში მთარგმნელის მიერ ჩამატებული ინტერპოლაციის მიუხედავად, თავად „დასაკისრებელ გადასახადებს“, მაინც ადეკვატურ თარგმანად შეიძლება იქნეს მიჩნეული აზრობრივი კუთხით, ვინაიდან არ არღვევს მთლიანი არაკის შინაარსს, რადგანაც „მიზეზში“ ავტორის მიერ ნაგულისხმევია გადასახადების დაკისრება და მოსახლეობისგან ხარკის მიღება. დედანში მოცემული „ვერცხლი“ თარგმანში გადადის ზოგადი მნიშვნელობის სიტყვით “exactions”- „გადასახადები/მოსაკრებლები“. აქ საყურადღებოა გადასახადთან დაკავშირებული მცირედი უზუსტობა. კერძოდ, დედანში დასახელებული „ვერცხლი“ გამოყენებულია კონკრეტულად ფულის მნიშვნელობით და მიუთითებს, რომ სოფლელებისთვის მოხდებოდა ფულის წართმევა, ხოლო მთარგმნელის მიერ გამოყენებული “exactions” გულისხმობს ზოგადად ყველანაირ სახდელს. თარგმანის დროს საჭიროა, მაქსიმალური ყურადღება მიექცეს როგორც სიტყვის მნიშვნელობას, ისე იმ კონტექსტს, სადაც ხდება მისი მნიშვნელობის რეალიზაცია. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა მაშინ, როცა სიტყვა ქარაგმული მნიშვნელობით არის ნახმარი და ამის საფუძველზე იქმნება გარკვეული ასოციაცია.

დასახელებულ არაკში ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი ვერაგი და ცბიერი ადამიანის ბუნება. ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ ამგვარი ადამიანის შეცვლა შეუძლებელია და მას სიკვდილის შემდეგაც კი შეუძლია ზიანის მიყენება სხვებისთვის. ამის ნათელი მაგალითია გზირის უკანასკნელი თხოვნა სოფლელების მიმართ:

„- მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია, და რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ!“



ციტირებული პასაჟი გადადის ინგლისურ ვერსიაშიც.

“I have done you much harm, & since you have not been able to take your revenge on me during my life, I adjure you in God’s name that when I am dead you put a rope round my neck, drag me out, and hang me on the tree”.

თარგმანი ამ შემთხვევაში აზრობრივად სრულად შეესაბამება დედანს.

ამის მნახველმა თათრებმა სოფელი ააწიოკეს და დაარბიეს. წარმოდგენილი არაკით სულხან-საბა ცდილობს მკითხველს დააანახოს, რომ მზაკვარი, ზნედაცემული და დაუნდობელი ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია და გამწარებული სოფლელების პირით აცხადებს „ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!“

„In his life he pillaged us, but after his death he ruined us!“

დასახელებული სენტენციის თარგმანში, ინგლისური ენის სტრუქტურისგან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ავტორისთვის დამახასიათებელი ლაკონურობის შენარჩუნება, რაც სტილისტური თვალსაზრისით გარკვეული დანაკარგია, თუმცა მთარგმნელი ზუსტად ჩასწვდა დასახელებულ მონაკვეთში ავტორის მიერ იმპროვიზირებულ ქვეტექსტს. კერძოდ, ლექსიკური ერთეული „მოგვთხარა“ ავტორს გამოყენებული აქვს გადატანითი მნიშვნელობით და მასში იგულისხმება სოფლელების აწიოკება, მათთვის ხარკის დაკისრება და ნადავლის წართმევა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მთარგმნელის მიერ გამოყენებული სიტყვა “pillaged” (მარცვა-გლეჯა; ნადავლის მოპოვება) დედანში არსებული ლექსიკური ერთეულის ადეკვატურია.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ოლივერ უორდროპი უმეტეს არაკებთან მიმართებაში არ იცავს ავტორისეულ დასათაურებას. ზოგიერთ შემთხვევაში მისი მიდგომა მისაღებია და ზიანს არ აყენებს არაკის სტილისტურ და შინაარსობრივ მხარეს, რასაც ვერ ვიტყვით ზემოაღნიშნული არაკის სათაურთან მიმართებაში. ავტორის მიერ დასახელებული არაკისთვის შერჩეული სათაური „მაოხრებელი მკვდარი“ თავისთავად იდუმალეობით მოცულია, მასში

იგრძნობა სულხან-საბას სტილი, კერძოდ, ლაკონური აფორისტული გამოთქმით მკითხველის მყისიერი დაინტერესება და მასში სხვადასხვაგვარი მოლოდინებისა და შეგრძნებების აღძვრა. ო.უორდროპის მიერ შემოთავაზებული სათაური “The tithing man of Clarjeti” (კლარჯეთელი საეკლესიო ბეგარის ამკრეფი) ცხადია, მნიშვნელოვანი დანაკარგია თარგმანში და ვერ ჩაითვლება დედნისეული სათაურის ტოლფასოვან მხატვრულ ეკვივალენტად.

მხატვრულ ნაწარმოებში ავტორის მიზანს წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის ახალი კუთხით ჩვენება. შესაბამისად, თემის შერჩევის შემდეგ მწერალი მაქსიმალურად ცდილობს ამ თემის საკუთარი მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური შეხედულებების გათვალისწინებით წარმოჩენას. „სიბრძნე სიცრუისაში“ სულხან-საბა გვთავაზობს აღზრდის განსხვავებულ მეთოდს, რისთვისაც წამყვან როლს აკისრებს მასწავლებელს. მისი აზრით, აღზრდა-განათლების საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებელზე, რომლის პედაგოგიური მეთოდიც გამიზნულია ყველა სასურველი და აუცილებელი თვისებით შემკული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ავტორი თხზულებაში ერთნაირ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდას. ლეონის მიერ ჩატარებული წვრთნების შედეგად ჯუმბერი ყალიბდება ფიზიკურად ძლიერ, განათლებულ და სათანადო ზნეობის მქონე პიროვნებად. აღმზრდელი ლეონის შრომას სათანადოდ აფასებს თავად უფლისწული:

„გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია, თუ მხედრისა?

შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე - შენგან, და წვრთილობა - ლეონისაგან“ (ორბელიანი, 1970:143).

“If the mason has builded the house well, whose is the credit, the builder’s or the building’s? If the rider has trained the horse well, is the steed or the horsemen to be

praised? I am a part of thy substance, and the pupil of Leon. All that is good in me is not mine: my physical nature I owe to thee; my education to Leon.” (Wardrop, 1894: 114).

უფლისწულ ჯუმბერის მსჯელობა ლეონის დამსახურებისა და ღვაწლის შესახებ სრულად გადადის თარგმანში. ამ შემთხვევაში, ავტორი ჯუმბერის სიტყვას იყენებს მასწავლებლის შესახებ საკუთარი აზრების გამოხატვის და მთავარი სათქმელის მკითხველის ყურამდე მიტანის მიზნით. ინგლისურ ვერსიაში ისევე, როგორც დედანში, იგრძნობა მეფის ვაჟის გონებრივი განსწავლულობა და განათლება. მკითხველის წინაშე ჩნდება ავტორის მიერ შექმნილი და ყოველგვარი სიკეთით შემკული პერსონაჟი. ციტირებული პასაჟის თარგმანშიც შეიგრძნობა ავტორის ამალეღვებელი ტონი და დინამიურობა. თუმცა, საყურადღებოა ერთი ფაქტობრივი უზუსტობა. „კვიცის“ შესატყვისად მთარგმნელის მიერ გამოყენებულია “horse” (ცხენი) და “steed” (ცხენი, რაში). ჩვენი აზრით, ეს გაუმართლებელია, ვინაიდან სულხან-საბა თავის თხზულებაში ავითარებს აზრს, რომ ყმის აზღრდა-განათლება ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სწორი იქნებოდა ლექსიკური ერთეულის “foal” (კვიცი) გამოყენება.

სულხან-საბა ცალსახად აცხადებდა, რომ მასწავლებელი და აღამზრდელი არ არიან ერთი და იგივე პიროვნებები, ვინაიდან მათ სხვადასხვა ფუნქციები ეკისრებათ პიროვნების ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ავტორი აღმზრდელს მებაღეს ადარებს, ხოლო მასწავლებელს კი შემნახავს და კვლავაც ჯუმბერის პირით გვამცნობს:

„-ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ, მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებუი.

უბრძანა მეფემან:

- ეგენი ვინ არიან? შვილმან მოახსენა:

- ნერგი - თქვენა, რომელმან მშვეით: მებაღე - სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი - ლეონ, რომელი მასწავლის“ (ორბელიანი, 1970:105).

პასაჟის დასაწყისში ვლინდება ავტორის დამოკიდებულება უფლისადმი. იგი საკუთარი პერსონაჟის სახით ხაზს უსვამს უფლის უზენაესობას და აცხადებს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა „ყოველივე ღვთისაგან არს“.

უფლისწულ ჯუმბერსა და მეფე ფინეზს შორის გამართული ეს დიალოგი გადატანილია თარგმანშიც:

„Everyting is the gift of God; but in this case there are special causes: in the first place, I am a branch of a good and fruitful tree; in the second place, I was cultivated by a skillful gardener; thirdly, I am a disciple of a watchful tutor.“ The king asked him: “Who are these three?” His son replied: I am a branch of you, you brought me into the world; the gardener is the vizier Sedrak, who brought me up; the tutor is Leon, who instructs me.” (Wardrop, 1894:83).

ციტირებული მონაკვეთის თარგმანი დედნის ეკვივალენტურია და მასში შენარჩუნებულია ორიგინალის ინვარიანტულობა. ჯუმბერის მოსაზრებები და დასაბუთებული არგუმენტები შინაარსობრივად შესანიშნავად არის წარმოდგენილი თარგმანში და სრულად გამოხატავს პერსონაჟის ხედვებს მასწავლებელთან და აღმზრდელთან მიმართებაში. სტილისტური თვალსაზრისით წარმოდგენილი პასაჟის თარგმანი დედანთან შედარებით უხვსიტყვიანია. ჩვენი აზრით, დედნისთვის დამახასიათებელი ლაკონური თხრობის სტილის შენარჩუნების მიზნით, უმჯობესი იქნებოდა ჩამონათვალში გამოყენებული ზმნიზედების „პირველად“, „მეორედ“ შესატყვისად ლექსიკური ერთეულების “firstly” და “secondly” გამოყენება, ფრაზების: “in the first place” და “in the second place” ნაცვლად. მითუმეტეს, რომ მთარგმნელი ზმნიზედის- „მესამედ“ შესატყვისად თავადვე იყენებს ლექსიკურ ერთეულს “thirdly”.

„სიბრძნე სიცრუისა“ ავტორს დაწერილი აქვს ხალხურ-სასაუბრო კილოთი. მაღალფარდოვანი მწიგნობრული სტილის ნაცვლად, სულხან-საბას წარმოჩენილი აქვს ხალხური კილო. თხზულების ენა მოქნილი და ადვილად გასაგებია. „მასში

ჰარმონიულად არის შეერთებული ქართული სიტყვის გარეგნული გამობატულების შნო და მისი შინაგანი გამომსახველობის ძალა, მისი შინაარსობრივ-აზრობრივი მხარე. ამ წიგნზე ზედგამოჭრილია ავტორის მიერ სულ სხვა შემთხვევისთვის მოხმობილი დახასიათება - სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ (ბარამიძე, 1957:47). ენის სისადავე და ლაკონურობა წარმოადგენს „სიბრძნე სიცრუისას“ დამახასიათებელ თვისებებს, რასაც თან ახლავს ლიტერატურული დახვეწილობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხზულებაში აზრი სხარტად და მკაფიოდ არის გადმოცემული, სადაც ყოველი სიტყვა კარგად შერჩეული და მოფიქრებულია. მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული მცირედი დეტალებიც კი უხილავი სიმებით არიან დაკავშირებული მის დედააზრთან და შესაბამისად, თავისი ფუნქცია აკისრიათ სტილისტური, მხატვრულ-გამომსახველობითი თუ ენობრივი თვალსაზრისით, რაც ხშირ შემთხვევაში ავტორს საშუალებას აძლევს, რამდენიმე ფრაზით გადმოსცეს დასრულებული სიუჟეტური ამბები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ენის ხალხურობას ხაზს უსვამს მასში გამოყენებული არქაიზმები, როგორიცაა სიტყვები: „რონინებდენ“, „უყივლა“, „გვიძს“, „ხვასტაგი“, „სპასალარი“ და სხვა.

„ორნი ამხანაგნი ნადირობდენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოღმა რონინებდენ“ (ორბელიანი, 1970:166).

“Two friends went to chase; they came to a ravine & crossed it” (Wardrop, 1894:131).

„მეორე ამხანაგმან უყივლა: გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო!“ (ორბელიანი, 1970:166).

„His friend cried out: Leave the bear alone and come hither, we have other work to do!“ (Wardrop, 1894:131).

„მოვიდა სოფლის ხვასტაგი და ერთმან ვირმან ზედ ვაჭარზე გარდაილაჯა და დააფსა“ (ორბელიანი, 1970:307).

„A herd of beasts came out of the village & and an ass stepped over the merchant it made water on him“ (Wardrop, 1894: 249).

„ყაზან-შას სპასალარი თემის ასაწერად იარებოდა“ (ორბელიანი, 1970:295)

“His father’s spasalar (general) rode through the land to number people” (Wardrop, 1894:237).

როგორც ვხედავთ, დასახელებული მაგალითები სრულად გადადის თარგმანშიც. მთარგმნელს ინგლისელი მკითხველისთვის გასაგები ფორმით გადააქვს აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ინგლისურ ენაზე. მისასაღმებელია „სპასალარის“ თარგმნისას ტრანსლიტერაციის მეთოდის გამოყენება, რაც თარგმანში უზრუნველყოფს დედნისეული ჟღერადობის შენარჩუნებას. ასევე გამართლებულად მიგვაჩნია მთარგმნელის მიერ “spasalar”-ის განმარტებისთვის შემოთავაზებული “general” (გენერალი), რაც მკითხველისთვის უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის „სპასალარის“ მნიშვნელობას და ფუნქციას. ადეკვატური შესიტყვება აქვს მოძებნილი მთარგმნელს სიტყვისთვის „უყივლა“- “cried out” (დაუყვირა).

ციტირებული ფრაგმენტებიდან იკვეთება ერთი პრობლემა. კერძოდ, „დააფსა“ თარგმნილია, როგორც “it made water on him” (წყალი დაასხა). ო. უორდროპი თარგმანის წინასიტყვაობაშივე მიუთითებდა, რომ თარგმნისას ზოგიერთი მონაკვეთის ამოღება ან გადაკეთება მოუხდა ე.წ. „მოურიდებელი გამოთქმების“ გამო. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში მთარგმნელი სრულიად გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად ცვლის სათარგმნ ლექსიკურ ერთეულს სამიზნე ენაზე, რადგან „წინასწარი ფსიქოლოგიური შემართებით მთარგმნელი იწყებს უკვე საკუთარი განწყობის გამოსახატავად ადეკვატური ენობრივი ფორმების ძიებას. აქედან გამომდინარე, იგი მისდაუნებურად ამძაფრებს იმას, რაც თავად მიაჩნია არსებითად და გვერდს უვლის ისეთ დეტალებს, რომლებიც მის წარმოდგენაში ნაკლებად მნიშვნელოვანია“ (საყვარელიძე, 2001:223).

ამ თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა შემდეგი შეგონება:

„არაკად თქმულა, თორმეტნი შიშველს ნიფხავსა ხდიდნენ და ვერ გახადესო“ (ორბელიანი, 1970:18).

“There is a proverb which says, Twelve men tried to take off one man’s shirt and could not” (Wardrop, 1894:16).

ო. უორდროპი „ნიფხავს“ სანაცვლოდ ინგლისურ ვერსიაში გვთავაზობს ლექსიკურ ერთეულს “shirt” (პერანგი), რაც, ჩვენი აზრით, მთარგმნელს განზრახ აქვს შეცვლილი და არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ტექნიკურ უზუსტობად. აქვე ადგილი აქვს ფაქტობრივ შეუსაბამობასაც. კერძოდ, დასახელებულ შეგონებაში კვლავაც იგრძნობა ავტორის შეუდარებელი სარკაზმი და ნეგატიური დამოკიდებულება მჩაგვრელთა მიმართ. იგი ირონიულად აღწერს ღარიბი ადამიანის ძარცვისა და ჩაგვრის ეპიზოდს - უქონელი ადამიანისთვის (ჩვენს შემთხვევაში „შიშველისთვის“) იმის წართმევას, რაც რეალურად არ გააჩნია. შესაბამისად, მთარგმნელის მიერ „შიშველის“ შესატყვისად შემოთავაზებული “one man’s” (ერთი კაცის), ჩვენი აზრით, არასწორია. მართებული იქნებოდა ლექსიკური ერთეულის “naked” გამოყენება, რაც ავტორის მიერ გამოყენებული სიტყვის ზუსტი ეკვივალენტია.

მთარგმნელის მიერ ე.წ. „უხამსი“ ლექსიკური ერთეულების, ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე სიტყვებით ჩანაცვლების შემთხვევას ვაწყდებით არაკში „დიდვაჭარი და მისი ძე“, სადაც: „რა კართან მივიდა, შარდი მოუნდა“ (ორბელიანი, 1970:99), სიტყვა „შარდი“ გამოტოვებულია და ო.უორდროპი გვთავაზობს შემდეგი სახის თარგმანს “When he came near the door... turned aside for a moment” (Wardrop, 1894:78), ანუ „კართან რომ მივიდა.... ერთი წუთით შებრუნდა“. წარმოდგენილი მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მოსაზრებას, რომ მთარგმნელი განზრახ არიდებს თავს აღნიშნული ტიპის ლექსიკის გამოყენებას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში სულხან-საბას მიერ გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს გააჩნიათ სარკასტული და იუმორისტული დატვირთვა, ხოლო თარგმანში შემოთავაზებული

შესიტყვებებით სრულად იკარგება წყარო ტექსტში იმროვიზირებული სარკაზმი და შესაბამისად, მათი ამგვარად შეცვლა გაუმართლებელია.

„სიბრძნე სიცრუისაში“ უხვადაა აფორისტული გამოთქმები, რომლებიც ავტორს საკუთარი ჩანაფიქრის ერთ-ერთ გამომსახველობით მეთოდად შეურჩევია. ამგვარ გამოთქმებს ხშირად წინ უძღვის „არაკად თქმულა“ ან „ძველთაგან თქმულა“:

„ქარი ხელითა არ დაიჭირვის და თვალს ზარმაცი ვერ მიეწევის“ (ორბელიანი, 1970:15).

“No man can hold back the wind with his hands; the lazy cannot overtake the eyes” (Wardrop, 1894:11).

„ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას, და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს“ (ორბელიანი, 1970:8).

“No man can give away what others have not given away, not, in truth, do any deed that others have not already done, and that God will let no good deed go without its reward!” (Wardrop, 1894:6).

„არაკად თქმულა: თხის პატრონს აღარც თხის კუდიო?“ (ორბელიანი, 1970:82).

“Thus runs the proverb: The goat’s master does not even get the goat’s tail” (Wardrop, 1894:65).

„კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო“ (ორბელიანი, 1970:238).

“Nobody returns good for good, and I only act as others do!” (Wardrop, 1894:189).

დასახელებული აფორიზმები გადადის ინგლისურ ვერსიაშიც. თუმცა თარგმანი დაზღვეული არ არის უზუსტობისგან. მაგალითად, „არაკი“ თარგმანში გადატანილია, როგორც „proverb“, რაც ნიშნავს ანდაზას და არა ამბავს, მაგრამ შესაძლებელია, ჩაითვალოს დედანში მოცემული სიტყვის ინვარიანტად, რადგან



„არაკიც“ და „ანდაზაც“ დამრიგებლობითი შინაარსის იუმორისტულ-სატირული ხასიათის გამონათქვამებად მოიაზრება. ასევე, „თხის პატრონში“ ავტორი გულისხმობს კონკრეტულად მის მესაკუთრეს, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა „თხის პატრონის“ შესატყვისად მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული „master“-ის ნაცვლად „owner“ – ის გამოყენება.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, მთარგმნელისთვის უმეტეს შემთხვევაში რთული აღმოჩნდა სულხან-საბასეული ლაკონური სტილის შენარჩუნება, რამაც ავტომატურად გამოიწვია თარგმანში თხრობის რიტმისა და დინამიურობის დანელება. აშკარაა, რომ მთარგმნელი თავისუფალი თარგმანის სტილს იყენებს და საკუთარი ინტერპრეტაციით ამატებს სიტყვებს ფრაზებში. მაგალითად, „ბედი მომეც“-“Give me a lucky destiny” თარგმანში ჩამატებულია სიტყვა “lucky” (იბლიანი) და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, არის აფორისტული გამოთქმები, რომლებიც მთარგმნელს უდავოდ სრულყოფილად აქვს შესრულებული. მაგალითად, „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო!“ (ორბელიანი, 1970:77) -“May a still worse fate befall every confessor who wants a witness at confession” (Wardrop, 1894:62), რომელიც თარგმნილია ინგლისური ენის სტილისტური და სტრუქტურული აგებულების გათვალისწინებით და ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე. ამავე თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ფრაზის „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა უმჯობეაო“ (ორბელიანი, 1970:77) თარგმანი. ო. უორდროპი შემდეგ თარგმანს გვთავაზობს: “To busy oneself with trifles is better than to sit idle” - უმნიშვნელო საქმით დაკავება უქმად ყოფნაზე უკეთესია (Wardrop, 1894:62). შემოთავაზებული თარგმანი დედანში გატარებული აზრის ეკვივალენტურია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია უქმად ყოფნის უსარგებლობასა და შრომის დადებით მხარეზე. მიუხედავად ამისა, მთარგმნელი სქოლიოშივე გვთავაზობს დასახელებული ფრაზის სიტყვასიტყვით თარგმანს “Idle work is better than idle sitting” (უქმად შრომა უქმად ჯდომაზე უკეთესია).

თხოვლობა ასევე მდიდარია სენტენციებითა და დამრიგებლური შეგონებებით. შეგონებების სიუხვით გამოირჩევა ლეონის მიერ თქმული არაკი „ორი პურიტ მასპინძლობა“:

„მოვიდა ვინმე კაცი ერთი მოწყალე; მკითხა ჩემი ამბავი. მე ყოველივე მოვახსენე. მან მითხრა: ძმაო, ხუთ სწავლას გამცნებ და დაიმარხო:

უმეცარს კაცსა გულით ნუ მიენდობი; შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები; ყოველ ჟამ ფრთხილად იყავ, შენი სახლიც იყოს; მშიერს სტუმრად ნუ ეწვევი; გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა!“ (ორბელიანი, 1894:192).

ციტირებული პასაჟის ინგლისური ვერსიის ანალიზისას ნათელი ხდება, რომ თავად მთარგმნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხსენებულ შეგონებებს და მათ ცალკე ქვესათაურის ქვეშ აერთიანებს “Five rules of worldly wisdom” (ცხოვრებისეული სიბრძნის ხუთი წესი).

“A compassionate man came up to me and asked what had happened to me. I told him. He answered: Brother, I will give five pieces of advise, master them and follow them: (i) Put not thys thrust in an ignorant man; (ii) let there be no sign of weakness when thou art with the insolent; (iii) be always on thy guard, even in thine own house; (iv) be not the guest of the hungry; (v) take not a gift from a poor man” (Wardrop, 1894:153).

წარმოდგენილი პასაჟის თარგმანი შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც ადეკვატურად შესრულებული თარგმანი, ვინაიდან დაცულია შინაარსის ინვარიანტულობა და მოძიებულია ადეკვატური ლექსიკური შესიტყვებები. გარდა ამისა, შემოთავაზებული შესიტყვებები საკმაოდ ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე როგორც ლექსიკური, ისე სტილისტური თვალსაზრისით.

მთარგმნელს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. მაგალითად, საკმაოდ დეტალურად აქვს განმარტებული „პირსანახავის“ მნიშვნელობა („უსამართლო შირვან-შაჰი“, Wardrop, 1894:43). იგი მკითხველს ამცნობს, რომ „პირსანახავი“ არის სიძის ოჯახის

მიერ სარძლოს პირველი ნახვისთვის ბოძებული საჩუქარი და ეს ტრადიცია კვლავაც არსებობს საქართველოში. ო. უორდროპი ყურადღებას ამახვილებს „დაფიცების ტრადიციაზე“:

„მეფემან თავისი თავი ფუცა“ (ორბელიანი, 1970:8).

“The king swore by his head” (Wardrop, 1894:3).

მთარგმნელი მკითხველს ამცნობს, რომ თავის დაფიცება, საქართველოში დღესდღეობითაც კი ფიცის მიცემის საყოველთაო ფორმას წარმოადგენს.

ქართული წეს-ჩვეულებებიდან მთარგმნელს არც მისაღმების ტრადიცია გამორჩენია მხედველობიდან. არაკში „მხვნელი, ფეიქარი და მკერვალი“ გამოყენებული მისაღმების თაობაზე – „უთხრა მეაქლემემ: ჯილღას გამარჯვებო!“ (ორბელიანი, 1970:128) - მთარგმნელი აცხადებს, რომ ეს ჩვეულებრივი ქართული მისაღმებაა და ქართველები მისაღმებისას შემდეგ ფრაზებს იყენებენ: „წარმატებას გისურვებ“ ან „ღმერთმა გამარჯვება მოგცეს“ (“I wish thee success or May God grant thee the victory”; Wardrop, 1894:101).

ო. უორდროპი სათანადო ყურადღებას უთმობს ქართული კულტურის ამსახველ ელემენტებს და რეალიებს. კერძოდ, ქართული ცეკვის სახეობას და მკითხველს სთავაზობს „სამაიას“ განმარტებას - „წრიული ცეკვა, რამდენიმე ადამიანის მონაწილეობით“ (Wardrop, 1894:85). მთარგმნელს ყურადღების მიღმა არ დარჩენია საქართველოში ძველად არსებული ბანიანი სახლები და განმარტავს, რომ ამიერკავკასიაში შესაძლებელი იყო ერთი ბანიდან (სახურავიდან) მეორე სახლის ბანზე გადასვლა (Wardrop, 1894:215).

დასაფასებელია ო. უორდროპის მისწრაფება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის თხზულებაში არსებული ყველა ნიუანსის მაქსიმალური სიზუსტით მიწოდების კუთხით. მას მხედველობიდან არ გამორჩენია თხზულებაში ნახსენები ფულის ერთეულებიც კი და სქოლიოს სახით აქვს მოცემული მათი ჩამონათვალი: თუმანი, ასპანური, მარჩილი, კელმანური, თეთრი და ა.შ. ო. უორდროპი მკითხველს ასევე სთავაზობს „ქოსას“ განმარტებას და

აღნიშნავს, რომ ეს პერსონაჟი ზოგადად დიდ როლს თამაშობს ქართულ ხალხურ ზღაპრებში და მისი პერსონა გარეგნულად წითური და ამავდროულად ყოველთვის მატყუარა ადამიანია.

მთარგმნელი განსაკუთრებით დადებითად და ვრცლად აღწერს ქართველთა სიუხვეს, რომელიც აღწერილია არაკში „მეფე ხორასანისა“ („მეორესა კვირასა შეჯდა მეფე, მიუხდა, ურია იგი და მოსრა და საბატონო მას მისცა. მას კაცს ესრეთ შეჰზლო“). ო. უორდროპი აცხადებს, რომ ამ არაკის ძირითადი მიზანია ქართველთა ხასიათის, სიუხვისა და ხელგაშლილობის ჩვენება, რომლის აღქმა და გააზრებაც დიდ სურთულეს წარმოადგენს უცხოელისთვის. აქვე, ქართველთა სიუხვის დამადასტურებლად მთარგმნელს მსგავსი ფაქტი მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდანაც“. კერძოდ, თინათინის მიერ განძის გაცემა მეფედ კურთხევის შემდეგ.

ო. უორდროპი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კუთხეებისა და ქალაქების აღწერაზეც. არაკის „მაოხრებელი მკვდარის“ თარგმანის ბოლოს ვრცლად აქვს მოცემული „კლარჯეთის“ განმარტება, სადაც მკითხველს ამცნობს, რომ „კლარჯეთი არის თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს კუთხე, რომელიც ასევე მოიცავს ისპირის უღელტეხილს. არაკში მოთხრობილი ამბავი კი ნათლად აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის მტრულ დამოკიდებულებას თურქების მიერ დანიშნული ყველა ოფიციალური ჩინოვნიკის მიმართ და აღწერს თურქთა სასტიკ და დესპოტურ მმართველობას მეჩვიდმეტე საუკუნეში“ (Wardrop, 1894:71). არაკის „დარბანდელნი მთიბავნის“ ბოლოს კი, მთარგმნელი გვამცნობს, რომ დარბანდი არის სოფელი ლაზისტანში, შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს (Wardrop, 1894:117). ო. უორდროპი ზუსტად განსაზღვრავს „ქობულეთის“ ადგილმდებარეობასაც და მიუთითებს, რომ იგი ბათუმის სიახლოვესაა (Wardrop, 1894:53). მთარგმნელი გვთავაზობს „ბოლნისის“ განმარტებასაც („დიდვაჭარი და მეფუნდუკე“) და მიუთითებს, რომ ბოლნისი უწინ პატარა ქალაქი იყო, მაგრამ ამჟამად სოფელია სომხეთში ან საქართველოს შემადგენლობაში შემავალ სომხეთში (“Bolnisi, formerly a small town but now a village, in Somkhethi or Georgian Armenia”; Wardrop, 1894:197). აღნიშნული

განმარტება ფაქტის დამახინჯებად მიგვაჩნია, ვინაიდან ბოლნისის საქართველოს ისტორიული ქალაქია და მისი მდებარეობის ადგილად სომხეთის მითითება, ცხადია, მიუღებელია.

დასახელებული მაგალითებისგან განსხვავებით არაკში „დუკა და აზნაური“ ნახსენები „ბეჩის“ ქვეყნის შესახებ („კაცი ვინმე იყო აზნაური ქვეყანასა ბეჩისას“) მთარგმნელი სქოლიოში მიუთითებს, რომ ვერ გაიგო, რომელი ადგილი იგულისხმება, თუმცა დასახელება “Bechi” ტრანსლიტერაციის გზით გადააქვს თარგმანში (Wardrop, 1894:26).

საქართველოს ისტორიული კუთხეებისა და ქალაქების გარდა, ო. უორდროპი მიმოიხილავს თხზულებაში ნახსენებ უცხო გეოგრაფიულ სახელებსაც. ამის ნათელი მაგალითია არაკში „ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“ ნახსენები „სისტანის ქვეყანა“:

„მერმე ორი ცხენი ვიყიდეთ. შევსხედით და სისტანის ქვეყანას მივედით“(ორბელიანი, 1970:212).

“Then we bought two horses, and came to the Land of Sistani” (Wardrop, 1894:170).

მთარგმნელი მკითხველს ამცნობს პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის მოსაზრებას აღნიშნული ქვეყნის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, „სისტანი“, სავარაუდოდ, უნდა იყოს „სინდისტანი“, სინდის მიწა, მაგ: ინდოეთი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთარგმნელს ამ შემთხვევაშიც ტრანსლიტერაციის გზით გადააქვს გეოგრაფიული სახელწოდება თარგმანში.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ონომასტიკური ლექსიკის თარგმნისას ო. უორდროპი უმეტეს შემთხვევაში მიმართავს ტრანსლიტერაციის მეთოდს და მკითხველს მათ განმარტებებს სქოლიოს სახით სთავაზობს. ასევე ტრანსლიტერაციის მეთოდს იყენებს ო. უორდროპი უცხოური ტიტულების თარგმანში გადატანისას.

შესრულებული თარგმანის კვლევისას ცხადი ხდება მთარგმნელის სწრაფვა - მაქსიმალურად სრულყოფილი სახით წარმოადგინოს თხზულება ინგლისურ ენაზე. იგი ძალღონეს არ იშურებს, რომ მკითხველისთვის ყველა ნიუანსი გასაგები და ადვილად აღსაქმელი იყოს. დედანში არსებულ უცხოურ ტიტულებს ო. უორდროპი უმეტეს შემთხვევაში ურთავს ვრცელ და ამომწურავ განმარტებას. მაგალითად, „გრანდუკას“ ლექსიკურ შესატყვისად მთარგმნელს გამოყენებული აქვს „Grand duke“ („დიდი ჰერცოგი“), თუმცა, სქოლიოშივე მიუთითებს, რომ ეს სიტყვა არის „caranduca“, მაგ: იტალიური გრანდუკა. აქვე მოყავს ისტორიული ფაქტებიც. იგი მკითხველს ამცნობს, რომ მე-13 საუკუნეში გენუელებს კომერციული კოლონიები ჰქონდათ საქართველოში, ხოლო უფრო გვიან პერიოდში კი, საქართველოში იმყოფებოდნენ კათოლიკე მისიონერები (Wardrop, 1894:54). კიდევ ერთი უცხოური ტიტული „მაგისტროსი“ მთარგმნელს ტრანსლიტერაციის ხერხის გამოყენებით გადააქვს თარგმანში: „Magistros“ და იქვე მიუთითებს, რომ მოგზაურობის პერიოდში ორბელიანი სტუმრად იმყოფებოდა მალტის დიდ მაგისტრთან და სიტყვა „მაგისტროსიც“ სავარაუდოდ, აქედან უნდა იღებდეს სათავეს (Wardrop, 1894:203).

თარგმანში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი საკუთარი შეხედულებისამებრ ცვლის დედანში არსებულ ლექსიკურ ერთეულს, მაგრამ ანალოგიური მნიშვნელობის სიტყვას გვთავაზობს სქოლიოში. მაგალითად, არაკში „ანჩხლი ცოლის პატრონი“ მოცემული „ერთი შინდის ჯოხი მოსჭერ“ (ორბელიანი, 1970:275) თარგმანში გადატანილია როგორც “Go and cut a good cherry stick” (Wardrop, 1894:223). ცხადია, ო. უორდროპის მიერ „შინდის“ შესატყვისად გამოყენებული „ალუბალი“ (cherry) ფაქტობრივი უზუსტობაა, თუმცა ამ ხარვეზის კომპენსირებას მთარგმნელი სქოლიოში ეკვივალენტური შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეულის: “cornel” (შინდი) მითითებით ახდენს.

„სიბრძნე სიცრუისა“ რომ მრავალმხრივ შესწავლას და გაანალიზებას საჭიროებს, კარგად ქონდა გაცნობიერებული ო. უორდროპს. თხზულებაში გვხვდება ალუზიები, რომელიც ხელს უწყობენ ავტორის სათქმელის

სიღრმისეულად გააზრებას. ამ მხრივ, საინტერესოა არაკში „მოდღარი მელი“ ოფოფსა და მელს შორის გამართული საუბარი:

„სამეფო თომარ-ჯილა ვინ მოგცაო? ოფოფმან უთხრა: სოლომონ ბრძენმან თავისის ხელით დამხურაო“ (ორბელიანი, 1970: 44).

“Who gave thee thy royal plume? the hoopoe answered: “King Solomon with his own had bestowed upon me”.

ო. უორდროპი მკითხველს სქოლიოს სახით სთავაზობს დასახელებული ფრაზის მნიშვნელობას და ამცნობს, რომ საქართველოში არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ ოფოფის თავზე არსებული გვირგვინი ფრინველისთვის სოლომონ მეფის მიერაა ბოძებული. აქვე მოჰყავს მსგავსი მაგალითი თალმუდიდან, სადაც მითითებულია, რომ ოფოფი სოლომონმა შებას დედოფალთან დესპანად წარგზავნა იერუსალიმში დასაპატიჟებლად (Wardrop, 1894:36).

მთარგმნელი ასევე საინტერესო განმარტებას სთავაზობს მკითხველს არაკში „მეფე ხორასანისა“ ნახსენები „აკლდამის“ და „ურია მალქოზის“ შესახებ. ო. უორდროპი აცხადებს რომ „სიტყვა, რომელიც ინგლისურად თარგმნა როგორც “grave” (სამარე, საფლავი) არის “Acldama” (აკლდამა), ანუ „ბიბლიური აკლდამა“; ხოლო ებრაელის სახელი მალქოზი, რა თქმა უნდა არის სახარებაში ნახსენები მალქოსი“ (Wardrop, 1894:5). დასახელებული მაგალითებითა და განმარტებებით ცხადი ხდება მთარგმნელს სურვილი, რომ მკითხველს გასაგები ენით მიაწოდოს ინფორმაცია თხზულებაში არსებული ბიბლიური ალუზიების შესახებ.

არაკების თარგმანის გარდა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მთარგმნელი მკითხველს სქოლიოში ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან მოსაზრებებსა და განმარტებებს სთავაზობს არაკში მოცემულ ამა თუ იმ საკითხზე. ერთ-ერთი ასეთია არაკის „სამნი ბრძანის“ დასასრულს შემოთავაზებული განმარტება, რომელიც ეთმობა არაკში ჩაქსოვილ მორალურ იდეას. „თხზულებაში არსებული მრავალი სხვა ამბის მსგავსად, ამ არაკშიც ხდება გავრცელებული მოსაზრების დემონსტრირება, რომ ფიზიკურ ნაკლოვანებებს (მაგ: მხედველობის და

გამრავლების ფუნქციის მქონე ორგანოების დეფექტები და წვერულვაშის არქონაც კი) თან ახლავს მორალური ნაკლოვანებები (Wardrop, 1894:202).

ო. უორდროპი თარგმანის წინასიტყვაობაშივე აღნიშნავდა, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ზოგიერთ არაკს პარალელები ეძებნება მსოფლიოში არსებული მსგავსი ნაწარმოებების არაკებთან. მთარგმნელი მიუთითებს, რომ არაკების „უბედური დიდვაჭარი“ და „დიდვაჭარი და მისი ძე“ ანალოგიური ამბავი გვხვდება „ათას ერთ ღამეში“ (Wardrop, 1894:18,77). არაკში „ჯიზი-გურგენ“ აღწერილ დასჯის მეთოდთან დაკავშირებით მთარგმნელი აცხადებს, რომ ორგული ცოლის დასჯის ამგვარი მეთოდი მოიძებნება „პანჩატანტრაში“. ამავე ნაწარმოებთან ავლებს შემდეგი არაკების პარალელებსაც „ენით დაკოდილი“, „ვირი, ვეფხი, მელი და მგელი“ და „მაგისტროსი კეისრისა“ (Wardrop, 1894:45,99,156,205). ო. უორდროპის აზრით, არაკის: „კაცი და გველი“ მსგავსი სიუჟეტია მოცემული „ანვარი სუჰაილსა“ და „პანჩატანტრაში“ (Wardrop, 1894:191). არაკს „უსამართლო შირვან-შაჰ“ კი ანალოგი ეძებნება „კონდე ლუკანორში“ (Wardrop, 1894:44). მთარგმნელის აზრით, არაკში „ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“ მოთხრობილი აკლდამიდან გაქცევის ამბავი ძალიან წააგავს სინდბადის თავგადასავალს მისი მეოთხე მოგზაურობის დროს. იგი იმოწმებს რიჩარდ ჰოლის ნაშრომს - „სამეცნიერო ნაშრომი სინდბადის მოგზაურობების შესახებ“, სადაც მითითებულია, რომ „არისტომენესი, მესენიელი გენერალი, ამგვარად გაიქცა გამოქვაბულიდან“ (Wardrop, 1894:170). ო. უორდროპი მიუთითებს, რომ არაკების: „გლახა და მდიდარი“ და „მოდღვარი მელი“ მსგავსება შეინიშნება „ჰიტოპადემასთან“.

დასახელებული მინიშნებების, პარალელებისა და მსგავსი ამბების მიუხედავად, ო. უორდროპი თავადვე აღნიშნავს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მიბაძვად ამ მოარული სიუჟეტების გამო, ვინაიდან იგი აგებულია ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელმა ქართული ენა არ იცოდა, მაინც იგრძნობა, რომ მას საფუძვლიანი ცოდნა აქვს ქართული ლიტერატურისა და



ფოლკლორის შესახებ. არაკში „მეფე და მებაღე“ მოთხრობილი სამაგიეროს გადახდის ფორმაზე საუბრისას მთარგმნელი განმარტავს, რომ ანალოგიური შინაარსი გვხვდება ქართულ საგუნდო სიმღერაში „თხამ შეჭამა ვენახი“ (Wardrop, 1894:228). წარმოდგენილი მაგალითები მოწმობს, თუ რაოდენ პასუხისმგებლობით, გულდასმით და პროფესიონალურად მიუდგა მთარგმნელი ქართული ლიტერატურის საგანძურის ამ უკვდავი თხზულების შესწავლასა და შემდგომ ინგლისურ ენაზე თარგმნას.

ამრიგად, განხილული მაგალითების, თარგმანის სტილისტურ-ლექსიკოლოგიური და ტრანსლატოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ო. უორდროპი მაქსიმალურად ცდილობს როგორც „სიბრძნე სიცრუისას“ დედააზრის და თითოეული არაკის შინაარსობრივი ინფორმაციის ადეკვატურად ტრანსფორმაციას თარგმანში, ისე დედნის იუმორისტული სტილის შენარჩუნებას. თუმცა, ამას ყოველთვის ვერ ახერხებს და მოცემული თარგმანიც დაზღვეული არ არის შინაარსობრივი და ფაქტობრივი უზუსტობებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თარგმანი შესრულებულია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და, შესაბამისად, მასში უხვად გვხვდება არქაული ლექსიკური ერთეულები, რაც თანამედროვე მკითხველისთვის გარკვეულწილად გაუგებარი და რთულად აღსაქმელია. თუმცა, ეს სრულებით არ აკნინებს მის მნიშვნელობას, ვინაიდან „სიბრძნე სიცრუისას“ ოლივერ უორდროპისეული თარგმანი წარმოადგენს ამ თხზულების პირველ ინგლისურ თარგმანს, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის, კულტურის, ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვრების ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში.

**თავი V. სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისას” ქეთრინ ვივიანისეული  
თარგმანის ტრანსლატოლოგიური ანალიზი**

თარგმანის დანიშნულების შესახებ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, ცხადია, რომ მხატვრული თარგმანი ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა ხალხთა კულტურული დაახლოებისა და მათ შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამიტომ, ქართული ლიტერატურის ძეგლების უცხო ენაზე თარგმნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ისტორიის, წეს-ჩვეულებებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისა და უცხოენოვანი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში. ამ მხრივ ფასდაუდებელია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მთარგმნელებისა და მეცნიერების ღვაწლი, რომელთა შორისაც ღირსეულ და თვალსაჩინო ადგილს იკავებს ქეთრინ ვივიანი. სწორედ მის კალამს ეკუთვნის „სიბრძნე სიცრუისას“ მეორე სრულყოფილი ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულებულია პირველი თარგმანიდან დაახლოებით 90 წლის შემდეგ (1982 წ.). აღსანიშნავია, რომ ქ. ვივიანის თარგმანსაც დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია სულხან-საბას მოღვაწეობის პერიოდი და იმ დროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ქ. ვივიანი მიუთითებს, რომ სულხან-საბა დაიბადა საქართველოში ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების აყვავების პერიოდში, რასაც წინ უძღოდა ომებისა და განხეთქილების ხანგრძლივი პერიოდი და მონღოლთა მიერ ქვეყნის აოხრება. ამ დროს ქვეყანა დაყოფილი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებად, დასავლეთი თურქეთის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, ხოლო აღმოსავლეთი კი სპარსეთის შაჰისა. მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს ორბელიანთა ოჯახის დიდგვაროვნებასა და სამეფო კართან სიახლოვეზე და იქვე დასძენს, რომ სულხან-საბას ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს მეფესთან, ვახტანგ VI-სთან (1703-1724). აქვე ახსენებს სულხან-საბას წვლილს სპარსული ანვარი სუჰაილის ქართულ ენაზე, „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით თარგმნაში. ქ. ვივიანი მკითხველს აწვდის ინფორმაციას სულხან-საბას ბერად აღკვეცისა და ევროპაში დიპლომატიური მოგზაურობის

შესახებ. ამ ყველაფერმა და პირადმა გამოცდილებამ სულხან-საბას თავის არაკებში მრავალფეროვნების შეტანის საშუალება მისცა. სედრაქ ვეზირის მსგავსად, სულხან-საბა გამოცდილი და მეფის ერთგული კარისაცი იყო. თხზულების პერსონაჟების უმეტესი ნაწილის მსგავსად, უდაბნოს მონასტერში ყოფნისას, მასაც გამოცდილი ჰქონდა სიღარიბეში ცხოვრებასთან დაკავშირებული გაჭირვება და სირთულეები.

წინასიტყვაობაში ქეთრინ ვივიანი მიმოიხილავს იგავ-არაკების კრებულს, საიდანაც კარგად ჩანს, რომ მთარგმნელს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ნაწარმოები და გაცნობიერებული აქვს საბას შეუდარებელი სტილი და სიბრძნე. წინასიტყვაობაშივე მთარგმნელი მიუთითებს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ზოგიერთი არაკი შესაძლოა, მომდინარეობდეს ინდურ „პანჩატანტრას“, ანუ „ბიდპაის“ და „ქილილა და დამანას“ არაკებიდან. მასში ასევე ვხვდებით იგავ-არაკებს „ათას ერთი ღამიდან“, „მოლა ნასრედინის“ თქმულებებიდან და ქართული ფოლკლორიდან, რომელიც სულხან-საბას თავისებურად აქვს დამუშავებული. მთარგმნელი აღნიშნავს, რომ სულხან-საბას არაკების სხვადასხვა ენის ლიტერატურულ ძეგლებთან მსგავსების მიუხედავად, მას ამ ძეგლების ლიტერატურული გავლენა არ განუცდია. „სიბრძნე სიცრუისას“ არაკები აღებულია ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, რომლის საფუძველიც ხალხური შემოქმედებაა. თხზულების სტილი დამაჯერებელი, ლაკონური და შეულამაზებელია. თუმცა, ავტორი საუცხოო პოეტურ ხერხებს მიმართავს თხრობისას რომელიმე გმირის ან ლამაზი ქალის შემოსაყვანად გამოყენებულ გამოთქმებში. ქეთრინ ვივიანის მოსაზრებით, ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული არაკები, როგორცაა, მაგალითად, არაკი „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“ - შთამბეჭდავად გვიხატავს ქართველი ხალხის ხელგაშლილობას, სტუმართმოყვარეობას, გონებამახვილობას, სიმამაცესა და იუმორის გრძნობას. ნაწარმოებში ხშირად არის ასევე ნახსენები ძმადნაფიცობა, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოს ზოგიერთ მხარეში (Vivian, 1982: XII).

მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების მთავარ არსსა და დანიშნულებაზე - უფლისწულის ზნეობრივ-დიდაქტიკურ აღზრდაზე. ქ. ვივიანი

მიუთითებს, რომ სიტყვა “tale” ნიშნავს „სასწავლო ამბავს“ (“a teaching-story”) და აღნიშნავს, რომ სულხან-საბას მიერ შემოთავაზებული აღზრდის მეთოდი, კერძოდ, არაკებით სწავლება უცხოა დასავლური სამყაროსთვის, თუმცა ამგვარი მეთოდი საკმაოდ გავრცელებული და ცნობილი ყოფილა აღმოსავლურ სამყაროში. იგი მკითხველს აცნობს დ.მ. ლენგის მოსაზრებასაც სულხან-საბას თხზულების შესახებ. დ. ლენგი მიიჩნევდა, რომ სულხან-საბას მიერ არაკთა კრებულის შექმნა, რომელსაც ქვესათაურად შეიძლება ეწოდოს „უფლისწულის აღზრდა“ (“The Education of a Prince”), შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ იგი იყო ვახტანგ VI-ის აღზრდელი. თავად წიგნი კი წარმოადგენს ამბებისა და არაკების, ანდაზებისა და გამოცანების ანთოლოგიას, რომლის მეშვეობითაც ხდება სამეფო კარისკაცების მიერ კამათისას წარმოთქმული მოსაზრებების დასაბუთება. დ. ლენგი ასევე მიუთითებს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელი გასტონ ბუაჩიძე, ფრანგული თარგმანის შესავალში აღნიშნავდა, რომ ამგვარი „ჩარჩოსებული კომპოზიცია“ გავრცელებული ყოფილა აღმოსავლურ სამყაროში, ასევე შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ევროპულ ლიტერატურაში და ამის მაგალითად მოჰყავს მსგავსი ჩარჩოს მქონე „კენტერბერიული მოთხრობები“ (Vivian, 1982: XII).

ქ. ვივიანი წინასიტყვაობაშივე ცდილობს, მკითხველს წარმოადგენა შეუქმნას ნაწარმოების პერსონაჟებზე და აცხადებს, რომ მთავარი გმირები: მეფე და მისი ვაჟი, ვეზირი, უფლისწულის აღზრდელი და საჭურისი, რომელთა შორის გასაუბრება-პაექრობის ფონზეც იშლება ნაწარმოების ფაბულა, სრულიად განსხვავებული ადამიანები არიან. მწერალი დაჯილდოებულია განსაკუთრებული ნიჭით. იგი ქმნის დამაბულობას პერსონაჟებს შორის და მუდმივი ინტერესისა და მოლოდინის გრძნობას აღძრავს მკითხველში. მთარგმნელი საუბრობს ამბებით, სიმღერებით ან ფსალმუნების მეშვეობით კოცონის გარშემო სწავლების უპირატესობაზე, რადგანაც „სასწავლო არაკები“ შესაძლოა გამოყენებული იქნეს უფრო დახვეწილი და მძლავრი ეფექტის მიღების მიზნით. ქ. ვივიანს აქვე მოჰყავს ციტატა მეოცე საუკუნის ცნობილი სუფისა და სუფიზმის მკვლევარის - იდრის შაჰის ნაშრომიდან, რომ „სასწავლო არაკმა,

როგორც კომუნიკაციის საშუალებამ, სრულყოფილი ფორმა მიიღო მრავალი ათასი წლის წინ... და იგი კაცობრიობის ფასდაუდებელი მემკვიდრეობის ნაწილია“. წინასიტყვაობის ბოლოს, მთარგმნელი დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, სულხან-საბას არაკები შეიცავდა თუ არა ამგვარ პოტენციალს, უდავოა, რომ ამ არაკებზე აღიზარდა მკითხველთა მრავალი თაობა. კარგად აღზრდილი ავტორი, რომლისთვისაც ყველანაირი სიტუაცია და ჭირ-ვარამი ცნობილი იყო, შესანიშნავად აცნობიერებდა ყველა ფენის ადამიანის საქმიანობასა და საჭიროებებს. როგორც ჩანს, სულხან-საბას კარგად ქონდა შეთვისებული არისტოტელეს მცნება: „იმისთვის რომ კარგად წერო, უბრალო ხალხივით ასახე, მაგრამ ბრძენკაცივით იაზროვნე“ (Vivian, 1982: XI).

ქ. ვივიანის მიერ შესრულებული „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანის ანალიზისა და კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მთარგმნელი უაღრესი პასუხისმგებლობით და გულისყურით ეკიდება სათარგმნ ტექსტს. ქეთრინ ვივიანს თარგმნილი აქვს „სიბრძნე სიცრუისას“ ას ორმოცდათორმეტივე არაკი. თითოეული არაკის თარგმანში იგრძნობა მთარგმნელის შემოქმედებითი მიდგომა და თხზულების დედააზრის ადეკვატური ტრანსფორმაციის მცდელობა ინგლისურ ენაზე, რასაც წარმატებით ართმევს თავს ნაწარმოების კომპოზიციური თავისებურებისა და მოქმედი პირების განსხვავებული ბუნების მიუხედავად.

თხზულების სათაური ქეთრინ ვივიანს თარგმნილი აქვს როგორც “A book of Wisdom and Lies” („წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“), ოლივერ უორდროპის მიერ შესრულებული თარგმანის მსგავსად. ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია მთარგმნელის მიერ თითოეული არაკის სათაურისთვის შერჩეული შესატყვისები. საგულისხმოა, რომ ქ. ვივიანს არაკები გაერთიანებული აქვს რამდენიმე ქვესათაურის ქვეშ, რაც დედანში არ გვხვდება. მაგალითად, „ჯუმბერის არაკები“ (DJUMBER'S TALES), „სამი უიღბლო დაოჯახებული კაცი“ (THE THREE LUCKLESS MARRIED MEN), „ათი სწავლული ექიმი“ (THE TEN LEARNED PHYSICIANS) და „ნადირობის ამბები“ (HUNTING STORIES).

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სათაურები თარგმანში ზოგჯერ სახეცვლილი ფორმითაა მოცემული. ზოგიერთი არაკის სათაური შეცვლილია

არაკის შინაარსის მიხედვით, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი გავრცობილი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად, დედანში გვაქვს „ოთხი ყრუ“, ხოლო თარგმანში “The Moon of Ramadan” („რამადანის მთვარე“). მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ვერსია სიტყვასიტყვით არ შეესაბამება დედანს და შერჩეულია მისი შინაარსის მიხედვით. ამ შემთხვევაში, ქ. ვივიანი საკუთარ მხატვრულ ფანტაზიას აძლევს გასაქანს და გვთავაზობს საკმაოდ ორიგინალურ დასათაურებას, რაც სავსებით ბუნებრივად და დამაინტრიგებლად ჟღერს ინგლისურ ენაზე. ამგვარი მიდგომები მრავლად გვხვდება თარგმანში, რაც ხაზს უსვამს ქ. ვივიანის მცდელობას, რომ ინგლისურ ენაზეც შენარჩუნებული იყოს დედნისთვის დამახასიათებელი ინტრიგა, ლაკონურობა და ექსპრესიულობა. საინტერესო სათაური აქვს მთარგმნელს შერჩეული არაკისთვის „პურის პურით ჭამა“- “Gruel” („თხელი ფაფა“), ასევე არაკი „კეისრის სპასპეტი“ თარგმნილია, როგორც “Defeated General” - „დამარცხებული გენერალი“, „ძუნწი და ოქრო“ თარგმნილია, როგორც “Buried Treasure” - „დამარხული განძი“, „მეფე და ავსიტყვა კაცი“ თარგმანში გადატანილია “News of a Dog” - „ახალი ამბავი ძაღლის შესახებ“, „დიდვაჭარი და მისი ძე“ თარგმნილი აქვს, როგორც “Drunken Heir” - „მთვრალი მემკვიდრე“, არაკის „მომჩივარნი ძმანი“ შესატყვისად კი ქ. ვივიანი გვთავაზობს “Sharing Out Goats” – „თხების გაყოფა“ და სხვა. საკმაოდ სარკასტული და ირონიული, მაგრამ ამავდროულად მხატვრული თვალსაზრისით დედნის ეკვივალენტური დასათაურება მოუძებნა მთარგმნელმა არაკს „მღმერთებელი მეფე და მისი ვაზირი“ – “The God-King and His Angel” (მეფე ღმერთი და მისი ანგელოზი). დასახელებულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული არაკების სათაურები მთარგმნელს შეცვლილი და შერჩეული აქვს თითოეული არაკის შინაარსის გაანალიზების, ყველა ნიუანსის გააზრების, ინგლისური ენის სტრუქტურული აგებულებისა და გამომსახველობითი საშუალებების გათვალისწინების შედეგად.

ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი მეტი დამაჯერებლობისა და ემფატიკური ელფერის მინიჭების მიზნით სათაურების თარგმანში ამატებს პიროვნული თვისებების, პროფესიების, საქმიანობის, წოდებებისა და

გეოგრაფიული ადგილების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. არაკის სათაურს „ქვის მთლელი“ ინგლისურ თარგმანში დამატებული აქვს სიტყვა „ხარბი“ და გვაქვს “The Grasping Stone-Cutter” (ხარბი ქვისმთლელი); არაკის „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“ სათაურის თარგმანში ჩამატებულია სიტყვა „მდიდარი“ და თარგმანში გვაქვს “The Rich Merchant and the Innkeeper” (მდიდარი დიდვაჭარი და მეფუნდუკე). „მჭედელი და ეშმაკები“ თარგმნილია, როგორც “The Blacksmith of Shami and the Devils” (შამის მჭედელი და ეშმაკები). წარმოდგენილ სათაურში მთარგმნელს ჩამატებული აქვს ქალაქის სახელწოდება „შამი“. „ვლახეთის მეფის ძე“ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია როგორც “The Ill-Fated King’s Son”, ანუ „უიღბლო მეფის ძე“ და სხვა.

ზოგიერთი არაკის სათაურის თარგმნისას, მთარგმნელისთვის რთული აღმოჩნდა დედნისეული ლაკონურობის დაცვა და შესაბამისად ქ. ვივიანმა აზრის გავრცობის ხერხს მიმართა, რაც სტილისტური თვალსაზრისით გარკვეული დანაკარგია თარგმანისთვის. მაგალითად, არაკის „თავტაფიანი“ შესატყვისად მთარგმნელი გვთავაზობს “A Saucepan for Head” - „ქვაბი თავისთვის“. ბუნებრივია, მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ვერსია ვერ ჩაითვლება ეკვივალენტურ შესატყვისად. გარდა იმისა, რომ დარღვეულია ავტორისეული ლაკონურობა, რაც იწვევს დასახელებული ექსპრესიული მეტაფორის დაკარგვას თარგმანში, ასევე ადგილი აქვს ლექსიკურ უზუსტობასაც, დედნისეული „ტაფა“ თარგმანში შეცვლილია ლექსიკური ერთეულით „ქვაბი“ (Saucepan). მთარგმნელი გავრცობილი ფორმით გვთავაზობს არაკების „ლოდის დამგორებელნი“ - “The Man with the Rolling Stone” („კაცი მგორავი ქვით“) და „მათრახიანი ხობობის“ - “The Pheasant and the Whip” („ხობობი და მათრახი“) სათაურების თარგმანსაც. ბუნებრივია, მხატვრულ თარგმანში რთულია და რიგ შემთხვევებში, შეუძლებელიც კი, წყარო ტექსტში არსებული მეტაფორებისა და ექსპრესიული შესიტყვებებისთვის ეკვივალენტური ლექსიკური ერთეულების მოძიება სამიზნე ენაში, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თარგმანისთვის მნიშვნელოვანი დანაკარგია. ლექსიკურ უზუსტობას ვაწყდებით არაკის „ჭაბუკი და მეკობრენი“ სათაურის თარგმანში - “The Young Man and the Brigands”. მთარგმნელის მიერ

„მეკობრის“ შესატყვისად გამოყენებული ლექსიკური ერთეული “Brigands” (მძარცველი, ყაჩაღი-a bandit, especially one of a band of robbers in mountain or forest regions - <https://www.dictionary.com/browse/brigand>) არ წარმოადგენს მის ზუსტ ლექსიკურ შესატყვისს, რადგან „მეკობრე“, ანუ „ზღვის ყაჩაღი“, გულისხმობს საზღვაო და სამდინარო ყაჩაღობის ჩამდენ პირს ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)). თუმცა, მისი გამოყენება შესაძლოა დასაშვებად მივიჩნიოთ, ვინაიდან დასახელებულ არაკში მოთხრობილია ხმელეთზე ჩადენილი ძარცვის ამბავი და არ ეწინააღმდეგება ორიგინალის შინაარსს.

მიუხედავად გარკვეული უზუსტობებისა, ქ. ვივიანი მაქსიმალურად ცდილობს მკითხველისთვის სრულად გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახადოს თარგმანი. ამ მიზნით, არაკის სათაურების შესახებ სქოლიოს სახით გვთავაზობს განმარტებებს. მაგალითად, არაკის „გრანდუკას შვილი“ – “The Grand Duke’s Son” სათაურთან დაკავშირებით მთარგმნელი მკითხველს ამცნობს, რომ ეს არის „იტალიური წოდება და მე-13 საუკუნეში ქართველებს ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან და რომის ეკლესიასთან“ (Vivian, 1982:37). არაკის სათაურს „ქოსა და ყადი“ – “The Story of a Beardless Man” (სიტყვასიტყვით „უწვერო კაცის ამბავი“) ახლავს განმარტება, რომ ქოსა წარმოადგენს ქართული არაკებისთვის საკმაოდ ცნობილ პერსონაჟს (Vivian, 1982:44). არაკის „მაგისტროსი კეისრისას“ – “Caesar’s Magister” სათაურის შესახებაც სქოლიოში მოცემულია ინფორმაცია, საიდანაც მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ მაგისტროსი წარმოადგენს სასამართლოს მოხელეს და სულხან-საბას მოღვაწეობის პერიოდში არსებობდა „დიდი მაგისტრის“ წოდება (Vivian, 1982:138).

მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არაკების სათაურების უმრავლესობა აზრობრივად ზუსტად არის გადატანილი ინგლისური ენაზე და მოძებნილი აქვს ადეკვატური ლექსიკური შესიტყვება, მაგ: „ნალბანდი მგელი“ – “The Wolf as Farrier”, „ბუღდანელი დიდებული“ – “The Bughdan Nobleman”, „ორნი მომტერენი“ – “The Two Enemies”, „გილანელი მოლა“ – “The Mullah of Gilan”, „გლაზა და მდიდარი“ – “The Rich Man and The Poor Man”, „ღვინის ძალა“ – “The Power of Wine”, „კეთილი გველი“ – “The Good-Hearted Snake”, „კატის გაზრდილი



ლომი“ – “The Lion Reared by a Cat”, „იხვი და მყვარი“ – “The Duck and the Toad”, „მეფე და მისი შვილი“ – “The King and the Crown Prince”, „ვირად ცნობილი ყადი“ – “A Donkey as Qadi”, „ქორი, იხვი და კაკაბი“ – “The Hawk, the Duck and the Partridge”, „მხენელი, ფეიქარი და მკერვალი“ – “The Ploughman, the Weaver and the Tailor”, „სოფლის მაშენებლები“ – “Building a Village”, „ძალა ერთობისა“ – “Strength in Unity”, „უსამართლო შირვან-შაჰ“ – “The Unjust Shirvan-Shah” და სხვა.

განხილული მაგალითებიდან ცხადად იგრძნობა ქ. ვივიანის პროფესიონალური და ამავდროულად შემოქმედებითი მიდგომა დედანში არსებული არაკების სათაურების მიმართ, რაც უზრუნველყოფს მთარგმნელის მიერ ადეკვატური შესიტყვებების დაძებნას სამიზნე ტექსტისთვის.

სწავლა-აღზრდას საქართველოში ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არსებობდა აღზრდის ორის სახე: „საეკლესიო-სამონასტრო და ფეოდალურ-რაინდული აღზრდა“ (ლორთქიფანიძე, 1960: 44). სულხან-საბასთვის საკმარისი არ იყო განათლების არცერთი ფორმა, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია ორივე ტიპის აღზრდის მეთოდიდან საუკეთესოს აღება და არსებული წყობილების შესაფერისი ახალი პედაგოგიურ-აღზრდელობითი იდეის ჩამოყალიბება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ „სიბრძნე-სიცურისას“ შექმნისას ისეთი დიდებული მეიგავისთვის, როგორც სულხან-საბაა, ცნობილი იქნებოდა ევროპაში იმ დროისთვის არსებული იდეოლოგიის, კერძოდ, განმანათლებლობის იდეები და საფუძვლები. ცნობილია, რომ განმანათლებლობის ეპოქაში დაიწყო ბრძოლა ძველი, დრომოჭმული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ევროპული განმანათლებლობის საფუძვლად მიჩნეულია ახალი ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორცაა: ტოლერანტობა, თავისუფლება, თანასწორობა... განმანათლებლობის დევიზს წარმოადგენდა „მოიკრიბე საკუთარი გონებით მოქმედების გამბედაობა“. „ადამიანი კვდება, აზრი რჩება“ ახცადებდა იმანუელ კანტი(<https://burusi.wordpress.com/2011/06/26/immanuel-kant-5/>). განმანათლებლებს სურდათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს „გონიერი მოწყობა“, სადაც მთავარი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იქნებოდა. გარდა ამისა, შეიცვალა მიდგომა ლიტერატურული გმირების მიმართ, „რომელიც უკვე აღარაა

დაინტერესებული მხოლოდ სულიერი მდგომარეობით. იგი ინტერესდება და ყურადღებას უთმობს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ მსგავსი საკითხების, კერძოდ ახალი ადამიანის აღზრდის საკითხს ეხება „სიბრძნე სიცრუისაც“... ადამიანის, რომელიც ახალი დროის გმირია“ (პოპიაშვილი, 2009:114).

სულხან-საბა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მართვა მარტივი არ არის და ყველას არ შეუძლია ასეთი რთული მისიის სრულფასოვნად შესრულება. მეფე მუდმივად უნდა ფიქრობდეს საკუთარ ხალხზე და მათ კეთილდღეობაზე. სწორედ ასეთი მეფე უნდა გახდეს ჯუმბერი, რომელიც ბავშვობიდანვე იზრდება განსაკუთრებული პრინციპების მიხედვით. არაკში „ბუღდანელი დიდებული“ სულხან-საბა, აღმზრდელი ლეონის პირით გვიხატავს ქვეყნისათვის სასურველი და იდეალური მეფის პორტრეტს. ამასთან, „თხრობისას სულხან-საბა არცთუ ისე იშვიათად იყენებს რიცხვს - სამი. ნაწარმოების მოქმედი პირებიც თავის სათქმელს ყოველთვის სამ ნაწილად ყოფენ. 3 საკრალური რიცხვია და ამავდროულად ღვთის სიმბოლოც. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მეფის მოვალეობებზე მსჯელობისას ლეონს ძირითადი აქცენტი სამზე გადააქვს“ (ჯალიაშვილი, 2009:198). გარდა ამისა, ეს ხერხი, თავის მხრივ, დინამიურობასაც მატებს თხრობას.

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა. მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში - ჭირსა და ლხინში - ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზლებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძგარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“ (ორბელიანი, 1970:34-35).

როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველ მეფეს მრავალმხრივი და განსხვავებული ვალდებულებები ეკისრება საკუთარი სამწყსოს წინაშე.

ბუნებრივია, მთარგმნელისთვის ცხადი უნდა იყოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ციტირებული პასაჟის ადეკვატური ტრანსფორმაცია ინგლისურ ენაზე, ვინაიდან მასში გადმოცემული და თეზისურად ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვა ისეთი საკვანძო საკითხისადმი, როგორცაა მეფეთა მოვალეობანი.

“God loves three things in kings: an even temper, self-restraint and magnanimity.

Three things in a sovereign are pleasing to the Lord: impartial justice, clemency and great love for mankind.

A country looks for three things in a monarch: peace with honor, justice without corruption and munificence without fail.

Nobles demand three things of a king: reasonable indulgence, sympathy in good and evil fortune, a plentiful table.

Warriors desire three things from their king: a swift horse, strong weapons and recognition of their service.

The poor ask three things of a monarch: an open door, to have their petitions granted and to be sent away contented.

Those who serve kings entreat three things of them: enough to eat, steady wages and unwillingness to believe their detractors.

Vizirs look for three things in their sovereign: readiness to listen, regard for their words and reliance on their counsel.

Petitioners hope for three things from a king: to be given a hearing, to be heard without haste and to be judged impartially.

Merchants desire three things in kings: that they should have a knowledge of jewels and objects of value, that they should give a fair price and allow free trading.

Travellers beg for three things from sovereigns: protection from robbers, lawful taxation and safety in the caravanserai.

Those who are denounced ask three favours from kings: to confront their accusers, to have unprejudiced inquiry and the right to defend themselves.

Prisoners beg for three things from kings: pardon for their wrongdoing, mercy in place of wrath – and to see the king in person.

That is the law of kings, that is their gift to their subjects, the citadel of warriors, the ramparts of cities! He who observes it sets himself and his kingdom on firm foundations” (Vivian, 1982: 42-43).

წარმოდგენილ არაკუში მიმოხილულია ქვეყნის მართვასთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მეფეთა ქცევას. ავტორი მიიჩნევს, რომ ჩამოთვლილი წესების დაცვა და შესრულება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მმართველის ვალია. საგულისხმოა,

რომ მთარგმნელს ზედმიწევნით კარგად აქვს გაანალიზებული და გაცნობიერებული სულხან-საბას პათოსი და ნააზრევი. ქ. ვივიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მცირედი უზუსტობების მიუხედავად, მან შეძლო ამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის ადეკვატური ტრანსფორმაცია ინგლისურ ენაზე ფორმისა და შინაარსის კუთხით და ამავდროულად შეინარჩუნა ავტორისეული დინამიკური თხრობის სტილი და რიტმულობა. სულხან-საბა ლეონის მონოლოგის შემცველ ყველა შეგონებას იწყებს ლექსიკური ერთეულით „მეფე“ (მეფეთაგან), თუმცა მთარგმნელი არ იცავს ამ მხრივ სიზუსტეს და საკუთარი იმპროვიზაციით გვთავაზობს „მეფის“ ამსახველი ლექსიკური ერთეულის სინონიმთა მონაცვლეობას, როგორცაა: “king”, “monarch”, “sovereign”. ჩვენი აზრით, ქ. ვივიანმა ამ ხერხს მიმართა თარგმანში მრავალფეროვნებისა და დინამიურობის შენარჩუნების მიზნით. ამასთან, „თხოვისა ბოდებასა და სიხარულით წარვლენასა“ - ფრაზების თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენის სტრუქტურული ნორმების დაცვით, კერძოდ, კაუზატივისა და ინფინიტიური კონსტრუქციების გამოყენებით, რაც საკმაოდ ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე „to have their petitions granted and to be sent away contented“. ასევე აღსანიშნავია, რომ მთარგმნელის მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის მაინც ვერ ხერხდება სულხან-საბასეული ლაკონურობის შენარჩუნება და ფრაზეოლოგიზმები ინგლისურ ენაზე გადატანილია გავრცობილი ან ზოგადი ფორმებით. მაგალითად: „დანახვასა ნამსახურისასა“ თარგმანში გადატანილია „recognition of their service“ – „გაწეული სამსახურის აღიარება“. შემოთავაზებული ფრაზა შინაარსობრივად დედნის ადეკვატურია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისური ენის სტრუქტურიდან გამომდინარე მთარგმნელისთვის რთული აღმოჩნდა ავტორისეული ლაკონური ლექსიკური შესიტყვების დაძებნა. სამწუხაროდ თარგმანში დაკარგულია ემოციური და ექსპრესიული შესიტყვება „მალე შეუბეზდებლობასა“ – “unwillingness to believe their detractors” (ცილისმწამებლისთვის არ დაჯერება). ზოგიერთ შემთხვევაში, ქ. ვივიანი საკმაოდ თავისუფლად გრძნობს თავს ტექსტთან და გარკვეულწილად სცილდება დედანს. მაგალითად, ფრაზის „ურისხველად ბრძანებასა“ – “to have unprejudiced inquiry”

(მიუკერძოებელი/ობიექტური გამოძიების ჩატარება) თარგმანი შესრულებულია მთარგმნელის ინტერპრეტაციის საფუძველზე. გარდა ამისა, უზუსტობა შეინიშნება შემდეგი წინადადების თარგმანში „მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი“. მთარგმნელი თავს იკავებს მეფის მსახურის დაკონკრეტებისგან და „მონანის“ შესატყვისად გვთავაზობს საკმაოდ ზოგადი მნიშვნელობის ლექსიკურ შესატყვისს „Those who serve king“ (ვინც ემსახურება მეფეს/მეფის მსახურნი), რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ავტორი, ამ შეგონებაში, სწორედ მონათა სურვილებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ზოგადი ფრაზით ჩანაცვლებისას თარგმანში იკარგება მონათა სურვილების შესახებ ინფორმაცია და ბუნდოვანი ხდება მისი შინაარსი. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, უმჯობესი იქნებოდა ლექსიკური ერთეულის “Slave” (მონა) გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ვივიანი ახერხებს დედნის იდეურ-შინაარსობრივი კომპონენტების ადეკვატურად გადმოცემას თარგმანში.

მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი ტოლს არ უდებს დედანს და ნამდვილად გამორჩეულია. მაგალითად, „ზვერის წესად აღებასა“ თარგმანში გადატანილია ფრაზით „lawful taxation“ (კანონიერი დაბეგვრა). „ზვერი“ ძველ ქართულში ნიშნავდა „ბაჟს“, „ხარკს“ (<http://www.nplg.gov.ge>). სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქ. ვივიანის მიერ შერჩეული ლექსიკური შესიტყვება ფორმით, შინაარსითა და ექსპრესიულობით დედნის ეკვივალენტურია.

კონკრეტულ სიტუაციასა და კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორი სიტყვის შერჩევა, ვინაიდან სწორედ სიტყვის მნიშვნელობით ხდება დედნის მხატვრული ელფერისა და სტილის შენარჩუნება თარგმანში. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ენათმეორისი კომუნიკაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია სიტყვის როლის განსაზღვრა, რაზეც მიუთითებს ი. მერაბიშვილი თავის ნაშრომში „პოეტური ტექსტის ლინგვისტიკა“: „ტექსტის ლინგვისტები ზედმეტად გაიტაცა წინადადების მიღმა არსებული ერთეულების ძიებამ და ყურადღების მიღმა დატოვეს ტექსტის ამოსავალი და ისეთი ძირითადი

ერთეული, როგორც არის სიტყვა. სიტყვა, როგორც ფორმისა და შინაარსის შემცველი უმცირესი ერთეული, სიტყვა როგორც უდიდესი ინფორმაციის დამტვევი და სიტყვა, რომელსაც ახარია ექსპრესიის ძირითადი დატვირთვა ტექსტში“ (მერაბიშვილი, 2005:52).

ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს ქ. ვივიანის მიერ ფრაზისთვის „სამართალსა უქრთამოსათვის“ შერჩეული თარგმანი “impartial justice” (მიუკერძოებელი სამართალი). აღსანიშნავია, რომ ვებსტერის ლექსიკონის თანახმად, ლექსიკური ერთეულის “impartial” ძირითადი მნიშვნელობაა „მიუკერძოებელი“ (not partial or biased: treating or affecting all equally) და არა „უქრთამო“. თუმცა, მისი გამოყენება შესაძლოა გამართლებულად მივიჩნიოთ, ვინაიდან მოცემულ კონტექსტში „მიუკერძოებელი“ აზრობრივად გულისხმობს ყოველგვარი ქრთამისგან თავისუფალს. უდავოა, რომ დასახელებული ფრაზა ინგლისურ ენაზე ბუნებრივად ჟღერს, მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელია და მასში შენარჩუნებულია ავტორის მიერ შემოთავაზებული „ყოველგვარი მიკერძოებისგან თავისუფალი სამართლის“ იდეა, რომლის დამცველი და გარანტიც უნდა იყოს მეფე.

თარგმნა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, იგი გულისხმობს ერთი ენიდან მეორე ენაზე აზრის სრულყოფილად და გარკვეული ნორმების დაცვით გადატანას. მთარგმნელის მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტის არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარე, არამედ ფორმაც, ასევე სინტაქსისა და სემანტიკის ყველა ელემენტი. დედნის ანალოგიური შთაბეჭდილების შესაქმნელად კი, საჭიროა, თარგმანში ამ ყველაფრის სრულყოფილად ასახვა. როგორც ი. მერაბიშვილი აღნიშნავს, „მთარგმნელი გვევლინება არა მხოლოდ ნაწარმოების მკითხველად, არამედ მის ინტერპრეტატორადაც“ (მერაბიშვილი, 2005:8). მთარგმნელმა წყარო ტექსტი უნდა გაიაზროს და სრულყოფილად აღიქვას, შემდეგ კი იმგვარად მიაწოდოს სამიზნე მკითხველს, რომ იმ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებამ იგივე სიამოვნება მიიღოს, რაც ორიგინალის წაკითხვისას ეუფლება ადამიანს, რადგანაც, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, თარგმანი არამარტო ენათშორისი კომუნიკაციის აქტია, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის დამყარების საშუალებაც.

თარგმანში, შინაარსობრივი ინფორმაციის ადეკვატური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, განვიხილოთ შემდეგი მონაკვეთი:

„ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწედდ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა“ (ორბელიანი, 1970:40).

„ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნავდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა.

მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთა. მათათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო.

მესამეს დღეს წინ შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა“ (ორბელიანი, 1970:44).

„დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად. შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა“ (ორბელიანი 1970: 52)

“Leon once spent three days and nights at table drinking. He made Djumber pour out wine for him and allowed neither food nor drink for himself. He kept the boy on his feet until he was so weak that he collapsed, faint with hunger” (Vivian, 1982:20).

“Leon hunted and caroused without a care in the world. One day he went out hunting. He mounted a pacing horse, set a hawk on Djumber’s wrist and sent him forward on foot, driving him on until nightfall in pursuit of the hawk and its quarry.

The next day he gave Djumber the charge of a pack of harriers and forced him to run up hill and down dale, until his shoes were in ribbons and feet bruised and running



with blood. On the third day he was sent on in advance as a runner, when he continually fell to the ground in the attempt to quicken his pace. He was driven on without mercy, however, and made to run all the way to his dwelling” (Vivian, 1982:24).

“One day Leon lost his temper for no reason, seized Djumber and beat him without mercy, giving him fifty blows of his staff” (Vivian, 19982:27).

ციტირებული მონაკვეთი დაზღვეული არ არის კუპიურებისგან. მაგალითად, ავტორი თხრობას იწყებს ფრაზით „ნადიმად დაჯდა ლეონ“, რითაც დასაწყისშივე ცხადი ხდება, რომ მასში აღწერილი იქნება ლეონის მოლხენის ეპიზოდი, რაც გარკვეულ განწყობას და მოლოდინის გრძნობას აღძრავს მკითხველში. შესაბამისად, თარგმანში მისი გამოტოვება დიდი დანაკლისია. ასევე გამოტოვებულია ფრაზა „მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა“, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით გაუმართლებელია, რადგანაც გაუგებარი და ბუნდოვანი რჩება თუ რა ბედი ეწია ღონემიხდილ და გულწასულ ჯუმბერს, რის გამოც იკარგება ავტორის იდეა, გამოცდილებით სწავლებისა და სხვათა საქმიანობის საკუთარ თავზე გამოცდის შესახებ.

თარგმანის ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ ქ. ვივიანს კარგად აქვს გააზრებული თარგმანის შინაარსი, თუმცა ვერ ახერხებს ყოველი ლექსიკური ერთეულის ტოლფასოვანი და ლაკონური შესიტყვებით ჩანაცვლებას. მაგალითად, „მწდე“ შემდეგი სახით გადააქვს თარგმანში “made Djumber pour out wine” (სიტყვასიტყვით, „ჯუმბერს ღვინის დასხმას აიძულებდა“). სიტყვის კონაში თავად სულხან საბა „მწდეს“ განმარტავს როგორც „ღვინის დამსხმელს, პირის მეღვინეს“ (ორბელიანი, 1991:545). უდავოა, რომ მთარგმნელს ზუსტად აქვს გააზრებული სიტყვის შინაარსი და ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გასაგები ფრაზით ახერხებს მის რეალიზაციას თარგმანში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც იკარგება თხზულებისთვის სახასიათო ლაკონურობა. მართებული იქნებოდა, მთარგმნელს უფრო სიღრმისეული კვლევა ჩაეტარებინა დასახელებულ ტერმინთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებული და სწორი იქნებოდა სიტყვის “Butler” გამოყენება. მართალია, ამ უკანასკნელის ზოგადი

მნიშვნელობა „მსახურთუფროსია“ - “титул высокопоставленного должностного лица при королевском дворе”  
(<https://www.multitran.com/m.exe?l1=1&l2=2&s=butler&langlist=2>), თუმცა,  
ისტორიულად „მერიქიფეს“ მნიშვნელობაც ქონდა  
(<https://dictionary.ge/ka/search/?q=butler>).

ასევე საყურადღებოა შემდეგი მონაკვეთის თარგმანი „მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა“. თარგმანში ვკითხულობთ: “when he continually fell to the ground in the attempt to quicken his pace. He was driven on without mercy, however, and made to run all the way to his dwelling”. სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, „გამუდმებით ეცემოდა, როცა ნაბიჯის აჩქარებას ცდილობდა. უმოწყალოდ მიჰყავდათ, მიუხედავად ამისა, საცხოვრებლამდე სირბილით მიიყვანეს“. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ ეპიზოდშიც გვხვდება კუპიურები. კერძოდ, გამოტოვებულია ფრაზები: „მეტად დაშვრა“ და „და არ მოეშვა“. ამ ფრაზების არ ასახვა თარგმანისთვის დიდი დანაკლისია, ვინაიდან, სულხან-საბა სწორედ მათი მეშვეობით აღწერს, ერთი მხრივ, ჯუმბერის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია ლეონის წვრთნებით, ხოლო, მეორე მხრივ, გვიჩვენებს ლეონის ერთგულებას საკუთარი აღმზრდელობითი მეთოდის მიმართ, რის გამოც არ ეცოდება ღონემიხდილი უფლისწული და არანაირ შეღავათს არ აძლევს მას. ამავე ეპიზოდში შეინიშნება მთარგმნელის თავისუფალი მიდგომა წყარო ტექსტის მიმართ, სადაც მეტი სიმძაფრისა და დრამატულობის მინიჭების მიზნით „მანამდე არბენინას“ შესატყვისად გვთავაზობს „He was driven on **without mercy**“ (უმოწყალოდ მიჰყავდათ).

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს გარკვეული ტიპის შეზღუდვად და ჩარჩოებში მოქცევის მცდელობად, მას ასევე გააჩნია საპირისპირო ფუნქცია, რაც კონკრეტულ ენაში არსებული შეზღუდვის დაძლევაში გამოიხატება. თარგმანი თავისი ბუნებით გვაძლევს გარკვეულ და უკვე არსებულ ინფორმაციასთან წვდომის საშუალებას და ამიტომაც იგი არის მეორადი კომუნიკაციის საშუალება. თარგმანის პროცესი, ზოგადად, წარმოადგენს

ერთ ენაზე არსებული ტექსტის შეცვლას ანალოგიური ტექსტით, თუმცა სხვა ენაზე. როგორც ჯულიან ჰაუსი აღნიშნავს, „თარგმნის დროს ხდება ტექსტის, როგორც მთლიანის და არა მისი ცალკეული ნაწილების ჩანაცვლება ანალოგიური ტექსტით სამიზნე ენაზე. შესაბამისად, მთარგმნელის ამოცანას არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ ცალკეულ სიტყვაზე ან წინადადებაზე კონცენტრაციის მოხდენა“ (House, 2009:5).

თარგმანის ამოცანების შესახებ თეორიულად მსჯელობს ციცერონიც, რომლის თანახმადაც, თარგმანში მთავარია ორიგინალის აზრის და ყველა ღირსების წარმოჩენა და არა კონკრეტული სიტყვების ზუსტად გადატანა. ამ თვალსაზრისით, განვიხილოთ პასაჟი არაკიდან „ძალა ერთობისა“:

„ვაზირთ წესია, რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ. ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს.

ვაზირნი ერთმანეთის მოყვარულნი ხამს.

ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება.

თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანეთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ: მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი, პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღვთის მავედრებელი და ჭკუის და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს და, რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუდუღდეს და ჭკუა და მცნება დაეფანტოს.

ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან.

მტერნი ხომ არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ და, თუ შეამოწმებენ, კიდევ დამოყვრდებიან!“ (ორბელიანი, 1970:87).

“It is the rule for vizirs, however many they are, to speak with one voice. The wits and counsel of one man alone are not equal to those of several; however wise he may be, he may make a wrong move and from that one false step others will follow. Two or three heads are always better than one. Vizirs ought to be on good terms with one another. Those who are given to malice and animosity are of no value to their master. A vizir who is loyal to his master should seek to turn an enemy into a friend, forgiving an insult to himself, so that there is accord between them and his master’s authority is reinforced.

A vizir should be able to keep a secret. If he falls out with another the secret will be disclosed and betrayed in the course of their quarrel, and each will blame and accuse the other: ‘He swore not to speak of it’.

A vizir should desire the well-being of his sovereign and his country. When a king shows favor to one man, envy will turn another into a traitor.

A vizir should be pious, quick-witted and of good counsel; yet when a man looks on one who is his enemy, his heart is filled with wrath and his wits desert him.

A vizir should consider others’ words and judge for himself what is best. Men never pay due regard to an enemy’s opinions; if they do so, they become friends” (Vivian, 1982: 47-48).

ციტირებული პასაჟი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სულხან-საბა კარისკაცებისა და ვაზირების მოქმედებას და მათ მიერ საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერად და უმწიკვლოდ შესრულებას. ავტორი ავითარებს იდეას, რომ ვაზირთა და კარისკაცთა შეთანხმებული მოქმედება ქვეყნის უკეთესი მომავლის საწინდარია, რადგან „ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაც“ (ორბელიანი, 1970:87). ეს დებულებები ერთიორად საყურადღებოა, ვინაიდან ავტორი მათ მეფის პირით გვამცნობს.

ქ. ვივიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ინგლისურ ვერსიაში ორიგინალის შინაარსი მთლიანობაში ადეკვატურად არის გადატანილი და ავტორის მიერ გაჟღერებული იდეები ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გასაგები ენით არის მიწოდებული. ზოგადად, „სიბრძნე სიცრუისა“ ხასიათდება ნარატიული მრავალფეროვნებით. მეფე ფინეხის თხრობის სტილი გამოირჩევა რიტმულობით, სიდიხითა და სისადავით. მისი ყოველი სიტყვიდან გამოსჭვივის ქვეყნის ბედ-იღბალზე დღედაღამ მზრუნველი და მოამაგე მეფის სულისკვეთება. ქ. ვივიანი, ამ მხრივ, მოწოდების სიმადლეზეა. თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალისთვის დამახასიათებელი რიტმულობა. ეკვივალენტური შესიტყვება აქვს შერჩეული მთარგმნელს ფრაზისთვის „პირი ერთი ჰქონდესთ“ – “to speak with one voice” – „ერთ აზრზე იყვნენ/ერთნაირი მოსაზრებები ჰქონდეთ“, რაც დედნისეული ფრაზის ეკვივალენტურია როგორც შინაარსობრივი, ისე სტილისტური კუთხით.

თარგმანს წინადადებებისა „ვაზირნი ერთმანეთის მოყვარულნი ხამს“ ქ. ვივიანი ასე გვთავაზობს: “Vizirs ought to be on good terms with one another”, ანუ „ვაზირებს კარგი/მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან“. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელის მიერ „მოყვარულნი“ ჩანაცვლებულია „კარგი/მეგობრული ურთიერთობით“, რაც დედანში არსებული ლექსიკური ერთეულის ზუსტი ეკვივალენტი არ არის, ქ. ვივიანის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი მაინც ადეკვატურად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან ავტორის მიერ ნაგულისხმევი „მოყვარულნი“ თავისთავად მოიაზრებს ადამიანთა შორის სიყვარულზე დაფუძნებულ, კარგ ურთიერთობას და, შესაბამისად, წინააღმდეგობაში არ მოდის დედანთან.

მხატვრულ თარგმანში არცთუ ისე იშვიათია მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივების გამოვლინება და სუბიექტური დამოკიდებულება, ამიტომაც მიიჩნევა ზოგიერთი მკვლევარი, რომ მთარგმნელის შემოქმედება ორიგინალური შემოქმედების ანალოგიურია, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ორიგინალის შექმნისას მწერლის წინაშეა ობიექტური სინამდვილე, რაც გავლენას ახდენს მის წარმოსახვით სამყაროზე და განწყობაზე. მთარგმნელის წინაშე კი უკვე

დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია და მისი მიზანი ორიგინალის მსგავსი ტექსტის შექმნაა, რომელშიც ერთდროულად წარმოჩინდება მთარგმნელის შესაძლებლობები და პროფესიონალიზმი.

ციტირებული პასაჟის თარგმანში გვხვდება მთარგმნელის მიერ სუბიექტური მიდგომის მაგალითები, სადაც ხდება ამ უკანასკნელის მიერ სუბიექტურად აღქმული და გააზრებული რეალობის ასახვა. „ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტრობით არ კარგა იქმნება“ შესატყვისად მთარგმნელი გვთავაზობს “Those who are given to malice and animosity are of no value to their master”, ანუ „ბოროტებასა და მტრობას დამორჩილებულები საკუთარი პატრონისთვის უხეირონი არიან“. დედანში ავტორი გულისხმობს, რომ ვაზირთა შორის ქიშპობა და მტრობა კარგის მომტანი არ არის. თარგმანში „ქიშპობა“ შეცვლილია სიტყვით „ბოროტება“ (malice), რაც განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვის მქონე სიტყვაა. ასევე „ვაზირის“ ნაცლად გამოყენებული ნაცვალსახელი “Those” ზოგადი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულია და შორსაა ავტორისეული კონკრეტისგან, რაც გაურკვეველობისა და უკმარისობის გრძნობას იწვევს მკითხველში. ასევე გაუგებარი და მთარგმნელის ინტერპრეტაციის ნაყოფია „არ კარგა იქმნებას“ შესატყვისად შემოთავაზებული “are of no value to their master”-„საკუთარი პატრონისთვის უხეირონი არიან“, რაც დედნისგან აშკარად დაცილებულია.

აქვე, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის დარღვევის თვალსაზრისით, საყურადღებოა შემდეგი მონაკვეთი: „ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან“, რომლის შესატყვისადაც მთარგმნელი გვთავაზობს: „A vizir should consider others' words ...“, ანუ „ვაზირმა უნდა აწონ-დაწონოს სხვისი სიტყვები“. დედნის მიხედვით ვაზირმა საკუთარი სიტყვა უნდა აწონ-დაწონოს და გაიაზროს. თარგმანში კი, როგორც ვხედავთ საპირისპირო აზრია გატარებული, რაც ფაქტობრივი უზუსტობაა და ეწინააღმდეგება ორიგინალს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულხან-საბასთვის სამი სიმბოლური რიცხვია და თხზულებაშიც სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლების, მათ შორის

კარისკაცებისთვის განკუთვნილ მოვალეობებს სწორედ სამად ყოფს. შესაბამისად, ჯუმბერიც სამ წესს უწესებს „მეფეთა თანა მყოფთა“ .

„მეფეთა თანა მყოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეთ:

პირველად: რომელიც კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები;

მეორედ: ვისიც სიტყვა იამება, შენც უქო, თვარა თუ უმაგო, არ ემაგება და შენ გასცრუვდე;

მესამედ: ამას სცდილობდე, რომელიც მისი გულითადაც, იგი გაიერთო, თვარა დღე დაგიმოკლდება“ (ორბელიანი, 1970: 116).

“A courtier should have regard to three things: First never denounce a man who is a favourite with the king, for you will not be heeded and will harm no one but yourself; secondly, praise any man whose converse with the king enjoys, for if you abuse him none will listen and you will fall from favour; thirdly, seek the friendship of one who is trusted by the king, otherwise your life will be short” (Vivian, 1982:64).

ციტირებული პასაჟის ინგლისურ თარგმანში მიღწეულია შინაარსის ინვარიანტულობა. ქ. ვივიანი ახერხებს დედნისეული ფრაზებისთვის ადეკვატური შესიტყვებების დაძებნას, მაგალითად „მეფეთა თანა მყოფთა“ თარგმანში გადატანილია სიტყვით “courtier” („მეფის კარზე მომუშავე“ - a companion of a queen, king, or other ruler in their official home, especially in the past), რაც ზუსტად და ამავედროულად ლაკონურად გადმოსცემს დედანში გამოყენებული ფრაზის მნიშვნელობას. ზოგიერთი მონაკვეთის თარგმნისას ქ. ვივიანი განმარტებითი თარგმანით ცდილობს აზრობრივი სიზუსტის დაცვას. მაგალითად „შენ დაზიანდები“ თარგმნილი აქვს “will harm no one but yourself“ (სიტყვასიტყვით, „მხოლოდ საკუთარ თავს ავნებ“). განმარტებითი თარგმანს სთავაზობს მთარგმნელი ინგლისურენოვან მკითხველს „შენ გასცრუვდეს“ შესატყვისადაც -“you will fall from favour” (სიტყვასიტყვით, „კეთილგანწყობას

დაკარგავ“). უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელის მიერ შერჩეული შესატყვისები თანხვედრაშია დედნის შინაარსთან.

აქვე საინტერესოა ერთი ნიუანსი. მთარგმნელი „შეასმინოს“ შესატყვისად იყენებს ლექსიკურ ერთეულს “denounce” (დასმენა, დაბეზღება), ხოლო „არ შეისმენს“ შესატყვისად გვთავაზობს ფრაზას “you will not be heeded” – „შენ ყურადღებას არ მოგაქცევს/შენს აზრს არ გაითვალისწინებს“. ქ. ვივიანის მიერ შემოთავაზებული ვერსია დედნის შინაარსიდან დაშორებული არ არის, რადგან ფრაზაში „არ შეისმენს“ იგულისხმება, რომ მეფე თავის საყვარელ ადამიანზე თქმულ აუგს არ დაიჯერებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, რიტმულობისა და მელოდიურობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სწორი იქნებოდა ამ შემთხვევაშიც ლექსიკური ერთეულის “denounce” გამოყენება შესაბამისი ფორმით, რადგან ავტორის მხრიდან ადგილი აქვს ენობრივი ელემენტების მიზანმიმართულ გამეორებას დასახელებული შეგონების ემფატიკური ეფექტის გაძლიერების მიზნით.

აქვე შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ სტილისტური თვალსაზრისით, უფრო სწორი იქნებოდა თარგმანში „პირველად“-ის შესატყვისად შერჩეული “First”-ის ნაცვლად “Firstly”-ის გამოყენება. მით უმეტეს, რომ მთარგმნელი ლექსიკური ერთეულებისთვის „მეორედ“ და „მესამედ“ შესატყვისად გვთავაზობს “secondly” და “thirdly”.

ავტორი სიტყვების გამეორებით ცდილობს თხრობის დინამიკის, რიტმისა და ექსპრესიის შენარჩუნებას. მათი შეცვლა თარგმანში კი, ცხადია, უნდა მოხდეს უკიდურესი აუცილებლობით. თუმცა, აქვე უნდა ვახსენოთ, რომ ყველა მთარგმნელი ინდივიდუალური სტილით ხასიათდება, რაც თარგმანებშიც აისახება. გ. გაჩეჩილაძის აზრით, ორიგინალი ნაწარმოების ავტორი ერთი ენის ოსტატია, ხოლო მთარგმნელი კი ორი ენის, რამდენადაც ის დედნის კარგი მცოდნეა და ამავდროულად უზადოდ ფლობს მშობლიურ ენას (გაჩეჩილაძე, 1966). განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ვ. ვინოგრადოვი და აცხადებს, რომ „თარგმანში ორიგინალისგან განსხვავებული მახასიათებლების გაჩენა



გარდაუვალია, რაც განპირობებულია მთარგმნელის მიერ დედნის თავისებური აღქმით, ენებს შორის არსებული განსხვავებებით და სოციოკულტურული გარემოს ზემოქმედებით. თარგმანში ყოველთვის იქნება შესამჩნევი მთარგმნელის ინდივიდუალურობა, რომელიც გამოწვეულია მისი პიროვნული თვისებებით, მხატვრული აღქმითა და თარგმანის პროცესში ენობრივი საშუალებების შერჩევის თავისებურებით. შესაბამისად, მივიღებთ მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით შექმნილ ნაწარმოებს“ (Виноградов, 1978: 9-10).

„სიბრძნე სიცრუისა“ ხასიათდება ნარატიული მრავალფეროვნებით, სადაც ძირითადი ხმა ლეონს ეკუთვნის. „ლეონი სავარაუდოდ ავტორის ალტერ-ეგოა, ხოლო სედრაქი მისი მეორე მე. ამავედროულად, არც რუქას ფაქტორია გამოსარიცხი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს თხზულება ალეგორიის პრინციპით არის შექმნილი, მისი მოქმედი გმირები შესაძლოა, მიჩნეულ იქნენ ადამიანის პერსონიფიცირებულ ვნებებად. ლეონის თხრობა თხზულების ხერხემალია, იგი განაგებს მის სიუჟეტურ ხაზს, მასვე ეკუთვნის ყველაზე მეტი იგავ-არაკი და შეგონებაც“ (ჯალიაშვილი, 2009:196).

ლეონი თხზულებაში წარმოჩენილია უაღრესად ბრძენ და გონებამახვილ პიროვნებად. მისი თხრობა ყოველთვის ექსპრესიული, სხარტი და დახვეწილია. მისი სახით ნათლად წარმოგვიდგება სულხან-საბა როგორც აღმზრდელი, რომელიც საკუთარი იდეების გამხმოვანებლად ჰყავს გამოყვანილი თხზულებაში. მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ კამათსა და პაექრობაში გამარჯვებული ლეონი გამოდის. ავტორი საინტერესოდ და შთამბეჭდავად აგვიწერს ლეონსა და რუქას შორის მომხდარ პირველივე დაპირისპირებას, როდესაც ლეონი მოსწრებული სიტყვა-პასუხით ადვილად ახერხებს რუქასთვის საკადრისი პასუხის გაცემას. განვიხილოთ რამდენად ახერხებს მთარგმნელი წარმოდგენილი პასაჟის ადეკვატურად ტრანსფორმაციას თარგმანში და მასში არსებული ემოციური ელფერის შენარჩუნებას.

„რქვა რუქამ ლეონს:

- თავმან მეფისამან, დიდად ბედუკეთური თურე ხარ! შემოხედა ლეონ და

სცნა საჭურისობა მისი, უთხრა:

- მართალსა იტყვი. თუცა ბედკეთილი ვყოფილვიყავ, დღეს შენ არა გნახავდიო. ეჰა, შენი ბედსვიანობა ღირს? თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სადა არს? თუცა დიაცი ხარ, სადა არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადა არს ძლიერება მაჯათა? და თუცა ქალი ხარ, შვენიერთა ძუძუთა შემიხვიე: თუცა კაცი ხარ, არა გაქვს სიმხნე ასოთა, თუცა დედათაგანი ხარ, არა ძალ-გიც შობა შვილისა. ავბედო! შენი წესია, თვით არა ძალგიც და თუცა დიაცი დაინებო, სხვათა მიაყოლებ. შავბედო! მამაცისა საქმე არა გაც და ღმერთმან ნურც როსკიპი დიაცი გადაროს!“ (ორბელიანი, 1970:22).

“Ruka said to Leon:

‘By the King’s head, what ill fortune has been yours!’

Leon looked at him and perceived that he was a eunuch; he said:

‘You are right. If I had had better fortune, I would not have met with you today. What a happy chance for you! If you are a man, where are your beard and moustache? If a woman, where are your long tresses? If you are a young man, where is the strength in your arms? If you are a maiden, take me to your soft bosom! You are a man, yet you have not a man’s vigour in your limbs; you have a woman’s nature, yet you are not able to bear a child. Ill-fated one! It is your destiny to be unfulfilled. Even if you gain affections of a woman, she will be compelled to leave you for another. A dark destiny is yours! You cannot play a man’s part and, by God, you’ll not bear comparison even with a whore!’ (Vivian, 1982:11-12).

მთლიანობაში ციტირებული პასაჟის თარგმანი დედნის ინვარიანტულია. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთარგმნელის ძალისხმევა, რაც შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ზუსტად გადატანასა და სტილისტური სიზუსტისკენ სწრაფვაში გამოიხატება. ავტორის მიერ ლეონის სიტყვებისთვის მეტი ექსპრესიის მინიჭების მიზნით გამოყენებულია გამეორების ხერხი „თუცა...სადა; თუცა...სადა; თუცა...სადა; - თუცა... არა, თუცა... არა...“. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დასახელებული ფრაგმენტი ანალოგიური მხატვრული ხერხით გადადის თარგმანში. სიტყვების გამეორება და

ერთიდაიგივე სტრუქტურის გამოყენება „If... where, If... where, If... where; you... yet, you..yet...“ მთარგმნელს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ორიგინალში არსებული დინამიკური თხრობის სტილი და ამ ფონზე ოსტატურად წარმოაჩინოს ლეონსა და რუქას შორის გამართული პაექრობა, რაც მთლიანი თხზულების ერთ-ერთი სახასიათო შტრიხია. მთარგმნელს ზუსტი აზრობრივი და ემოციური შესატყვისი აქვს მოძებნილი ლექსიკური ერთეულისთვის „ავბედო“ – “Ill-fated one” („უიღბლო, უბედური“). თუმცა, მეტაფორას „შავბედო“ განმარტებითი თარგმანის საშუალებით სთავაზობს მკითხველს “A dark destiny is yours” (სიტყვასიტყვით, „გაურკვეველი ბედისწერის მქონე“).

ამავე მონაკვეთში ვხვდებით სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევასაც, კერძოდ: „თავმან მეფისამან“ შესატყვისად გამოყენებულია “By the King’s head” (სიტყვასიტყვით, „მეფის თავით“), რაც ინგლისური ენისთვის არ წარმოადგენს სახასიათო ფრაზას და გაურკვეველობის გრძნობას აჩენს მკითხველში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი მონაკვეთის თარგმანი დედანთან შედარებით უხვსიტყვიანია. ქ. ვივიანი საკმაოდ თავისუფლად უდგება თარგმანს. მაგალითად, „შენი წესია“ თარგმნილი აქვს, როგორც “It is your destiny to be unfulfilled” (სიტყვასიტყვით „ბედმა გარგუნა არასრულყოფილი იყო“). შემოთავაზებული ვერსია განსხვავდება ორიგინალისგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფრაზა ქ. ვივიანს შერჩეული აქვს მთლიანი თხზულების კონტექსტის გააზრების შედეგად, ანუ შინაარსობრივი-ქვეტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით, სადაც რუქა ავტორს არასრულყოფილ და გარკვეულწილად უარყოფით პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი.

აქვე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მთარგმნელი თავს არიდებს ე.წ „უხამსი ლექსიკით“ გამოხატული აზრების ანალოგიური სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით გადატანს თარგმანში და მათ ზოგადი მნიშვნელობის მქონე ფრაზებით ანაცვლებს. მაგალითად, „არა გაქვს სიმხნე ასოთა“ – “yet you have not a man’s vigour in your limbs”, ანუ სიტყვასიტყვით „არ გაგაჩნია მამაკაცური სიმღიერე კიდურებში“. ავტორისეული ფრაზის ადეკვატურად აღსაქმელად საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ რუქა საჭურისია,

შესაბამისად მას არ გააჩნია მამაკაცისთვის დამახასიათებელი სქესობრივი პოტენციალი. სწორედ ამგვარი ირონიული და სარკასტული მიმართებით ცდილობს ლეონი რუქასთვის ნიშნის მოგებას და მისი მამაკაცური ნაკლოვანების წარმოჩენას. ქ. ვივიანის მიერ შემოთავაზებულ ვერსიაში კი ზოგად მამაკაცურ სიძლიერეზეა საუბარი. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ფაქტობრივი ინფორმაციის დარღვევა, რაც თარგმანისთვის დიდი დანაკარგია.

სამიზნე ტექსტისთვის წყარო ტექსტში არსებული ინვარიანტის შენარჩუნება რომ ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია, უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ჩვენს ნაშრომში. მხატვრულ თარგმანში აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებას ართულებს ენებს შორის არსებული განსხვავებები, რომელთა წარუმატებლად გადალახვაც ყოველთვის უარყოფითად აისახება თარგმანზე. აქვე გასათვალისწინებელია, ისიც, რომ თუკი მკითხველისთვის ორიგინალი ხელმისაწვდომი არ არის, მისი შთაბეჭდილება ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ ყალიბდება თარგმნილი ტექსტის ღირსებებისა და ნაკლოვანებების მიხედვით. ამდენად, თარგმანის ანალიზისას საინტერესოა, რამდენად ახერხებს მთარგმნელი ორიგინალის საპირწონე ტექსტის შექმნას სამიზნე ენაზე, დაძლეულია თუ არა ადეკვატური შესიტყვებების მოძიების პრობლემა, რამდენად ხშირია სუბიექტური მიდგომის შემთხვევები და იწვევს თუ არა ეს უკანასკნელი დედნის დამახინჯებას შინაარსობრივ-ფაქტობრივი კუთხით. ცხადია, ყველა ჩამოთვლილი ნიუანსი განაპირობებს ეკვივალენტურ თარგმანს, რომელიც მიზნად უნდა დაისახოს მთარგმნელმა. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ შემდეგი პასაჟი არაკიდან „უსამართლო შირვან-შაჰ“:

„გამოხდა დღენი მრავალნი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გაღმართ ორნი წოტნი იმახდენ. მოეგონა კაცი იგი მოენე მეფესა და ჰკითხა ვაზირსა: ისწავლე მფრინველთ ენა მის კაცისაგანაო?

მან მოახსენა: ვისწავლეო.

უბრძანა: იგი წოტნი რას უბნობენო?

ვაზირმან მოახსენა: ერთსა ქალი ჰყავს და მეორე ვაჟისთვის სთხოვს. ქალის პატრონი ეუბნება: თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის

სანახავად, არ მოგცემო. ვაჟის მამა ასე ეუბნება: შენს ქალს რომ შვიდასი  
ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი სხვა მყავსო, მათ საცოლეებს რაღა ვუყო?  
ქალის მამამ ეგრე უთხრა: რას ზარობ და დაღონებულხარ? თუ შირვანშაჰს დღე  
გაუგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო!

ეწყინა შაჰს და თქვა: მე აგრე უსამართლო ვარო? ვაზირმან მოახსენა: წოტნი  
ეგრე იტყვიანო.

მას სიტყვის უკან ის შაჰი მოწყალე შეიქმნა“ (ორბელიანი, 1970:57).

“Several days passed, and one evening the Shirvan-Shah was seated at table  
drinking when two owls were hooting nearby. They reminded him of the man who  
knew the language of birds and beasts. He said to his vizir:

‘Have you learnt the language of birds from that man?’

The vizir replied:

‘I have done so.’

The Shah asked him:

‘What are the owls saying to each other?’

The vizir told him

‘One has a daughter, and the other is asking for her to marry his son. The  
daughter’s father says: “I will give her to you if you will give seven hundred ruined  
villages when you behold her for the first time.”

‘The son’s father answers: “I have six more sons. If I pay seven hundred deserted  
villages for your daughter, how am I to find wives for them?” ’

‘The first owl says: “Why are you so niggardly and faint-hearted? If the Shirvan-  
Shah lives long, he will lay waste a great many more!” ’.

That displeased the Shah, who said:

‘Am I so unjust?’

The vizir repeated:

‘That is what the owls say.’

After hearing that story the Shah mended his ways.” (Vivian, 1982: 29-30).

ციტირებული პასაჟი თხზულების ერთ-ერთ მთავარ თემას, მეფეთა უსამართლობას და უმოწყალობას ეხმიანება, რაც მრავლად არის მიმოფანტული მთელს ნაწარმოებში. წარმოდგენილი პასაჟის თარგმანის დასაწყისშივე ვაწყდებით აზრობრივ უზუსტობას - „გამოხდა დღენი მრავალნი“ ქ. ვივიანს თარგმანში გადააქვს „Several days passed“ (ანუ რამდენიმე დღემ განვლო), რაც, ცხადია, შეუსაბამობაშია დედანთან. როგორც ჩანს, მთარგმნელი სათანადოდ ვერ ჩასწვდა მითითებული ფრაზის შინაარსს, რომელშიც ავტორის მიერ იგულისხმება „ხანგრძლივი პერიოდი“ და არა „რამდენიმე დღე“. თარგმანში ქ. ვივიანი „ღამესა“ შესატყვისად გვთავაზობს სიტყვას “evening” (საღამო), რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი უზუსტობაა. სწორი იქნებოდა სიტყვის “night” გამოყენება.

ციტირებულ პასაჟში ასევე საყურადღებოა შემდეგი ეპიზოდი, სადაც ქალის მამა საკუთარი ქალიშვილის პირის სანახავად შვიდას ნასოფლარს ითხოვს: „თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ **მოართმევ** ..... შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი **მოვართვა**....“. „მორთმევა“ გამოხატავს რაიმეს მოცემას ან მიტანას და გამოიყენება თავაზიანობის ან პატივისცემის გამოსახატად (<https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90>). მთარგმნელის მიერ კი მის შესატყვისად გამოყენებულია ერთ შემთხვევაში “give”, ხოლო მეორე შემთხვევაში “pay ... for”.

სიტყვის “give” ძირითადი მნიშვნელობაა „მიცემა“, ასევე გამოიყენება „ჩუქება-ბოძების“ მნიშვნელობით და ამდენად, მისი გამოყენება „მოართმევის“ შესატყვისად შინაარსობრივი თვალსაზრისით სწორია და არ ეწინააღმდეგება ავტორის ნააზრევს.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, გვსურს აღვნიშნოთ, რომ როგორც

ცნობილია, საქართველოში არსებობდა სარძლოსთვის პირსანახავის (საქმროსაგან საცოლისთვის პირველ ნახვაზე მირთმეული საჩუქარი; ძღვენი, საჩუქარი (აბაშიძე, მეტრეველი, ჩიქობავა, მიძიგური, ჭაბაშვილი, 1990:809)), ანუ საჩუქრის მირთმევის ტრადიცია. შესაბამისად, ვაჟის მამის ნათქვამ „მოვართვაში“ ავტორი მოიაზრებს „ჩუქება/ბოძებას“ და არა რაიმე საფასურის „გადახდას“. ამიტომ, მის შესატყვისად “pay ... for”-ის გამოყენება, რომლის მნიშვნელობაც არის „გადახდა, ანაზღაურება, დაფარვა“, აშკარად ეწინააღმდეგება დედანში გატარებულ აზრს და შინაარსობრივ უზუსტობად მიგვაჩნია.

ზოგადად, წარმოდგენილი პასაჟის ინგლისურ თარგმანში შეიმჩნევა, რომ მთარგმნელი საკმაოდ ხშირად ვერ ახერხებს ზუსტი შინაარსობრივი შესიტყვებების მოძიებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი თარგმანში სრულიად განსხვავებული შინაარსია გადმოცემული. მაგალითად, „რას ზარობ და დაღონებულხარ?“ ე. ვივიანი შემდეგნაირად თარგმნის “Why are you so niggardly and faint-hearted” - „რატომ ხარ ასე ძუნწი და მშიშარა“. სულხან-საბა სიტყვას „ზარობა“ შემდეგნაირად განმარტავს თავის ლექსიკონში: „ქმნა არა ენებოს და ლამობდეს“ (ორბელიანი, 1991:277) ცხადია მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ლექსიკური ერთეული “niggardly” – „ძუნწი, ხელმოჭერილი“ ვერ ჩაითვლება იდენტური მნიშვნელობის მატარებელ შესიტყვებად. ასევე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „დაღონებულხარ“ გულისხმობს „დანაღვლიანებას, მწუხარებას“ (აბაშიძე, 1990:438), სწორედ ამიტომ მთარგმნელის მიერ ფრაზის “faint-hearted” („მშიშარა, მხდალი, ორჭოფი, უნებისყოფი“) გამოყენება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება დედანს. დასახელებული მაგალითები ნათლად მოწმობს, მთარგმნელის მიერ ორიგინალისადმი თავისუფალი მიდგომის შედეგად რამდენად შეიძლება დაზარალდეს სამიზნე ტექსტი შინაარსობრივი ინფორმაციის კუთხით.

წარმოდგენილ პასაჟში ასევე გვხვდება მთარგმნელის მიერ აზრის გავრცობილი ფორმით გადმოცემის შემთხვევაც. მაგალითად, „კაცი იგი მოენე“ ე. ვივიანს გადააქვს საკმაოდ ვრცელი წინადადებით “the man who knew the language of birds and beasts”, ანუ „კაცი, რომელმაც ფრინველთა და ცხოველთა ენა იცოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ მაგალითში ირღვევა ავტორის მიერ თხზულების შექმნისას გამოყენებული ერთ-ერთი ძირითადი, ლაკონურობის პრინციპი, შინაარსობრივი თვალსაზრისით შემოთავაზებული ვარიანტი დედნის ადეკვატურია, ვინაიდან ციტირებულ პასაჟს წინ უსწრებდა ინფორმაცია, სადაც ე.წ. „მოენე კაცი“ აცხადებს „ყოველთა მფრინველთა და მხეცთა ენა ვიცო“. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელს ეს წინადადება თარგმნილი აქვს სწორედ წინმსწრები ინფორმაციისა და ზოგადი შინაარსის შეჯერების საფუძველზე. აქვე, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ თარგმანში შინაარსობრივი ეკვივალენტობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

ციტირებული პასაჟის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ბოლო ფრაზას „შაჰი მოწყალე შეიქმნა“. სულხან-საბა თავისი გენიალობით, სიტყვამახვილობით და ლაკონურობით ამთავრებს ეპიზოდს და აყალიბებს არაკუმი ჩაქსოვილ დედააზრს, რომ ჭოტების საუბრის მოსმენით განაწყენებული, უღმობელი და სასტიკი შაჰი მწყალობელ ადამიანად გადაიქცა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „მოწყალე“ განმარტებულია, როგორც „მწყალობელი, შემბრალებელი, შემწე და დამხმარე“ (აბაშიძე, 1990: 742), ხოლო მთარგმნელი გვთავაზობს საკმაოდ ზოგად ფრაზას “Shah mended his ways”- შაჰი გამოსწორდა (Oxford-ის ლექსიკონის მიხედვით “mend sb’s way” - ნიშნავს გამოსწორებას “stop behaving badly”). ჩვენი აზრით, შემოთავაზებული ვარიანტი საკმაოდ ზოგადია და ცალსახად არ შეიცავს „მოწყალეს“ მნიშვნელობას, მაშინ როდესაც ავტორი სწორედ მის „მოწყალე პიროვნებად“ გადაქცევაზე მიუთითებს. ამიტომაც, ვერ ჩაითვლება დედნის ეკვივალენტურ შესიტყვებად.

მხატვრულ თარგმანში არცთუ იშვიათია მთარგმნელის თავისუფალი მიდგომის მაგალითები, რაც იწვევს სამიზნე ტექსტში წყარო ტექსტის შინაარსისგან განსხვავებული მონაკვეთების გაჩენას. ამ თვალსაზრისით, განვიხილოთ არაკის „მოყვარულნი ცოლ-ქმარნი“ ბოლო აბზაცი, რაც ასევე მთლიანი თხზულების დასასრულია:

„- ჰე სედრაქ ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება,



მაგრამ ასრე ვხედავ: ვერც შენ გარდარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე.

და კმა არს დღესა ამას თქმად მრავალი ესე მეტყველება ჩვენი“ (ორბელიანი, 1970:315).

„Ah, Sedrak, I am deeply saddened that there is such animosity between you. It is my view that you cannot come out of this affair unhurt – neither you, nor I, nor any of you – and for this reason, that the flow of words from one of you to another is of a sort that will never dry. Listen when I say this: let the many jeers and insults you have exchanged suffice for you, and let there be an end now to your talk“ (Vivian, 1982:174).

ციტირებული პასაჟი წარმოადგენს თხზულების დასასრულს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ავტორი სწორედ მეფე ფინეზს აძლევს უკანასკნელი სიტყვის თქმის უფლებას და პერსონაჟებს შორის გამართული პაექრობის დასრულების შესაძლებლობას. ფინეზის მეტყველება კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, თხზულებაში ხასიათდება სიდინჯითა და ლაკონურობით, თუმცა საილუსტრაციოდ მოყვანილ მონაკვეთში ნათლად შეიგრძნობა მეფის მბრძანებლური ტონიც. ინგლისური თარგმანი კი შორსაა ლაკონურობისგან. მთარგმნელი საკუთარი იმპროვიზაციის უნარს აძლევს გასაქანს და თარგმანში ურთავს ინტერპოლაციებს. მაგალითად, თარგმანში ჩამატებულია „და სწორედ ამ მიზეზით თქვენ მიერ ერთმანეთისთვის ნათქვამ სიტყვებს ბოლო არ უჩანს. მისმინეთ, რას გეტყვით: გეყოთ ერთმანეთის დაცინვა/გამასხარავება და შეურაცხყოფა“. საინტერესოა რაში დასჭირდა მთარგმნელს ამხელა ჩანართის გაკეთება. შესაძლოა, მეტი ექსპრესიულობის, ან საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. თუმცა, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული ინტერპოლაცია, ცხადია რომ მოცემულ შემთხვევაში ირღვევა ტექსტის შინაარსობრივი ინფორმაცია, რაც წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ეკვივალენტობის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

წარმოდგენილი პასაჟის თარგმანში შეინიშნება ფაქტობრივი უზუსტობაც. მეფე ფინეზი აცხადებს რომ პაექრობა „ესე მეტყველება ჩვენი“ საკმარისია და

უნდა დასრულდეს. თარგმანში კი „ჩვენი“ შესატყვისად გამოყენებულია „you“ (შენ/თქვენ), რაც ასევე არასწორია. თარგმანში ჩანს, რომ მეფე მხოლოდ სხვებს მოუწოდებს კამათის შეწყვეტისკენ, მაშინ როდესაც დედანში მეფე თავის თავსაც გულისხმობს, რაც გამოიხატება ფრაზით „მეტყველება ჩვენი“.

განხილული პასაჟის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მთარგმნელის ინტერპრეტაცია და დედნისადმი სუბიექტური მიდგომა, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, პირველ რიგში ზიანს აყენებს დედნის შინაარსობრივ მხარეს.

მხატვრული ნაწარმოების სტილი, შინაარსი და პერსონაჟების დახასიათება დაფუძნებულია მწერლის პოზიციაზე, რომელზეც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის მსოფლმხედველობა, ლიტერატურული ტრადიციები, ეპოქალური მოვლენები და ა.შ. როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს „პროზის თარგმანში მწერლის პოზიციის გარკვევა აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება ნაწარმოებში არსებული სინამდვილისა და პერსონაჟებისადმი. მწერლის პოზიცია შესაძლოა იყოს ფილოსოფიური, ირონიული, იუმორისტული, ნეიტრალური.... ნაწარმოებში შეიძლება გამოვლინდეს სიძულვილი ან სიმპათია რომელიმე მოვლენის ან პერსონაჟის მიმართ, ხოლო მთელ ნაწარმოებს კი ლაიტმოტივად გასდევდეს ერთი პოზიცია, რომელიც გავლენას ახდენს და განსაზღვრავს მთლიანი ნაწარმოების ფასეულობას, როგორც ესთეტიკური ისე შემეცნებითი კუთხით“ (ფანჯიკიძე, 1995:130), ამიტომაც სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების გარკვევა უნდა დაისახოს მთარგმნელმა მიზნად, რათა სამიზნე ენაზე შექმნას ორიგინალის ტოლფასი ტექსტი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

„სიბრძნე სიცრუისაში“ მრავლადაა არაკები, რომელთა თარგმანებიც სტილისტური და შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით თანხვედრაშია ორიგინალთან. საილუსტრაციოდ მოგვყავს არაკი „ნალბანდი მგელი“:

„ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამობდა. ვირმა უთხრა: ვიცი, შემჭამ,

ეს ანდერძი ამისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამოიღეო!

მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოეღო. ვირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩაამტვრია მგელსა. ვირი ველარ შეჭამა.

მგელმან თქვა: მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო“ (ორბელიანი, 1970:90).

“A wolf came upon a donkey and wished to make a meal of it.

The donkey said:

‘I know you are going to eat me. Grant me one last favour: a piece of nail is wedged in the cleft of my hoof – pray take it out for me!’

The wolf opened his mouth to pull out the nail. The donkey struck out with both feet and smashed his teeth in, so that he was unable to crunch up the animal for meat.

The wolf said:

‘My father was a shoemaker; why did I try to become a smith?’ (Vivian, 1982:48).

თარგმანში არაკის შინაარსი ორიგინალის ეკვივალენტურია. ქ. ვივიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ინგლისურ ენაზეც ცხადად იგრძნობა ავტორის ირონიული დამოკიდებულება თვითმარქვია პირების მიმართ.

თარგმანში შინაარსობრივი ინფორმაციის ადეკვატური ტრანსფორმაციის ნიმუშად შესაძლოა მივიჩნიოთ არაკის „მეფე და მისი სამი ძე“ თარგმანი:

„ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს და ბოლოს ინანდეს. მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფრო ძნელად შესამართავი არა არის რა და რა ხელთა აიღოს, ადვილად ქმნას, პირველ ზარობდეს და ბოლოს უხაროდეს, დიდად სიამე შეექმნას. ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა - დაუღევნელი საუკუნომდის“ (ორბელიანი, 1970:102).

“The pleasure of the wrongdoing is short-lived, and turns sour and poisonous; one

enjoys it in the beginning and regrets in the end. There is nothing harder than to resolve on good and gracious action, but as soon as one puts one's hand to it all goes smoothly; at first one is reluctant, and in the end one takes great pleasure in it. Wrong and evil actions come to an early and painful end, while good and gracious ones are enduring” (Vivian, 1982:55).

ციტირებული პასაჟი ადეკვატურად ასახავს ავტორის დამოკიდებულებას და შეხედულებას „კეთილი და ბოროტი საქმის“ მიმართ. თარგმანშიც, ისევე როგორც ორიგინალში, ცხადად იგრძნობა „სულხან-საბა“ დიდაქტიკოსის მოძღვრება, რომ სიკეთის კეთებას ალტერნატივა არ აქვს და ადამიანი მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს კეთილი საქმის კეთებისკენ.

დედნისეული ექსპრესიულობით გამოირჩევა არაკის „ქურდის მემკვიდრე“ თარგმანიც:

„თავრიზის ქვეყანას იყო ერთი ქურდი. რომ სხვა ვეღარა დაეხელებინა რა, მკვდარს მოსთხრიდის, სუდარს გაჰხდიდის, შეღებავდის და გაყიდდის.

შეწუხდა თემი იგი კაცისა მისგან. ნატრობდის სიკვდილსა მისსა.

მოკვდა კაცი იგი და დარჩა შვილი, ერთი ვაჟი. ესრეთი ქურდობა დაიწყო, რომ არა ეგებოდა: მკვდარი მოსთხარის, სუდარი გახადის და მკვდარი ანძაზე ჩამოაცვის.

მის ქვეყნისა კაცთა მამსა მისსა ლოცვა დაუწყეს: იგი სუდარს გაჰხდიდის, გაყიდის, მკვდარს ანძაზე მაინც არ ააგებდაო! “ (ორბელიანი, 1970:90).

„There was once a thief in the country of Tabriz. When he had nothing better to do he would dig up corpses and remove the shrouds from them, which he dyed and sold. He spread alarm and disquiet throughout the land, and everyone wished that he were dead.

The thief died, leaving a child. This boy took to stealing in a fashion altogether unheard-of: he dug up corpses, removed the shrouds and impaled the bodies. The people of that region began to call down blessings on his father:

He took the shrouds, but at least he did not impale the bodies!” (Vivian, 1982:48-49).

ციტირებული არაკის ინგლისური ვერსია, დედნის ეკვივალენტურია, როგორც შინაარსობრივი, ისე სტილისტური და გამომსახველობითი კუთხით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქ. ვივიანს წარმატებით აქვს დაძლეული ადეკვატური ენობრივი შესიტყვებების მოძიების პრობლემა და შედეგად თარგმანში ვიღებთ ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელ ტექსტს.

სულხან-საბა სხარტად გადადის ერთი ამბიდან მეორეზე. მისი თხრობა გამოირჩევა რიტმულობით, რასაც ქმნის სიტყვათა თუ აზრის ვარიაციული გამეორება. „სიბრძნე სიცრუისას“ თხრობის რიტმი ხან ჩქარდება და ხან შედარებით ნელდება, აჩქარებულია, როცა პერსონაჟები ერთმანეთს სიტყვიერად ეპაექრებიან ან იგავ-არაკებით უსაბუთებენ სათქმელს, მაგრამ თხრობა შედარებით ნელდება, როცა ლეონი სხვადასხვა მეფისა და ქვეყნის ამბებს ჰყვება. თხრობას მრავალფეროვნებას მატებს გამოცანები და ისიც, რომ „სიბრძნე სიცრუისაში“ პერსონაჟები იგავ-არაკებს ჰყვებიან და მკითხველი მუდმივად მოლოდინის რეჟიმშია. სულხან-საბას ძირითადად აზრის გადმოცემა აინტერესებს. ამიტომაც, „სიბრძნე სიცრუისაში“ იდეურ-თემატურობა გაცილებით წინა პლანზეა ვიდრე მხატვრულობა, თუმცა იმ მცირე რაოდენობით არსებულ ეპითეტებსა და მეტაფორებშიც კი კარგად ვლინდება მწერლის დიდი მხატვრული შესაძლებლობა, დახვეწილი გემოვნება და ბრწყინვალე გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი (მენაბდე, 1953:102). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისეთი ეპითეტები, როგორიცაა მაგალითად, სედრაქის დახასიათებისას გამოყენებული სიტყვა „ამბავტკბილი“, რომლის ინგლისური ანალოგის მოძებნაც, სავარაუდოდ, რთული აღმოჩნდა მთარგმნელისთვის და შემოგვთავაზა მისი განმარტებითი თარგმანი: “whose words flowed smooth and sweet” - „რომლის სიტყვებიც იყო მშვიდი და ტკბილი“.

„სიბრძნე სიცრუისა“ გამორჩეული ნაწარმოებია იმ მხრივაც, რომ ავტორი ირონიული თხრობითა და სარკაზმით ცდილობს ადამიანის ბუნებისა და

ხასიათის თავისებურების წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით, საინტერესო არაკია „მოტირალი და მოცინარი“, რომელშიც მოცინარი კაცი მოტირალივით წუხს წუთისოფლის ამოებასა და კაცთა უგუნურებაზე, თუმცა მოტირალისგან განსხვავებულ დასკვნას აკეთებს:

„აწ სიცილს ძალი მივეც, მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელიაო“ (ორბელიანი 1970:287).

ეს მნიშვნელობა ანალოგიურად ჟღერს ინგლისურ თარგმანშიც და არაკში ჩაქსოვილი აზრი ინგლისური მკითხველისთვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული

“And now I have taken to laughing; what good will it do to them or to myself, If I give way to despair on their account?” (“Laughter and Tears”) (Vivian, 1982:157).

მხატვრული ლიტერატურის თარგმანში მთარგმნელის მიერ შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის მცდელობა არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუკი სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევა ორიგინალი ნაწარმოების ავტორის სტილად მიიჩნევა, ამ თვალსაზრისით მთარგმნელსაც შეუძლია მეტი შემოქმედებითი თავისუფლების გამოჩენა სათარგმნი ტექსტისადმი. ეს უკანასკნელი კი დასაშვები და მისაღებია თუკი მოტივირებულია წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ეკვივალენტობის და ასევე სამიზნე ენაზე ანალოგიური მხატვრული ეფექტის მიღწევის სურვილით.

განვიხილოთ ეპიზოდი არაკიდან „მომღვარი მელი“, სადაც ავტორი ირონიულად და ამავდროულად მხატვრული ოსტატობით აგვიწერს მელის სიხარბეს:

„მელს სიხარბით და მსუნაგობით ჭკუა და მცნება დაეფანტა; ასე თქვა გულში: ეს ოფოფი ერთს ლუკმად არ მეყოფის და ერთი ბატი და იხვი ერთს კვირასაც მეყოფაო.

ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენს. მამალიცა და ძერაც იქივ შეუჭმელი დარჩა და თან გაჰყვა.

ოფოფმან მელი ერთს ხევში დააწვინა, მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწვევრითა და ძაღლებითა.

ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა. აფრინდა. მელს ახლო დაუჯდა. მიჰყვებენ მონადირენი. მანამდინ ქმნა, იმ ხევში მიიყვანა. მეძებრებმა კვალი ნახეს, მელი გაიხტუნეს, მწევრებმან ასე გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს.“ (ორბელიანი, 1970:44).

“Carried away by cupidity and greed, the fox lost his head and said to himself:

‘This hoopoe will make but a morsel, but a thick duck and a goose will feed me for a week.’

A bird in the hand is worth two in the bush. He left the cock and the kite uneaten and went off with the hoopoe, who led him into a ravine and left him there to wait. The hoopoe came upon a hunter with hawks and hounds; he alighted on the ground in front of them, and when the hunter tried to shoot an arrow at him he flew away and settled near the fox. The hunter followed. The hoopoe contrived to lead him into the ravine. The pointers found the fox’s scent, gave chase and did their work so well that not a bone was left unbroken” (Vivian, 1982: 23-24).

ციტირებული ეპიზოდის თარგმანი დედნის ეკვივალენტურია. მთარგმნელი შთამბეჭდავად და ამავდროულად, სხარტად აღწერს მელის სიხარბესა და ოფოფის მოხერხებულობას სამიზნე ენაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სენტენციის „ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენს“ თარგმანი, სადაც სულხან-საბა ხაზს უსვამს სიხარბის უარყოფით მხარეს და მთელი სიცხადით ხატავს სიხარბით გამოწვეულ შედეგებს. ქ. ვივიანი შემოქმედებითად უდგება წყარო ტექსტს და დასახელებული სენტენციის შესატყვისად გვთავაზობს ინგლისურ ანდაზას “A bird in the hand is worth two in the bush”. დასახელებულ ანდაზას ვებსტერის ლექსიკონში შემდეგი განმარტება აქვს: „ჯობს იმით დაკმაყოფილდე რაც გაქვს, ვიდრე უკეთესის ძიებაში ესეც დაკარგო“ (it is better to hold onto something one has than to risk losing it by trying to get something better), რაც აზრობრივად შეესაბამება ცნობილ ქართულ ანდაზას „დღევანდელი კვერცხი გერჩინოს ხვალინდელ ქათამს“. ჩვენი აზრით, მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ვერსია დედნის ეკვივალენტურია როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული და სტილისტური კუთხით.

შენარჩუნებულია წყარო ტექსტში იმპლიცირებული შეგონების არსი და რაც მთავარია, სრულიად გასაგებად და ბუნებრივად ჟღერს ინგლისურ ენაზე.

ქ. ვივიანი მოწოდების სიმალლეზე დგას აფორიზმების თარგმნისას:

„მაძლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო“ (ორბელიანი, 1970:56).

“There is a saying that a man with full stomach gave a few crusts of bread to a starving man, and then upbraided him for gobbling like a pig” (Vivian, 1982:28).

მთარგმნელი ცდილობს დაიცვას სულხან-საბას თხოვრის სტილის თავისებურება, რაც გამოიხატება გადმოსაცემი აზრის ხალხურობასა და ლაკონურობაში. ადეკვატური სტილითა და სისხარტით არის გადმოცემული შემდეგი აფორიზმები:

„რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო“ (ორბელიანი, 1970:48).

“When a priest asks for witnesses to a confession, he merits even worse than this!” (Vivian, 1982:24).

„ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონია“ (ორბელიანი, 1970:249).

“An evil man thinks that all men are like himself” (Vivian, 1982:136).

„ქორი ქორსა სჩეკს და ძერა ძერუკასაო“ (ორბელიანი, 1970:145).

“A hawk is hatched from a hawk’s egg, a kite chick from a kite’s” (Vivian, 1982:79).

„ცუდად ჯდომას ცუდად შრომა უმჯობეაო“ (ორბელიანი, 1970:78).

“Work ill-done is better than none” (Vivian, 1982:42).

„ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო“ (ორბელიანი, 1970:62).

“Give me a happy fate, then bury me in a dung heap if you will!” (Vivian, 1982:32).

მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს აქვს ისეთ ქართულ სიტყვებზე, როგორცაა: არაკი (ქართული ლექსიკონის მიხედვით „სასწავლო ამბავი“-



“teaching story”), თოხარიკი (“pacer or ambler”-„იორლა ცხენი“) და მათი განმარტებები ინგლისელი მკითხველისთვის სქოლიოს სახით აქვს წარმოდგენილი. ქ. ვივიანი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში არსებულ დაფიცების ტრადიციაზე „თავისი თავი ფუცა“ - “swore by his head” (Vivian, 1982:1). მთარგმნელი განმარტავს, რომ დაფიცების ამგვარი ტრადიცია ადრეც არსებობდა საქართველოში.

მთარგმნელს მოცემული აქვს ანდაზებისა და საქართველოში არსებული გამოთქმების განმარტებები. მაგალითად, არაკში „ოთხი ყრუ“ - ყადის სიტყვების თარგმანს:

„რადგან მთვარე უნახავნ, ნადარას კართო“ (ორბელიანი, 1970:49).

“If you have seen the moon go end beat the drum!” (“The Moon of Ramadan”, Vivian, 1982:25).

სქოლიოში ახლავს განმარტება, რომ აღნიშნულით უნდა მოხდეს მარხვის დასრულების გამოცხადება.

ქ. ვივიანი ყურადღებას უთმობს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების განმარტებასაც. მაგალითად, არაკში „მაოხრებელი მკვდარი“ ნახსენები „კლარჯეთის თემის“ მნიშვნელობის ასახსნელად ქ. ვივიანი მიუთითებს, რომ „ეს არის საქართველოს ყოფილი მხარე, რომელიც თურქეთის მმართველობის ქვეშ იმყოფება მე-16 საუკუნიდან“ (Vivian, 1982:49). დასახელებული განმარტება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ინგლისელი მკითხველი გარკვეულ ინფორმაციას იღებს საქართველოს ისტორიის კონკრეტული ეპიზოდის შესახებ.

ინგლისურენოვანი მკითხველის მიერ ქართული კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისა და რეალიების სათანადოდ აღქმის მიზნით, ქ. ვივიანი განმარტავს „სამაიას“ მნიშვნელობასაც - „ქართული ცეკვის სახეობა, რომელიც ტრადიციულად სრულდება სამი გოგონას მიერ დღესასწაულებზე“ (Vivian, 1982:58).

მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს სულხან-საბას ეპოქაში არსებულ „ბანიან სახლებზე“ და მკითხველს ამცნობს, რომ „ადამიანებს ერთი სახლიდან მეორეში გადასვლა სწორი სახურავებიდან შეეძლოთ“ (Vivian, 1982:119).

წინამდებარე თავში შევეცადეთ, წარმოგვედგინა და გაგვეანალიზებინა „სიბრძნე სიცრუისას“ ქეთრინ ვივიანისეული ინგლისური თარგმანის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. განხილული მაგალითებისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთლიანად თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული. თარგმანის ენა, დედნის ენის მსგავსად უმეტესად ლაკონური და მოქნილია, მასში დაცულია „სულხან-საბას“ სტილი და თხრობის მანერა, რაც გამომდინარეობს მთარგმნელის მიერ ნაწარმოების ყველა ნიუანსის, კერძოდ, სულხან-საბას მიერ გამოყენებული არქაიზმების, აფორიზმებისა და სენტენციების სათანადო გააზრებითა და საფუძვლიანი შესწავლით. ასევე დასაფასებელია მთარგმნელის ძალისხმევა, თხზულების შინაარსის ზუსტად და თანმიმდევრულად გადმოცემის თვალსაზრისით. თუმცა, გვხვდება კუპიურები და ინტერპოლაციები, რაც, სამწუხაროდ, მხატვრულ თარგმანში არცთუ იშვიათი მოვლენაა. ასევე, შეინიშნება გარკვეული მეტაფორების, ფრაზეოლოგიზმებისა და ლექსიკური ერთეულების ზუსტი ეკვივალენტების მოძიების პრობლემა, რომელიც, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებებითა თუ სხვა ობიექტური მიზეზებით, რაც, ცხადია, სრულებით არ ამცირებს წარმოდგენილი თარგმანის მხატვრულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

## თავი VI. „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი

თარგმანი რთული და თან რამდენიმე ფაზიანი პროცესია, რომლის დროსაც მთარგმნელის მიერ ხდება ობიექტური რეალობის სუბიექტურად, ხოლო მოვლენათა განსხვავებული სახით აღქმა. ეს ყოველივე საკმაოდ ხშირად იწვევს დედანში არსებული ფაქტებისა და აზრების არასწორ ინტერპრეტირებას თარგმანში.

ქართული ლიტერატურის მთარგმნელს მრავალი დაბრკოლების დაძლევა და ამავდროულად საკმაოდ დიდი შრომა მოუწევს, რომ უცხოენოვან მკითხველს სათანადო ლექსიკურ-სტილისტური ფორმითა და მხატვრული ხერხებით გააცნოს ქართველთა მსოფლმხედველობა, აზროვნების თავისებურება, წეს-ჩვეულებები, კულტურული და ეროვნული ფასეულობები. „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუკი გავითვალისწინებთ თხზულების კომპოზიციურ თავისებურებასა და თხრობის სპეციფიკას. მთარგმნელმა დეტალურად უნდა შეისწავლოს თხზულების ავტორის წერის მანერა, გაიაზროს ნაწარმოების სტილი და ლექსიკა, ამოიცნოს თითოეულ იგავში ჩაქსოვილი ფარული ქვეტექსტი და, ენებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად (ჩვენ შემთხვევაში ინგლისური და ქართული), შექმნას დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული და ადეკვატური ტექსტი სამიზნე ენაზე.

როგორც ნაშრომის წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანები შესრულებულია ოლივერ უროდროპისა და ქეთრინ ვივიანის მიერ სხვადასხვა საუკუნეში. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, ეპოქალური და ენობრივი განსხვავებები თარგმანებშიც საგრძნობია.

თარგმანების შესწავლისა და შედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ თითოეული თარგმანი, მათში არსებული უზუსტობებისა თუ ხარვეზების მიუხედავად, უნიკალური და განსაკუთრებულია, მათში ბევრია როგორც მსგავსება, ისე განსხვავებაც.

მაგალითად, ორივე თარგმანის სარჩევში გვხვდება ჩამატებული ქვესათაურები:

“The Tales of Italian Painters” (იტალიელი მხატვრების ამბები), “The Stories of the Ten Surgeons” (ათი ქირურგის მიერ მონათხრობი ამბავი) და სხვა (ო. უორდროპი).

“Djumber’s Tales” (ჯუმბერის მიერ მონათხრობი ამბები), “Hunting Stories” (ნადირობასთან დაკავშირებული ამბები) და სხვა (ქ. ვივიანი).

აქვე საყურადღებოა შემდეგი ნიუანსი: ო. უორდროპის მიერ ჩამატებული ქვესათაურის - „ათი ქირურგის მიერ მონათხრობი ამბავი“ - მსგავსი შინაარსის მქონე ქვესათაური გვხვდება ქ. ვივიანთანაც - “Ten Learned Physicians” (ათი სწავლული ექიმი). გარდა ამისა, ანალოგიური შინაარსის მქონე კიდევ ერთი ქვესათაური მოიპოვება ორივე თარგმანში:

“The Stories of Three Unhappy Married Men” - სამი უბედური დაოჯახებული კაცის ამბავი - ო. უორდროპი.

“The Three Luckless Married Men” - სამი უიღბლო დაოჯახებული კაცი - ქ. ვივიანი.

დასახელებულ მაგალითებში მსგავსება აშკარაა. ო. უორდროპი თარგმანის შესავალში თავადვე მიუთითებს, რომ მისი თარგმანი არ არის შესრულებული ორიგინალიდან და თარგმნისას გამოყენებული აქვს ალ. ცაგარელის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი. ო. უორდროპისგან განსხვავებით, ქ. ვივიანი ინფორმაციას არ გვაძლევს გამოყენებული წყაროების შესახებ და შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოდთ, რომ იგი გაეცნობოდა ო. უორდროპის ნაშრომს, თუმცა, სამწუხაროდ, საერთოდ არ ახსენებს თავის წინამორბედს.

ჩამატებული ქვესათაურების გარდა მსგავსება შეინიშნება თავად არაკების სათაურების თარგმნის სტილშიც. ორივე მთარგმნელი ხშირად მიმართავს სათაურების გავრცობის ხერხს, რაც იწვევს სულხან-საბასთვის სახასიათო ლაკონური თხრობის სტილის დაკარგვას თარგმანში. არაკების სათაურების

თარგმანების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ გარკვეული დამთხვევების, მსგავსებებისა თუ უზუსტობების მიუხედავად, ქ. ვივიანმა გაცილებით უკეთესად და წარმატებით გაართვა თავი დედნისეული ვარიანტებისთვის სემანტიკურად და სტილისტურად ზუსტი ლექსიკური შესიტყვებების მოძიებას და ადეკვატურად ტრანსფორმაციას თარგმანში:

#### **„უგუნური მცურავი“**

-“The Stupid Swimmer” (სულელი/უჭკუო მცურავი) - ქ. ვივიანი

-“The drowning man” (კაცი, რომელიც იხრჩობოდა) - ო. უორდროპი

#### **„ენით დაკოდლი“**

-“How the Tongue can Wound” (როგორ შეუძლია ენას ჭრილობის მიყენება) - ქ. ვივიანი

-“The man and the bear” (კაცი და დათვი) - ო. უორდროპი

#### **„ნალბანდი მგელი“**

-“The Wolf as Farrier” (ნალბანდი მგელი) - ქ. ვივიანი

-„The wolf and the ass“ (მგელი და ვირი) - ო. უორდროპი

#### **„გლახაკი და ქილა ერბო“**

-“The Poor Man and the Pot of Butter” (ღარიბი კაცი და კარაქის ქილა) - ქ. ვივიანი

-“The pot of oil” (ზეთის/ცხიმის ქილა) - ო. უორდროპი.

#### **„უსამართლო შირვან-შაჰ“**

- “Unjust Shirvan-Shah” (უსამართლო შირვან - შაჰ) - ქ. ვივიანი

-“Shirvan-Shah and his vizier” (შირვან-შაჰი და მისი ვეზირი) - ო. უორდროპი

#### **„ძალა ერთობისა“**

-“Strength in Unity” (ძალა ერთობაში) - ქ. ვივიანი

-“The king’s council to his thirty sons” (მეფის თათბირი თავის ოცდაათ ვაჟთან) - ო. უორდროპი

ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითები მოწმობს, რომ ქ. ვივიანი მაქსიმალურად ცდილობს არაკების სათაურების დედნისეული ვარიანტის შენარჩუნებას თარგმანში, განსხვავებით ო. უორდროპისგან, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სათაურებს ცვლის არაკების დედააზრის შესაბამისად.

ადეკვატური თარგმანის შესასრულებლად მთარგმნელს მრავალი ფაქტორის გათვალისწინება და მოთხოვნის დაკმაყოფილება უწევს. წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის ეკვივალენტურობის მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სამიზნე ტექსტში ინფორმაციული კატეგორიების შენარჩუნება: შინაარსობრივ-ფაქტობრივი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური, შინაარსობრივ-ქვეტექსტური და შინაარსობრივ-ხატობრივი. ამ ოთხი კატეგორიიდან, ტექსტში ყველაზე მარტივად ამოსაცნობია შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არის მოცემული. თარგმანში შესაძლოა, ყოველთვის ვერ მოხერხდეს შინაარსობრივ-ქვეტექსტური, კონცეპტუალური ან ხატობრივი ინფორმაციის ასახვა, რაც გამოწვეულია ენებს შორის არსებული ლექსიკური თუ სტილისტური განსხვავებებით. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მთარგმნელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ადეკვატურად ასახვას სამიზნე ტექსტში, რადგანაც მხატვრული თარგმანი ძირითადად შინაარსობრივ ეკვივალენტურობაზე აგებული შემოქმედებაა.

თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ადეკვატური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, განვიხილოთ მონაკვეთი არაკიდან „უბედური დიდვაჭარი“. მეფე ფინეზი როდესაც მძინარე ლეონს იხილავს, მას სიზმარში ნანახ პიროვნებას მიაძგავს და მისი წარმომავლობით დაინტერესდება, რაზეც ლეონი მიუგებს:

„- მე არა ვიცი სადაური ვარ, მეფობისა წინაშე რა ვიკადრო? ეს ვიცი: მე ლეონ მქვიან, მამაჩემი დედის ჩემისა ჩემზედ ორსულობასა მომკვდარა და

დედაჩემი ჩემსა შობასა და მე აქაიქ სვლითა გავზრდილვარ“ (ორბელიანი, 1970: 21).

განვიხილოთ ამ მონაკვეთის თარგმანები.

ო. უორდროპის თარგმანში ვკითხულობთ:

“I have grown up in travelling hither & thither; my name is Leon” – „მე აქეთ-იქით მოგზაურობაში გავზრდილვარ; ჩემი სახელია ლეონი“ (Wardrop, 1894:19).

როგორც ვხედავთ, თარგმანი საკმაოდ აცდენილია დედანთან, როგორც ფორმის, ისე შინაარსის კუთხით. ო. უორდროპი არაფერს ამბობს ლეონის წარმომავლობისა და ობლობის შესახებ. შესაბამისად, ინგლისურენოვანი მკითხველისთვის უცნობი რჩება თხზულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის შესახებ დედანში არსებული ისედაც მწირი და უადრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ზოგადად, მთარგმნელი ყოველთვის უნდა ეცადოს კუპიურების თავიდან აცილებას. მართალია, რიგ შემთხვევებში, ეს შეუძლებელია ენებს შორის არსებული ლექსიკურ-სტილისტური განსხვავებებისა და სხვა ენობრივი მახასიათებლების გამო, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში წყარო ტექსტში ექსპლიცირებული შინაარსის ასახვა თარგმანში სავსებით შესაძლებელი იყო.

რაც შეეხება ქ. ვივიანს, იგი შემდეგ თარგმანს გვთავაზობს:

“Whence I come, I do not know. What can I say to Your Majesty? This I know, that I am called Leon. My father died when my mother was carrying me, my mother died when I was born, and I grew up wandering from place to place” – „სადაური ვარ არ ვიცი. რა შემიძლია მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას? ეს ვიცი, რომ ლეონი მქვია. მამაჩემი მაშინ გარდაიცვალა, როცა დედაჩემი ჩემზე ორსულად იყო, დედაჩემი მაშინ გარდაიცვალა როცა დავიბადე და მე, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ხეტიალში გავიზარდე“ (Vivian, 1982: 11).

ციტირებულ მონაკვეთში ქ. ვივიანი ერთგულად მიჰყვება დედანს და ასახავს მასში მოცემულ ყველა დეტალს. ასევე, მისასაღმებელია მთარგმნელის მიერ ინგლისური ენისთვის მეტად ჩვეული და სახასიათო ფრაზის „Your Majesty“

გამოყენება, რომელიც ზუსტად გადმოსცემს დედანში მეფის მიმართ გამოხატულ მოწიწებას.

სულხან-საბა ორბელიანის აზრით, მეფის ხელისფლების პირობებში, სამეფოს მართვაში ფრიად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრიათ მეფის უახლოეს კარისკაცებს. არაკში „ბერი და ყრმა“ საბა ლეონ აღმზრდელის პირით შთამბეჭდავი შედარებების მეშვეობით აყალიბებს თავის მოსაზრებას კარგი კარისკაცის შესახებ:

„- მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს.

მეორე: აგრეც ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს.

მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას.

მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს.“  
(ორბელიანი, 1970:33).

“A man on a mountain top in winter and a man sitting by a big fire, are much alike; he that sits too near the fire suffers from heat, he that goes far away from it is chilled by the frost. A man who serves a king must have five rare qualities:

(i) with one of his eyes he must see more than a hundred other eyes can see, but his other eye must be closed tighter than a blind man’s;

(ii) in like manner, with one of his ears he must hear while other is deaf;



(iii) his heart must be bigger than an inn yard, all that enters it by the ear must be gathered up and harboured there;

(iv) of the things he hears he must repeat nothing but what it is well to say;

(v) his tongue must drop both honey and poison” (Wardrop, 1894:24).

ო. უორდროპი ციტირებული პასაჟის დასაწყისს საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე თარგმნის. დედანში ავტორი ავითარებს აზრს, რომ მეფის სამსახურში მყოფი ადამიანი ისეთივე საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ზამთარში კოცონთან მჯდომი კაცი, რომელიც შესაძლოა, ცეცხლმა დაწვას. თარგმანში კი სახეზეა შინაარსობრივი ინფორმაციის დარღვევა „ზამთარში მთის მწვერვალზე მყოფი კაცი და დიდ ცეცხლთან მჯდომი კაცი ძალიან გვანან ერთმანეთს“. გაუგებარია, რატომ დასჭირდა მთარგმნელს ამგვარი შედარების მოხმობა და „მთის მწვერვალზე მყოფ ადამიანთან“ შედარება. ამასთან, პასაჟის დასაწყისშივე შეინიშნება კუპიურა, კერძოდ მთარგმნელს გამოტოვებული აქვს „მეფისა თანა მყოფი“. შესაბამისად, ინგლისურენოვანი მკითხველისთვის უცნობი რჩება, რომ ეს კონკრეტული შედარება მხოლოდ მეფის სამსახურში მყოფ ადამიანებს ეხება და, რომ მეფის მსახურებს განსაკუთრებული სიფრთხილე და მოხერხებულობა მართებთ.

ამავე პასაჟში ვაწყდებით კიდევ ერთ ფაქტობრივ უზუსტობას: „ფუნდუკი“ თარგმნილია, როგორც “inn yard” - სასტუმროს ეზო, მაშინ როდესაც „ფუნდუკი“ წარმოაგენდა ერთგვარ სასტუმროს, სადაც მექარავნენი ისვენებდნენ და აბინავებდნენ სავაჭრო საქონელს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=4596>), თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ო. უორდროპი პასაჟის დანარჩენი ნაწილების ადეკვატურ თარგმანს გვთავაზობს.

განვიხილოთ იგივე მონაკვეთის ქ. ვივიანისეული თარგმანი:

„A man who serves the king is like one who sits by a big fire in winter. If he comes too close, he is scorched by the heat, if he moves away, he is frozen with cold.

There are five rules for a courtier, and they are not easy to observe: first, he must see with two eyes more than he could with a hundred, and still be able to turn a blind eye; second, he must listen with one good ear and turn one deaf ear; third, his heart must be more spacious than a caravanserai, to contain and guard what enters through ears; fourth, he does not repeat anything base or trivial, while he does speak of what is good and fitting for men of sense to hear; fifth, his tongue must be able to drip either honey or venom“ (Vivian, 1982:16).

როგორც ვხედავთ წარმოდგენილი მონაკვეთის დასაწყისი დედნის ადეკვატურია როგორც შინაარსობრივი, ისე სტილისტური კუთხით. შედარების ხერხის გამოყენებით, მთარგმნელი ახერხებს დედნისეული ელფერისა და ფაქტობრივ-შინაარსობრივი ინფორმაციის შენარჩუნებას და მკითხველს სრულიად გასაგებად აწვდის ავტორის იდეას „მეფის სამსახურში მყოფი კაცი, ზამთარში დიდ ცეცხლთან მჯდომი კაცის მსგავსია“. ჩვენი აზრით, ასევე მისაღებია ქ. ვივიანის მიერ „*მეფისა თანა მყოფსა კაცსა*“ შესატყვისად ლექსიკური ერთეულის „courtier“ (მეფის კარზე მომუშავე, კარისკაცი) გამოყენება, რაც მკითხველისთვის უფრო ნათელს ხდის და ხაზს უსვამს, რომ ეს წესები მხოლოდ მეფის კარისკაცებს ეხებათ. სულხან-საბა კარგი და ერთგული კარისკაცებისთვის ხუთ წესს აყალიბებს, რომელთა დაცვა და შესრულება საკმაოდ რთულია: „*მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს*“, რომლის შესატყვისადაც ქ. ვივიანი გვთავაზობს „კარისკაცებისთვის ხუთი წესი არსებობს და მათი დაცვა ადვილი არაა“. მოცემულ შემთხვევაში მთარგმნელი ანტონიმურ თარგმანს მიმართავს დედანში არსებული შინაარსობრივი ინფორმაციის შესანარჩუნებლად, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით მისაღებია. სულხან-საბა თავის ლექსიკონში „ძნელს“ განმარტავს, როგორც: „გარჯით საქნელი, ადვილის წინააღმდეგი“ (ორბელიანი, 1991:356(II)). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ვერსია დედნის ეკვივალენტური და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელია. მიუხედავად ამისა, ამავე პასაჟის თარგმანში გვხვდება შინაარსობრივ-ფაქტობრივი უზუსტობაც. კერძოდ, მეხუთე წესში ვკითხულობთ, რომ მეფის მსახურს ერთდროულად თაფლივით ტკბილი და

საწამლავივით მწარე ენა უნდა ჰქონდეს. ქ. ვივიანის მიერ შემოთავაზებულ ვერსიაში კი ვკითხულობთ, რომ „ენიდან თაფლი ან შხამი უნდა სდიოდეს“, რაც, ცხადია, უპირისპირდება დედანს, ვინაიდან კარისკაცის გონებამახვილობა და მოხერხებულობა სწორედაც იმაში გამოიხატება, რომ ერთდროულად ტკბილ-მწარე სიტყვის თქმა და საუბარი შეეძლოს, ხოლო თარგმანში კი საწინააღმდეგო აზრია გატარებული, თითქოს ამ ორიდან მას მხოლოდ ერთი მოეთხოვება.

სულხან-საბა ორბელიანი დიდად აფასებდა ადამიანის პირად ღირსებას, მის დამსახურებას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. იგი აცხადებს, რომ მტრის დანდობა არ შეიძლება, რადგანაც „მტერი რა კაცსა მტრობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას“. ორგულობას, მტრობას და გაუტანლობას სულხან-საბა უპირისპირებს მეგობრობასა და ამხანაგობას. არაკში „თათვალი“, ავტორი საოცარი ოსტატობით გვიხატავს ნამდვილი და ერთგული მეგობრის სახეს:

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია. ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია. ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? რად გძულან, რად ეშუღვლი, რად ეკამათები? მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა“ (ორბელიანი, 1970:259).

ციტირებულ პასაჟში მწერლის ენა გამოირჩევა ლექსიკური მრავალფეროვნებით. ზოგადად, ყოველი მწერლის ენა მხატვრული გამომსახველობის საშუალებითა და ხერხებით ყოველთვის განსხვავდება სხვა მწერლის ენისაგან, რაც უმთავრესად გამოწვეულია მწერლის მსოფლმხედველობით, წერის მანერით, სტილის, შინაარსისა და პერსონაჟთა სახეების თავისებურებით. სედრაქ ვაზირი, რომელიც გამოირჩევა თავისი სიბრძნით, სიღინჯითა და სიტყვატკბილობით, ამაღლებულად აღწერს ნამდვილი მეგობრის სახესა და თვისებებს. სედრაქის სიტყვებში კარგად არის გაცხადებული ავტორის კრედო და ჩანაფიქრი. სპეციალურად შექმნილი სენტენციების მეშვეობით ავტორი ცდილობს მკითხველში მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობების გაღვივებას. იგი გვიჩვენებს, რომ ბოროტება და ავისქმნის სურვილი დამღუპველია, ნამდვილი და ერთგული მეგობრის პოვნა კი ყოველთვის ძნელია და ადამიანი ყველანაირად უნდა ეცადოს მის შენარჩუნებას.

ციტირებული სენტენციების ადეკვატურ ტრანსფორმაციას სამიზნე ტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამხანაგობისადმი მიძღვნილ პასაჟში გამოთქმული მოსაზრებანი წარმოადგენს თხზულების ერთ-ერთ ძირითად თემას და ნათლად გვიხატავს ავტორის დამოკიდებულებას ამ უკვდავი გრძნობის მიმართ.

განვიხილოთ ო.ჟორდროპის თარგმანი:

“A good friend is hard to find; he is not to be picked up on the wayside, nor bought cheap! A friend is a stronghold supplied with water, a lofty bulwark, a castle that cannot be shaken. A friend is a great joy, enriching us with great gladness, an ornament of banquets. A friend is the light of the heart, the sight of the eyes, the might be of the hands. A friend is the overthrow of foes, the hope of friends, worthy of being put before strangers, a helper to the learned. A friend is a comforter of the lonely, a doughty champion, a merry companion in a small gathering. A friend is a support in misfortune, a

physician in sickness, unselfish in sight of death. What canst thou find better than thy friend? Why dost thou hate him? Many good men have seen who left kinsfolk and brethren and went to their friends. A friend should meet with love & not hatred” (Wardrop, 1894: 208-209).

ინგლისურ ვერსიაში პასაჟის დასაწყისი დედნისთვის დამახასიათებელი დინამიურობით იწყება და უნაკლო მხატვრულობით აღწერს კარგი მეგობრის თვისებებს. შესანიშნავად ჟღერს ინგლისურ ენაზე „ზღუდე მაღალია“-ს შესატყვისად გამოყენებული ფრაზა “a lofty bulwark” (მაღალი დამცავი კედელი). ხშირად მთარგმნელი იძულებული ხდება, რომ ინტერპრეტატორის როლი იტვირთოს, რათა სამიზნე ენაზე დედნის ადეკვატური ტექსტი მიიღოს. მაგალითად, ფრაზა „ჯართათვის მარგებელია“ მთარგმნელს საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე აქვს გადატანილი ინგლისურ ენაზე “a doughty champion”-„მამაცი მებრძოლი“, რაც არ არის დედანში არსებული ფრაზის პირდაპირი ეკვივალენტი, თუმცა აზრობრივი კუთხით დასაშვებია მისი გამოყენება, რადგან „მამაცი მებრძოლი“ ჯარისთვის ყოველთვის სარგებლის მომტანია. გავრცობილი ფორმით არის თარგმანში გადატანილი შემდეგი ფრაზაც: „ცოტას კაცთა შემაქცეველია“. აქვე გვხვდება გარკვეული უზუსტობები. მაგალითად, ფრაზით „სიკვდილში თავის წამგებია“ ავტორი ცდილობს, ხაზი გაუსვას ისეთ ასპექტს, როგორცაა მეგობრისთვის თავგანწირვა, რომ ჭეშმარიტი მეგობარი საჭიროების შემთხვევაში სიკვდილისთვისაც მზადაა. თარგმანში შემოთავაზებული ფრაზა - “unselfish in sight of death” (სიკვდილის შემთხვევაში/ადგილას არაეგოისტურად იქცევა), ჩვენი აზრით, საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარია და ვერ ჩაითვლება ორიგინალში არსებული ფრაზის ეკვივალენტად. აზრობრივი უზუსტობა გვხვდება ფრაზის „ამხანაგს შესწყობოდეს“ თარგმანში - “went to their friends” (მეგობრებთან წასულან)“. „შესწყობოდეს“ გულისხმობს ურთიერთგაგებას, თარგმანში შემოთავაზებული ფრაზა კი გულისხმობს ვინმესთან ფიზიკურად წასვლას.

დასახელებულ პასაჟში გვხვდება კუპიურები და ინტერპოლაციებიც. ო. უორდროპს საერთოდ გამოტოვებული აქვს ფრაზები „რად ეშუღვლი, რად

ეკამათები?“ მთარგმნელის ინტერპრეტაციის შედეგია ინტერპოლაცია “A friend should meet with love & not hatred” (მეგობარს უნდა შეეგებო სიყვარულით და არა სიძულვილით). მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი უზუსტობებისა, მთარგმნელი მაინც ახერხებს წყარო ტექსტში ექსპლიციტებული ძირითადი შინაარსობრივი ინფორმაციის გადატანას სამიზნე ენაზე.

ციტირებული მონაკვეთის შესატყვისად ქ. ვივიანი შემდეგ თარგმანს გვთავაზობს:

“A good friend is hard to find: he is not met by chance on the road, he cannot be cheaply bought. A good friend is a stronghold watered by a stream, a lofty rampart, towering and impregnable. A friend is a lavish feast, a wealth of joys, an adornment to a festive table. A friend is the heart’s light, the eyes’ glance, the arms’ strength, the shoulders’ power. A friend is he who fights our enemies, gives comfort to our comrades, impresses strangers well and is of service to learned men. A friend takes part of the solitary, gives help to many and is boon companion to a few. A friend is an ally in time of trouble, a healer in sickness, and will lay down his life for his friend. What can you find of greater value than a friend? Wherefore do you hate, wherefore bear malice, wherefore seek a quarrel? I have known many good men parted from parents, children and brothers who were true to their friends. In friendship there is love and not discord” (Vivian, 1982: 141-142).

შემოთავაზებული თარგმანი სრულად გადმოსცემს „სულხან-საბას“ ხედვას და დამოკიდებულებას მეგობრობის მიმართ. ქ. ვივიანი უფრო ერთგულად და ზედმიწევნით მიჰყვება დედანს და წარმატებით ახერხებს ორიგინალის შინაარსობრივი ინფორმაციის ადეკვატურად ტრანსფორმაციას თარგმანში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისთვისაც რთული აღმოჩნდა გარკვეული ლაკონური ფრაზებისთვის ტოლფასოვანი შესიტყვებების მოძიება და ო. უორდროპის მსგავსად აზრის გავრცობის ხერხს მიმართავს, რაც, ბუნებრივია, იწვევს თხრობის რიტმის შენელებას, მაგრამ ვერ აკნინებს თარგმანს, ვინაიდან მასში დაცულია ეკვივალენტობის მთავარი პირობა - წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის

შინაარსობრივი ინვარიანტულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. ვივიანს წარმოდგენილი პასაჟის თარგმანი შესრულებული აქვს ინგლისური ენის სტრუქტურული და სტილისტური ნორმების მიხედვით, რაც დედნის ანალოგიურ ეფექტს ახდენს სამიზნე მკითხველზე. საგულისხმოა, რომ თარგმანში მელოდიურობის და სტილის შენარჩუნების, ხოლო მკითხველში შთაბეჭდილებისა და ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით მთარგმნელი მიმართავს სიტყვების გამეორების ხერხს, მაგ: “Wherefore do ..., wherefore bear ..., wherefore seek ...”, რაც სასიამოვნოდ ხვდება მკითხველის ყურს და ორიგინალის ტოლფას ზეგავლენას ახდენს მასზე. თუმცა, საყურადღებოა ერთი უზუსტობაც. კერძოდ, ფრაზისთვის „ჯართათვის მარგებელია“ ქ. ვივიანი გვთავაზობს შემდეგ თარგმანს “gives help to many” – „ბევრს ეხმარება“, რაც განსხვავებული შინაარსის მქონე ფრაზაა. სულხან-საბას აქცენტი გადატანილი აქვს ჯართათვის სასარგებლო პიროვნებაზე, ხოლო მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული შესიტყვება კი აღწერს ადამიანს, რომელიც სხვისი დახმარებისთვის მზადაა, რაც, ცხადია, ვერ ჩაითვლება დედნის ეკვივალენტად.

თარგმანების შეპირისპირებისას ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებდით თხზულების ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მონაკვეთს არაკიდან „მეფე და მხატვარი“, რაც უკავშირდება სამიზნე ტექსტში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის არასწორ ტრანსფორმაციას. არაკიდან ვიგებთ, რომ ლეონი მეფე ფინებს უფლისწულის აღზრდაზე დათანხმდება, თუკი მეფე ხელწერილს მისცემს, რომ, სხვა ადამიანების მიერ ლეონის შესმენისა და ძაგების შემთხვევაში, ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე არ მოკლავს მას. მეფე თანხმდება და აძლევს მოთხოვნილ ხელწერილს, რომელსაც ლეონი განსაკუთრებულ ადგილას ინახავს: „მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჰქედა ოქროთა და დაირჰო თავსა ზედა“ (ორბელიანი, 1970: 40).

ლეონი ბრძენი და გონებამახვილი პიროვნებაა, რომელსაც საკმაოდ კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მტრები და მოშურნეები შეეცდებიან მეფესთან მის „ძაგებას“. იგი დარწმუნებულია, რომ ეს ხელწერილი ადრე თუ გვიან აუცილებლად დასჭირდება. ამიტომ, ხელწერილი მუდამ თან უნდა ჰქონდეს, რომ

საჭიროების შემთხვევაში მეფეს აჩვენოს, მიცემული პირობა გაახსენოს და საკუთარი თავი გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნას. სწორედ ამ მიზნით ინახავს ხელწერილს ქუდში.

ციტირებული პასაჟის შესატყვისად ო. უორდროპი გვთავაზობს:

“The king gave a written guarantee. Leon took it, put it in a golden case and laid it under his pillow” (Wardrop, 1894:30). სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით „მეფემ მისცა წერილობითი გარანტია. ლეონმა წაიღო, ოქროს კოლოფში ჩადო და ბალიშის ქვეშ დაიდო“. წყარო ტექსტსა და სამიზნე ტექსტს შორის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით, შეუსაბამობა ამკარაა. აღნიშნული ფაქტობრივი უზუსტობა გაურკვევლობას იწვევს თხზულებაში შემდგომში აღწერილი მოვლენის აღქმის თვალსაზრისით. კერძოდ, როდესაც ლეონის აღზრდის მეთოდის გამო განრისხებული მეფე ლეონს ძალით მიაყვანინებს და განზრახული აქვს მისი მოკვლა. სწორედ აქ იყენებს ლეონი მეფისთვის წინასწარ გამორთმეულ ხელწერილს და ამბობს:

„აჰა საფიცარი შენი, ამ დღისათვის გამოგართვი, ამას ველოდი და ვიცოდი. მე ეს წინ მედვა. ვერ მომკლავ უსამართლოდ!“ (ორბელიანი, 1970:52).

ზემოთ აღწერილ ეპიზოდს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლეონმა იგი ქუდიდან გამოიღო და მეფეს პირობა შეახსენა. ამ მონაკვეთს ო. უორდროპი ადეკვატურად თარგმნის - “Behold thy written oath; I had it from thee for such a day as this. I expected and foresaw that this would happen. Thou canst not kill me unjudged!” (Wardrop, 1894:40-41), თუმცა სამიზნე მკითხველისთვის გაურკვეველი რჩება, საიდან გაჩნდა ლეონის ხელში ეს ხელწერილი, ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო რომ ლეონმა იგი ბალიშის ქვეშ შეინახა.

რაც შეეხება ქ. ვივიანის თარგმანს, იგი ზედმიწევნით მიჰყვება დედანს და ადეკვატურად გადმოსცემს აზრს სამიზნე ენაზე: “The King gave Leon his promise, written in his own hand. Leon took the document away, sealed it with gold, and kept it in his headdress” (Vivian, 1982:20) -,მეფემ ლეონს საკუთარი ხელით დაწერილი



პირობა მისცა. ლეონმა წაიღო დოკუმენტი, ოქროთი მოჭედა და თავსაბურავში შეინახა“.

თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზისას, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო იყო, როგორ ასახავენ მთარგმნელები დედანში არსებულ მეტაფორებსა თუ ეპითეტებს სამიზნე ენაზე. ზოგადად, როგორც ალ. ბარამიძე მიუთითებდა „სიბრძნე სიცრუისას“ ენა და სტილი სადაა, იგი არაა დამძიმებული XVI-XVII საუკუნეების ქართული მწერლობის სტილისთვის დამახასიათებელი ორნამენტულობით, ანუ „ფიგურობით“ და „ალეგორიებით“... სულხან-საბა ორბელიანი ძალიან იშვიათად მიმართავს მეტაფორებს და თხზულებაში მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება პერსონაჟთა მეტაფორული დახასიათებანი“ (ბარამიძე, 1959:50). სწორედ ამ გამონაკლის შემთხვევას განეკუთვნება ჯუმბერის დახასიათება, რომლის გარეგნული სიმშვენიერის გადმოსაცემად ავტორს გამოყენებული აქვს უამრავი შთამბეჭდავი მეტაფორა, ეპითეტი და მხატვრული ხერხი.

„გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა მე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განჰყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა. სახელად ჯუმბერ უწოდეს“ (ორბელიანი, 1970:8).

საინტერესოა, შეძლეს თუ არა მთარგმნელებმა დედნისეული გამომსახველობითი საშუალებებისა და შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ადეკვატურად ტრანსფორმაცია სამიზნე ენაზე.

ო. უორდროპი ციტირებულ პასაჟს შემდეგნაირად თარგმნის:

“When some time had passed, God was merciful, and gave the king a son such that the sun was envious of his brightness, the moon fifteen days old begged light of him, the stars were amazed at his twinkling. Black swallows’ wings (i.e his eyebrows) were stretched beautifully on crystal (his face), pools of ink (his eyes) were fringed with reeds

(eyelashes) of black stone, lily and rose bloomed one in the other. They called his name Djumber” (Wardrop, 1894: 6-7).

წარმოდგენილი მაგალითიდან ნათლად იგრძნობა მთარგმნელის დამოკიდებულება დედნისადმი. კერძოდ, ორიგინალის ფორმის შენარჩუნებისა და, ამავედროულად, შინაარსის ადეკვატურად გადმოცემის მცდელობა. პასაჟის დასაწყისი დედნისეული ექსპრესიულობით გამოირჩევა. სულხან-საბა როდესაც აცხადებს, რომ „შეიწყალა ღმერთმან“, გულისხმობს, რომ ღმერთმა მეფეს წყალობა უყო და ვაჟიშვილი აჩუქა, ამიტომ ო. უორდროპის მიერ შერჩეული ფრაზა “God was merciful” – „ღმერთი გულმოწყალე იყო (მის მიმართ)“ დედნის ეკვივალენტურია. ასევე აღნიშვნის ღირსია მთარგმნელის ძალისხმევა ქართულ ენაში დამკვიდრებული მეტაფორებისთვის შესაბამისი შესიტყვებების მოძიების კუთხით. ო. უორდროპი ლექსიკური ტრანსფორმაციების, კერძოდ კი კონკრეტიზაციის მეთოდის გამოყენებით ინგლისურენოვან მკითხველს მათთვის გასაგები ენით და ასევე განმარტებების მეშვეობით სთავაზობს დედანში არსებული მეტაფორების თარგმანს: „მელნის გუბენი“ (თვალები), „ბროლთა ზედან“ (მისი სახე), „მერცხლისა მხარნი“ (მისი წარბები), „გიშრის ლერწამი“ (წამწამები). ჯუმბერის აღწერასთან დაკავშირებით ო. უორდროპი სქოლიოშიც აკეთებს განმარტებას, რომ „სილამაზის აღწერისთვის ამგვარი მაღალფარდოვანი მეტაფორების გამოყენება უცხო არ არის ქართული ლიტერატურისთვის“ (Wardrop, 1894:7).

იმავე პასაჟის ქ. ვივიანისეული თარგმანი კი შემდეგნაირად ჟღერს:

“Several years passed. Then God of His Mercy granted the King a son – being whose radiance roused the sun to envy, while the young moon entreated him for light and the stars were dazzled by one who sparkled as brilliantly as they. His eyes were pools of ink edged with jet, and his features rose and the lily bloomed one within the other. His name was Jumber” (Vivian, 1982:4).

პასაჟის დასაწყისი ამ შემთხვევაშიც ზუსტი და ინგლისური ენისთვის ჩვეული ფრაზით არის გადმოცემული, თუმცა თარგმანში შეინიშნება კუპიურები.

მთარგმნელს საერთოდ გამოტოვებული აქვს ყველა მეტაფორა გარდა „მელნის გუბენისა“, რაც დიდი დანაკლისია ამ კონკრეტული მონაკვეთისთვის. საინტერესოა პასაჟის დასასრულიც. ო. უორდროპი სიტყვასიტყვით თარგმანს ირჩევს და გვთავაზობს „მას სახელად ჯუმბერი უწოდეს“, მაშინ როდესაც ქ. ვივიანი იმავე წინადადების შესატყვისად გაცილებით მარტივ და ინგლისურ ენაში დამკვიდრებულ ფრაზას გვთავაზობს: „მას ერქვა ჯუმბერი“.

მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას მთარგმნელს არანაკლებ სირთულეს უქმნის დედანში არსებული ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში გააჩნია ნაციონალური ელფერი. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დ. ფანჯიკიძის მოსაზრება: „ფრაზეოლოგიური ერთეულები მიეკუთვნება ენის გამომსახველობით საშუალებებს, რომელთაც აქვთ დამატებითი ნაციონალური შეფერილობა, ამიტომ თვით ნეიტრალურ-სტილისტური ფრაზეოლოგიზმები იძენენ კონტექსტში ექსპრესიას“ (ფანჯიკიძე, 1995:33). აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას ძირითად ორიენტირად აღებული უნდა იყოს მთლიანი შესიტყვების და არა ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, არახატოვანი ფრაზეოლოგიზმებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდ სირთულეს წარმოადგენს მთარგმნელისთვის, ვინაიდან ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის აღსაქმელად მან უნდა გაანალიზოს ფრაზეოლოგიზმების შინაარსი, სტილისტური და ექსპრესიული შეფერილობა და ამის შემდეგ დაიწყოს ეკვივალენტური ლექსიკურ-სტილისტური შესიტყვებების მოძიება.

თარგმანების შეპირისპირებისას, ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რამდენად წარმატებით გაართვეს თავი მთარგმნელებმა ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერპრეტაციასა და მათ ტრანსფორმაციას სამიზნე ტექსტში, რაც უცხო არ არის სულხან-საბას თხორობის სტილისთვის და გვხვდება „სიბრძნე სიცრუისაშიც“.

განვიხილოთ ქართული ენისთვის სახასიათო ფრაზეოლოგიური შესიტყვება არაკიდან „ინდოთ მეფე და ვაზირნი“, სადაც ავტორი მოგვითხრობს, რომ მეფეს თავისი ხუთი ვაზირიდან, ვაზირთა უხუცესი ყველაზე მეტად უყვარდა და „თავსაცა თვისსა ერჩინა“. ო. უორდროპი ამ ფრაზას შინაარსიდან გამომდინარე თარგმნის: “The king loved the chief vizier more than his own head” (Wardrop, 1892:21) – „მეფეს უფროსი ვაზირი/ვაზირთუხუცესი საკუთარ თავზე მეტად უყვარდა“. აშკარაა, რომ მთარგმნელი ვერ ახერხებს ამ იდიომური ფრაზისთვის ტოლფასოვანი მხატვრული შესატყვისის მოძიებას, თუმცა ამ დანაკლისის კომპენსირებას შინაარსის სიზუსტის დაცვით ცდილობს. რაც შეეხება ქ. ვივიანს, იგი გარკვეულწილად სცილდება დედანს და შემდეგ თარგმანს გვთავაზობს: “Loved him better than his own kin” (Vivian, 1982:13). ლექსიკური ერთეული “Kin” აღნიშნავს „ნათესაობას, ოჯახს, სისხლით ნათესავს“. შესაბამისად, ქ. ვივიანის თარგმანში ვკითხულობთ, რომ „მეფეს თავის საკუთარ ნათესავებზე მეტად უყვარდა“ ვაზირი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება დედანს, ვინაიდან მეფეს იგი საკუთარ თავზე მეტად უყვარდა.

ასევე საინტერესოა რუქას მიერ წარმოთქმული ფრაზის: „თქვენ რომ ორნი-სამნი გაბიძამამიდებულხართ“ („თხა და მელი“) ტრანსფორმაცია თარგმანში. მოცემული ფრაზა თავისთავად საკმაოდ მრავლისმეტყველია. რუქა მიაჩნებდა, რომ ისინი გაერთიანებული არიან, პირი აქვთ შეკრული და ერთმანეთს მხარს უჭერენ. ო. უორდროპი წარმატებით ართმევს თავს შინაარსობრივი ინფორმაციის ტრანსფორმაციას სამიზნე ტექსტში “There are two or three of you in alliance” – „თქვენ ორნი თუ სამნი გაერთიანებულხართ“. თუმცა, დასაანანია, რომ მთარგმნელი ვერ ახერხებს სტილის შენარჩუნებას და ტოლფასოვანი შესიტყვების მოძიებას ინგლისურ ენაზე. ქ. ვივიანის თარგმანში კი ვკითხულობთ “You three are like kinsmen”, სიტყვასიტყვით „თქვენ სამნი ნათესავებით ხართ“. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მთარგმნელის მიერ ვერ მოხდა დასახელებულ ფრაზაში იმპლიცირებული შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა. კერძოდ, ინგლისური ლექსიკური ერთეული “kinsmen” ნიშნავს ნათესავს, ხოლო „ნათესავი“ თავისთავად, უპირობოდ, არ გულისხმობს ერთ აზრზე მყოფს.

შესაბამისად, ინგლისური მკითხველისთვის გაუგებარი რჩება ამ კონკრეტულ ფრაზაში ავტორის მიერ ჩაქსოვილი აზრი.

„სიბრძნე სიცრუისა“ ძირითადად ხალხური ენითაა დაწერილი და მაღალფარდოვანი თხრობის სტილით არ გამოირჩევა. თუმცა, გამონაკლისებიც მოიპოვება. მაგალითად, არაკვი „მეფე და სამი მისი ძე“ ავტორი შეუდარებელი ეპიტეტებით აღწერს მეფის ძის პასუხს კითხვაზე:

„რა უფრო კვლევია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო?“ - „გაზაფხულის უკვლევესი, შემოდგომისაგან უფრო უმსუქნესი და თვალთაგან უფრო უმაღესი არა რა იქმნების პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო“ (ორბელიანი, 1970:102).

მკითხველზე ზემოქმედების, ტექსტისთვის მელოდურობისა და ტკბილხმოვანების მინიჭების მიზნით ავტორს ალიტერაციის ხერხი გამოუყენებია. ალიტერაცია ერთი და იგივე თანხმოვანი ბგერების გამეორებაა, რომელიც პოეტური ხერხია და უმეტესად პოეზიაში გვხვდება, თუმცა პროზაშიც გამოიყენება თხრობისთვის ემოციურობისა და მუსიკალურობის მინიჭების მიზნით. ციტირებულ პასაჟში, ავტორის მიერ გამოყენებულ ეპიტეტებში „უ“ ბგერის გამეორება „უკვლევესი, უმსუქნესი, უმაღესი“ ერთმნიშვნელოვნად სასიამოვნო გავლენას ახდენს მკითხველზე და მეტ ექსპრესიულ ეფექტს ანიჭებს თხრობას. განვიხილოთ, რამდენად შეძლეს მთარგმნელებმა ციტირებული პასაჟის თარგმნისას ანალოგიური მხატვრული ხერხის გამოყენება და თარგმანში დედნისეული ტკბილხმოვანების შენარჩუნება.

ქ. ვივიანი შემდეგ თარგმანს გვთავაზობს: “On all the face of the earth there is nothing fairer than spring, more opulent than autumn or swifter than a glance of the eyes” (Vivian, 1982:55). აშკარაა, რომ მთარგმნელი ამ შემთხვევაში ვერ ახერხებს ორიგინალის ანალოგიური მხატვრული ხერხის შერჩევას, თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ერთგულად მიჰყვება დედანს.

ო. უორდროპი იმავე პასაჟს შემდეგი სახით თარგმნის: “On the face of the earth there is nought lovelier than spring, fatter than autumn, swifter, than the eye”

(Wardrop, 1894:80). შემოთავაზებული თარგმანი დედანთან შედარებით უხვსიტყვიანია, თუმცა მთარგმნელი მაინც ახერხებს ალიტერაციის ხერხის გამოყენებას, რაც გამოიხატება კონკრეტულ სიტყვებში „er“ ბგერების და კავშირის „than“ გამოვრებით. სიტყვათა წყობისთვის ერთი და იმავე კონსტრუქციის შერჩევა - „lovlier than... fatter than ... swifter than“ - თავის მხრივ, უზრუნველყოფს თარგმანში დედნისეული ტკბილხმოვანებისა და ექსპრესიულობის შენარჩუნებას.

თარგმანების შეპირისპირებისას, რა თქმა უნდა გვერდს ვერ ავუვლიდით აფიქსების დართვით წარმოებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება ქართულ ენაში და ასევე გვხვდება „სიბრძნე სიცრუისაშიც“. მაგალითად, როგორცაა მეაბანოვე, ნასოფლარი და სხვა.

არაკში „მოძღვარი მელი“ ვკითხულობთ, რომ ერთი „მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო“ და მელა თავღია დარჩენილ სამღებროს ქვევრში ვარდება. როგორც კვლევისას გამოიკვეთა, ორივე მთარგმნელისთვის რთული აღმოჩნდა ეკვივალენტური შესიტყვების მოძიება და ორივე მათგანი ვრცელ კონსტრუქციას იყენებს შინაარსობრივი ინფორმაციის შენარჩუნების მიზნით - “a place where a village once had been”- „ადგილი, სადაც ოდესღაც სოფელი იყო“ (ო. უორდროპი) და “The ruins of what, it seemed, had once been a village” – „ნანგრევები, რომელიც ოდესღაც სოფელი უნდა ყოფილიყო“ (ქ. ვივიანი). „ნასოფლარს“ ვხვდებით ასევე არაკში „უსამართლო შირვან-შაჰ“, სადაც ქალის პატრონი პირის სანახავად „შვიდას ნასოფლარს“ ითხოვს. ო. უორდროპი ამ შემთხვევაში „ნასოფლარის“ შესატყვისად იყენებს ფრაზას “waste villages” – „გამოუსადეგარი სოფლები“. მთარგმნელის მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული სიტყვა “waste” ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მშენებლობისთვის ან მოსავლის მოსაყვანად გამოუსადეგარი ადგილი“. ქ. ვივიანი კი ორ ვარიანტს გვთავაზობს “ruined village” – „დანგრეული სოფელი“ და “deserted village” – „მიტოვებული სოფელი“. დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ ვერცერთმა მთარგმნელმა ვერ შეძლო ამ კონკრეტული ლექსიკური ერთეულისთვის სტილისტურად და მხატვრულად ეკვივალენტური შესატყვისის მოძიება.

დასასრულ, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ განხილულ ორივე თარგმანს ბევრი რამ აქვთ საერთო, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური კუთხით. აღსანიშნავია, რომ როგორც ო. უორდროპის, ისე ქ. ვივიანის თარგმანში იგრძნობა, მთარგმნელთა მისწრაფება ადეკვატური ლექსკიური შესიტყვებებისა და სტილისტური ფორმების მოძიებისკენ, რასაც ხშირ შემთხვევაში უფრო წარმატებით ართმევს თავს ქ. ვივიანი. „სიბრძნე სიცრუისა“ გამოირჩევა თხრობის ლაკონური სტილით, რომლის გამოყენებაც თარგმანში არსებითად მნიშვნელოვანია ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი დიდაქტიკური და სარკასტული ელფერის შესანარჩუნებლად. დასაძინია, რომ ო. უორდროპი, განსხვავებით ქ. ვივიანისგან, უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს დედნისეული ლაკონურობის დაცვას და შინაარსის ადეკვატურად გადმოსაცემად აზრის გავრცობის ხერხს მიმართავს.

გარდა ამისა, კვლევისას გამოიკვეთა, რომ ორივე თარგმანში შეინიშნება კუპიურები, ფაქტობრივი ინფორმაციის დარღვევები და დედანთან თავისუფალი მიდგომის შემთხვევები. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ განხილული ორი თარგმანი შესრულებულია ორი სხვადასხვა ზედიწევნით განათლებული და შემოქმედი მთარგმნელის მიერ და თითოეულმა მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა სულხან-საბას გენიალური თხზულების ინგლისურენოვანი მკითხველისთვის გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

## დასკვნა

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ ქართული ლიტერატურის უნიკალური და გამორჩეული ძეგლია. მასში ორიგინალური ფორმითა და გასაოცარი მხატვრული ოსტატობით არის წარმოდგენილი ავტორის მსოფლმხედველობა და ზოგადსაკაცობრიო იდეები, რისი გაცნობაც, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება ნებისმიერი ერისთვის. აქედან გამომდინარე, მისი თარგმანები განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს, რადგანაც თარგმანებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გააცნობენ ავტორის შემოქმედებას უცხოენოვან მკითხველს.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანები. შესწავლილია მათი სტილისტური, ლინგვისტური და მხატვრული შესაბამისობა დედანთან. ასევე გამოკვლეულია, დაცულია თუ არა თითოეულ თარგმანში ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, დედნისეული სტილი და მხატვრული ხერხები. გარდა ამისა, გაანალიზებულია, რამდენად ადეკვატურია თითოეული თარგმანი შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით, ვხვდებით თუ არა თარგმანებში კუპიურებსა და ინტერპოლაციებს და ა.შ.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული თარგმანი იმ ორი განსხვავებული შემოქმედის ნამუშევარია, რომელთაც უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ლიტერატურული ძეგლების ინგლისურ ენაზე ამეტყველებისა და მათი უცხოენოვანი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ო. უორდროპის თარგმანი არ არის შესრულებული ორიგინალიდან, რაზეც მთარგმნელი თავადვე მიუთითებს და გვამცნობს, რომ თარგმნისას გამოიყენა ალ. ცაგარელის მიერ 1878 წელს შესრულებული რუსული თარგმანი. ამდენად, კვლევის დაწყებისას გვექონდა მოლოდინი, რომ ხარვეზები აუცილებლად გამოვლინდებოდა. ოლივერ უორდროპის თარგმანი შესრულებულია გარკვეულწილად მოძველებული ენით და ხასიათდება არქაული ლექსიკური ერთეულების სიჭარბით. გარდა ამისა,



თარგმანში ასევე უხვად გვხვდება დედნისადმი თავისუფალი მიდგომის მაგალითებიც. მთარგმნელი ცდილობს დედნისეული განწყობის, ემოციისა და ექსპრესიულობის შენარჩუნებას და ამის მისაღწევად იგი ხშირად უგულვებელყოფს ავტორისეულ ფრაზებს, იდიომებსა თუ გამომსახველობით საშუალებებს და საკუთარი შემოქმედებითი თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის გამოვლინების მეშვეობით ცდილობს თარგმანში დედნისეული ეფექტის შენარჩუნებას.

რაც შეეხება ქ. ვივიანს, იგი საერთოდ არ ახსენებს, თარგმანზე მუშაობისას „სიბრძნე სიცრუისას“ რომელ გამოცემას ეყრდნობოდა. ო. უორდროპისგან განსხვავებით, იგი შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას და მანამდეც ქართული ლიტერატურის არაერთი ძეგლი ქონდა ნათარგმნი, რის დასტურად მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანიც“ კმარა. აქვე უნდა აღვნიშოთ, რომ, სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში ახერხებს თარგმანში დედნისეული სისხარტისა და ლაკონურობის, სულხან-საბას მხატვრული გამომსახველობითი ხერხებისა და მელოდიურობის შენარჩუნებას. იგი წარმატებით ართმევს თავს ზუსტი და ადეკვატური ლექსიკური შესიტყვებების მოძიებას, განსხვავებით ო.უორდროპისგან, რომლის სუბიექტური და თავისუფალი მიდგომა ორიგინალისადმი ზოგიერთ შემთხვევაში სცდება თარგმანში შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლენის მისაღებ საზღვრებს, შედეგად კი ვიღებთ დედნისგან გარკვეულწილად დაცილებულ ტექსტს სამიზნე ენაზე, რომელიც დაზღვეული არ არის ფაქტობრივ-შინაარსობრივი უზუსტობებისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნით თითოეული თარგმანის დამოუკიდებლად შესწავლა და შემდეგ მათი ურთიერთშეპირისპირება.

თარგმანების შეფასებისას, მაქსიმალურად ვცდილობდით მათი დადებითი მხარის წარმოჩენას, ჩვენ მიერ მოყვანილია არაერთი მაგალითი, სადაც მთარგმნელები წარმატებით ართმევენ თავს ენებს შორის არსებულ განსხვავებებს

და ახერხებენ დედნის ადეკვატური ცალკეული პასაჟებისა თუ მთლიანი არაკების შექმნას, თუმცა, ბუნებრივია, კვლევისას გვერდს ვერ ავუვლიდით მათში არსებული ხარვეზების გამოვლენასაც.

„სიბრძნე სიცრუისაში“ უხვად მოიპოვება ტოპონიმები და ანთროპონიმები. განხორციელებული კვლევის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ორივე მთარგმნელს აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ტრანსლიტერაციის მეთოდის გამოყენებით გადააქვს თარგმანში და უმეტეს შემთხვევებში სქოლიოს სახით გვთავაზობენ ვრცელ განმარტებებს, რაც უცხოენოვან მკითხველს საკმაოდ უადვილებს ამგვარი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გააზრებას.

თარგმანების განხილვამ და ორიგინალთან შედარებამ თარგმანმცოდნეობის თანამედროვე კრიტერიუმებისა და ლინგვისტური თეორიების მიხედვით გვიჩვენა, რომ ნაწარმოების თარგმანების ზოგიერთ მონაკვეთში არსებობს გარკვეული პრობლემები და ხარვეზები შეტყობინების ფუნქციური შინაარსის შენარჩუნების, ასევე შინაარსობრივ-ფაქტობრივი და შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის შენარჩუნების კუთხით.

კვლევისას ასევე დავინტერესდით, რამდენად ადეკვატურად ახერხებენ მთარგმნელები დედანში არსებული ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომური გამოთქმებისთვის ტოლფასოვანი მხატვრული შესიტყვებების მოძიებას. აღსანიშნავია, რომ ქ. ვივიანისგან განსხვავებით ო. უორდროპი უმეტეს შემთხვევებში უპირატესობას ანიჭებს აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებას და თარგმანში ხატოვანი გამოთქმების ტრანსფორმაციის გავრცობილ ფორმას გვთავაზობს, რასაც, ბუნებრივია, ფორმა ეწირება და ირღვევა ორიგინალისთვის დამახასიათებელი ლაკონურობა და ექსპრესიულობა.

თარგმანების შესწავლისას და ორიგინალთან შედარებისას ცხადი გახდა, რომ სამიზნე ტექსტებში ბევრი გამოტოვებული ადგილი, ანუ კუპიურაა. კუპიურების სიმრავლით გამოირჩევა ო. უორდროპის თარგმანი, სადაც კონკრეტული პასაჟებისა და მონაკვეთების გარდა, მთლიანად გამოტოვებულია რამდენიმე არაკი. ზოგჯერ, თარგმანში გამოტოვებულია სწორედ ის

მნიშვნელოვანი ადგილები, რომლებიც ნაწარმოებს აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ თარგმანებში ასევე ვხვდებით ჩამატებულ ადგილებს, ანუ ინტერპოლაციებს, რომელთა უმეტესობაც აცდენილია ავტორის ნააზრევს და შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია.

თარგმანების შესწავლისას ასევე გამოიკვეთა ხარვეზები წყარო ტექსტში არსებული ზოგიერთი სარკასტული და ირონიული დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეულის სამიზნე ტექსტში ადეკვატური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ამგვარი ლექსიკური ერთეულები ნეიტრალური და ზოგადი მნიშვნელობის შესიტყვებებით გადადის თარგმანში, რაც, ბუნებრივია, დიდი დანაკლისია, ვინაიდან „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია „სარკაზმი“ და „ირონია“. ამგვარი ლექსიკური ერთეულებისთვის ადეკვატური შესიტყვებების მოძიების გარეშე, სრულად იკარგება ავტორის მიერ იმპროვიზირებული აზრი და ირონიული დამოკიდებულება ამა თუ იმ საკვანძო საკითხისა და მოვლენის მიმართ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ თარგმანში მოიპოვება თავისუფალი მიდგომის ნიმუშებიც, რაც უარყოფითად აისახება თარგმანზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ერთი თარგმანი არ არის უნაკლო, თუმცა ეს სრულებით არ აკნინებს მათ მნიშვნელობას. თ. უორდროპი ცდილობს, მაქსიმალურად გასაგები გახადოს მკითხველისთვის დედნის შინაარსი. ამ მიზნის მისაღწევად იგი მრავალ განმარტებას გვთავაზობს სქოლიოს სახით, თუმცა დასანანია, რომ ხშირ შემთხვევაში იგი ვერ ახერხებს ავტორისთვის დამახასიათებელი ლაკონური თხრობის სტილის შენარჩუნებას თარგმანში.

ქ. ვივიანის თარგმანის პოზიტიური მხარეა ორიგინალის ანალოგიური დინამიურობისა და ექსპრესიულობის, ასევე ავტორის თხრობის სტილის შენარჩუნება და ხატოვანი გამოთქმების უმეტესი ნაწილისთვის ინგლისურ ენაში დამკვიდრებული შესიტყვებების მოძიება.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა და ანალიზი საინტერესო იქნება და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სულხან-საბას შემოქმედების, კერძოდ, „სიბრძნე სიცრუისას“ მომავალ მთარგმნელებს. გარდა ამისა, წარმოდგენილი ნაშრომი, მასში გამოვლენილი პოზიტიური შტრიხებითა და ხარვეზებით, ზოგადად წაადგება მთარგმნელთა ანალიზის უნარის განვითარებას და ხელს შეუწყობს მათ სრულყოფილი და თანამედროვე თარგმანების შესრულებაში.

## ბიბლიოგრაფია

1. ამირხანაშვილი ი., „სიბრძნე სიცრუისა, ტექსტი და კონტექსტი“; XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, თბილისი, 2012.
2. ბაგრატიონი ი., მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის XVI-XIX სს. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, მეცნიერება, თბილისი, 1982.
3. ბარამიძე ალ., სიბრძნე სიცრუის გარშემო, მნათობი N12, 1957.
4. ბარამიძე ალ., სულხან-საბა ორბელიანი: ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1959.
5. გამსახურდია კ., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1949.
6. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, განათლება, თბილისი, 1966.
7. გაწერელია ა., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1949.
8. გიგინეიშვილი ივ., სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ, 1959.
9. გვარჯალაძე ი., „სიბრძნე სიცრუის“ ინგლისური თარგმანი, „თბილისი“, თბილისი, 1982 წ. 16 ივლისი.
10. დილავეროვა თ., „იგავ-არაკები კულტურათმშორის დისკურსში და მათი ლინგვოკულტურული თავისებურებები“, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2017.
11. დოიაშვილი თ., სულხან-საბას „დიალოგები“, სულხან-საბა ორბელიანი-350, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009.
12. თევდორაძე ნ., ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, 2010.
13. თურნავა ს., „სულხან-საბა ინგლისურად“, სამშობლო N8, აპრილი, თბილისი, 1984 წ.
14. თურნავა რ., „საბას იგავ-არაკები ინგლისურად“, ლიტერატურული საქართველო N9, 1983.

15. ჟურნალი ივერია N16, თბილისი, 1894.
16. იმედაშვილი გ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, რედაქტორი ნ.მუსხელიშვილი, ტ. 15, N5, 1954.
17. კეკელიძე კ.ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, მეცნიერება, 1981;
18. ლენგი დ., სიბრძნე სიცრუისას სათაურისთვის, ჟურნალი მნათობი N5, 1957.
19. ლენგი დ., ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნალი ცისკარი N4, 1957.
20. ლორთქიფანიძე ე. სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“, თბილისი, 1960.
21. მათეშვილი ო., თარგმანი-თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, გამომცემლობა ენა და კულტურა, თბილისი, 2003.
22. მატარაძე ნ., ტატიშვილი ე., თარგმანის კვლევების დასავლური პარადიგმები: ლიტერატურისმცოდნეობითი და ლინგვისტური პერსპექტივები, ჟურნალი კადმოსი, 2015 (<https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/viewFile/234/235>)
23. მაცაბერიძე მ., „ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია“-სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება; ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, რედაქტორი ირმა რატიანი, თბილისი, 2009.
24. მენაბდე ლ. სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბილისი, 1953.
25. მენაბდე დ., „სულხან-საბა ორბელიანი უცხოურ ენებზე“, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, რედაქტორი ირმა რატიანი, თბილისი, 2009.
26. მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბილისი, 2005.
27. ნაიდა ი., თარგმანის ხელოვნებისათვის, ლიტერატურული საქართველო 1982.

28. ნუცუბიძე შ., ს.ს. ორბელიანის ფილოსოფიური შეხედულებანი, შრომები, ტ. IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1985.
29. ორბელიანი ს., 1970, „სიბრძნე სიცრუისა“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1970.
30. ორბელიანი ს., 1991 „ლექსიკონი ქართული“, „მერანი“, თბილისი, 1991.
31. ოძელი მ., ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისთვის, თბილისი 1998.
32. პოპიაშვილი ნ., სულხან-საბა ორბელიანი-350, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009.
33. საყვარელიძე ნ., „თარგმანის თეორიის საკითხები“ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001.
34. ტურაშვილი მ., „სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ფოლკლორი“, თბილისი, 2009.
35. ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბ., 1995.
36. ფანჯიკიძე დ., ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2005.
37. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია- აბაშიძე ირ, მეტრეველი რ, ჩიქობავა არნ, ძიძიგური შ., ჭაბაშვილი მ., თბილისი, 1990.
38. „სიბრძნე სიცრუისას“ იდეურ-კომპოზიციური სისტემა-ფილოლოგიის მეცნიერებთა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
39. შარაძე გ., „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“, თბილისი 1984.
40. ციციშვილი გ., „მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხები“, თბილისი, 1957.
41. წერეთელი ა., „საბა ორბელიანის იგავ-არაკები წიგნში „პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები“, ტ. V, „საქართველო“, თბილისი, 1990.

42. ჭურაძე ე., „ჰემინგუის მხატვრული სტილის ეკვივალენტობის პრობლემა ერთი მოთხრობის ქართული თარგმანის მაგალითზე“, ლიტერატურული კვლევები, N2, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 264-279, თბილისი, 2018.
43. ხინთიბიძე ე., ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, თბილისი, 2003.
44. ჯალიაშვილი მ., „სიბრძნე სიცრუისას“ ნარატიული მრავალფეროვნება, სულხან-საბა ორბელიანი-350, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009.
45. ჯღარკავა ი., სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური შეხედულებანი და თანამედროვეობა, თბილისი, 1990.
46. ჭავჭავაძე ი., ქართული თეატრი (წერილი), 1886 (<https://gdi.ge/uploads/other/0/995.pdf>).
47. Бархударов Л.С., Язык и перевод М., 1975.
48. Виноградов В.С., Лексические вопросы перевода художественной прозы - М, 1978.
49. Гальперин И.Р., Информативность единиц языка, М., 1974.
50. Гальперин И.Р., Текст как объект лингвистического исследования, М., 1981.
51. Гумбольдт В., Избранные труды по языкознанию“, 1984.
52. Комиссаров В.Н., Лингвистика перевода, М., 1980.
53. Рецкер И.И - Теория перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода, М. 1974.
54. Швейцер А.Д –“Перевод и лингвистика. О газетно-информационном и военно-публицистическом переводе”, М., Наука, 1973.
55. Baker M., In Other Words, A Coursebook on Translation, Routledge, London, 2011.
56. Batchelor K., Translation and Paratexts, Kathryn, Routledge, London, 2018.
57. Eco U., Mouse or Rat? Translation as Negotiation, Orion Publishing Co, United Kingdom, 2009.



58. Jakobson R. On Linguistic Aspects of Translation, Oxford University Press, 1966.
59. House J., Translation, Oxford University Press, 2009.
60. Merabishvili I., Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation, International Journal of Applied Linguistics and Translation, Science Publishing Group, New York, Vol. 7, No. 4, 2021, pp. 122-132, 2021 (<http://www.ijalt.org/article/340/10.11648.j.ijalt.20210704.11>).
61. Mounin G., Les problèmes théoriques de la traduction, Paris, 1963.
62. Newmark P., Approaches to Translation, Prentice Hall, 1988.
63. Newmark P., About Translation, Clevedon: Multilingual Matters, 1991.
64. Oxford advanced learner's dictionary 8<sup>th</sup> edition, Oxford University Press, 2013.
65. Pym A., Exploring Translation Theories, 2<sup>nd</sup> Edition, Routledge, London and New York, 2014.
66. Reiss K., Translation Criticism – Potentials and Limitations, Categories and Criteria for Translation Quality Assessment, Routledge, London and New York, 2000.
67. Savory T., The Art of Translation, Boston, 1968.
68. Vivian K., “Sufic Traces in Georgian Literature”, The Institute for Cultural Research, London, 1982.
69. Vivian K., “A Book of Wisdom and Lies”, Octagon Press, London, 1982.
70. Wardrop O., “The Kingdom of Georgia, Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song”, London, 1887.
71. Wardrop O., “The Book of Wisdom and Lies”, Kelmscott Press, London, 1894.

**ელექტრონული რესურსები (ლექსიკონები და სხვა მასალები)**

72. [http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/13\\_1-9.htm](http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/13_1-9.htm)
73. <http://www.ambioni.ge/efrem-mcire>
74. <https://www.dictionary.com/browse/brigand>

75. <https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90>
76. <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=29&t=339>
77. <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/2/9>
78. <https://www.dictionary.com/browse/falconer?s=t>
79. <https://burusi.wordpress.com/2011/06/26/immanuel-kant-5/>
80. [http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/cveni\\_exlandeli.htm](http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/cveni_exlandeli.htm)
81. [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=14&id\\_srch=70bd145c507b2596cbf25c9003417cd0&il=en&p=1&visualtheme=gw\\_brand](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=14&id_srch=70bd145c507b2596cbf25c9003417cd0&il=en&p=1&visualtheme=gw_brand)
82. <http://www.nplg.gov.ge/academic/index.php>
83. <https://translate.ge>
84. <https://dictionary.ge/ka/search/?q=butler>
85. <https://dictionary.ge>
86. <https://www.multitran.com>
87. <https://www.dictionary.com>
88. <https://www.merriam-webster.com>
89. <https://www.collinsdictionary.com>
90. <https://dictionary.cambridge.org>
91. <https://www.collinsdictionary.com/>